ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

# საუნივერსიტეტო კონფერენცია

# COVID 19 პანდემია: ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის



2021
30 ივლისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

**საუნივერსიტეტო კონფერენცია**

# COVID 19 პანდემია: ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის

2021
30 ივლისი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

ISBN 978-9941-491-18-4 (pdf)

# ს ა რ ჩ ე ვ ი

ზურა გამთენაძე, COVID-19-ის პანდემიის ეკონომიკური გავლენა საქართველოს რეგიონებზე ..... 5

მანანა ებანოიძე, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 2008 და მასზე გადასვლის გავლენა მთლიან შიდა პროდუქტსა და სხვა მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე.....15

მერაბ იორდანიშვილი, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება საქართველოში - ეკონომიკური რაკურსი ..... 24

ლევან კვესოშვილი, Covid-19 პანდემიის გავლენა მობილურ კომერციაზე..... 32

მაია კოპალიანი, მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში ..... 46

თეონა მაისურაძე, COVID 19-ის შედეგები და მისი გავლენა სამუშაო ძალაზე ..... 53

მარიამ მელიქიძე, საქართველოს განათლების სისტემის ციფრული ტრანსფორმაცია Covid-19-ის პირობებში..... 59

ნუცა მჭედლიშვილი, ფიზიკური მოცულობისა და ფასების წვლილის შეფასება მთლიან შიდა პროდუქტში ..... 65

გიორგი ნიკურაძე, Covid 19 ის გავლენა უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაზე საქართველოში, კავკასიის უნივერსიტეტისა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მაგალითზე .....75

დარეჯან ოზმანოვი, Covid -19-ის პანდემია: ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოს მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიისთვის..... 85

ლალი ოქროშიძე, საქართველოს ტურისტული პროდუქტის ფასის კონკურენტუნარიანობა COVID-19 პანდემიის პირობებში..... 94

მარიამ ოქრუაშვილი, კორონავირუსის პანდემიის გავლენა შინამეურნეობების შემოსავლებსა და ხარჯებზე..... 104

ბესარიონ სიორდია, ტვინების გადინება და ემიგრაციიდან დაბრუნებულთა დასაქმება საქართველოში ..... 109

სესილი ტაბატაძე, COVID - 19-ის გავლენა და დისტანციური მუშაობის სამომავლო პერსპექტივები სახელმწიფო უწყებებში .....116

ნესტან ფანცულაია, დემოგრაფიული პროცესების ანალიზი საქართველოს რეგიონების მიხედვით..... 120

ქეთევან ფხალაძე, COVID-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ..... 127

ლელუცი ქუხილავა, ეროვნული ანგარიშები გლობალიზებულ სამყაროში ..... 134

ირაკლი ჩხარტიშვილი, უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი საქართველოში ..... 141

ქრისტინე ჭელიშვილი, შობადობის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში ..... 157

გიორგი ხიდეშელი, კოვიდ-19 პანდემიის დადებითი ეფექტი შემომყვანი ტუროპერატორების საქმიანობაზე საქართველოს მაგალითზე.....164

# COVID-19-ის პანდემიის ეკონომიკური გავლენა საქართველოს რეგიონებზე

**ზუჩა გამთენაძე**
*თსუ დოქტორანტი*

*კორონავირუსი იგივე COVID-19 ვირუსი ით�sდა გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც. მსოფლიო ეკონომიკაზე COVID-19-ის ნეგატიური ეფექტი ახლა უკვე შეუქცევადი მოცემულობაა. თუმცა, კითხვები COVID-19-ის გრძელვადიანი ზეგავლენის მასშტაბსა და ხასიათზე ჯერ კიდევ უპასუხოა. პანდემიამ ჯანდაცვასთან ერთად ეკონომიკური თვალსაზრისითაც მძიმე წლად აქცია 2020 წელი. მსოფლიოსთან ერთად საქართველომაც დაიწყო Covid 19-ით გამოწვეული ეკონომიკური შედეგების დათვლა და პროგნოზების გაკეთება. 2020 წლის მიწურულისთვის ეს ეფექტი კიდევ უფრო გამოიკვეთა და შესაძლებელი გახდა მეტ-ნაკლებად კონკრეტული ციფრებით გამოიხატოს პანდემიის გავლენა საქართველოს რეგიონების ეკონომიკაზე, პროგნოზები და რეკომენდაციები კი უფრო ნეალური იყოს.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემია, მთლიანი სამამულო პროდუქტი, რეგიონი.*

2019 წლიდან COVID19-ის სახელით ცნობილმა ვირუსმა დაიწყო გავრცელება მსოფლიოში და 2020 წლისთვის ინფიცირება იმდენად მაღალი იყო, რომ მთელ მსოფლიოს მოუწია სოციალური და ეკონომიკური მობილობის შემცირება. აღნიშნულმა გავლენა იქონია მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე და გამონაკლისი არც საქართველოა. 2020 წლის ზაფხული შედარებით მსუბუქი აღმოჩნდა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვისაც - წინა პერიოდთან შედარებით, მესამე კვარტალის მაჩვენებლები უფრო პოზიტიური იყო. საერთაშორისო სავალუტო ფონდი პროგნოზირებდა, რომ 2020 წელს მსოფლიო ეკონომიკის -4,4%-ით შემცირდებოდა, რაც გაცილებით პოზიტიური განცხადებაა, ვიდრე ფონდის მანამდელი განცხადებები. უმთავრესი მიზეზი კი სხვადასხვა ქვეყანაში პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქებასთან ერთად, განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის სწრაფი აღდგენის ტენდენცია გახდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზის მიხედვით კი 2021 წელს მსოფლიო ეკონომიკა, თუ ყველაფერი იმგვარად წავიდა, როგორც ახლა მიდის, 5,2%-ით უნდა გაიზარდოს, რაც 2019 წლის მაჩვენებელზე 0,6%-ით მეტია (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2020). 2020 წლის ზაფხულში ეკონომიკისა და საზღვრების „ნელი გახსნის პროცესის“ შედეგად მსოფლიო ეკონომიკამ თანდათანობით დაიწყო მოძლიერება და ამოსვლა იმ მძიმე ვითარებიდან, რაც გაზაფხულზე დაწესებული მკაცრი შეზღუდვების გამო მოხდა. პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გაუქმებასთან ერთად, აღდგენის პროცესი იმაზე სწრაფი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში, კერძოდ, ჩინეთსა და აშშ-ში, სადაც, თავდაპირველი კატასტროფულად დიდი ზარალის შემდეგ, ეკონომიკურმა აქტივობამ საკმაოდ სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა. ჩინეთში აქტივობის წახალისების პოლიტიკა ემყარებოდა სახელმწიფო ინვესტიციებს ხოლო აშშ-ში - სახელმწიფოს მიერ გაცემულ დახმარების პაკეტებს.

## COVID-19-ის გავლენა საქართველოს რეგიონებზე

პანდემიამ საქართველოზე ორმხრივად იმოქმედა. ერთი მხარე საერთაშორისო მოცემულობაა, რომელიც გულისხმობს მსოფლიო დონეზე ეკონომიკური აქტივობების შემცირებას, ხოლო მეორე მხარე ადგილობრივი გადაწყვეტილებებია - შეზღუდვები, დახმარებები და ა.შ. აღნიშნულმა ორმა მხარემ გავლენა იქონია, როგორც მთლიანად საქართველოს ეკონო-

მიკაზე, ასევე რეგიონებზეც. თითოეული მაჩვენებლის გამოყოფა, რომელიც დაზარალდა პანდემიის დროს, ამავე დროს საქართველოს ყველა რეგიონის ანალიზი, საერთო ჯამში, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს გასცდება. შესაბამისად, გამოყოფილია რამდენიმე მახასიათებელი და რამდენიმე რეგიონი. ეკონომიკური გავლენის აღსაწერად გამოყოფილია მთლიანი სამამულო პროდუქტის, ბიზნესსექტორის ბრუნვის, ტურიზმისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლები.

## მთლიანი სამამულო პროდუქტი

მთლიან სამამულო პროდუქტში (მსპ) რეგიონების წილი კვლავაც არათანაბარია. 2019 წელს, განაწილება ასეთი იყო: მთლიანი სამამულო პროდუქტის მაჩვენებელმა 49 252,7 მლნ. ლარი შეადგინა. რეგიონულ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი უკავია თბილისს (51,2 პროცენტი), აჭარას (10,1 პროცენტი) და იმერეთს (8,5 პროცენტი); კახეთსა (5,1 პროცენტი) და შიდა ქართლს (3,9 პროცენტი) ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვს არჩეული რეგიონებიდან (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

რეგიონული მსპ-ს შიდა სტრუქტურა კი შემდეგნაირად ნაწილდება:

თბილისში მსპ-ს ყველაზე დიდ წილს იკავებს საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი 21,1%, უძრავი ქონების ოპერაციები - 12,3%, და მშენებლობა - 10,1%; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კი პირველ ადგილზეა მშენებლობა 19,9%, რომლის შემდეგ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები 13,9%-ით მოდის და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების, ანუ ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობები, რომელიც 10,3%. იმერეთის რეგიონში ეკონომიკური საქმიანობების სტრუქტურა მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, აქ დიდი წილი უკავია დამამუშავებელ მრეწველობას 13,2%-ით, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობას 12,4-ით და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს 12%-ით. შიდა ქართლის რეგიონის მთლიან სამამულო პროდუქტში პირველ ადგილზეა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა 19%-ით, მეორე ადგილზე - სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური უზრუნველყოფა 16,6%-ით, მესამეზე კი - დამმუშავებელი მრეწველობა 12,4%-ით; ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონებს შორის კახეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის, სატყეო და თევზის წარმოების წილი, ცხადია, ღვინის წარმოების ხარჯზე, ყველაზე მაღალია და კახეთის მთლიანი მსპ-ს 36,9%-ს შეადგენს; კახეთის რეგიონის ეკონომიკის მეორე ადგილზეა დამმუშავებელი მრეწველობა 9,8%-ით; მესამე ადგილზე კი - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები 8,2%-ით.

რეგიონების ეკონომიკურ სტრუქტურებზე სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენდა უარყოფითი ფაქტორების ის მასშტაბი, რომელიც მათ ეკონომიკას მიადგა. ამ თვალსაზრისით ყველაზე გამორჩეულია აჭარა, სადაც ტურიზმის სექტორი და მასთან დაკავშირებული საქმიანობები მსპ-ის 10%-ზე მეტია, თუმცა, ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობების ხვედრითი წილი მოსახლეობის დასაქმებაში ყველა რეგიონში აღსანიშნავია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ვაჭრობისა და რესტორნების სექტორები, რომლებიც პანდემიით გამოწვეული ე.წ. ლოქდაუნების პერიოდებში ყველაზე მეტად ზარალდებიან. მნიშვნელოვანია გადაიხედოს 2020 წლის II-III კვარტლებში მსპ-ს ცვლილების მაჩვენებელი. 2020 წლის II კვარტალში მსპ-ს მოცულობის კლებამ, 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 12,3% შეადგინა, III კვარტალში კი უფრო შემცირდა და 5,6%-ს გაუტოლდა. აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 2020 წლის II კვარტალში დაიწყო ე.წ. ლოქდაუნის პერიოდი, რის გამოც კლება ყველაზე მეტად ისეთ მიმართულებებს შეეხო, როგორიცაა ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები და ცვლილება -54,7%, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობები - ცვლილება -40%, პროფესიული, სამეცნიერო

და ტექნიკური საქმიანობები - ცვლილება -28,8%, მშენებლობა - ცვლილება -24,5%, ხელოვნება, გართობა და დასვენება - ცვლილება -24,1%, ტრანსპორტი და დასაწყობება - ცვლილება -22,6%, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - ცვლილება -15,5%, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი - ცვლილება -13,2%, დამმუშავებელი მრეწველობა - ცვლილება -12,1%. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზრდა დაფიქსირდა რამდენიმე დარგში: ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები - ცვლილება +14,3%, განათლება - ცვლილება +11,7%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა - ცვლილება +4,7%, სამთომოპოვებითი მრეწველობა - ცვლილება +6,4% (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი 2020, 2021). 2020 წლის III კვარტალში აღნიშნული მონაცემები სტრუქტურულად განსხვავდებოდა II კვარტლის მონაცემებისგან, ეკონომიკაში შეზღუდვებიც მეტად შემსუბუქდა, თუმცა, კლების ტენდენცია შენარჩუნდა. ნაწილობრივ შეიცვალა ეკონომიკური ვარდნის სტრუქტურა - მშენებლობაში მცირე ზრდა დაფიქსირდა - 2%, რაც სავარაუდოდ, სუბსიდირებით იყო გამოწვეული. ყველაზე დიდი ვარდნა კი განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფასა და საკვების მიწოდების საქმიანობებს ჰქონდათ - ტურიზმი -53,1%, ტრანსპორტი და დასაწყობება -25%, ხელოვნება, გართობა და დასვენება -32,4%. ბოლო ორი მიმართულებაც გარკვეულწილად ტურიზმის სექტორთანაა დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მსპ-ს მონაცემების 2019 წლის ანალოგიურ დონეზე შენარჩუნებაც კი ეკონომიკისთვის უკუსვლის და არსებითი ეკონომიკური პრობლემების მაჩვენებელია. საქართველოს ფინანსთა მინისტრის განცხადებით 2020 წელს საქართველოს ეკონომიკის დანაკლისი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 1,3 მილიარდ აშშ დოლარამდე იქნებოდა, 2021 წელს კი - 800 მილიონ აშშ დოლარამდე (ფინანსთა მინისტრის გამოსვლა პარლამენტში, 2020). 2020 წელს შემცირდა საგადასახადო შემოსავლების პროგნოზიც, რომელიც ცხრილ 1-ზეა მოცემული, რაც უდავოდ აისახა 2021 წლის ბიუჯეტის რეალურ დანახარჯებზე (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2020).

*ცხრილი 1 - საგადასახადო შემოსავლები 2019/2020 (პროგნოზი)*




## ბიზნესსექტორი

ბიზნესსექტორის ბრუნვისა და გამოშვების მაჩვენებლები I და განსაკუთრებით II კვარტალში საგრძნობლად შემცირდა. აღნიშნული მონაცემების დინამიკა ასახულია ცხრილ 2-ზე. ეს, ნაწილობრივ, იმ სამთავრობო ანტი-პანდემიური გადაწყვეტილებებითაც იყო გამოწვეული, რომლებიც საწარმოების, ტრანსპორტირების და დამატებით, სხვა აქტივობების სრულ ან თითქმის შეზღუდვას გულისხმობდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საწარმოთა საქმიანობის შედეგები III კვარტალი, 2020).

*ცხრილი 2 - ბიზნესსექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობა; ცვლილება კვარტალების მიხედვით 2018-2020 (მილიარდი ლარი)*




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

რეგიონებში ბიზნესსექტორში ყველაზე დიდი წილი აქვს ვაჭრობას, რომელშიც შედის ავტომობილების რემონტი 38,3%, შემდეგ ხელოვნებას, გართობასა და დასვენებას 28,4%, დამმუშავებელ მრეწველობას 9,7%, მშენებლობას 7,9%, ტრანსპორტსა და დასაწყობებას 4,5%, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის მიწოდებას 2,6% და ყველა დანარჩენ დარგს 8,7%. ბიზნესსექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა შემდეგნაირი - პირველი და მეორე ადგილები, შესაბამისად - დამმუშავებელი მრეწველობას აქვს 23,7%, მშენებლობას - 20,7%, ვაჭრობას - 18,8%, ტრანსპორტსა და დასაწყობებას - 8,3%, დანარჩენ დარგებს - 28,5%.

რეგიონებს შორის ყველაზე დიდი შემცირება დაფიქსირდა თბილისის, ბათუმის, იმერეთის რეგიონების ბიზნესსექტორის ბრუნვასა და გამოშვებაში, რაც ასახულია ცხრილ 3-სა და ცხრილ 4-ზე. თუმცა, მცირედი ზრდა შეინიშნება 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონების ბრუნვასა და გამოშვებაში, რაც სავარაუდოდ აიხსნება სოფლის მეურნეობის სექტორის პროდუქტიულობის ზრდით.

*ცხრილი 3 - ბიზნესის ბრუნვა ხეგიონების მიხედვით 2019-2020 წლების I-II კვარტალი (მლნ. ლარი)*




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

*ცხრილი 4 - გამოშვება ხეგიონების მიხედვით 2019-2020 წლები, I-II კვარტალი (მლნ. ლარი)*




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

## ტურიზმის სექტორი

საქართველო ერთ-ერთი ის ქვეყანაა, სადაც ტურიზმის სექტორს მთლიანი სამამულო პროდუქტის განსაკუთრებული წილი უჭირავს და ეს წილი 11,5% 2019 წლის მონაცემებით. 2019 წელს საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან საქართველომ 9,5 მლრდ აშშ დოლარი მიიღო, რომლიდანაც ტურიზმის წილი 3,3 მლრდ აშშ დოლარია ანუ ჯამურის 34% (Galt & Taggart, 2020 წლის II ნახევარში). მსოფლიო ეკონომისტთა გათვლებით, ქვეყნები, რომელთა ჯამურ ექსპორტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 20%-ზე მეტია, პანდემიისადმი ეკონომიკურად ყველაზე მოწყვლადები არიან. ტურიზმის სფეროში დასაქმებულია 150 000-ზე მეტი ადამიანი. თუმცა, აღნიშნული მონაცემი ოფიციალურია და ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა შესახებ ნაკლებად ასახავს იმ არაფორმალურ დასაქმებას, რომელიც ტურიზმის სფეროშია. ტურიზმი მნიშვნელოვანი სექტორია საქართველოს რეგიონებისთვის - რეგიონებში არსებული არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის უდიდესი ნაწილი სწორედ ტურიზმთან და მასთან აფილირებულ საქმიანობებთანაა გადაჯაჭვული და ადგილობრივებისთვის თვითდასაქმების შემოსავლის დიდი წყაროა. აშკარაა, რომე საზღვრების ჩაკეტვამ, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვამ და სხვა პანდემიურმა შეზღუდვებმა უდიდესი გავლენა მოახდინა საერთაშორისო ტურიზმზე. 2020 წლის აპრილიდან ტურისტთა რაოდენობა შემცირდა და საქართველოში თუ 2019 წლის აპრილში 550 000 საერთაშორისო ვიზიტორი შემოვიდა, 2020 წლის იმავე თვეში - 35 000-მდე. ცხრილი 5.

საქართველოში ტურისტული სეზონი მაქსიმუმს აგვისტოში აღწევს და ეს რიცხვებშიც ჩანს - 2019 წელს აგვისტოში საქართველოში 1,1 მილიონამდე საერთაშორისო ტურისტია შემოსული, 2020 წლის აგვისტოში კი - 44 000-მდე. 2020 წელს საერთაშორისო ტურისტთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სექტემბერში და 50 499 ვიზიტორი, რაც ნიშნავს, რომ 2019 წლის მონაცემებთან შედარებით 90%-იანი კლება იყო 2020 წელს. რეგიონების მიხედვით ტურისტების განთავსების ადგილების მაჩვენებლით პირველ ადგილზე არის თბილისი და აჭარა, რომელიც ცხრილ 6-ზეა ასახული. შიდა ქართლის ტურიზმისთვის დამახასიათებელი მაჩვენებელი აისახება კიდეც რეგიონის რეგისტრირებული განთავსების ობიექტის რაოდენობაზე.

ცხრილ 6-ში მოცემულია ოფიციალური სტატისტიკა, რომლის მიღმაც არის ონლაინ გასაქირავებელი ბინები, პატარა საოჯახო სახლები და ა.შ., ისინი აქტიურად არიან ჩართული

*ცხრილი 5 - საერთაშორისო ვიზიტორთა შემოსვლა საქართველოში იანვარი-ნოემბერი, 2019-2020 წლები*




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

*ცხრილი 6 - განთავსების ადგილები საქართველოს რეგიონებში*

| რეგიონი | განთავსების რაოდენობა | ოთახების რაოდენობა | საწოლი ადგილები |
|---|---|---|---|
| საქართველო | 2,707 | 42,214 | 101,286 |
| აჭარა | 483 | 11,154 | 27,175 |
| თბილისი | 535 | 11,522 | 25,772 |
| იმერეთი | 262 | 3,181 | 7,716 |
| კახეთი | 233 | 1,999 | 4,755 |
| შიდა ქართლი | 27 | 219 | 613 |

ტურიზმში, ასევე მასთან დაკავშირებულ საქმიანობებში. 2020 წლის II კვარტლის ბოლოს სახელმწიფომ „შიდა ტურიზმი“ პრიორიტეტად გამოაცხადა, რაც მიზნად ისახავდა რეგიონების ტურისტული ინფრასტრუქტურის მხარდაჭერას. გაჩნდა განცდა, რომ 2020 წელს შიდა ტურიზმი გაცილებით ინტენსიური იყო, ვიდრე წინა წლებში. ოფიციალური სტატისტიკა საპირისპიროს აჩვენებს. ცხრილ 7-ის თანახმად, შიდა ტურისტების რაოდენობა 2020 წელს თითოეულ შერჩეულ რეგიონში შემცირებული იყო გასული წლის III კვარტლის პერიოდის მონაცემებთან შედარებით.

*ცხრილი 7 - 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს ხეზიდენტი ვიზიტორები. 2019-2020 წლები, I-III კვარტალი (ათასი)*




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება 2020 წელს და პანდემიის შედეგად არ დაწყებულა, არამედ მანამდეც დაწყებული იყო. 2020 წელს საქართველო მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგის მიხედვით მე-7 ადგილზეა, Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში მე-14-ზე, მნიშვნელოვანი გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე სასამართლო სისტემისადმი უნდობლობას, ხელისუფლების არათანმიმდევრული ეკონომიკური გადაწყვეტილებებს და სხვა მსგავს ინდექსებს აქვს.

ინვესტიციების შემცირება 2020 წლამდე დაიწყო, სანამ პანდემია და მისი შედეგები საქართველომდე მოვიდოდა და პირველი შემთხვევა დაფიქსირდებოდა. 2020 წლის I კვარტალში ინვესტიციების ჯამური მოცულობა 165,4 მლნ. აშშ დოლარი იყო და ეს რიცხვი 2019 წლის იმავე პერიოდის მონაცემებზე 41,7%-ით ნაკლებია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების მიზეზებიც სახელდებოდა - საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში გადავიდა ინვესტორთა მფლობელობაში არსებული რამდენიმე საწარმო, დამატებით, შემცირდა ვალდებულებები არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორების მიმართ. ინვესტიციების შემცირების კიდევ ერთი მთავარი ფაქტორი იყო გაზსადენის მაგისტრალური მილის მშენებლობის პროექტის დასრულება. შაჰ-დენიზის პროექტის დასრულების შედეგად აზერბაიჯანიდან წამოსული ინვესტიციების ოდენობა განახევრდა. COVID19-ის პანდემიამ აღნიშნულ პროცესზე კიდევ უფრო ნეგატიური გავლენა მოახდინა, რაც ასახულია ცხრილ 8-ზე.

*ცხრილი 8 - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2018-2019-2020 წლები. (მლნ. აშშ დოლარი)*

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის განხილვა შერჩეული რეგიონების მიხედვით დამოკიდებული იყო მრავალ ფაქტორზე. მათ შორის ყველაზე საგულისხმოა ინფრასტრუქტურული ხარჯების შემცირება, რომელიც გარკვეულწილად იზიდავს ინვესტიციებს (გამთენაძე, 2021). პანდემიის დროს მთელი რესურსების მობილიზება ვირუსთან საბრძოლველად და ჯანდაცვის სისტემის გასაძლიერებლად, პირდაპირ აისახა რეგიონების ინფრასტრუქტურულ თუ სხვა ხარჯებზე. ცხრილ 9-სა და ცხრილ 10-ზე მოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა რეგიონების და წლების მიხედვით თითოეული წლის I და III კვარტლებს შორის.

*ცხრილი 9 - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით(თბილისის გარდა), 2016-2020 წლები, I-III კვარტალი. (ათასი აშშ დოლარი)*




*ცხრილი 10 - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თბილისი, 2020 წელი, I-III კვარტალი. (ათასი აშშ დოლარი)*




საინვესტიციო თვალსაზრისით 2017 წელი თითოეული რეგიონისთვის პოზიტიური იყო. თუმცა სხვა წლებში დინამიკა რეგიონებში აბსოლუტურად სხვადასხვაგვარია: 2020 წლის პირველ სამ კვარტალში ყველაზე ნაკლები პირდაპირი უცხოური ინვესტიცია კახეთის რეგიონში განხორციელდა და დაახლოებით 809 ათასი აშშ დოლარი იყო, თუმცა, საქართველოში ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ქალაქ თბილისს ჰქონდა და პანდემიის დროსაც აქვს - 465 მლნ აშშ დოლარი. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის სამი კვარტლის მაჩვენებელი 2019 წლის სამი კვარტლის მაჩვენებელს 1/3-ით ანუ 175 მილიონი აშშ დოლარით ჩამოუვარდება. ინვესტიციებით მეორე ადგილს აჭარა იკავებს - 2019 წელთან შედარებით პირ-

დაპირი უცხოური ინვესტიციები სულ 21 მილიონი აშშ დოლარითაა შემცირებული. ცხრილ 9-ზე ჩანს, რომ აჭარაში საინვესტიციო პიკი 2017 წელს იყო, როცა რეგიონში 210 მილიონ აშშ დოლარამდე ინვესტიცია განხორციელდა. აღნიშნული რიცხვი დაახლოებით 2,5-ჯერ აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს მაჩვენებელს. 2019 წელთან შედარებით გაუმჯობესდა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების საინვესტიციო მონაცემები - 2019 წლის 23 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია გაიზარდა 36 მილიონამდე 2020 წლის შესაბამის პერიოდში. რომელიმე რეგიონისთვის რთულია საინვესტიციო კლიმატის შეცვლა იმგვარად, რომ მასზე გავლენა არ იქონიოს მსოფლიოს და საქართველოს საინვესტიციო ტენდენციებმა.

## დასკვნა

კრიზისების დროს მათი ეკონომიკაზე გავლენის ანალიზისას მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა და შესაძლებლობები საქართველოს მსგავს მეტნაკლებად ცენტრალიზებულ სახელმწიფოში ძირითადად ცენტრის უფლებამოსილებაა. თუმცა, ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს ან უნდა ჰქონდეს უნარი საინტერესო და ინოვაციური იდეებით საკუთარი რეგიონის კონკურენტუნარიანობა აამაღლოს - არა მხოლოდ ტურიზმის მიმართულებით, რომელიც ხშირად ზედმეტად პრიორიტეტულია. აღნიშნულმა პოლიტიკამ რუსეთის მიერ ტურისტული „ბლოკადის“ დროს 2019-ში, 2020 წელს და უკვე 2021 წელს აჩვენა, რომ რამდენად მყიფეა ტურიზმთან და ზოგადად ერთ სექტორზე დამოკიდებული და დაკავშირებული ეკონომიკური პოლიტიკა. შესაძლოა, კონკრეტულ რეგიონებში გარკვეული ფაქტორების გამო პერსპექტიული იყოს მაღალტექნოლოგიური იდეების განვითარების სივრცის, ლოჯისტიკური ჰაბების, საგანმანათლებლო ცენტრების ან ვიწრონიშური სექტორების განვითარება და შეთავაზება, როგორც ქვეყნისთვის, ისე საერთაშორისო ინვესტორებისა და მომხმარებლისთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Galt & Taggart. 2020 წლის II ნახევარში. ტურიზმის გამოწვევები. თბილისი: Galt & Taggart. Accessed ივლისი 11, 2021. https://galtandtaggart.com/upload/reports/18723.pdf?fbclid=IwAR0G3hO1nxj=EuHKHw-Dzf0ZB75U-JTaVb4rnocco3_qY8XFneH-0VWgR5Dv0.
2. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია. 2020. "UNWTO World Tourism Barometer (English version)." (World Tourism Organization) 18 (5): 1-36. Accessed ივლისი 7, 2021.
3. გამთენაძე, ზურა. 2021. "საქართველოს რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობის ანალიზი." ეკონომიკა და ბიზნესი 2 (14).
4. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია. 2020. Rebuilding tourism for the future: COVID-19 policy responses and recovery. დეკემბერი 14. Accessed ივნისი 6, 2020. https://read.-oecd-ilibrary.org/view/?ref=137_137392-qsvjt75vnh&title=Rebuilding-tourism-for-the-fu-ture-COVID-19-policy-response-and-recovery.
5. საერთაშორისო სავალუტო ფონდი. 2020. World Economic Outlook International Monetary Fund. ოქტომბერი. Accessed ივლისი 4, 2021. https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/09/30/-world-economic-outlook-october-2020.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2020. რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი 2019. თბილისი. Accessed ივლისი 7, 2021. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2021. რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი 2020. თბილისი. Accessed ივლისი 9, 2021. https://geostat.ge/media/35678/mSp.xlsx.

8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2020. საწარმოთა საქმიანობის შედეგები III კვარტალი. თბილისი, დეკემბერი 4. Accessed ივლისი 9, 2021. https://www.geostat.ge/ka/single-news/-1987/satsarmota-sakmianobis-shedegebi-2020-tslis-iii-kvartali.
9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2020. "მთავრობის ანგარიში მოქალაქეს 2020." თბილისი. Accessed ივლისი 10, 2021. http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=424&info_id=78044.
10. ფინანსთა მინისტრის გამოსვლა პარლამენტში. 2020. 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. თბილისი, დეკემბერი 29. Accessed ივლისი 8, 2021.

# ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 2008 და მასზე გადასვლის გავლენა მთლიან შიდა პროდუქტსა და სხვა მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე

**მანანა ებანოიძე**
*თსუ მაგისტრანტი*

*გლობალიზაციის მასშტაბების ზრდის პირობებში, როცა სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური კავშირები სულ უფრო ღრმავდება, აუცილებელია ეკონომიკური მოვლენების მახასიათებელი სტატისტიკური მაჩვენებლების უთანხმოებისადარისობა. ეს უკანასკნელი მხოლოდ საერთო მეთოდოლოგიის გამოყენებით მიიღწევა.ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ამ შემთხვევაში გვევლინება,როგორც საერთაშორისო სტანდარტული სტატისტიკური მეთოდოლოგია.ეკონოიკური პროცესების ცვლილებისა და განვითარებს კვალდაკვალ,ქვეყნები ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალ,უფრო დახვეწილ, ვერსიებს ნერგავენ. იმ ქვეყნებს რომელთაც აქვთ მჭიდრო ეკონომიკური კავშირები,ან სურთ ამ თუ იმ გაერთიანებაში ინტეგრაცია, სასურველია ეასის ერთი და იმავე ვერსიას იყენებდნენ.ეს საკითხი აქტუალური გახდა საქართველოსთვისაც. მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის ვერსიაზე გადასვლით გამოწვეული ცვლილებების ანალიზი.იგი ემსახურება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას: ახალი სტანდარტით გამოწვეული მეთოდოლოგიური ცვლილებების შესწავლა; ახალი სტანდარტის დანერგვით გამოწვეული სტატისტიკური წყაროების ხარისხის გაუმჯობესების დასასიათება; ცალკეულ მაკროეკონომიკურ ცვლადებზე ახალი მეთოდოლოგის დანერგვის გავლენის ასახვა, სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მაგალითზე.ნაშრომის ძირითად თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სხვადასხვა წლის ვერსიები. ამასთან კვლევის პროცესში გათვალისწინებულია, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნების,ისე საქართველოს მეზობელი ქვეყნების სტატისტიკური პრაქტიკის გამოცდილება, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის პუბლიკაციები და სტატისტიკური მონაცემები.ნაჩვენებია სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებისა და დაინტერესებული მხარეების როლი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის განვითარებაში.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, მაკროეკონომიკური ინდიკატორები, მთლიანი შიდა პროდუქტი, კვლევები და განვითარება (R&D), სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლები.*

თითოეული ქვეყნის ეკონომიკა მიკრო და მაკროეკონომიკის ერთიანობაა. პირველი ახასიათებს ცალკეული მომხმარებლის,მწარმოებლის ეკონომიკურ ქცევას, მეორე კი-ანალოგიურ პროცესს მთელი საზოგადოების მასშტაბით. სახელმწიფო დონეზე მისაღები გადაწყვეტილებებსთვის მთავრობა ხელმძღვანელობს აგრეგირებული მონაცემებით,ანუ საჭირო ხდება მთელი საზოგადოების ეკონომიკური ქცევის შესწავლა.ეს უკანასკნელი წარმოადგენს ცალკეულ ეკონომიკურ ერთეულებს შორის შემოსავლებისა და ხარჯების სახით, ერთი მხრივ საქონლისა და მომსახურების,მორე მხრივ კი ფინანსური რესურსების ნაკადების მუდმივ ურთიერთშემხვედრ მოძრაობას. ეკონომიკური წრებრუნვის ამ პროცესში იქმნება ეროვნული პროდუქტი.

მაკრო დონეზე ზემოთხსენებული პროცესების რაოდენობრივი შესწავლა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანიშნულებას წარმოადგენს.იგი გვთავაზობს კონცეპტუალურ მიდგომებსა და ჩარჩოებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებისათვის,ქმნის ინფორმაციულ ბაზას ეკონომიკის მდგომარეობის ყოვლისმომცველი ანალიზისთვის.

ეკონომიკის რაოდენობრივი დახასიათება ხშირად აუცილებელია შესაბამისი გადაწყვეტილიების მიღების თუ პოლიტიკის შემუშავებისათვის. იგი საჭიროა, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლების, ისე რიგითი მოქალაქეებისთვის,მაგალითად: მასზე დაყრდნობით მთავრობას შეუძლია დაგეგმოს ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები,შეაფასოს გატარე-

ბული პოლიტიკის ეფექტიანობა, შეადაროს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა.კერძო ბიზნეს ეხმარება სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში.ინდივიდებს კი საშუალებას აძლევს შეაფასონ მთავრობის საქმიანობა და საჭიროების შემთხვევაში დემოკრატიულად აირჩიონ ახალი, ასევე შეუძლია გავლენა იქონიოს ინდივიდუალურ სამომხმარებლო გადაწყვეტილებების ფორმირებაზე, თუ როდის, სად რა შეიძინოს ცალკეულმა ინდივიდმა.

ფაქტობრივად ეროვნულ ანგარიშთა სისტემა სტატისტიკის სფეროში ეკონომიკის შესწავლის უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენს.

ამასთან, თანამედროვე გლობალური პროცესების განვითარების კვალდაკვალ,იზრდება სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ინტეგრაციის მასშტაბები და საჭირო ხდება ურთიერთშესადარისი სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა.რადგანაც ეასი ემყარება ეროვნულ ანგარიშიანობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო პრაქტიკას,იგი უზრუნველყოფს ინფორმაციის მოპოვების ხერხებისა და ეკონომიკური საქმიანობისა და მისი შედეგების აღრიცხვის მეთოდების ერთიანობას სხვადასხვა ქვეყანაში.სტატისტიკური მეთოდოლოგიის ერთიანობა კი განაპირობებს ყველა ქვეყნის მაჩვენებელთა შესადარისობას და მნიშვნელოვნად ამარტივებს საერთაშორისო შედარებების მექანიზმსა და საიმედოობას მსოფლიოს მასშტაბით.ბუნებრივია აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვა ჩვენი ქვეყნის სტატისტიკურ პრაქტიკაში საშუალებას გვაძლევს ეკონომიკური თანამშრომლობა დანარჩენ მსოფლიოსთან კიდევ უფრო გავაღრმაოთ.

მსოფლიოში ყველა პროცესი,მათ შორის ეკონომიკურიც,მუდმივად იცვლება და ვითარდება,შესაბამისად მის დასახასიათებლად საჭირო თეორიულ-პრაქტიკული მიდგომებიც ცვლილებას ექვემდებარება. ამის მაგალთია თუ როგორ ანაცვლებენ ქვეყნები ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძველ ვერსიებს ახლით. ბუნებრივია იმ ქვეყნებს რომელთაც აქვთ მჭიდრო ეკონომიკური კავშირები,ან სურთ ამ თუ იმ გაერთიანებაში ინტეგრაცია, სასურველია ეასის ერთი და იმავე ვერსიას იყენებდნენ.ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში ეას 2008-ის დანერგვის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო საერთაშორისო თანამშრომლობა,კერძოდ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება.

ეროვნულ ანგარიშთ სისტემის როლი, როგორც შიდა ეკონომიკის განვირთარების, ისე საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებაში,ხაზს უსვამს შესასწავლი საკითხის აქტუალობას.

## ეროვნულ ანგარიშთა სისტემის განვითარების მოკლე ისტორია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმარტებით ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოადგენს, ეკონომიკური საქმიანობის შეფასების საერთაშორისოდ შეთანხმებული სტანდარტული რეკომენდაციების ნაკრებს. იგი აღწერს მაკროეკონომიკური ანგარიშების თანმიმდევრულ და ინტეგრირებულ ნაკრებს, საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული კონცეფციების, განმარტებების, კლასიფიკაციების და აღრიცხვის წესების საფუძველზე.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა არის ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მაკროეკონომიკური პროცესების აღწერისა და ანალიზის მიზნით. (მ.მინდორაშვილი 2018)

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ისტორია ჯერ კიდევ მე-17 საუკუნიდან იწყება.მის განვითარებას იმპულსი მისცა საომარმა ვითარებამ,რადგანაც მას განიხილავდნენ როგორც რაოდენობრივ სქემას, რომელიც დაეხმარებოდა ქვეყანას ეროვნული რესურსების მობილიზაციასა და მიღებული ზარალის გამოსწორებაში.მაგალითად,პირველი ეროვნული ანგარიშები,შემუშავებული უილიამ პეტის მიერ მე-17 საუკუნეში მიზნად ისახავდა რესურსების მობილიზება მოეხდინათ ინგლისი-ჰოლანდიის ომის დროს 1664-1667 წლებში.

ეროვნული ანგარიშების პირველი სტანდარტი გამოვიდა 1953 წელს, შემდგომ კი- განახლებული ვერსიები 1968, 1993 და 2008 წლებში. დავახასიათოთ თითეული ვერსია:

- ეას 1953- მოიცავდა იმ საბაზისო,ძირითად კონცეფციებს, რომელიც არსებითად დღემდე არ შეცვლილა,თუმცა ამასთან ვხდებოდით გარკვეულწილად საკამათო მუხლებსაც, მაგალითად: არ იყო განსხვავება კანონიერ და არაკანონიერ საქმიანობას შორის;კაპიტალის ფორმირება განხილული იყო როგორც დანახარჯები ფიზიკურ ობიექტებზე, სხვა ტიპის ხარჯები, რომელიც მომავალშიც გაუწევდა მომსახურებას წარმოებას, მაგრამ არამატერიალური იყო განიხილებოდა როგორც მიმდინარე მოხმარება;
- 1968 წლის ეას - მნიშვნელოვნად გააფართოვა ეროვნული ანგარიშების მოქმედების მასშტაბი, უფრო მეტი ყურადღება დაეთმო შეფასებებს მუდმივ ფასებში.ტრანსაქციების უფრო დეტალურ აღწერასთან ერთად გამოყენებული იყო დანახარჯები-გამოშვების ცხრილები, აქტივ-პასივების ბალანსები და ინოვაციური მიმართულებები,მაგალითად: მონეტარულ ტრანსაქციებში მონაწილე ყველა ერთეული დაჯგუფდა ინსტიტუციურ სექტორებში; ერთმანეთისგან გაიმიჯნა საბაზრო და არასაბაზრო მწარმოებლები; მთლიანი თავი მიეძღვნა შედარებებს მოცულობისა და ფასის მიხედვით, ანუ ანგარიშების ასახვას მუდმივ ფასებში;
- 1993 წლის ეას - ამ ვერსიაში უფრო დეტალურადაა განხილული მრავალი ქვეყნის სტატისტიკური აღრიცხვისთვის პრობლემური საკითხები, როგორიცაა მაგალითად,ბანკების იმპუტირებული მომსახურების საფასური (FISIM); განსხვავება ფინანსურ და საოპერაციო ლიზინგს შორის და ძირითადი კაპიტალის მოხმარება.ასევე ერთმანეთისგან გამიჯნულია მთავრობის მიერ შინამეურნეობებისთვის გაწეული ინდივიდუალური მომსახურება და კოლექტიური მომსახურება; მოცულობების შეფასებას უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა; გაფართოვდა აქტივების საზღვრები და მის შემადგენლობაში შევიდა სასარგებლო წიაღისეულის მოძიებაზე და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებაზე გაწეული დანახარჯები, ასევე ხელოვნების ნიმუშების ორიგინალები და ფასეულობები. (ფ.ლოკიე და დ.ბლეიდსი 2015).

## ეას 2008

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დეტალუერად განვიხილავთ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის ვერსიას.ევროსტატის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, OECD, გაეროს, მსოფლიო ბანკის ეგიდით გადასინჯვია დაიწყო 2003 წელს, 2009 წლის ბოლოს კი გამოიცა SNA 2008-ის საბოლოო ვერსია.2009 წელს გადაწყდა, რომ 1993 წლის ეას-ი 2008 წლის ვერსიით ჩანაცვლებულიყო. 2014 წლის ბოლოსთვის ეთგო-ს ქვეყნების უმეტესობაში ეს პროცესი დასრულდა. გამონაკლისს წარმოედგენს ჩილე, იაპონია და თურქეთი, სადაც 2008 წლის ეას-ი 2015 წლის ბოლოსთვის დაინერგება.

ახალ ვერსიაში წინასთან შედარებით 50-ზე მეტი ცვლილება შევიდა. ცვლილებები 5 მთავარ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1. აქტივები:

- არამატერიალური წარმოებული აქტივები განიხილება ,როგორც ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები;
- შეიცვალა მიდგომები მონაცემთა ბაზისა და ორიგინალების დამუშავების და ასლები მიმართ;
- ხარჯები R&D– ზე განიხილება, როგორც კაპიტალის ფორმირება და აქტივები;
- შეიცვალა მიდგომები ბუნებრივი რესურსების, ლიცენზიებისა და იჯარების მიმართ;
- შეიარაღების სისტემებისთვის დანახარჯები განიხილება, როგორც კაპიტალის ფორმირება და აქტივები;
- შემოღებულია კაპიტალის მომსახურების კონცეფცია.

2. საფინანსო სექტორი:

- ფინანსური მომსახურების უფრო სრულყოფილი მიმოხილვა;
- ფინანსური დერივატებისა და არასასურველი სესხებისადმი მიდგომის ცვლილებები;
- შეიცვალა არა-სიცოცხლის დაზღვევის გაზომვისადმი მიდგომა;
- FISIM– ის გაზომვის დახვეწილი მეთოდი;
- საპენსიო ვალდებულებების აღრიცხვის ახალი სახელმძღვანელო მითითებები.

3. გლობალიზაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები:

- ეკონომიკური გლობალიზაციასთან დაკავშირებული კატეგორიების დამატებითი შემუშავება;
- მკაფიოდ განსაზღვრული სახელმძღვანელო მითითებები ინტერნაციონალური კომპანიებისა და განყოფილებებისადმი მიდგომის შესახებ;
- უცხოეთში გადაადგილებული პირების ფულადი გზავნილებისადმი გაფართოებული მიდგომა;
- საქონლის აღრიცხვა ხდება მასზე საკუთრების შეცვლისას, ეს პრინციპის გახდა უნივერსალური.

4. მთავრობა და საჯარო სექტორი:

- დამატებით განისაზღვრა და განიმარტა მრავალი პრინციპი ოპერაციებსა და აღრიცხვის სტანდარტებში მომხდარი ცვლილებების გამო;
- მკაფიოდ გაიმიჯნა გენ. მთავრობა და საჯარო სექტორი სხვა სექტორებიდან;
- მკაფიოდ განსაზღვრა სხვადასხვა კატეგორიები (სუპერ დივიდენდები, კაპიტალის ინექციები, კერძო და საზოგადოებრივი პარტნიორობა, რესტრუქტურიზაციის სააგენტოები, საკრედიტო გარანტიები, გარიგებები მთავრობასა და საზოგადოებრივ კომპანიებს შორის და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სახელმწიფო ვალიზე).

5. არაფორმალური სექტორი:

- ახალი თავი, რომელიც ეძღვნება არაფორმალური სექტორისა და დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვას.

ჩამოთვლილთაგან რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განვიხილოთ დეტალურად:

კვლევები და განვითარება (R&D) ახლა აქტივებად განიხილება. ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ გადაწყდა, რომ R&D-ზე გაწეული ხარჯები ჩაიწეროს როგორც GFCF (ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება). მთავარი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ უმეტეს ქვეყნებში ბუღალტრულ სტანდარტებში კვლევებსა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები მიმდინარე ხარჯებად განიხილება. შედეგად, რთულია დამაკმაყოფილებელი მონაცემების მიღება. მეორე მხრივ, ქვეყნებს უკვე აქვთ ასეთი მონაცემების შეგროვების კარგი პრაქტიკა ე.წ. ფრასკატის სახელმძღვანელოთი, რომელიც ინფორმაციის შეუფასებელი წყაროა. ამ ცვლილებამ გამოიწვია მშპ-ის ზრდა, თუმცა ნაკლები გავლენა მოახდინა მთლიან ეროვნულ პროდუქტზე;

ხარჯები მსხვილ საბრძოლო იარაღზე აქტივებში განიხილება. ახალ ვერსიაში საბრძოლო ხომალდები, ბალისტიკური რაკეტები, ტანკები და ა.შ. განიხილება აქტივებად, როგორც ძირითადი კაპიტალი. ამ ცვლილებამ ასევე გამოიწვია მშპ-ის ზრდა, არა იმიტომ, რომ შეიცვალა ხარჯების კლასიფიკაცია, არამედ იმის გამო, რომ ძირითადი კაპიტალის მოხმარება ჩაიწერება და ემატება სამთავრობო მოხმარების გაზომვას;

ახალი მიდგომა გადასამუშავებელი საქონლის მიმართ.1993 წლის ვერსიაში საქონელი, რომელიც ერთი ქვეყნიდან მეორეში იგზავნებოდა გადამუშავებისადა შემდგომში უკან დაბრუნების მიზნით, პირობითად იცვლიდა მესაკუთრეს და ამიტომ ექსპორტ-იმპორტში აისახებოდა. 2008 წლის ეას-ის რეკომენდაციის მიხედვით ექსპორტ-იმპორტში გატარება მხოლოდ მესაკუთრის რეალური ცვლილების შედეგად უნდა მოხდეს. აღნიშნულმა შეიძლება არსები-

თი გავლენა მოახდინოს საქონლით ვაჭრობისა და მომსახურებით ვაჭრობის ერთმანეთისგან განსხვავებაზე, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდი დოზით არიან ჩაბმული საქონლის გადამუშავებაში. გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით, 2008 წლის ეას-ის ფარგლებში წარმოიშვა დისკუსია ე.წ. „ქარხნის გარეშე მწარმოებლების“ აღრიცხვის შესახებ (ფ.ლოკიე და დ.ბლეიდსი 2015).

## საერთაშორისო თანამშრომლობის, ასევე მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების როლი საქართველოში ეას 2008-ის დანერგვაში

საქართველოში ეას-ის ახალი სტანდარტის დანერგვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამ, რომლის მეთხე თავი მთლიანად სტატისტიკის კუთხით თანამშრომლობას ეხება.სტატისტიკური მონაცემების საერთაშორისოდ შესადარისობის მოთხოვნა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. იმ პირობებში როცა ევროკავშირის ქვეყნები იყენებენ ეას-ის 2008 წლის ვერსიას, მათ მონაცემებთან შესადარისობისთვის საჭიროა ჩვენს ქვეყანაშიც იმავე მეთოდოლოოგიის დანერგვა. ამასთან ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს მაკროეკონომიკური სტატისტიკის, მათ შორის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას და ამ პროცესში ევროკავშირის დახმარებას.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მომხმარებელთა ფართო წრეს აწვდის სატატისტიკურ ინფორმაციას,რომელიც მათი საქმიანობის სწორად წარმართვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ურთიერთქმედება ორმხრივია, რადგანაც ინფორმაციის მომხმარებლებს თავისმხრივ შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ეას-ის ახალი ვერსიის დანერგვისა და განვითარების პროცესში.

დროული, განახლებული და სრული ინფორმაცია ეროვნული ანგარიშების შესახებ მნიშვნელოვანი ინტელექტუალური აქტივია ნებისმიერი ქვეყნისთვის. სხვა აქტივების მსაგავსად, ეროვნული ანგარიშებიც დროთა განმავლობაში დაკარგავს თავის აქტუალობას, მორალურად მოძველდება. ამიტომ, კრიტიკულად აუცილებელია პერიოდულად ახალი ინვესტიციების განხორციელება ეას-ში, რათა გარანტირებულად მაღალი ხარისხის მომსახურება შევთავაზოთ მომხმარებლებს.

2008 წლის ეასდის დანარგვა გაზრდის ქვეყნის ეროვნული ანგარიშების ინფორმაციულ შესაბამისობას. ამ გაუმჯობესებას თავისი ფასი აქვს, საჭიროა თანამშრომლობა მთავრობის წარმომადგენლებთან, პოლიტიკოსებთან, მეცნიერებთან, ბიზნესთან და მკვლევარებთან.ამიტომაც საჭიროა ამ კუთხით პოტენციური პრობლემების წინასწარმეტყველება და რეკომენდაციების შემუშავება მათი უმტკივნეულოდ მოგვარებისთვის.

პირველი ამოცანა 2008 წლის ეას-ის სტანდარტთან შესაბამისობის ხარისხის დადგენაში მდგომარეობს. ქვეყანას არ შეუძლია სრულად დაიცვას ახალი სტანდარტი. ეროვნული სტატისტიკური სამსახურების მთავარი ამოცანაა დაადგინონ, სად უნდა მოხდეს მათი ძალისხმევის ფოკუსირება რესურსების ეფექტური ორგანიზების მიზნით.ამ კუთხით საჭიროა:ეროვნულმა სტატისტიკურმა სამსახურებმა(ესს) კარგად გაიგონ თავიანთი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის ძირითადი საჭიროებები, განხორციელების დროს ნებისმიერ გეგმას უნდა ჰქონდეს მოქნილობის ანუ კორექტირების შესაძლებლობა,კიდევ ერთი პრობლემა დაკავშირებულია ეროვნული ანგარიშების მწკრივების უწყვეტობასთან.

2008 წლის ეასდის დანერგვისთვის ნებისმიერი სტატისტიკური ორგანიზაციის კიდევ ერთი მთავარი გამოწვევაა პროექტისთვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა. ეს რესურსებია: დრო- ესს– მ მომხმარებლებთან უნდა გაიაროს კონსულტაცია ცვლილებების გასატარებლად სეზონისა და წლის შესახებ; დაფინანსება- ახალი ეას სტანდარტის დანერგვა მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს. ამიტომ, ეროვნული ანგარიშების მომხმარებლებმა და

მთავრობის წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სტატისტიკურმა ორგანიზაციამ მიიღოს არა მხოლოდ სათანადო რესურსები საწყისი ინვესტიციისთვის, არამედ მუდმივად გააჩნდეს რესურსები ეას-ის განახლებისა და გაფართოებისთვის. გადასინჯვა ასევე მნიშვნელოვან ინვესტიციას მოითხოვს ადამიანურ რესურსებში; მონაცემები- ეროვნულ მოანგარიშეს ასევე სჭირდება ინფორმაციის ახალ და არსებულ წყაროებთან წვდომა.

2008 წლის ეას-ის განხორციელების ერთდერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ცვლილებების შესახებ კომუნიკაცია ეროვნული ანგარიშების მომხმარებლებთან.ამ კუთხით სტატისტიკური ორგანიზაციის ამოცანაა გასაგებად ახსნას იმის მნიშვნელობა, თუ რა არის გათვალისწინებული ქვეყნის ეროვნული ანგარიშების გადახედვისას. მეორე გამოწვევაა, მომხმარებელთა ბაზის იდენტიფიცირება და ჩართვა.თავის მხრივ,ეროვნული ანგარიშების მომხმარებლები და მთავრობის წარმომადგენლები ასევე პასუხისმგებელნი არიან. ისინი უნდა ჩაერთონ კომუნიკაციის პროცესში და უზრუნველყონ ინფორმაციის გადაცემა და გაგება მათი ორგანიზაციის მასშტაბით. (მ.მინდორაშვილი, 2021).

## ეას 2008-ზე გადასვლის გავლენა მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე - საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო

ცვლილებებმა ბუნებრივია გავლენა იქონია ეას-ის მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე.გავლენა ორი მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ მეთოდოლოგიის ცვლილებითა და სტატისტიკური წყაროს გაუმჯობესებით გამოწვეული გავლენა.მოვიტანოთ ზოგადი სურათი სხვადასხვა ქვეყანაში როგორი გავლენა მოახდინა ახალი სტანდარტის დანერგვამ შემდეგ მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე:

გავლენა მშპ-ზე - მთლიანი გავლენა მშპ-ს დონეზე 3.8%-ია საშუალოდ OECD-ის ქვეყნებში და მერყეობს 0.2%-დან (ლუქსემბურგში) 7.6%-მდე (ნიდერლანდები) და 7,8% (კორეა). OECD-სთვის მთლიანობაში, მეთოდოლოგიის ცვლილების საშუალო გავლენა SNA 2008-ისთვის 3.1% -ია, ხოლო სტატისტიკური წყაროს გაუმჯობესების გავლენა 0.7% -ს შეადგენს. საერთო ჯამში ცვლილების გავლენა 17%-იანი ვარიაციით ხასიათდება სხვადასხვა ქვეყანაში.სტატისტიკური წყაროს გაუმჯობესებით ან ახალი მეთოდოლოგიის დანერგვით გამოწვეული ცვლილებები მშპ-ში უფრო მეტია კონკრეტული ქვეყნისთვის, ეს დამოკიდებულია კვლევის ტიპსა და ადმინისტრაციულ მონაცემებზე, რომელიც გამოიყენება ეროვნული ანგარიშების შესადგენად.

გავლენა მშპ-ს ზრდაზე- მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე გავლენა შედარებით ნაკებლები იყო.1992-2012 წლების პერიოდში ორი მეთოდოლოოგიით გაანგარიშებულ მაჩვენებელს შორის სხვაობა +/- 0,1%-ია,გამონაკლისია 2009 წელი როდესაც სხვაობა 0.3%-მდე იზრდება.( ახალი მეთოდოლოგიით მშპ-ს ზრდა -5,6%-ია, ძველით კი -5,9%).

გავლენა წმინდა ეროვნულ შემოსავალზე - წმინდა ეროვნული შემოსავლის დონის ცვლილებები (NNI) ზოგადად  უფრო ზომიერია, ვიდრე ცვლილებები მშპ-ს დონეში. განსხვავება ამ ინდიკატორების ცვლილებაში აიხსნება ორი ფაქტორით: პირველი,NNI ითვალისწინებს ცვეთას, ან ეროვნული ანგარიშების ენაზე ძირითადი კაპიტალის მოხმარებას, რაც იწვევს NNI– ის დონის ცვლილებას ამორტიზაციის დონის ცვლილების გამო,ეს უკანასკნელი კი განპირობებულია ინვესტიციების გაზრდილ დონით R&D და სამხედრო შეიარაღების სისტემებში; მეორე,დანარჩენ მსოფლიოსთან პირველადი შემოსავლის ნაკადის შეფასების ცვლილებები(მშრომელთა ანაზღაურება, პროცენტები, დივიდენდები,და ა.შ.) .

გავლენა შინამეურნეობების დაზოგვის დონეზე - შედეგი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით,მაგალითად მნიშვნელოვანი პოზიტიური განსხვავება შეინიშნება შინამეურნეობების საშუალო დაზოგვის მაჩვენებლებში ავსტრალიაში (+1.7% ), გაერთიანე-

ბულ სამეფოსა (+2.0%) და განსაკუთრებით შვეიცარიაში (+4.8). მეორე მხრივ,ზოგადად დაზოგვის განაკვეთები 1% -ზე მეტით უფრო დაბალია საფრანგეთში, ესპანეთსა და მექსიკაში.

საქართველოში ეას 2008 2019 წელს დაინერგა.მშპ-ის გაანგარიშების კუთხით ძირითადი მეთოდოლოგიური ცვლილებები გამოიხატება შემდეგში:

ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების (FISIM) გაანგარიშებით გამოწვეული ცვლილება: ძველი მიდგომის მიხედვით, 2018 წელს ფინანსური შუამავლობის მომსახურება შეფასებული იყო 685 მილიონი ლარის ფარგლებში და იგი მთლიანად კლასიფიცირდებოდა როგორც შუალედური მოხმარება, ხოლო ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით კი მისი მოცულობა განისაზღვრა 2 130 მილიონი ლარით, საიდანაც 700 მილიონი ლარი გადაკვალიფიცირდა როგორც საბოლოო მოხმარება, ხოლო 1 360 მილიონი ლარი დარჩა შუალედურ მოხმარებაში; საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტის გაანგარიშების ცვლილება: აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ახალი მიდგომის მიხედვით, 2018 წელს მიღებულია დაახლოებით 3 300 მილიონი ლარი, ნაცვლად 993 მილიონი ლარისა;კვლევებსა და დამუშავებასთან (R&D) დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაცია: ახალი მეთოდოლოგიური მიდგომის გათვალისწინებით მოხდა კვლევებსა და დამუშავებასთან დაკავშირებული დაახლოებით 90 მილიონი ლარის ხარჯის კაპიტალიზაცია, რაც შესაბამისაც აისახა მშპ-ის მაჩვენებელზე;

ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს მონაცემთა წყაროს გაუმჯობესების ფაქტორიც,ამ კუთხით აღსანიშნავია: შუალედური მოხმარების სტრუქტურის განახლება სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე, რაც გულისხმობს გამოკვლების შედეგების გამოყენებას, ფიქსირებული კოეფიციენტების ნაცვლად;დაუკვირვებადი ეკონომიკის სპეციალური გამოკვლევა სხვადასხვა სექტორში;არალეგალური საქმიანობის (პროსტიტუცია, ნარკომანია) გამოშვების გათვალისწინება მთლიან შიდა პროდუქტში; ბაზრებისა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების გამოკვლევა.

***დიაგრამა 1. მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი***




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

დიაგრამა 1 გვიჩვენებს რომ ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლამ საქართველოში განაპირობა მშპ-ის შესაბამისი მაჩვენებლის მატება ძველი ვერსიის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. კერძოდ, 2010 წლის მონაცემებით, განახლებული მეთოდოლიის შედეგად მშპ-ის შესაბამის მაჩვენებელში დაფიქსირდა 5.2%-იანი ზრდა, 2015 წელს - 6.9%, ხოლო 2018 წელს კი

- 8.4 %- იანი ზრდა.ბოლო მაჩვენებლიდან მეთოდოლოგიური ცვლილებებზე მოდის 3.0 %,სტატისტიკური წყაროს გაუმჯობესებაზე კი - 5.4 %.

*დიაგრამა 2. მშპ-ის ნეაღური ზრდა, (%)*




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

დიაგრამა 2-ზე გამოსახულია მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებელი- ამ კუთხით მეთოდოლოგიურ ცვლილებას არ ჰქონია შესამჩნევი ზეგავლენა. მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელი ძველი და ახალი მეთოდოლოგიის გათვალისწინებით არის თითქმის იდენტური, განსხვავება მათ შორის მინიმალურია.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი ვერსიის დანერგვა ჩვენს ქვეყანაში გარდაუვალი პროცესი იყო,განპირობებული გლობალიზაციის მზარდი მაშტაბებითა და ევროინტეგრაციის სურვილით. ამასათან უნდა გვახსოვდეს რომ ახალი მეთოდოლოგიის დანერგვისა და განვითარებისთვის სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან ერთად მიშვნელოვანია სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა როლიც.

ახალი მეთოდოლოგიის რაოდენობრივი გავლენა მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე შემდეგნაირად შეგვიძლია შევაჯამოთ:

- ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლამ საქართველოში განაპირობა მშპ-ის შესაბამისი მაჩვენებლის მატება ძველი ვერსიის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.
- მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებელის კუთხით მეთოდოლოგიურ ცვლილებას არ ჰქონია შესამჩნევი ზეგავლენა;
- ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ახალი მეთოდოლოგიით უფრო მაღალია ძველთან შედარებით.ყველაზე დიდია სხვაობა 2018 წელს და 8.7%-ს შეადგენს;
- ეას 2008 დანერგვით გამოწვეულ მშპ-ს დეფლატორის ცვლილებას მეტობის ან ნაკლებობის გამოხატული ტენდენცია არ აქვს,გარკვეულ წლებში ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული მაჩვენებელი ძველი მეთედოლოგიით გაანგარიშებულზე მეტია,გარკვეულ წლებში კი ნაკლები.თუკი მას შევადარებთ მშპ-ს რეალური ზრდის ცვლილებას, ვნახავთ რომ ახალმა სტანდარტმა რაოდენობრივად უფრო მეტად მშპ-ს დეფლატორზე იმოქმედა.

ზემოთქმულიდან ვასკვნით რომ საქართველოში ახალი მეთოდოლოგიის დანერგვით გამოწვეული რაოდენობრივი გავლენა მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე, ემთხვევა ზოგად ტენდენციებს, რომელიც შეინიშნება მსოფლიოს ქვეყნებში ეას 2008-ის დანერგვისას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების https://matsne.gov.ge/ka/document/view/249-6959?publication=0
2. მარინე მინდორაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. ლექციების კურსი ბაკალავრებისთვის. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა, 2018, 266 გვ. https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/eas.pdf
3. მარინე მინდორაშვილი. შინამეურნეობის სტატისტიკის მიკრო და მაკრო ასპექტები. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. კონფერენცია ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს. შრომების კრებული, თსუ, 26-27 ოქტომბერი, 2018, გვ.263-267. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konference.pdf;
4. ნ. ასლამაზიშვილი. საერთაშორისო სტატისტიკა: თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბ., 2009
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge ეროვნული ანგარიშების პორტალი http://sna.geostat.ge/ka/4/Mtavari
6. https://www.geostat.ge/media/27845/SNA-2008-presentation_15.11.pdf
7. https://www.geostat.ge/ka/single-news/1708/sakstatma-erovnul-angarishta-sistemis-akhali-metodologia-sna-2008-danerga
8. ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ.მეორე გამოცემა (ინგლისურიდან თარგმანი), ელექტრონული ვერსია, 2015, 606 გვ. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/SNA%20-%2025.11.2015.pdf;
9. Building The System of National Accounts https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/pdfscache/-13498.pdf
10. New standards for compiling national accounts: what's the impact on GDP and other macro-economic indicators? by Peter van de Ven https://www.oecd.org/sdd/na/new-standards-for-compiling-national-accounts-SNA2008-OECDSB20.pdf;
11. OECD National Accounts Statistics https://www.oecd-ilibrary.org/economics/data/oecd-national-accounts-statistics_na-data-en
12. SNA 2008. European Commission, International Monetary Fund, Organization for Economic Cooperation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009. https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/-docs/SNA2008.pdf
13. The System of National Accounts, 2008 (2008 NA) https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/-SNA2008.pdf
14. The System of National Accounts https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/sna.asp
15. The 2008 SNA – changes from the 1993 SNA https://www.oecd-ilibrary.org/docserver/na_glanceen.pdf?expires=1617197418&id=id&accname=guest&checksum=09B92C5E3CA9E81D59DDE91233250462

# მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება საქართველოში - ეკონომიკური რაკურსი

**_მეხაბ იოხდანიშვილი_**
_თსუ მაგისტრანტი_

*მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდასთან ერთად მიმდინარეობს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი. როგორც მსოფლიოსთვის, ასევე ცალკეული ქვეყნებისთვის, სადაც მოსახლეობის დაბერება მიმდინარეობს, უარყოფითად აისახება ეკონომიკის ზრდაზე, მცირდება შრომით ბაზარზე ჩართული ინდივიდების რიცხოვნობა, ასევე ეს პროცესი ზრდის ჯანდაცვის ხარჯებს. მეცნიერების ვარაუდით, 21-ე საუკუნის დასასრულს მსოფლიოს მოსახლეობა 11 მილიარდს მიუახლოვდება და დაბერებული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აზიაში მოიყრის თავს.*

*მოსახლეობის დაბერების პრობლემა მწვავედ დგას საქართველოშიც. გაეროს გათვლების თანახმად, 2050 წლისთვის საქართველოში 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 25 პროცენტს მიუახლოვდება, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკისთვის. ჩვენი კვლევის მიზანია გამოვავლინოთ, რა გავლენას მოახდენს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება საქართველოში შრომის ბაზარზე და ჯანდაცვის სისტემაზე.*

მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1900 წელს მსოფლიოს მოსახლეობა დაახლოებით 1.6 მილიარდს შეადგენდა, ხოლო სულ რაღაც 100 წლის შემდეგ, ანუ 2000 წელს, მსოფლიო მოსახლეობამ უკვე 6.14 მილიარდს მიაღწია, რაც თითქმის 4-ჯერადი მატებაა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მოსახლოების რიცხოვნობის ზრდა გაგრძელდება და 2100 წელს მსოფლიო მოსახლეობა 11 მილიარდს მიუახლოვდება (O'Neill, 2020). მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში, მსოფლიო მოსახლეობა იზრდება, მნიშვნელოვან განსხვავებას ვხედავთ განვითრებული და განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას შორის. მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა ძირითადად მიმდინარეობს აზიის ქვეყნების (ინდოთი, ჩინეთი) და აფრიკის ქვეყნების ხარჯზე, ხოლო ისეთ ქვეყნებში როგორიცაა, მაგალითად, იაპონია და გერმანია, აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერების პროცესი. ნავარაუდევია, რომ მიმდინარე საუკუნის დასასრულს დაბერებული მოსახლეობის 86 პროცენტი აზიაში მოიყრის თავს, როდესაც 1980-იან წლებში, 65 წელს გადაცილებული ადამიანების აბსოლუტური რაოდენობა, თითქმის ერთნაირი იყო განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში (Samorodov, 1999).

გაერო-ს კრიტერიუმით, თუ ქვეყნის მოსახლეობის 7 პროცენტზე მეტი არის 65 წლის და უფროსი ასაკის, მაშინ ასეთ ქვეყანას გაერო მიიჩნევს როგორც დაბერებადს. 1960 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 5% იყო 65 წლის და მეტის, 2015 წელს უკვე მსოფლიოს მოსახლეობის 9% არის 65 წლის და უფროსი ადამიანებით დასახლებული. ეს სტატისტიკა აჩვენებს, რომ მთლიანობაში, მსოფლიოს მოსახლეობის ზრდასთან ერთად, პარალელურად მიმდინარეობს მსოფლიოს მოსახლეობის დაბერების პროცესიც. უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის დაბერება უარყოფითი ფაქტორია ეკონომიკური ზრდისთვის, შრომით ბაზარში ჩართული ინდივიდების მონაწილეობის შემცირების გამო. ასევე, ჯანდაცვის ხარჯებიც იზრდება დაბერებად ქვეყნებში. დაბერებული მოსახლეობის მქონე ქვეყნებმა მეტი თანხა და რესურსი უნდა გამოყონ თავიანთი ჯანდაცვის სისტემებისთვის. ქვეყნები, სადაც დიდი რაოდენობით ხანდაზმული მოსახლეობაა, ასევე დამოკიდებულია დასაქმებულთა მცირე ჯგუფებზე, საიდანაც აგროვებენ გადასახადებს, ჯანმრთელობის საფასურის, საპენსიო გადასახადებსა და სხვა შემოსავლებს, სხვადასხვა სოციალური პროგრამების გადასახდელად. შესაბამისად, მოსახლე-

ობის დაბერება უკვე არის და მომავალში კიდევ მეტად გახდება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილება (და გამოწვევაც) კაცობრიობის ისტორიაში და ამ ჭრილში აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში 65 წლის და უფროსი მოსახლეობის წილი დაახლოებით 14,3%-ს შეადგენს. შესაბამისად, საქართველო, გაეროს განმარტების მიხედვით, დაბერებადი ქვეყანაა.

*ცხრილი 1.1. საქართველოს მოსახლეობა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით*

| ასაკობრივი კატეგორია | რაოდენობა (მლნ) | % |
|---|---|---|
| 65 + | 0,53 | 14,28 |
| 15 - 64 | 2,49 | 67,11 |
| < 15 | 0,69 | 18,62 |

*წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა.*

საქსტატის მონაცემების თანახმად, თუ 1994 წელს, საქართველოში დედის საშუალო ასაკი დაბადებისას 24 წელს შეადგენდა, 2020 წელს დედის საშუალო ასაკი უკვე 28.5 წელს შეადგენს (დაბადება, საქსტატი). შესაბამისად, ქალბატონები საშუალოდ უფრო ხშირად უფროს ასაკში აჩენენ ბავშვებს. გარდა იმისა, რომ გაზრდილია ქალის საშუალო ასაკი პირველი დაბადებისას, ასევე დაკლებულია ქალების სურვილი ჰყავდეთ ბევრი შვილი. თუ 1989 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ოჯახში საშუალოდ 3.7 ბავშვი მიაჩნდათ სასურველად,

2007 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, უკვე საშუალოდ 2,5 ბავშვი მიაჩნიათ სასურველად (ლორთქიფანიძე & თოთაძე, 2007, გვ 76). ამ სტატისიტიკას არაერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს როგორც ქალის განათლების, ასევე ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე. დამატებით, გაზრდილია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობაც. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, თუ 1994 წელს კაცის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას 66 წელს, ხოლო ქალის 74 წელს შეადგენდა, 2020 წელს უკვე კაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრლივობა 73 წელია, ხოლო ქალებისა კი თითქმის 78. ეს სამივე ფაქტორი: დედების გაზრდილი საშუალო ასაკი პირველი დაბადებისას, მრავალშვილიანი ოჯახის ყოლის სურვილის შემცირება და სიცოცხლის ხანგრძლივობის მატება, ცხადია, ზრდის და მომავალშიც გაზრდის დაბერების ხარისხს საქართველოში. გაეროს გათვლებით, 2050 წლისთვის, საქართველოში 60 წელს გადაცილებული მოსახლეობა, 25%-ს მიუახლოვდება (დე ბრუნი & ჭითანავა, 2017). შესაბამისად საქართველოში მწვავედ დგას დაბერების პრობლემა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამ შემთხვევაში, კვლევის მიზანია, შევისწავლოთ მოსახლეობის დაბერება საქართველოში, ეკონომიკურ ჭრილში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- დაბერების გავლენის კვლევა შრომით ბაზარზე;
- დაბერების გავლენის კვლევა ჯანდაცვის სისტემაზე.

## კვლევის ძირითადი შედეგები

მოსახლეობის დაბერება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაზე. იცვლება თაობებს შორის მატერიალური რესურსების გადანაწილება, ხანდაზმულთა ცხოვრების ხარისხი, დასაქმების შესაძლებლობები, თანაფარდობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, და ა.შ. მოსახლეობის დაბერებასთან ერთად, ბერდება ადამიანური შრომითი რესურსიც.

როგორც დიაგრამაზე 2.1 ვხედავთ, საქართველო მართლაც დაბერებადი ქვეყანაა სადაც მოსახლეობის დაბერება „ზემოდან“ ხდება. სადაც ხანდაზმული ქალების რაოდენობა, მნიშვნელოვნად აჭარბებს ხანდაზმულ მამაკაცთა რაოდენობას. თუ 10-14 წლამდე მოსახლეობაში, მოსახლეობის გადანაწილება სქესის მიხედვით მსგავსია, 80-84 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში, ქალბატონთ რაოდენობა, სამჯერ აღემატება მამაკაცების რაოდენობას.

***დიაგრამა 2.1 საქართველოს მოსახლეობის პირამიდა ასაკისა და სქესის მიხედვით***




## 1.1 დაბერების გავლენის კვლევის შედეგები შრომით ბაზარზე

სანამ დღევანდელი სტატისტიკის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გავაკეთოთ პატარა ისტორიული მიმოხილვა, რათა მეტად ჩავწვდეთ და ავხსნათ ის სტატისტიკა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა იძლევა.

1995 წლიდან, საქართველოს კანონმდებლობით, საპენსიო ასაკი შეიცვალა და ქალბატონებისთვის 60 წელს, ხოლო მამაკაცებისათვის 65 წელს შეადგენს. შესაბამისად, მივიღეთ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მექანიკური ზრდა. საპენსიო ასაკის ზრდა კი გავლენას ახდენს შრომითი ბაზრის ფუნქიონირებაზე. ემპირიული კვლევების თანახმად, საპენსიო ასაკის ერთი წლით ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, 1%-ით ზრდის უმუშევრობას. საქართველოში კანონმდებლობით საპენსიო ასაკის გაზრდამ კიდევ მეტად გაამწვავა უმუშევრობის პრობლემა. თუ 1995 წელს ერთ ვაკანსიაზე 40 ადამიანი მოდიოდა, 2000 წელს ერთ ვაკანსიაზე უკვე 135 კაცი მოდიოდა. უმუშევრობის დონემ მომავალ წლებშიც იმატა და ეს პრობლემა ყველაზე მეტად მოსახლეობის ახალგაზრდა ჯგუფს შეეტყო. როგორც 2.1.1 ცხრილში ჩანს, თუ 2000 წელს, 16-29 წლამდე ასაკის 9 პროცენტი იყო უმუშევარი, 2008 წელს ეს მაჩვენებელი უკვე 30 პროცენტს გადასცდა. რაც შეეხება შედარებით უფროს ასაკობრივ კატეგორიას, 50+, ვხედავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ აქაც მოიმატა უმუშევრობის დონემ, აქ ახალგაზრდა სეგმენტთან შედარებით, უმუშევრობის დონის მატება კატასტროფული არ არის (შელია, 2013).

*ცხრილი 2.1.1. უმუშევრობის დონის ცვლილება ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)*

| ასაკობრივი კატეგორია | 2000 | 2003 | 2006 | 2008 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|
| 16-29 | 9 | 22 | 29 | 33 | 32 |
| 30-49 | 5 | 14 | 14 | 17 | 17 |
| 50+ | 3 | 5 | 6 | 8 | 8 |

*წყარო: საქსტატი*

მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა საპენსიო ასაკი, პარალელურად არ მოხდა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა; ასევე მოიმატა ემიგრაციაში წასულთა რიცხვმაც (რომელიც დღესაც მიმდინარეობს), რაც საბოლოო ჯამში, შესაძლოა ქვეყნისთვის მეტი ზარალის მომტანი იყოს, ვიდრე ის ეკონომია, რომელიც საპენსიო ასაკის გაზრდით იყო მიღწეული.

*დიაგრამა 2.1.2. სამუშაო ძალაში მონაწილეობის მაჩვენებელი, სქესისა და ასაკის მიხედვით*




როგორც საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებიდან ირკვევა, საქართველოში ხანდაზმული მოსახლეობა მაინც აქტიურად არის ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში, სადაც სამუშაო ძალაში 65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა მონაწილეობის წილი თითქმის 50 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო ასაკის შემდეგ მნიშვნელოვნად ეცემა ადამიანების ეკონომიკური აქტივობის დონე, როგორც 2.1.2 დიაგრამაზე ვხედავთ, ხანდაზმულთა თითქმის ნახევარი მაინც აქტიურად არის ჩართული შრომით ბაზარზე. როგორც გრაფიკიდან იკვეთება, მამაკაცები მთელი სიცოცხლის განმავლობაში ქალბატონებზე უფრო აქტიურად არიან ჩართულნი შრომით ბაზარზე. ეს განსხვავება შეიმჩნევა ხანდაზმულ მოსახლეობაშიც, სადაც ხანდაზმული მამაკაცების დაახლოებოთ 65 პროცენტი, ხოლო ხანდაზმული ქალბატონების მხოლოდ 40 პროცენტი მონაწილეობს სამუშაო ძალაში.

მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულთა ნახევარი სამუშაო ძალაში აქტიურად არის ჩართული, მათი აბსოლუტური უმრავლესობა, ანუ 85 პროცენტი, სასოფლო- სამეურნეო სექტორში მუშაობს მაშინ როცა, როგორც 2.1.3 გრაფიკზე ვხედავთ, 18-64 წლამდე ასაკში, საშუალოდ მხოლოდ 45 პროცენტი არის ამ სფეროში დასაქმებული. გამომდინარე იქიდან, რომ ხანდაზმულთა სამუშაო ძალაში ჩართულობის ყველაზე დიდი წილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე მოდის, გასაკვირი არაა, რომ ისინი ჭარბად არიან წარმოდგენილები თვითდასაქმებულთა კატეგორიაში (თითქმის 82 პროცენტი).

***დიაგრამა 2.1.3. 15-64 წლის და 65 წლისა და უფროსი ასაკის დასაქმებული მოსახლეობა, დასაქმების სფეროების მიხედვით (%).***




მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია ეკონომიკურ აქტივობაში, მათი აბსოლუტური უმრავლესობა, ანუ 97% სარგებლობს პენსიით. მეტიც, ხანდაზმულთა 84%-სთვის პენსია წარმოადგენს შემოსავლის ერთადერთ წყაროს. ასევე, ხანდაზმულ ქალთა 8 პროცენტი, ხოლო ხანდაზმულ კაცთა მხოლოდ 17 პროცენტი ამბობს, რომ მისთვის მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი წარმოადგენს არსებობის ძირითად წყაროს, რაც იმ კონსტალაციაში, როდესაც ხანდაზმულთა ნახევარი აქტიურად არის ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ის შემოსავალი რასაც ხანდაზმულები ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვიდან იღებენ, მიზერულია. ეს, თავის მხრივ, იმას გვაფიქრებინებს, რომ რადგან ხანდაზმულების შემოსავალი ამდენად მიზერულია, მაგრამ ისინი მაინც არჩევენ, რომ იმუშაონ, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ან მათი მუშაობა ეკონომიკური სიდუხჭირით არის გამოწვეული, რაც უფრო მეტად სავარაუდოა, ან იმაზე, რომ საქართველოში ხანდაზმულ ადამიანებს უყვართ შრომა და ისინი საქმის გარეშე ვერ ჩერდებიან და ამაში პოულობენ ცხოვრების აზრს.

## 1.2 დაბერების გავლენის კვლევის შედეგები ჯანდაცვის სიტემაზე

ცნობილია, რომ ხანდაზმულ მოსახლეობაში ბევრად უფრო გავრცელებულია ავადობა და ქრონიკული დაავადებები, რომელთა სამკურნალოდაც მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრებია საჭირო. ისეთ ქვეყანაში კი, რომელიც დაბერებადია, პროპორციულად უფრო მეტი ხანდაზმული ადამიანია და, შესაბამისად, სამედიცინო საკითხებზეც უფრო მეტი რესურსი უნდა იხარჯებოდეს. ამასთან დაკავშირებით, ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია საქართველოში არსებულ დაზღვევის სისტემაში გარკვევა.

ზოგადად, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან, იკვეთება შინამეურნეობის სამომხმარებლო ხარჯებიდან, სამედიცინო ხარჯების წილის ზრდა. 2015 წელს, სამედიცინო ხარჯებმა შინამეურნეობის მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების თითქმის 13 პროცენტი შეადგინა. სამედიცინო ხარჯების შედარებით დიდი წილი კიდევ უფრო მაღალია ხანდაზმულებში, სადაც განსაკუთრებულად დიდ პრობლემას ქრონიკულ დაავადებებზე გაწეული ხარჯები წარმოადგენს. საქართველოში მცხოვრებ ხანდაზმულ მოსახლეობაში მხედველობის სრული და ნაწილობრივი დაკარგვა წარმოადგენს ყველაზე გავრცელებული ტიპის შესაძლებლობის შეზღუდვას, ხოლო დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის შეზღუდვა წარმოადგენს ხანდაზმული ასაკის მოსახლეობაში ყველაზე გავრცელებულ რიგით მეორე პრობლემას. როგორც 2.2.1 გრფიკზე ვხედავთ, თუ 2004 წელს შინამეურნეობის საერთო ხარჯების მხოლოდ 6 პროცენტი მიდიოდა სამედიცინო ხარჯებზე, ათ წელიწადში ეს მაჩვენებელი გაორმაგდა.

2013 წლამდე ქვეყანაში არ არსებობდა საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის სისტემა. 2012 წლის სექტემბერში მთავრობამ შემოიტანა სამედიცინო დაზღვევა პენსიონერებისთვის, შშმ პირებისათვის და კონკრეტული პირებისათვის, 2013 წლის თებერვალში კი დაზღვევამ უკვე საყოველთაო ხასიათი მიიღო.

2015 წლის კეთილდღეობის მონიტორინგის კვლევის თანახმად, ყოველი სამი პენსიონერიდან ერთისთვის, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა სამედიცინო ხარჯების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

***დიაგრამა 2.2.1. ჯანდაცვაზე ხარჯების წილი შინამეურნეობის საერთო ხარჯებში, 2001-2015 წწ.***




ევროპული ღირებულებების კვლევა (EVS) დიდი მრავალეროვნული კვლევითი პროგრამაა, რომელიც თითქმის 40 წლის განმავლობაში სწავლობს ადამიანის ძირითად ღირებულებებს. ამ კვლევაში დაისვა რამდენიმე კითხვა ჯანდაცვის სისტემისადმი დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. მოსახლეობის 57%-ს დიდი ან საკმაოდ დიდი ნდობა ჰქონდა ჯანდაცვის სისტემისადმი 2008 წელს, რაც EVS- ის მიერ გამოკითხულ 16 ქვეყანაში საშუალოზე ოდნავ დაბალი იყო. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლოების 69% აფიქსირებს ნდობას ჯანდაცვის სისტემის მიმართ, რაც არა მხოლოდ 12%-ით არის გაზრდილი 2008 წელთან შედარებით, არამედ იმ 16 გამოკითხული ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე, სადაც 2017 წელს ჩატარდა კვლევა, საქართველოში 10%-ით უფრო მაღალია ნდობა ჯანდაცვის სისტემის მიმართ.

*დიაგრამა 2.2.2. ადმიანების პროცენტული მაჩვენებლები, რომელთაც აქვთ ნდობა ჯანდაცვის სისტემის მიმართ (%)*




*წყარო: ევროპული ღირებულებების კვლევა, 2017-2018*

## დასკვნა

მსოფლიო უკვე მწვავე დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დგას, რომელსაც მოსახლეობის დაბერება ეწოდება. დემოგრაფიული დაბერება წარმოადგენს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ხანდაზმული მოსახლეობის წილის ზრდას. მოსალოდნელია, რომ მოსახლეობის დაბერება მთელს მსოფლიოში 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დემოგრაფიული გამოწვევა იქნება. მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურებში მომხდარი ცვლილებები ქვეყნის ხელისუფლებას კარნახობს გადასინჯოს სტრატეგია და ეკონომიკური აზროვნება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების შესახებ. ქვეყნებში, სადაც იზრდება ასაკოვანი მოსახლეობის რიცხოვნობა, მწვავედ დგება სამუშაო ძალისა და ჯანდაცვის პრობლემები.

საქართველოში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის ზრდა მთლიან მოსახლეობაში მკაფიოდ არის გამოხატული. ქვეყანაში არსებული სიტუაცია ზრდის მოთხოვნას ისეთ მომსახურებაზე, როგორიც არის, ჯანდაცვა, პენსია და სოციალური დაცვა. მოსახლეობის დაბერება კი იწვევს ეკონომიკური ბაზის შემცირებას, რომელიც აღნიშნული მომსახურების გაწევისთვის არის საჭირო, რადგან მთლიან მოსახლეობაში მცირდება შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის წილი და საგადასახადო შემოსავლები.

2000 წლიდან მოსახლეობის დაბერების პრობლემების განხილვა დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისთვის. მათ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც აფასებენ ცოდნას და გამოცდილებას. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელ ღონისძიებებად მიჩნეულია: 1. შრომით ბაზარზე იმ პირთა შენარჩუნება და დამკვიდრება, ვინც ჯერ არ არის საპენსიო ასაკის. 2. სამუშაოზე მიღების ასაკობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა. 3. მოსახლეობის უწყვეტი განათლების მიღება, რაც საშუალებას იძლევა ნებისმიერი ასაკის მქონე ადამიანის ჩართვას ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისა და ციფრული ეკონომიკის პროცესში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. დე ბრუნი, ბარტ, & ჭითანავა, მაკა (2017). მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულობა საქართველოში. Retrieved from
2. http://census.ge/files/results/publication/ge/2.%20Ageing_GEO_Print%20_F_0.pdf
3. ლორთქიფანიძე, ვაჟა, & თოთაძე, ანზორ. (2007). ერი ერმა უნდა გადაარჩინოს.
4. შელია, მზია. (2013). ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში.
5. https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39713.pdf.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - გარდაცვალების სტატისტიკა https://www.-geostat.ge/ka/modules/categories/320/gardatsvaleba
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - დაბადების სტატისტიკა
8. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba.
9. European value study, https://europeanvaluesstudy.eu/
10. O'Neill, A. (2020, September 23). Global population 10,000BCE-2100. Statista. https://www.statista.com/sta-tistics/1006502/global-population-ten-thousand-bc-to-2050/.
11. Samorodov, A. (1999). Ageing and labour markets for older workers. Employment and Training Department, International Labour Office.

# Covid-19 პანდემიის გავლენა მობილურ კომერციაზე

**დევან კვესოშვილი**
*თსუ მაგისტრანტი*

*ნაშრომში შესწავლილია, თუ რა მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენებით ახდენს მობილური კომერცია გავლენას მომხმარებლებზე, გაანალიზებულია მობილურ ბაზარზე არსებული მდგომარეობა და გამოვლენილია მოცემული სფეროს სფეციფიკური მახასიათებლები. კვლევის საწყის ეტაპზე შევისწავლეთ ქართული და უცხოური მეცნიერების ნაშრომები, სტატიები და კვლევები. მეორადი ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გაანალიზების შემდეგ ონლაინ ჟურნალში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა სტრუქტურირებული ანკეტური გამოკითხვით. შევისწავლეთ ქართულ და გლობალურ მობილურ ბაზარზე არსებული ტენდენციები, მომხმარებელთა დამოკიდებულება მობილური კომერციის სფეროს მიმართ და ასევე გავაანალიზეთ Covid-19-ის პანდემიის გავლენა აღნიშნულ მიმართულებაზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ და უცხოურ ბაზარზე არსებული ტენდენციები ერთმანეთს დიდწილად ემთხვევა, ასევე განისაზღვრა მობილური კომერციის სფეროს კონკრეტული უპირატესობები და ნაკლოვანებები და გამოვლინდა, თუ როგორ ზემოქმედებს მობილური კომერცია მომხმარებელთა ქცევაზე. ნაშრომის ბოლოს მოცემულია კვლევის ძირითადი შედეგები და რეკომენდაციები.*

ტექნოლოგიურმა რევოლუციამ სრულიად გარდაქმნა ადამიანთა ცხოვრება. მობილური ტექნოლოგიების ბოლოდროინდელი განვითარების კვალდაკვალ, სმარტფონებისა და ტაბლეტების ფასი საგრძნობლად შემცირდა. შემცირებულმა ფასებმა განაპირობა მობილური მოწყობილობების ჩქარი გავრცელება მოსახლეობაში [6]. 2020 წლის მონაცემებით მსოფლიოში 14.02 მლრდ სმარტფონია, რაც ადამიანთა რაოდენობაზე თითქმის ორჯერ მეტია (Statista, 2020) [13].

სმარტფონი თანამედროვე ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. 21-ე საუკუნეში სმარტფონი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ კომუნიკაციის საშუალება. მობილური მოწყობილობების საშუალებით ადამიანები ყიდულობენ პროდუქტსა და მომსახურებას, იღებენ და აგზავნიან ელექტრონულ ფოსტას, იყენებენ სოციალურ ქსელებს, უსმენენ მუსიკას და უყურებენ ვიდეოებს, ეცნობიან ახალ ამბებს, აგზავნიან მოკლეტექსტურ შეტყობინებებს, სარგებლობენ საბანკო მომსახურებით და ა.შ.

ეჭვგარეშეა, რომ უკაბელო და მობილური ქსელების მოხმარება მნიშნელოვნად იზდება. 1990-იანი წლებიდან, ბიზნესის წარმოების მეთოდების სრული ტრანსფორმაცია მოხდა. ინტერნეტის წყალობით ჩამოყალიბდა ბიზნესის სრულიად ახალი ერა [9]. საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვას ინტერნეტის გამოყენებით ელექტრონული კომერცია ეწოდება [14]. მობილური კომერცია მისი ერთ-ერთი მთავარი ნაწილია და გულისხმობს ელექტრონული კომერციის განხორციელებას მობილური მოწყობილობების გამოყენებით [5].

2017 წელს მობილური მოწყობილობების ინტერნეტმოხმარებამ გადააჭარბა კომპიუტერების ინტერნეტმოხმარებას (Qubit, 2018), შესაბამისად, საცალოდ მოვაჭრეებმა მომხმარებლებს მობილური მომსახურება უნდა შესთავაზონ. მომხმარებლები სულ უფრო მეტ დროს ხარჯავენ სმარტფონებზე, სხვა მოწყობილობებთან შედარებით (Singh and Swait, 2017). ისინი იყენებენ საცალოდ მოვაჭრეების ონლაინ არხებს (მობილურ აპლიკაციაებს), სადაც წარმოდგენილია მათთვის საინტერესო ინფორმაცია (Oh et al., 2012). 2016 წელს, 100-დან 81 ყველაზე მსხვილ საცალოდ მოვაჭრეს ამერიკაში ჰქონდა საკუთარი მობილური აპლიკაცია, რადგან მისი გამოყენება უფრო მოსახერხებელია მომხმარებლისთვის, ვიდრე ვებ-საიტის (Koo, 2016). ტრადიციული საცალო ვაჭრობა ემყარება მოდელს, რომლის მიხედვით, მყიდველი სტუმ-

რობს მაღაზიას. მობილური კომერცია ცვლის ამას და მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, ისარგებლოს მაღაზიის მომსახურებით ნებისმიერ დროსა და ადგილზე (Shankar et al., 2010) [15].

მომხმარებლების შენარჩუნება აუცილებელია ნებისმიერი კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისთვის, რადგან ახალი მომხმარებლების მოზიდვა შესაძლოა საკმაოდ ძვირი დაჯდეს (Lin and Wang, 2006). ამასთან, მომხმარებლებმა, შესაძლოა, არ გაიმეორონ შესყიდვები, თუ ისინი არ არიან კმაყოფილი გარიგებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განმეორებითი შესყიდვა პირდაპირ კავშირშია მომხმარებელთა კმაყოფილების დონესთან. მარკეტოლოგებს კარგად ესმით, რომ დღესდღეობით მომხმარებელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია მობილური კომერციის სრულფასოვანი დანერგვა კომპანიის მარკეტინგულს სტრატეგიაში [6].

Covid-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი. სოციალური დისტანცირებისა და გადაადგილებაზე მკაცრი შეზღუდვების პირობებში თანამედროვე ტექნოლოგიების როლი კიდევ უფრო გაიზარდა. პანდემიის პირობებში აუცილებელი გახდა სოციალურ-ეკონომიკური აქტივობების განხორციელება დისტანციურ რეჟიმში, რაც წარმოუდგენელი იქნებოდა ციფრული ტექნოლოგიების გარეშე [16].

## მობილური კომერციის არსი და მობილური ბაზრის ზრდის ტენდენციები

ტერმინი „მობილური კომერცია“ (M-commerce) პირველად გამოიყენა კევინ დაფიმ, 1997 წელს, გლობალური მობილური კომერციის ფორუმზე. მისი განმარტებით, მობილური კომერცია არის „ელექტრონული კომერციის შესაძლებლობების მიწოდება უშუალოდ მომხმარებლის ხელში, ნებისმიერ ადგილზე, უკაბელო ტექნოლოგიის გამოყენებით” [3]. ლიტერატურაში მობილური კომერციის მრავალი განმარტება არსებობს. დურლაჩერმა (Durlacher, 1999) მობილური კომერცია განმარტა, როგორც „ნებისმიერი ოპერაცია ფულადი ღირებულებით, რომელიც ხორციელდება მობილური სატელეკომუნიკაციო ქსელის საშუალებით“ [3].

კ. კორსარისის (Coursaris, 2002) მიხედვით, მ-კომერცია განიხილება, როგორც ელექტრონული კომერციის ქვეჯგუფი და განისაზღვრება შემდეგნაირად: „ელექტრონული კომერციის ბუნებრივი გაფართოება, რომელიც მომხმარებლებს აძლევს ბიზნესებთან კომუნიკაციის საშუალებას ნებისმიერ დროსა და ადგილზე“ [3].

კემბრიჯის ლექსიკონში მოცემულია მობილური კომერციის ყველაზე მარტივი და ზოგადი განმარტება - „ესაა საქონლისა და მომსახურების შესყიდვა ინტერნეტში, მობილური მოწყობილობების გამოყენებით“ [2].

მობილური კომერციის სხვადასხვა განმარტების ანალიზის შედეგად გამოიყოფა მოცემულ სფეროსთან დაკავშირებული შემდეგი ტრენდები: ბიზნესის და/ან სხვა მიზნით დამყარებული კომუნიკაცია, კავშირი ელექტრონულ კომერციასთან, მობილური ტრანზაქციების განხორციელება, უკაბელო მობილური მოწყობილობების გამოყენება, უკაბელო ქსელის გამოყენება [3].

21-ე საუკუნეში სმარტფონების ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და კონკურენტუნარიანი ბაზარია. 2020 წლის 18 დეკემბრის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით ფუნქციონირებს 14,02 მლრდ მობილური მოწყობილობა, ხოლო 2024 წლისთვის, ექსპერტების პროგნოზით, მათი რაოდენობა 17,72 მილიარდს მიაღწევს [13]. მობილური მოწყობილობების პროგნოზული რაოდენობა მსოფლიო მასშტაბით 2020-2024 წლებში ნაჩვენებია 1.1 დიაგრამაზე.

*დიაგრამა 1.1 მობილური მოწყობილობების პროგნოზული რაოდენობა მსოფლიო მასშტაბით 2020-2024 წლებში (მილიარდებში)**




წყარო: Statista.com [13]

ასევე აღსანიშნავია მობილური მოწყობილობების მომხმარებლების რაოდენობა, რომელიც დღესდღეობით 5.22 მლრდ-ს შეადგენს და ყოველდღიურად იზრდება [10]. ბაზრის ტენდენციებს თუ დავაკვირდებით, მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის ტემპის შენელება არაა მოსალოდნელი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად იზრდება მობილური მომხმარებლების მიერ გატარებული დრო სმარტფონებთან. აშშ-ში მობილური მომხმარებლების მიერ, 2016 წელს დღის განმავლობაში სმარტფონთან გატარებული დრო, საშუალოდ, 188 წუთი იყო. ეს მაჩვენებელი 2021 წელს 234 წუთამდე გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ 5 წლის განმავლობაში, საშუალო ამერიკელის მიერ დღის განმავლობაში გატარებული დრო 24.5%-ით გაიზარდა [10].

**მობილური კომერციის ბაზარი.** მობილური კომერციის ბაზრის მოცულობა ძალიან მაღალი ტემპებით იზრდება. მ-კომერციის ფარგლებში წლიური გაყიდვების მოცულობა 2016 წელს 1 ტრლნ ამერიკულ დოლარს აღწევდა (0.94 ტრლნ აშშ დოლარი), ხოლო 2020 წლის ბოლოსთვის მან თითქმის 3 ტრლნ აშშ დოლარს მიაღწია (2.91 ტრლნ აშშ დოლარი) [7]. ექსპერტების ვარაუდით, 2021 წელს მოცემული მაჩვენებელი 3.56 ტრლნ აშშ დოლარს გაუტოლდება, რაც თითქმის 4-ჯერ უფრო მაღალი მაჩვენებელია, ვიდრე 2016 წლის წლიური გაყიდვები [7]. მობილური კომერციის გაყიდვების მთლიანი მოცულობა 2016-2021 წლებში ნაჩვენებია 1.2 დიაგრამაზე.

*დიაგრამა 1.2 მობილური კომერციის გაყიდვების მთლიანი მოცულობა 2016-2021 წლებში (ტრილ $-ში)*




წყარო: www.merchantsavvy.co.uk [7]

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში, მობილური კომერციის წლიური გაყიდვების წილი, მთლიან ელექტრონულ გაყიდვებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2016 წელს ეს მაჩვენებელი 52.4%-ს შეადგენდა, ხოლო 2021 წელს ის 72.9%-ს გაუტოლდა [10].

**მობილური მარკეტინგის ბაზარი.** 2020 წლის მონაცემებით, მობილური მარკეტინგის ბაზარი შეფასდა 66.42 მლრდ აშშ დოლარად [8]. ექსპერტების ვარაუდით, 2021-2026 წლების საპროგნოზო პერიოდში, მოცემული ბაზრის ღირსებულება, საშუალოწლიური 25%-იანი ზრდით, მიაღწევს 253.40 მლრდ აშშ დოლარს [8].

**მობილური კომერციის ბაზრის ტენდენციები საქართველოში.** საქართველოს მობილურ ბაზარზე ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგად, შესაძლებელია შემდეგი გაკეთდეს შემდეგი დასკვნები: საქართველოში მობილური მომხმარებლების უმრავლესობა იყენებს მობილურ ინტერნეტს; მომხმარებელთა უმეტესობა მობილურ ინტერნეტს იყენებს გასართობად ან ინფორმაციის მისაღებად; საქართველოს მობილური მომხმარებლები მობილური საინფორმაციო სერვისების გამოყენების დროს ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ რუქებზე, სპორტულ სიახლეებსა და ახალ ამბებზე; საქართველოს მობილურ ბაზარზე ბანკინგი და ფინანსური სერვისები შედარებით ნაკლებად აქტუალურია სხვა მობილურ აქტივობებთან შედარებით; ქართულ მობილურ ბაზარზე განხორციელებული შესყიდვების უმრავლესობა მოიცავს ციფრულ პროდუქტებს; ქართველი მომხმარებლების უმეტესობა პოზიტიურადაა განწყობილი მობილური შესყიდვების მიმართ. მათი აზრით, მობილური შესყიდვები საიმედოა და საჭიროებს დაბალ დანახარჯებს [1].

## მობილური კომერციის გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე

მომხმარებელთა მასობრივმა გადასვლამ მობილურ პლატფორმაზე სრულიად შეცვალა თანამედროვე ბიზნეს გარემო. მარკეტოლოგები მუდმივად ცდილობენ, უკეთ გააცნობიერონ მობილური მომხმარებლების მოთხოვნილებები და, შესაბამისად, გარდაქმნან კომპანიის მარკეტინგული სტრატეგია.

მობილური მოწყობილობა მნიშვნელოვანი მარკეტინგული ინსტრუმენტია, რადგან მას აქვს შემდეგი მახასიათებლები: პორტატულობა, პერსონალური ურთიერთობა მფლობელთან, ქსელური კავშირი, ტექსტური და ვიზუალური კონტენტი და ფუნქციებისა და სერვისების კონვერგენცია. ეს მახასიათებლები მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შექმნას „ცხოვრება ეკრანზე“ და ჰქონდეს მარტივი წვდომა ნებისმიერ დროსა და ადგილზე (Larivière et al., 2013; Shankar and Balasubramanian, 2009). მეორე მხრივ, სმარტფონები ბრენდებს საშუალებას აძლევს, დაამყარონ მომხმარებლებთან მყარი, ხშირი და ურთიერთმომგებიანი ურთიერთობა. ჩატარებული კვლევების თანახმად, მაღაზიების მიერ მომხმარებლებისთვის მობილური მომსახურების შეთავაზებამ იწვევს მომხმარებელთა ლოიალურობის ზრდას [17]. Google-ის გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მომხმარებელთა 51% მაღაზიების მობილური აპლიკაციებს იყენებენ დროის დასაზოგად, ხოლო 41% მათი გამოყენების მთავარ მიზეზად მოხერხებულობას ასახელებს (Google Shopper MarketingCouncil, 2013). მობილური აპლიკაციების მოხერხებულობა მომხმარებლებს აძლევს პროდუქციის შესყიდვის მოტივაციას. (Jih 2007; Okazaki and Mendez, 2013; Yang 2010; Yang and Kim, 2012).

მობილური მოწყობილობები ეფექტიანი პლატფორმაა მომხმარებლებსა და მაღაზიებს შორის რუტინული ურთიერთქმედების ჩამოსაყალიბებლად, რადგან მობილური აპლიკაციები უზრუნველყოფენ კომფორტს და სწრაფ მომსახურებას, რაც მყიდველს აახლოებს ფირმასთან. განმეორებითი ქცევა განაპირობებს ჩვევის ფორმირებას (Verplanken, 2006). ეს მნიშვნელოვანია მობილური კომერციის კონტექსტში, რადგან მომხმარებლებს აქვთ მუდმივი შეხება სმარტფონებთან, როგორც ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილთან. ჩვეული ურთიერთქმედება შეიძლება სასარგებლო იყოს ბრენდისთვის კონკურენტუნარიან გარემო-

ში. მომხმარებლები თავიანთ ჩვევებზე დამოკიდებულნი ხდებიან ისინი ეყრდნობიან ავტომატურ აზროვნებას და წყვეტენ ალტერნატივების განხილვას (Fazio, Ledbetter, and Lowlesschwen, 2000; Fujii, Gärling, and Kitamura, 2001) [17].

მობილური მოწყობილობები ცვლის ადამიანთა მყიდველობით ჩვევებს როგორც ონლაინ მაღაზიებში, ასევე ფიზიკურ ლოკაციებზე (Pasqua and Elkin, 2013). ონლაინ წყაროებზე წვდომა ასევე ცვლის მომხმარებლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს პროდუქციის ყიდვასთან დაკავშირებით. ინტერნეტმა შეცვალა ინფორმაციის ძიების გზა. ონლაინ მომხმარებელთა დაახლოებით 60% მათთვის საინტერესო ინფორმაციას ეძებს საძიებო ქსელებში, (როგორიცაა მაგალითად Google), 40% ამისთვის იყენებს ისეთ სოციალური ქსელებს, როგორიცაა Youtube, Twitter, Facebook და ა.შ. (Solomon, 2013, p. 328-352). მომხმარებელთა უმრავლესობა ონლაინრეჟიმში ეძებს სპეციალურ შეთავაზებებსა და შეღავათებს, სანამ პროდუქტის შესყიდვას გადაწყვეტს. 2013 წელს ჩატარებული კვლევვის შედეგად, მომხმარებელთა 62% ციფრული გზით ეძებდა სპეციალურ შეთავაზებებს, ვიდრე პროდუქციას შეიძენდა (Kelley, 2014).

მომხმარებელთა უმრავლესობას ჯერ კიდევ ფიზიკურ მაღაზიაში ურჩვენია პროდუქციის ყიდვა. სმარტფონები გავლენას ახდენენ მომხმარებელთა ქცევაზე მაღაზიის შიგნით. პასკუა და ელკინი (Pasqua and Elkin, 2013) აცხადებენ, რომ მომხმარებელი სხვადასხვანაირად იყენებს სმარტფონს მაღაზიის ტიპის მიხედვით. მაგალითად, მობილური კუპონების განსაკუთრებით პოპულარულია სასურსათო და ტანსაცმლის მაღაზიებში, ხოლო ტექნიკის მაღაზიებში მომხმარებლები სმარტფონს ძირითადად იყენებენ აღწერების გასაცნობად, ფასების შესადარებლად და სწრაფი რეაგირების კოდების (QR code) სკანირებისთვის [12].

**მობილური მარკეტინგი და მომხმარებელთა ქცევა.** მობილური მარკეტინგი წარმოადგენს ინტერნეტ-მარკეტინგის ევოლუციას, რომელიც იყენებს მობილურ არხებს (სმარტფონი, ტაბლეტი), მომხმარებელთა მიმართ ტრადიციული მარკეტინგული არხების მიმართ ინტერესის დაკარგვის საპასუხოდ (Hinz et al., 2011) [4]. მობილური მარკეტინგის სტრატეგიები ემყარება მომხმარებელთა წვდომას ინფორმაციაზე მობილური ტელეფონის საშუალებით, რომელსაც ფირმები იყენებენ მორგებული შეტყობინებების, სერვისებისა და შეთავაზებების მიწოდების მიზნით (Chou et al., 2016; Kaplan, 2012). მარკეტოლოგებმა ფრთხილად უნდა შეარჩიონ სარეკლამო შეტყობინებები, ვინაიდან ამ სტრატეგიის გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ნეგატიური რეაქცია (Andrews et al., 2012; Nasco and Bruner, 2008). ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა მომხმარებელთა უარყოფითი დამოკიდებულება რეკლამის გადაჭარბებული რაოდენობის მიმართ (Watson et al., 2013) [11].

## მობილურ კომერციაზე Covid-19 პანდემიის გავლენის კვლევის შედეგები

### კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის საწყის ეტაპზე, მოხდა მეორადი ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და გაანალიზება, რის შედეგადაც მომზადდა ლიტერატურული მიმოხილვა. მობილური კომერცია ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად და დინამიკურად განვითარებადი მიმართულებაა თანამედროვე ბიზნეს გარემოში, ამიტომ აუცილებელია არსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება. აქედან გამომდინარე, ჩატარებულ იქნა რაოდენობრივი კვლევა, კერძოდ, მომხმარებელთა გამოკითხვა ონლაინ რეჟიმში. ამისთვის შემუშავდა ანკეტა, რომელიც მოიცავს ღია და დახურული ტიპის კითხვებს. იგი შედგება შემდეგი 5 ბლოკისგან:

- A ბლოკი (13 კითხვა) - მობილური კომერციის მოხმარება;
- B ბლოკი (9 კითხვა) - მობილური კომერციის მიმართ დამოკიდებულება;
- C ბლოკი (4 კითხვა) - მობილურ კომერციასთან დაკავშირებული მომსახურების შეფასება;

- D ბლოკი (5 კითხვა) - Covid-19-ის პანდემიის გავლენა მობილური მობილურ კომერციასთან დაკავშირებულ მყიდველობით ქცევაზე;
- E ბლოკი (8 კითხვა) - მომხმარებლის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები.

ლიტერატურული მასალების გაანალიზებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტაციის შედეგად ჩამოყალიბებულია შემდეგი ჰიპოთეზები:

H1: მომხმარებელთა უმრავლესობა მობილურ მოწყობილობებს იყენებს მხოლოდ პირადი დანიშნულებისთვის;

H2: მობილური კომერციით სარგებლობისას მომხმარებლებს ძირითადად პრობლემა ექმნებათ პერსონალური ინფორმაციის გავრცელებასა და ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით;

H3: მომხმარებლებს ურჩევნიათ, უფრო ხშირად გამოიყენონ მობილური მოწყობილობები, ვიდრე კომპიუტერები;

H4: მომხმარებლებისთვის მობილური რეკლამა ხშირად გამაღიზიანებელია;

H5: მომხმარებლებს ურჩევნიათ, უფრო ხშირად გამოიყენონ მობილური აპლიკაციები, ვიდრე მობილური ვებსაიტები;

H6: Covid-19-ის პანდემიის პირობებში მომხმარებელთა მოთხოვნა მობილური მომსახურებების მიმართ გაიზარდა.

## მარკეტინგული კვლევის შედეგების ანალიზი
## მომხმარებელთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

სულ გამოიკითხა 220 რესპონდენტი. აქედან 65% იყო ქალი (n=142), ხოლო 35% მამაკაცი (n=78) (იხ.დიაგრამა 2.1).

*დიაგრამა 2.1 რესპონდენტთა განაწილება სქესის მიხედვით*




გამოკითხვის მონაწილეები აერთიანებს 18-დან 65 წელზე მეტი ასაკის მქონე ადამიანებს. რესპონდენტებს შორის აქტიურობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 41% (n=90) დაფიქსირდა 18-დან 24 წლამდე ასაკის წარმომადგენლებში. ასევე აღსანიშნავია, რომ 25-დან 34 წლამდე რესპონდენტთა ხვედრითი წილი შეადგენს 32%-ს (n=70) (იხ. დიაგრამა 2.2).

*დიაგრამა 2.2 რესპონდენტთა განაწილება ასაკის მიხედვით*



გამოკითხულთა სოციალური კატეგორიისადმი მიკუთვნება გადანაწილდა შემდეგნაირად: რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (64%) დასაქმებულია, მათ შორის 24% სტუდენტია, 11% უმუშევარია, ხოლო 1% პენსიონერი (იხ. დიაგრამა 2.3).

*დიაგრამა 2.3 რესპონდენტთა განაწილება სოციალური სტატუსის მიხედვით*




რესპონდენტების ოჯახური მდგომარეობა შემდეგნაირად განაწილდა: გამოკითხულთა უმრავლესობა (61%) დასაოჯახებელია. ხოლო 35% დაოჯახებულია (იხ. დიაგრამა 2.4).

*დიაგრამა 2.4 რესპონდენტთა განაწილება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით*




რესპონდენტთა ყოველთვიური შემოსავლების განაწილება ასეთია: გამოკითხულთა 43%-მა ამ კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა, 18%-მა დააფიქსირა 501-დან 1000 ლარამდე, 12%-ის თქმით, მათი ყოველთვიური შემოსავალი მერყეობს 1001-დან 1500 ლარამდე, 500 ლარამდე დააფიქსირა გამოკითხულთა 12%-მა, ხოლო 2000 ლარზე მეტი ყოველთვიური შემოსავალი აქვს გამოკითხულთა 10%-ს (იხ. დიაგრამა 2.5).

*დიაგრამა 2.5 რესპონდენტთა განაწილება ყოველთვიური შემოსავლის მიხედვით*




## მობილური კომერციის მოხმარება

კვლევამ გამოავლინა გამოკითხულთა მფლობელობაში არსებული მობილური მოწყობილობების რაოდენობა. რესპონდენტთა უმრავლესობას (80%-ს) აქვს ერთი მობილური მოწყობილობა მაინც, 13% ფლობს ორ, ხოლო 6% სამ ან მეტ სმარტფონს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ, საქართველოში აღინიშნება საკმაოდ მაღალი მობილური შეღწევა (იხ. დიაგრამა 2.7).

*დიაგრამა 2.7 რესპონდენტთა განაწილება მობილური მოწყობილობების რაოდენობის ფლობის მიხედვით*




კვლევის შედეგად მივიღეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სიხშირით სარგებლობენ მომხმარებლები მობილური ინტერნეტით. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (86%) ყოველდღიურად სარგებლობს მობილური ინტერნეტით, შესაბამისად, საქართველოს ბაზარი საკმაოდ მიმზიდველია მობილური კომერციის თვალსაზრისით (იხ. დიაგრამა 2.9).

*დიაგრამა 2.9 რესპონდენტთა განაწილება მობილური ინტერნეტით სარგებლობის სიხშირის მიხედვით*




კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (56%) მობილურ მოწყობილობებს იყენებს როგორც პირადი კომუნიკაციისთვის, ისე სამსახურებრივი დანიშნულებისთვის (იხ. დიაგრამა 2.10). ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში მობილური მოწყობილობები აღარაა მხოლოდ პერსონალური კომუნიკაციის დამყარების საშუალება.

*დიაგრამა 2.10 მობილური მოწყობილობების გამოყენების დანიშნულება*




მობილური შესყიდვები მობილური კომერციის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. აქედან გამომდინარე, მარკეტინგული კვლევის ჩატარების პროცესში, საფუძვლიანად შევისწავლეთ მობილურ შესყიდვებთან დაკავშირებული მაჩვენებლები და ტენდენციები. რესპონდენტთა 73% ინტერნეტშესყიდვებს ახორციელებს სმარტფონის გამოყენებით (იხ დიაგრამა 2.11), შესაბამისად, მობილური შესყიდვები თანამედროვე ბიზნესსაქმიანობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი გახდა. ასევე, საინტერესოა, არსებობს თუ არა კავშირი მომხმარებელთა ასაკსა და მოწყობილობებს შორის, რომელთა საშუალებითაც ისინი ახორციელებენ ინტერნეტშესყიდვებს. ცხრილი 2.1-ის მიხედვით, 18-დან 24 წლამდე რესპონდენტთა 79% ინტერნეტშესყიდვებს სმარტფონის საშუალებით ახორციელებს, ხოლო პერსონალური კომპიუტერის საშუალებით

კი მხოლოდ 20%. 55-დან 65 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტებში ეს მაჩვენებელი სრულიად განსხვავებულია. გამოკითხულთა 56% ინტერნეტშესყიდვებისთვის იყენებს პერსონალურ კომპიუტერებს, ხოლო სმარტფონებს კი მხოლოდ 44%.

*დიაგრამა 2.11 მოწყობილობები რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ინტერნეტშესყიდვები*




*ცხრილი 2.1 სხვადასხვა მოწყობილობებით განხორციელებული ინტერნეტშესყიდვები რესპონდენტთა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით (%-ით)*

| ასაკი | მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ინტერნეტშესყიდვები | | |
|---|---|---|---|
| | პერსონალური კომპიუტერი | სმარტფონი | ტაბლეტი |
| 18-24 | 20% | 79% | 1% |
| 25-34 | 11% | 86% | 3% |
| 35-44 | 20% | 70% | 10% |
| 45-54 | 29% | 70% | 0% |
| 55-64 | 56% | 44% | 0% |
| 65 და მეტი | 25% | 75% | 0% |

გარდა ამისა, საინტერესოა, თუ რა რაოდენობის თანხას ხარჯავენ მომხმარებლები მობილურ შესყიდვებზე ერთი თვის განმავლობაში. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მომხმარებელთა 75% თვეში მობილურ შესყიდვებზე ხარჯავს 100 ლარამდე, ხოლო რესპონდენტთა 23% 101-დან 200 ლარამდე (იხ. დიაგრამა 2.12).

*დიაგრამა 2.12 რესპონდენტთა განაწილება ერთი თვის განმავლობაში მობილურ შესყიდვებზე გაწეული დანახარჯების მიხედვით*




საკმაოდ საინტერესოა, თუ რა სახის პრობლემები ექმნებათ მომხმარებლებს მობილური კომერციის გამოყენებისას. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (64%) აფიქსირებს, რომ მსგავსი პრობლემა არ შექმნიათ. გამოკითხულთა 16%-მა დააფიქსირა, რომ თანხის ჩამოჭრა მოხდა ისეთი ტრანზაქციისთვის, რომელიც მათ არ განუხორციელებიათ და ასევე 16%-ის მიხედვით, გამოწერილი საქონლისა და მომსახურების აღწერა არ შეესაბამებოდა მის ფაქტობრივ მდგომარეობას (იხ. დიაგრამა 2.15).

*დიაგრამა 2.15 მობილურ კომერციასთან დაკავშირებული პრობლემები*




## მომხმარებელთა დამოკიდებულება მობილური კომერციის კონკრეტული მახასიათებლების მიმართ

კვლევის შედეგად მივიღეთ ინფორმაცია, თუ რომელს ანიჭებენ მომხმარებლები უპირატესობას - მობილური აპლიკაციებს, თუ მობილურ ვებსაიტებს. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას (80%) ურჩევნია მობილური აპლიკაციის გამოყენება (იხ დიაგრამა 2.25).

*დიაგრამა 2.25 მობილური აპლიკაციებისა და მობილური ვებსაიტების შედარება*




მარკეტინგული კვლევის მეშვეობით შევისაწავლეთ მომხმარებელთა დამოკიდებულება მობილური რეკლამის მიმართ. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (69%) მიიჩნევს, რომ მობილური რეკლამა გამაღიზიანებელია (იხ. დიაგრამა 2.22). ასეთი უარყოფითი შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ბაზარზე მობილური რეკლამები არაეფექტიანია და საჭიროებს სრულყოფას.

*დიაგრამა 2.22 რესპონდენტთა დამოკიდებულება მობილური რეკლამის მიმართ*



## Covid-19 პანდემიის გავლენა მობილური მობილურ კომერციასთან დაკავშირებულ მყიდველობით ქცევაზე

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობა (51%) აფიქსირებს, რომ Covid-19-ის პანდემიამ მოახდინა გავლენა მათ მიერ მობილური მოწყობილობების მოხმარებაზე, ხოლო გამოკითხულთა 32%-ის აზრით, კორონავირუსის პირობებში მათი მობილური მოხმარება არ შეცვლილა (იხ. დიაგრამა 2.30).

*დიაგრამა 2.30 Covid-19-ის პანდემიის გავლენა მობილური მოწყობილობების მოხმარებაზე*




კვლევისას ასევე განვსაზღვრეთ, თუ როგორ შეიცვალა Covid-19-ის პანდემიის პირობებში მომხმარებელთა მოთხოვნა მობილური მომსახურეობების მიმართ. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა 57%-ის მოთხოვნა მობილური მომსახურეობების მიმართ გაიზარდა, 37%-ის მოთხოვნა არ შეცვლილა და მხოლოდ 6%-ის მოთხოვნა შემცირდა (იხ. დიაგრამა 2.32).

*დიაგრამა 2.32 მომხმარებელთა მოთხოვნის დონე მობილური მომსახურების მიმართ Covid-19-ის პანდემიის პირობებში*




საინტერესოა, როგორი გავლენა მოახდინა Covid-19-ის პანდემიამ მობილურ კომერციაზე გაწეულ ხარჯებზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა 37%-ის მიერ მობილურ კომერციაზე გაწეული დანახარჯები ნაწილობრივ გაიზარდა, ხოლო 17%-ის დანახარჯები კი მკვეთრად გაიზარდა (იხ. დიაგრამა 2.31).

*დიაგრამა 2.31 Covid-19-ის პანდემიის გავლენა მობილურ კომერციაზე გაწეულ დანახარჯებზე*



კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა Covid-19-ის პანდემიის გავლენა მობილური მომსახურებების ფასებზე. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა 46% მიიჩნევს, რომ Covid-19-ის პირობებში მობილური მომსახურებების ფასები გაიზარდა, 33%-ის აზრით, ფასები არ შეცვლილა, 18%-ის მიხედვით ფასების ცვლილება პანდემიასთან კავშირში არაა და მხოლოდ 3% თვლის, რომ ფასები შემცირდა (იხ. დიაგრამა 2.33).

***დიაგრამა 2.33 Covid-19-ის პანდემიის გავლენა მობილური მომსახურებების ფასებზე***




ასევე საინტერესოა როგორი გავლენა მოახდინა Covid-19-ის პანდემიამ მობილური შეყიდვების განხორციელების სიხშირეზე. რესპონდენტთა 51%-მა დააფიქსირა, რომ მათ მიერ განხორციელებული მობილური შესყიდვების სიხშირე გაიზარდა, 35%-ის მიხედვით არ შეცვლილა, ხოლო 14%-ის შემთხვევაში შემცირდა.

***დიაგრამა 2.34 Covid-19-ის პანდემიის გავლენა მობილური შესყიდვების განხორციელების სიხშირეზე***




## დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდა მობილური კომერციის ბაზარზე არსებული მნიშვნელოვანი ტენდენციები. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

- საქართველოს ბაზარზე მობილური მომხმარებლების უმეტესობა სმარტფონებს იყენებს როგორც პირადი კომუნიკაციისთვის, ასევე სამსახურებრივი მიზნებისთვის, შესაბამისად, მობილური ტელეფონი აღარაა მხოლოდ პერსონალური კომუნიკაციის დამყარების საშუალება;
- საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე სმარტფონი ფართოდ გავრცელებული მოწყობილობაა. მობილური შეღწევა ქვეყანაში მაღალია, აქედან გამომდინარე, ქართული ბაზარი მიმზიდველია მობილური კომერციის განსახორციელებლად;
- ქართველ მომხმარებლებს მობილური აპლიკაციების გამოყენება ურჩევნიათ მობილური ვებსაიტების გამოყენებას;
- მომხმარებელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მობილური რეკლამები გამაღიზიანებელია;

- Covid-19-ის პანდემიის პირობებში ქართველ მომხმარებლებში გაიზარდა მობილურ მომსახურებებზე გაწეული დანახარჯების დონე და ინტერნეტშესყიდვების სიხშირე.

კვლევის შედეგად არ დადასტურდა ჰიპოთეზა H1: „მომხმარებელთა უმრავლესობა მობილურ მოწყობილობებს იყენებს მხოლოდ პირადი დანიშნულებისთვის“. მომხმარებელთა უმეტესობა მობილურ მოწყობილობებს იყენებს როგორც პირადი, ასევე სამსახურეობრივი დანიშნულებისთვის, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სმარტფონები აღარაა მხოლოდ პერსონალური კომუნიკაციის დამყარების საშუალება.

არ დადასტურდა ჰიპოთეზა H2: „მობილური კომერციის სარგებლობისას მომხმარებლებს ძირითადად პრობლემა ექმნებათ პერსონალური ინფორმაციის გავრცელებასა და ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით”. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტები უფრო მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევენ ინტერნეტში გამოწერილი პროდუქციისა და მისი ფაქტობრივი მდგომარეობის შეუსაბამობას და თანხის ჩამოჭრას ისეთი ტრანზაქციისთვის, რომელიც არ განუხორციელებიათ.

დადასტურდა ჰიპოთეზა H3: „მომხმარებლებს ურჩევნიათ, უფრო ხშირად გამოიყენონ მობილური მოწყობილობები, ვიდრე კომპიუტერები“. მომხმარებელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მობილური მოწყობილობების გამოყენება უფრო მოსახერხებელია, ვიდრე პერსონალური კომპიუტერების. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უმეტესობა (75%) ინტერნეტშესყიდვებს ახორციელებს სმარტფონის საშუალებით.

დადასტურდა ჰიპოთეზა H4: „მომხმარებლებისთვის მობილური რეკლამა ხშირად გამაღიზიანებელია“. შესაბამისად, მობილური რეკლამა არაეფექტიანია და საჭიროებს სრულყოფას.

დადასტურდა ჰიპოთეზა H5: „მომხმარებლებს ურჩევნიათ, უფრო ხშირად გამოიყენონ მობილური აპლიკაციები, ვიდრე მობილური ვებსაიტები“. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მობილური აპლიკაციის გამოყენება მობილური ვებსაიტის გამოყენებაზე უფრო მოსახერხებელია. აპლიკაციები, როგორც წესი, მორგებულია მობილური მოწყობილობების ინტერფეისზე და მოიცავს მომხმარებლებისთვის მნიშნელოვან ფუნქციებს.

დადასტურდა ჰიპოთეზა H6: „Covid-19-ის პანდემიის პირობებში მომხმარებელთა მოთხოვნა მობილური მომსახურებების მიმართ გაიზარდა”. Covid-19-ის პანდემიამ მთლიანად შეცვალა ეკონომიკური ტენდენციები მსოფლიოში. პანდემიის პირობებში მკვეთრად გაიზარდა ელექტრონული და მობილური კომერციის მნიშვნელობა ბიზნეს სამყაროში.

მარკეტინგული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია შევიმუშავოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- მობილური მომსახურების მომწოდებლებმა უნდა გააუმჯობესონ უსაფრთხოების პარამეტრები - იმისთვის, რომ მომხმარებლებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ მობილური კომერცია, საჭიროა შეთავაზებული მომსახურების უსაფრთხოების დონის გაზრდა;
- საჭიროა მობილური რეკლამის სრულყოფა - მომხმარებელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მობილური რეკლამა გამაღიზიანებელია. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია რეკლამის ოპტიმიზაცია და მიზნობრივ აუდიტორიაზე მორგება;
- კომპანიებმა მომხმარებლებს უნდა შესთავაზონ მობილური აპლიკაციები - რესპონდენტთა 80% მობილური აპლიკაციების გამოყენებას ანიჭებს უპირატესობას მობილური ვებსაიტების გამოყენებას. აქედან გამომდინარე, კომპანიებმა მომხმარებლებს უფრო ფართოდ უნდა შესთავაზონ მობილური აპლიკაციით მომსახურება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. თოდუა, ნ. (2013). მობილური კომერციის განვითარების ტენდენციები საქართველოში. *პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონო-*

*მიკუხი გლობალიზაციის პირობებში“* მასალები, თსუ გამომცემლობა, გვ. 115-119. გამოქვეყნებულია https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/inform.pdf (ბოლო ნახვა 27 ივნისი, 2021 წელი)

2. Cambridge Dictionary (2021). *M-COMMERCE | meaning in the Cambridge English Dictionary.* Published in https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/m-commerce (ბოლო ნახვა 27 ივნისი, 2021 წელი)
3. Duhan, P., & Singh, A. (Eds.). (2019). *M-commerce: Experiencing the Phygital Retail.* CRC Press.
4. Hinz, O., Skiera, B., Barrot, C., & Becker, J. U. (2011). Seeding strategies for viral marketing: An empirical comparison. *Journal of Marketing, 75*(6), 55-71.
5. Investopedia (2020). *Mobile Commerce.* Published in https://www.investopedia.com/terms/m/mobile-commerce.asp (ბოლო ნახვა 27 ივნისი, 2021 წელი)
6. Marinkovic, V., & Kalinic, Z. (2017*).* Antecedents of customer satisfaction in mobile commerce. *Online Information Review*, *41*(2), 138-154.
7. Merchantsavvy (2020). *Global Mobile eCommerce Statistics, Trends & Forecasts.* Published in https://www-.merchantsavvy.co.uk/mobile-ecommerce-statistics/ (ბოლო ნახვა 27 ივნისი, 2021 წელი)
8. Mordor Intelligence (2019). *Mobile marketing market - growth, trends, and forecast (2021 - 2026).* Published in https://www.mordorintelligence.com/industry-reports/mobile-marketing-market (ბოლო ნახვა 27 ივნისი, 2021 წელი)
9. Ngai, E. W., & Gunasekaran, A. (2007). A review for mobile commerce research and applications. *Decision support systems, 43*(1), 3-15.
10. Oberlo (2021). *Mobile Commerce Sales in 2021.* Published in https://www.oberlo.com/statistics/mobile-commerce-sales (ბოლო ნახვა 27 ივნისი, 2021 წელი)
11. Pantano, E., & Priporas, C. V. (2016). The effect of mobile retailing on consumers' purchasing experiences: A dynamic perspective. *Computers in human behavior, 61,* 548-555.
12. Samarhan, A. (2016). In-store consumer shopping behaviour through mobile Phones.
13. Statista (2020). *Forecast number of mobile devices worldwide from 2020 to 2024* . Published in https://www.statista.com/statistics/245501/multiple-mobile-device-ownership-worldwide/ (ბოლო ნახვა 27 ივნისი, 2021 წელი)
14. The Future Of M-Commerce (2020). *What is e-commerce? Definition, benefits, examples.* Published in https://www.the-future-of-commerce.com/2020/01/19/what-is-e-commerce-definition-examples/ (ბოლო ნახვა 27 ივნისი, 2021 წელი)
15. Tyrväinen, O., & Karjaluoto, H. (2019). A Systematic Literature Review and Analysis of Mobile Retailing Adoption. *Journal of Internet Commerce, 18*(2), 221-247.
16. Untcad (2021). *COVID-19 and e-commerce: a global review.* Published in https://unctad.org/webflyer/covid-19-and-e-commerce-global-review (ბოლო ნახვა 27 ივნისი, 2021 წელი)
17. Wang, R. J. H., Malthouse, E. C., & Krishnamurthi, L. (2015). On the go: How mobile shopping affects customer purchase behavior. *Journal of retailing, 91*(2), 217-234.

# მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში

**მაია კოპაღიანი**
*თსუ მაგისტრანტი*

*ადამიანთა მიგრაცია დაახლოებით 2 მილიონი წლის წინ დაიწყო. ეს ხანგრძლივი პროცესია და ადამიანების მიერ სხვადასხვა ტერიტორიაზე განსახლებას და მის ათვისებას გულისხმობს. მოსახლეობის მასობრივი მოძრაობა მნიშვნელოვნად ცვლის განსახლების საერთო სურათს და მოქმედებს მოსახლეობის სტრუქტურაზე. იგი გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და სახელმწიფოში ადამიანური კაპიტალის ფორმირებაზე. მიგრაციისა და თავისუფლად გადაადგილების უფლება დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებაა. ადამიანებს აქვთ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა, რაც იმას ნიშნავს რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს არ აქვს უფლება თავის მოქალაქეებს აუკრძალოს ან შეუზღუდოს ემიგრაციაში წასვლა. მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები კი ერთმანეთის პირდაპირპროპორციულია. გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესების შედეგად მიგრაცია უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს მთელი მსოფლიოსთვის. გახსნილმა საზღვრებმა და მეტად ლიბერალურმა მიდგომებმა, ერთის მხრივ, გააძლიერა პროცესები, რამაც უზრუნველყო მოსახლეობის მობილობა და მიმართა ხალხთა ნაკადები სხვადასხვა მიმართულებით. თუმცა, ამავე დროს ზოგი ქვეყნების უმწვავესი პრობლემა გახდა უკონტროლო, არალეგალური მიგრაცია, რამაც უამრავი პრობლემა შექმნა, რის გამოც ქვეყნები იძულებული გახდნენ მკვეთრად შეეზღუდათ იმიგრაცია. უკონტროლო მიგრაციულმა პროცესებმა ნეგატიური ზეგავლენა იქონია საქართველოს განვითარებაზეც. წამოიჭრა ისეთი პრობლემები, როგორიცაა დემოგრაფიული მდგომარეობის დამძიმება, კვალიფიციური კადრების გადინება და ინტელექტუალური პოტენციალის გაფლანგვა. აღნიშნული მოძრაობა, ერთის მხრივ, ცვლის სოციალურ-კულტურულ სტრუქტურას, ხოლო მეორეს მხრივ, შეიძლება განვიხილოთ როგორც სარგებლიანობის მომტანი როგორც დამსაქმებელი, ისე დასაქმებული ქვეყნისათვის.*

*საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, გაანალიზებულია COVID-19 პანდემიის ზემოქმედება და მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში, ასევე, გამოვლენილია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.*

საქართველოში ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საერთაშორისო ემიგრანტთა უმრავლესობა საშუალო ფენის წარმომადგენელია. მათ წინასწარ, მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული გადაადგილების დანახარჯები და მისგან მიღებული შესაძლო მოგება. ეს კონკრეტული მიგრაციული ნაკადები სტიმულირდება მძიმე ეკონომიკური სიტუაციით. საქართველოდან გასული ემიგრანტების არანაკლებ 75%-მა ქვეყანა სწორედ რომ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო დატოვა. ხოლო დანარჩენი მიზეზების - სწავლის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო გასულთა რაოდენობა მთლიანი ემიგრანტების 25%-ია.

მიგრაციაში ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის მიერ ჩაბმა მხოლოდ სიდუხჭირით არაა გამოწვეული და შეიძლება ხასიათდებოდეს მორალური ღირებულებებით, რომელთა შეფასების საფუძველზეც მიიღება კონკრეტული გადაწყვეტილებები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესწილად მიგრაციის გამომწვევ ფაქტორად მიიჩნევა გარანტირებულად მიღებული მატერიალური უზრუნველყოფა ოჯახისა და ახლო ნაცნობებისაგან შორს ყოფნის სანაცვლოდ. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, ემიგრანტების რიცხოვნობა შეადგენდა 123 077 კაცს და თუ მას წარმოვადგენთ წასვლის მიზეზების მიხედვით, დიაგრამის სახით, დავასკვნით, რომ ემიგრაციის ძირითადი მიზეზები ეკონომიკური ფაქტორებითაა განპირობებული.

*დიაგრამა 1.1.ემიგრანტების ხიცხოვნობა წასვლის მიზეზების მიხედვით*




მიგრაციის განხორციელებას წინ უსწრებს ადამიანთა ან ადამიანთა ჯგუფის მიგრაციული განწყობა - გარკვეული მზაობა საცხოვრებელი ადგილის შეცვლისადმი, რომელსაც პოტენციურ მიგრაციასაც უწოდებენ. ეს არის მდგომარეობა, როდესაც გარკვეული ხელშემწყობი პირობების შემთხვევაში, მიგრანტები მკვიდრდებიან ახალ საცხოვრებელ ადგილას. 2014 წლის აღწერით, საქართველოს მთლიანმა მოსახლეობამ შეადგინა 3 713 804, საიდანაც 3 617 804, ე. ი. 97,4% დაბადებული იყო საქართველოში, 66 230 (1,8%) კი - საზღვარგარეთ. 30 693 კაცს მითითებული არ ჰქონდა დაბადების ადგილი, რაც 0,8 %-ია. საზღვარგარეთ დაბადებული 66 230 მცხოვრებიდან, 30 341 დაბადებული იყო რუსეთში, 9 158 სომხეთში და ა. შ.

*დიაგრამა 1.2 საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობის განაწილება ქვეყნების მიხედვით*




მიგრაციის ინტენსიური ზრდის ხელშემწყობ მოვლენად შეიძლება უამრავი ფაქტორი განვიხილოთ. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია წინა საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლამ და მის ნაცვლად დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობამ. ეს ქვეყნები მოიცვა ფართო პოლიტიკურმა, სოციალურ-კულტურულმა, ეკონომიკურმა კრიზისებმა. მოკლე პერიოდში დაიწყო ინტენსიური მიგრაცია, რომელსაც მისი მასშტაბურობით ანალოგი არა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ტერიტორიულმა კონფლიქტებმა და შიდა დაპირისპირებებმა განსაკუთრებით გაართულა გარდამავალი პერიოდი საქართველოში, რომელიც შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს. ესენია:

❶ პირველი ტალღა, რომელიც მოიცავს იძულებით გადაადგილებულ პირებს 1991-1993 წლებში. ამ პერიოდში მოსახლეობამ საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ დატოვა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიები.

❷ მეორე ტალღა, რომელიც მოიცავს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას, რომელთაც საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მოუხდათ იგივე რეგიონის დატოვება.

ორივე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა რაოდენობა საკმაოდ მაღალ ციფრებში გამოისახება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ცხინვალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობას 10-ჯერ აღემატება აფხაზეთის ტეროტირიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები. ეს გასაგებიცაა, რადგან კონფლიქტებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა რიცხვი ბევრჯერ აღემატებოდა ცხინვალის რეგიონში მცხოვრებთა რაოდენობას.

იმის გათვალისწინებით, რომ საყოველთაო კრიზისების გამო მოიშალა მიგრაციის სტატისტიკის წარმოება, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით მიგრაციის აღრიცხვა მოხდა ე. წ. საზღვრის გადამკვეთთა რეგისტრაციის გზით, რაც ძალიან მცირე ინფორმაციულობით გამოირჩეოდა. აქვე აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) გადავიდა მიგრაციის სტატისტიკის წარმოების ახალ მეთოდოლოგიაზე და მის მიერ შემუშავებული ალგორითმის მიხედვით, საზღვრის კვეთის დეტალურ მონაცემებს იღებს შსს-დან, რომელზე დაყრდნობითაც ადგენს პირის საქართველოში და საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდს. ეს მეთოდოლოგია შემუშავებულია გაეროს რეკომენდაციების შესაბამისად.

როგორც მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგები გვიჩვენებს, გარე მიგრაციის სალდოში დიდ წილს არაქართველი მოსახლეობა წარმოადგენს. ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, არაქართველი მოსახლეობის წილი 1989-2002 წლების პერიოდში 26,3-დან 16,2%-მდე შემცირდა, რაც გამოწვეული იყო ემიგრაციული პროცესებით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მიგრაციისა და ურბანიზაციის განყოფილებამ დაამუშავდა 1993 წლის 10 ათასი მიგრანტის ჩაწერისა და ამოწერის ფურცლის მოსახევი ტალონი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მოცემულ წელს ყველაზე აქტიური მიმოსვლა იყო რუსეთის ფედერაციასთან (მიგრაციული სალდოს 61,9%), უკრაინასთან (8,6%), აზერბაიჯანთან (12,7%), სომხეთთან (2,5%), საბერძნეთთან (5,4%) და ისრაელთან (4,4%). შემდგომ პერიოდებში იკვეთება არაქართველთა ინტენსიური გადინება ქვეყნიდან, მცირდება ამ ეროვნებათა მიგრაციული პოტენციალი, რის გამოც თანდათან გაიზარდა ქართველთა საზღვარგარეთ მუდმივად წასვლის სიხშირე და წილი. მათი ემიგრაცია უმეტესად გაჭიანურებულმა კრიზისმა განაპირობა. 1990-იან წლებში მიგრაციული პროცესები ძირითადად ეკონომიკური ფაქტორებითაა განპირობებული.

ქვეყანაში განხორციელებულმა არაერთმა რეფორმამ, რასაც თან ერთვოდა პოლიტიკური სტაბილურობა, უსაფრთხოების ზრდა, გამოიწვია იმიგრაციული ნაკადების მატება, თუმცა, იგი მაინც ვერ აღემატება საქართველოდან გასული ემიგრანტების რაოდენობას. რადგან ემიგრანტების უმეტესობა ისეთ ქვეყნებში მიდის, სადაც შედარებით უკეთესი ეკონომიკური სიტუაციაა, ასეთი ქვეყნები უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს ადამიანს გაიუმჯობესოს ცხოვრების პირობები.

იმისავის, რომ ინფორმაცია მეტად აღქმადი გახდეს და თავისუფლად შევძლოთ მოვლენების ინტენსივობის დახასიათება, შეგვიძლია მოვიშველიოთ 2012-2020 წლების პერიოდის შეფარდებითი მაჩვენებლები მიგრაციული სალდოსა და ასევე მიგრაციის კოეფიციენტის შესახებ. როგორც მომდევნო ცხრილიდან ირკვევა, 2012-2020 წლებში, საქართველოსთვის დამახასიათებელია უარყოფითი მიგრაციული სალდო, გარდა 2020 წლის მაჩვენებლისა.

*ცხრილი 2.1. საქართველოს მიგრაციის საldო და კოეფიციენტი წლების მიხედვით*

| წლები | სალდო | კოეფიციენტი მოსახლეობის 1 000 კაცზე |
|---|---|---|
| **2012** | -21,521 | -5.8 |
| **2013** | -2,606 | -0.7 |
| **2014** | -6,620 | -1.8 |
| **2015** | -3,408 | -0.9 |
| **2016** | -8,060 | -2.2 |
| **2017** | -2,212 | -0.6 |
| **2018** | -10,783 | -2.9 |
| **2019** | -8,243 | -2.2 |
| **2020** | 15 .732 | 4.2 |

რადგან მოსახლეობის რიცხოვნობის აბსოლუტური მატება ბუნებრივი და მიგრაციული მატებების ჯამის ტოლია, ეს აბსოლუტური მაჩვენებლები საშუალებას იძლევა განისაზღვროს მოსახლეობის მიგრაციის როლი ქვეყნის, ან მისი ცალკეული ტერიტორიის მოსახლეობის რიცხოვნობის ფორმირებაში, რაც ხორციელდება მიგრაციის საბალანსო ანალიზით. თუ 2020 წლის მონაცემებს არ გავითვალისწინებთ, აღნიშნულ პერიოდში გარე მიგრაცია საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობაზე უარყოფითად მოქმედებს, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა 2018 წელს. ამ წელს უარყოფითი მიგრაციული მატება 2013 წელთან შედარებით 4,1-ჯერ გაიზარდა. ცხადია, 2013-2019 წლებში საქართველოს მოსახლეობა იზრდებოდა მხოლოდ ბუნებრივი მატების ხარჯზე.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2020 წელს ემიგრანტების რიცხოვნობამ 74 264 კაცი შეადგინა, რაც 29.3%-ით მცირეა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ამავე წელს, იმიგრანტების 74.%-სა და ემიგრანტების 58.4% საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენდენ. საქართველოს მთლიანი მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 728.6 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 0.3%-ით მეტია. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (-4 017) და დადებითი მიგრაციული სალდო (15 732).

*დიაგრამა 2.2. მოსახლეობის რიცხოვნოს ცვლილების კომპონენტები*



*დიაგრამა 2.3. მიგრაციული საldო, ათასი*




მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტების ზრდას თან ახლავს ქვეყნიდან კვალიფიური, შრომისუნარიანი კადრების გადინება, პრობლემა ქვეყნიდან „ტვინების გადინება“ სულ უფრო მწვავე ხდება გლობალიზაციის გაღრმავების კვალდაკვალ. თუმცა, მას დადებითი მხარეც აქვს, განსაკუთრებით ეკონომიკური. ყველაფერი ეს ხელს უწყობს ქვეყანაში ფულადი გზავნილების შემოსვლას. 2020 წელს მაისში ქვეყანაში შემოსული ფულადმა გზავნილებმა 131.8 მლნ აშშ დოლარი (421.6 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 9.6%-ით (13.9 მლნ აშშ დოლარით) ნაკლებია 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. გასაგებია, რომ 2020 წელს შემცირების ძირითადი ფაქტორი COVID-19 პანდემიაა.

გარდა იმისა, რომ გაზრდილ ემიგრაციასთან ერთად, ბოლო წლებში შესამჩნევი გახდა ემიგრანტთა დაბრუნების მზარდი ტენდენცია, მსოფლიო დადგა ისეთი მოულოდნელი და გლობალური გამოწვევის წინაშე, როგორიცაა კორონავირუსის გავრცელება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 21 იანვარს, გამოაცხადა პანდემია. აღნიშნულის გამო, მსოფლიოს ყველა ქვეყანამ დასახა ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად კონკრეტული სტრატეგიები, რაც უპირობოდ მოიცავდა საზღვრების ჩაკეტვას. საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული ამოცანების შესრულებაში დიდი როლი შეიტანა საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ასევე პარტნიორი სახელმწიფოების დახმარებამ. ჩვენმა სახელმწიფომ უზრუნველყო საკუთარი მოქალაქეების დაბრუნება სამშობლოში, დანიშნა სპეციალური საჰაერო რეისები და მოქალაქეებს დაეხმარა საზღვრის გადმოლახვაში. შესაბამისად, 2020 წელს COVID-19-ის კრიზისის და საზღვრების ჩაკეტვის გათვალისწინებით, საქართველოდან ემიგრაცია მკვეთრად შემცირდა. შემცირდა იმიგრაციაც, თუმცა ემიგრანტთა რაოდენობის უფრო მკვეთრი კლების გამო, მიგრაციული სალდო დადებითი გახდა, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანა 183 დღეზე მეტი ვადით უფრო ნაკლებმა ადამიანმა დატოვა, ვიდრე ჩამოვიდა.

საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა მიგრაციის მართვის კუთხით, რაც განაპირობა ეროვნულ დონეზე თანმიმდევრულმა პოლიტიკის შექმნამ. ამას ხელი შეუწყო, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისათვის განსაზღვრულმა სამოქმედო გეგმამაც, სწორად გათვალისწინებულმა და შესრულებულმა ამოცანებმა, საქართველოს მიგრაციის სტრატეგიების (2013-15 და 2016-2020 წწ.) ფარგლებში განხორციელებულმა ქმედებებმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგით გათვალისწინებულია საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის მეტწილად

განხორციელება. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მიგრაციის სტრატეგიის განხორციელების პროცესი მაქსიმალურად წარმატებით წარიმართოს და ამან ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების განხორციელებას.

2015 წელს დამტკიცებული 2016-2020 წლების სამოქმედო სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია მიგრაციის სფეროზე, მთავარ აქცენტს აკეთებს საერთაშორისო მიგრაციული პროცესების დარეგულირებაზე, როგორიცაა: უკანონო მიგრაციის აღმოფხვრა, ლეგალური კანონიერი მიგრაციის ხელშეწყობა, საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის გაღრმავება, საზოგადოებაშიცნობიერების ამაღლება და ა. შ.

მიგრაციული პროცესების ანალიზისა და მართვის პროცესების მეტად ეფექტიანი გამოყენების მიზნით, ევროკავშირის თანადაფინანსებით და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ე. წ. „Big Data“ ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნილია მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა (მეას). იგი ბაზაში აერთიანებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ იმიგრაციის თემაზე შეგროვებულ ადმინისტრაციულ მონაცემებს. 2019 წლიდან ეტაპობრივად მიმდინარეობს სისტემის რეალურ რეჟიმში გადასვლის პროცესი. 2019 წლის ივნისის მდგომარეობით, ანალიტიკური სისტემიდან მომზადებულია 10-ზე მეტი საცდელი ანგარიში.

საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი მიიღო ბოლო 6 წლის განმავლობაში მიგრაციის მართვის სფეროში:

- 2014 წელს მიღებულ იქნა ორგანული კანონი, რომელიც უფრო ადვილად გასარკვევ განმარტებას გვაძლევს საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. იგი სრულად შეესაბამება გაეროს მიერ გამოცემულ კონვენციას მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ. სტანდარტულად 10 წელია მინიმალური ხანგრძლივობა ცხოვრების, რომ საქართველოს მოქალაქოების არქმონე პირმა მიიღოს მისი მოქალაქეობა.
- ამავე წელს, სექტემბერში მიიღეს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რითაც ახალი პირობები დაწესდა უცხოელებისთვის საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის. 2015 წელს ამ კანონში შევიდა გარკვეული ცვლილებები.
- 2015 წლის კანონი, რომელიც შრომით მიგრაციას უკავშირდება, არეგულირებს საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ სამუშაო ნორმებს და იცავს საკუთარი მოქალაქეების უფლებებს.
- 2017 წლიდან ამოქმედდა ახალი კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“, რომელიც არეგულირებს თავშესაფრის მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ეს იქნება ვადების გასაზღვრა თუ ამ უფლებების სწორი გამოყენება.
- ცირკულარული მიგრაციის სქემა - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) საპილოტე პროგრამა - მიზნად ისახავს საქართველოსა და გერმანიას შორის ცირკულარული მიგრაციის სქემის შემუშავებასა და ლეგალური შრომითი მიგრაციის ხელშეწყობას.

## დასკვნა

მიგრაცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური, დემოგრაფიული განვითარების ჭრილში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მისი ეფექტიანი მართვა ქვეყნის უსაფრთხოების და გრძელვადიანი სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის. ეკონომიკური თვალსაზრისით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უამრავმა ადამიანმა მიატოვა თავისი ქვეყანა და უმეტესწილად ეკონომიკური მდგომაროების გაუმჯობესების მიზნით წავიდა საზღვარგარეთ.

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის სფეროში გატარდა არაერთი რეფორმა, მიგრაციული სალდო საქართველოში მაინც უარყოფითია (ანუ უფრო მეტი ემიგრანტი ჰყავს ქვეყანას,

ვიდრე იმიგრანტი). მიგრაციული სალდოს დადებითი ცვლილება მხოლოდ 2020 წელს შეინიშნება, როდესაც COVID-19 პანდემიის კრიზისისა და საზღვრების ჩაკეტვის გათვალისწინებით, საქართველოდან ემიგრაცია მკვეთრად შემცირდა. იმავდროულად შემცირდა იმიგრაციაც. თუმცა, ემიგრანტთა რაოდენობის უფრო მკვეთრი კლების გამო, მიგრაციული სალდო დადებითი გახდა. როგორც ემიგრანტების, ისე იმიგრანტების შემთხვევაში, 25-29 ასაკობრივ ინტერვალშია ყველაზე მეტი მათი რიცხოვნობა. ცალკეული ქვეყნების მიხედვით, ყველაზე მეტი ემიგრანტი რუსეთის ფედერაციაშია წასული, მეორე ადგილზეა საბერძნეთი, მესამეზე - თურქეთი. რუსეთის ფედერაციაში, საფრანგეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში ემიგრირებულთა უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენენ, ხოლო საბერძნეთში, თურქეთში, იტალიაში, გერმანიაში, აშშ-სა და ესპანეთში კი ემიგრანტი ქალები ჭარბობენ.

რადგან საქართველოში მიგრაციის სფეროში მაინც უარყოფითი სალდოა, მოსახლეობის უმეტესობა მიემართება სოფლიდან დიდ ქალაქებში, იზრდება საქალაქო დასახლებებში მოსახლეობის რიცხოვნობა, ე. ი. ეს მიმართულება საჭიროებს კიდევ უფრო დახვეწასა და რეფორმების გატარებას. სახელმწიფომ უნდა გადადგას სწორი ნაბიჯები მიგრაციის საკითხებში და გაითვალისწინოს ყველა აღნიშნული დადებითი და უაროფითი ეფექტი. აუცილებელია მიგრაციასთან დაკავშირებული ყველა პროცესი წარიმართოს საქართველოს მოქალაქეების ინტერესის შესაბამისად და საერთაშორისო კანონების დაცვით, რადგან საქართველო არის მცირერიცხოვანი, განვითარებადი ერი და დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ადვილად მოწყვლადი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გატარდეს ისეთი პოლიტიკა, შეიქმნას ისეთი მდგრადი ეკონომიკური გარემო, რომ ადამიანებს შეეძლოთ საცხოვრებელ ადგილზევე განვითარდნენ, მიღონ არსებობისთვის საჭირო რესურსები და ამის გამო არ მოუწიოთ წასვლა ქვეყნიდან.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ტუხაშვილი მირიან, ნ. კ. (2003). *მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. ტუხაშვილი, მ., &ჭელიძე, ნ. (2015). მიგრაციული პროცესების კლასიფიკაცია და მიგრაციული პროცესების აღრიცხვა. In მ. ტუხაშვილი, *შრომითი მიგრაცია* (pp. 20-21). თბილისი.
3. ტუხაშვილი მირიან, ნ. კ. (2003). *მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. ხმალაძე, მ. (2020). მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკა. In მ. ხმალაძე, *დემოგრაფიული სტატისტიკა* (p. 1). თბილისი.
5. ჭელიძე, ნ. შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში. ლეგა, თბილისი, 2006.
6. ჭელიძე, ნ. შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში. ლეგა, თბილისი, 2007
7. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2019). საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი. საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი, pp. 68-69.
8. მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერა. (2002).
9. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა.
10. საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია. (2016, ივნისი 24).
11. საქართველოს ეროვნული ბანკი.
12. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა საკითხები.
13. *Geostat.ge*.
14. http://census.ge/ge/results/census1/migrationout
16. https://matsne.gov.ge
15. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=728
16. http://mra.gov.ge

# COVID 19-ის შედეგები და მისი გავლენა სამუშაო ძალაზე

**_თეონა მაისუხაძე_**
_თსუ დოქტორანტი_

_წლებია, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები მხავადი ტიპის გამოწვევის წინაშე დგანან. გლობალიზაციის პირობებში თითოეული მოვლენა უფრო მეტ ქვეყნაზე ახდენს მსგავს გავლენას, ვიდრე ეს წლების წინ ხდებოდა. ამ ყოველივეს განსაკუთრებული ეფექტი აქვს იმ ადამიანებზე, რომლებიც აქტიურ სამუშაო ძალას შეადგენენ. შესაბამისად, პოტენციური დასაქმებულების ფსიქოლოგიაზე. აღნიშნულის ხელული სურათი სწორედ COVID 19-თან ერთად გაჩნდა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში და თითოეული დღის გასვლასთან ერთად უფრო მკვეთრი ხდება. პანდემია ერთნაირი სიმძაფრით შეეხო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს და მისი არსებობა ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა. მიმდინარე მოვლენებმა თითოეულმა ადამიანის ცნობიერება და აღქმა შეცვლა. გახდა ამისა, შეიცვალა ადამიანების მიერ მათი მომავლის სტრატეგიული ხედვა და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა დაიწყეს. დაიწყო სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ამან გამოიწვია ორგანიზაციების მხრიდან ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და კურსის ცვლილება. სამუშაო ძალის ქცევის შეცვლა და ტალანტების სიმწირე, მნიშვნელოვანი გამოწვევა გახდა ორგანიზაციებისთვის. ნაშრომის მიზანია სამუშაო ძალაზე COVID 19-ის გავლენის და იმ შედეგების შეფასება, რომლებიც დღეისათვის საგულისხმოა თითოეული ორგანიზაციის მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერებისთვის. განხილულია და დამუშავებულია პრაქტიკაში წარმატებული შემთხვევები, თუ როგორ შეიძლება არსებული და მიმდინარე ცვლილებები კონსტრუქციული შედეგების მისაღწევად იქნას გამოყენებული._

**_საკვანძო სიტყვები:_** _COVID 19, სამუშაო ძალა, ორგანიზაციების თანამედროვე გამოწვევები, ადამიანური რესურსების მართვა_

COVID 19-მა მილიონობით სამუშაო ადგილის დაკარგვა გამოიწვია მთელი მსოფლიოს მასშტაბით და მათ შორის საქართველოში. მისი გავლენა იგრძნობა ყველგან და ყველასთვის. პანდემიამ დააზარალა არა მხოლოდ ოფიციალურად დასაქმებული ადამიანები, არამედ გარემოვაჭრეები, ინდივიდუალური მეწარეები, დღიური მომუშავეები და ა.შ. სახელწიფოს მხრიდან დახმარების მიუხედავად, ბევრმა ვერ შეძლო შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა და იმ ანტიკრიზისული დახმარების მიღება, რომელიც პანედემიისგან ამ კატეგორიის დაზარალებულთათვის იყო განკუთვნილი. COVID-19-მა ჯანდაცვის, ეკონომიკის, უსაფრთხოებისა თუ სოციალური დაცვის მიმართულებებითაც გაამძაფრა ის უთანასწორობები, რომლებიც პანდემიის დაწყებამდეც არსებობდა, განსაკუთრებით ქალებისა და გოგონების მიმართ. ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორში განხორციელდა, რადგან არსებულმა შეზღუდვებმა ბევრი ობიექტის და სასტუმროს დაკეტვა ან მნიშვნელოვანი შეკვეცა გამოიწვია. ქვეყნების მიერ ტურიზმის სექტორის აღდგენის ცვლილებების მიუხედავად, ყოველდღიურად მილიონობით ევროს და დოლარის შემოსავალი იკარგება ევროპასა და ამერიკაში. აღნიშნული შედეგების განგრძობადობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ვაქცინაციის მიუხედავად სიტუაცია დღემდე არ არის სრულად მართვადი, საზღვრების უმეტესობა კვლავ ჩაკეტილია ან მკაცრი წესებით შესვლაა ნებადართული. შესაბამისად, მოთხოვნა მნიშვნელოვნადაა შემცირებული თითქმის ყველა დარგში. ეს ერთის მხრივ, ბიზნესს სამუშაო ძალის შემცირებისკენ უბიძგებს. მეორეს მხრივ, კი დაქირავებით დასაქმებულების მეტი და მეტი ნაწილი მიმართავს თავისუფალ მუშაობას, ე.წ. „ფრილანსინგს“. გაზრდილია ნაკვეთებსა და სოფლის სახლებზე მოთხოვნა. ოჯახების ნაწილი ტოვებს ქალაქს და სოფელში გადადის საცხოვრებლად.

აღნიშნული პირობების ფარგლებში, ორგანიზაციები ადაპტირდებიან ახალ რეალობაზე და მნიშვნელოვნად იცვლება მათი ქცევა. ამ პროცესში ერთ-ერთი საკვანძო როლი ადა-

მიანური რესურსების მენეჯერებს აქვთ. სამუშაო ძალის დეფიციტთან ერთად, არსებული პერსონალის შენარჩუნება არანაკლებ რთული ამოცანაა. ტოპ-მენეჯმენტს ადამიანური რესურსების მენეჯერთან ერთად უწევთ არა მხოლოდ ადაპტირდნენ ახალ სამუშაო კულტურაზე, არამედ მოახდინონ ურთიერთობების მართვა, რეკრუტინგი, სწავლება, განვითარება, შეფასება, ორგანიზაციული კულტურის გუნდური სულისკვეთების შენარჩუნება ახალ რეალობაში.

## მსოფლიო პრაქტიკა

მსოფლიოს წამყვანი კომპანიები აქტიურად მუშაობენ პანდემიის მიერ შექმნილი ახლი გამოწვევების მისაღებად, აფასებენ ამ პერიოდში განხორციელებული პრაქტიკების დადებით და უარყოფით მხარეებს და აქტიურად აზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. ცნობილი საკონსულტაციო კომპანია Mckinsey and Co. აქვეყნებს თავის დასკვნებს ბიზნესზე Covid19-ის გავლენის შესახებ. თუმცა, სწორი პასუხები ჯერ არავის აქვს. მათი ერთ-ერთი რეკომენდაციაა, დამსაქმებლები მოემზადონ გრძელვადიანი ჰიბრიდული მოდელისთვის, რადგან გამოკითხვის შედეგად, სამუშაო ძალას დღეს ასეთი მოთხოვნები აქვს (დიაგრამა 1). გამოკითხული იქნა ტოპ მენეჯმენტის 504 წევრი. დასაქმებულების მოთხოვნების გათვალისწინებამ კი, შესაძლოა სავალალო შედეგამდე მიიყვანოს კომპანიები. გამოკითხვის შედეგად, დასამებულთა 40% აპირებს წლის ბოლომდე მიმდინარე დამსაქმებლისგან წასვლას (Mckinsey and Co, 2021).

***დიაგრამა 1. დისტანციური მუშაობა პანდემიამდე და სავარაუდოდ პანდემიის შემდეგ***




პერუსაც, ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად მოუწია პანდემიის შედეგად გამოწვეულ სტრესული პერიოდში არსებობა. სახელმწიფო აქტიურად ჩაერია სიტუაციის რეგულირებაში. რადგან პანდემიის შედეგად ერთ-ერთ ყველაზე დაზარალებულ მხარეს ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული ადამიანები შედგენდნენ, აქცენტი სწორედ ამ კატეგორიაზე მოხდა. პერუს მიერ განხორციელებულ ეფექტიან ღონისძიებებს შეადგენდა: საჯარო სამუშაო ძალის დამატებ დროებითი კონტრაქტების, საგანგებო ანაზღაურების, ჯანმრთელობის მეცნიერების ფაკულტეტებთან და პროფესიულ კოლეჯებთან თანამშრომლობისა და ნებაყოფლობითი სამუშაო ძალის მოქნილობის საშუალებით. (Gareth H Rees, Felipe Peralta Quispe, Cris Scotter, 2021).

Covid19-ის გავრცელების შედეგად, არანაკლებ დაზარალდა ევროპის სამუშაო ძალაც. 2020 წლის მარტიდან 2021 წლის მარტამდე, დასაქმების დონე ევროპაში 2.4%-ით შემცირდა, დასაქმებულთა ყოველკვირეული სამუშაო საათები 1 სთით შემცირდა. 2020 წლის ივლისში დასაქმებულთა 50% დისტანციურ გრაფიკზე გადავიდა, რამაც ახალი, განსხვავებული შრომის ბაზარი გახსნა. ახალგაზრდა თაობის დიდმა ნაწილმა სამსახური დაკარგა, ხოლო საშუალო ასაკის დასაქმებულებს სამუშაო დრო შეუმცირდათ. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულია, უმუშევრობის დონეს იმ პიკისთვის არ მიუღწევია, როგორც ეს 2008-2010 წელს ფინანსურმა ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია. (Eurofound 2021)

პანდემიური სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით ევროკავშირმა 2020 წლის 23 აპრილს გაჯანსაღების გეგმა შეიმუშავა. 21 ივლისს ევროკავშირის ლიდერები შეთანხმდენენ €1 824 მილიარდიან ბიუჯეტზე 2021-2027 წლისათვის. ამ ფონდის მიზანი დასაქმებულების, ბიზნესების და ქვეყნების მხარდაჭერაა. მათ სურთ, კომპანიები მალე დაუბრუნდნენ ძველ მდგომარეობას და მსოფლიო დონეზე კონკურენტუნარიანები გახდნენ. ამის გარდა, ევროკავშირის პრიორიტეტებია: ვირუსის გავრცელების შეზღუდვა, საჭირო სამედიცინო აღჭურვილობების ქონა და ვაქცინებსა და წამლებზე საჭირო კვლევების მხარდაჭერა. (Report of European Council of the European Union, 2021)

## საქართველოს მაგალითი

პანდემიამ, საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად დააზარალა. მძიმე დარტყმა მიიღო ბიზნესმა და სამუშაო ძალამ. 2019 წლიდან მოყოლებული, დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 41.5 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22.5 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 36.0 პროცენტი - მცირე ბიზნესზე. დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 586.4 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 8.5 პროცენტით ნაკლები) (დიაგრამა 2). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 299.9 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.5 პროცენტით ნაკლები). 2021 წლის I კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 283.5 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 56.5 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 1018,6 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 61.0 ლარით). რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება: ● ქ. თბილისი – 65.4 პროცენტი, ● აჭარის ა.რ. – 8.1 პროცენტი, ● იმერეთი – 6.9 პროცენტი, ● ქვემო ქართლი – 5.8 პროცენტი, ● სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.0 პროცენტი.

*დიაგრამა 2. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით*




ჩვენი აზრით, ამ ყველაფრის გამოწვევი მიზეზი, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული პოლიტიკა იყო. პანდემიის დაწყებისთანავე, მკაცრი რეგულაციები დაწესდა, ბიზნესის საქმიანობა შეიზღუდა. ხოლო 2020 წლის ზაფხულის პერიოდში, აღნიშნული რეგულაციების შემსუბუქებამ ქვეყანა პანდემიის მეორე ტალღამდე მიიყვანა. ამან კი კვლავ პირვანდელ რეჟიმზე დაბრუნების საჭიროება განაპირობა. სიტუაცია დარეგულირდა და ვაქცინაციის პროცესი დაიწო. თუმცა, არ მოხდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და პროცესის სწორი მე-

ნეჯმენტი. შესაბამისად, ვაქცინაცია საკმაოდ დაბალი ტემპით მიმდინარეობს. 2021 წლის ზაფხულის დასაწყისში რეგულაციებიც მოიხსნა. ამან გამოიწვია, კოვიდნფიცირებულთა შემთხვევების მატება და ქვეყანაში მეოთხე ტალღის საშიშროება. შესაბამისად, ალბათობა იმისა, რომ ქვეყანამ მეტი ეკონომიკური ზიანი განიცადოს კვლავ მაღალი რჩება. ამ პროგნოზის გამართლება, ყველაზე მეტად იმ დარგებს დააზარალებს, რომლებიც ისედაც ძალიან დაზარალდნენ პანდემიის დროს და რომელთაც დისტანციურ რეჟიმზე მუშაობის შესაძლებლობა შეზღუდული აქვთ. თუ შევადარებთ 2020 და 2021 წლების პირველი კვარტლების მონაცემებს, ბრუნვა შეუმცირდა შემდეგ სექტორებს: წყალმომარაგება, მშენებლობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები. (ცხრილი 1).

***ცხრილი 1. ბრუნვა საქმიანობის სახეების მიხედვით***

| ბრუნვა (მლნ. ლარი)<br>NACE REV. 2 | 2020 წლის I კვარტალი | 2021 წლის I კვარტალი |
|---|---|---|
| საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ | **26 015.2** | **28 949.3** |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 138.2 | 156.4 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 208.4 | 283.6 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 2 318.9 | 2 556.7 |
| ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება | 1 031.8 | 1 213.8 |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები | 63.8 | 76.1 |
| მშენებლობა | 1 505.8 | 1 453.4 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 9774.5 | 1 0746.3 |
| ტრანსპორტი და დასაწყობება | 1 403.8 | 1 367.1 |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 437.5 | 229.5 |
| მათ შორის: | | |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა | 180.6 | 52.6 |
| საკვებით და სასმელებით მომსახურება | 256.9 | 176.9 |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 446.5 | 511.8 |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 367.9 | 247.1 |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 330.0 | 318.5 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 291.4 | 136.6 |
| განათლება | 119.6 | 125.8 |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 301.8 | 315.7 |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 7 236.9 | 9 182.4 |
| სხვა სახის მომსახურება | 38.3 | 28.5 |

## დასკვნა

პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიკასა და სამუშაო ძალას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ქვეყნებმა ბევრი მხარდამჭერი ღონისძიება განახორციელეს, შეიმუშავეს ანტიკრიზისული გეგმები. შემუშავდა ვაქცინები და აქტიურად მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი. ბიზნესს, მსოფლიო მასშტაბით, ახალ რეალობაში უწევს ფუნქციონირება. პანდემიასთან ერთად ცხოვრების წელიწადნახევარმა ბევრი რამ გახადა ნათელი. პირველი, ეს პროცესი მალე არ დასრულდება. შესაბამისად, მასთან თანაცხოვრება უნდა შევძლოთ. მთავრობის მიერ გახორციელებული ღონისძიებები ვერ შეძლებს მიმდინარე სიტუაციის კონტროლს. სახელმწიფოების მხრიდან მნიშვნელოვანია, მოქალაქობრივი თვითშეგნების ამაღლებაზე მუშობა, რათა თავი დავიცვათ ვირუსის მეტად გავრცელებისგან. ასევე, ვაქცინაციის პროცესისადმი მიმღებლობის გაზრდა. ყოველივეს პირორიტეტი სამუშაო ძალა უნდა იყოს, ვინაიდან სწორედ ძლიერი და კვალიფიციური სამუშაო ძალა ჯანსაღი ფსიქიკით შეძლებს კვლავ აღმავლობის გზისაკენ დააყენოს სახელმწიფოები. ამისათვის საჭიროა პირველ რიგში ჯანსაღი კომუნიკაცია სახელმწიფოს, ბიზნესაა და დასაქმებულებს შორის. თუ ყველა მხარის ინტერესი არ იქნა გათვალისწინებული, მოწყლადი ჯგუფების რაოდენობა გაიზრდება. ასევე, აქცენტი უნდა გაკეთეს იმ სამუშაო ძალაზე, რომელიც ჯანდაცვის სექტორში მუშაობს და დღემდე პანდემიასთან ბრძოლის წინახაზზეა. მათ ყველაზე დიდი ზეწოლა ჰქონდათ, მძიმე ფსიქოლოგიურ პირობებში, დიდი დატვირთვით და დაბალი ანაზღაურებით უწევდათ მუშაობა. საჭიროა, მოხდეს ამ ყველაფრის კომპენსირება შედარებით მშვიდ პერიოდში, როცა შემთხვევების დონე დაბალია. უნდა შემუშავდეს მათთვის კეთილდღეობის პროგრამები, მიეცეთ კუთვნილი შვებულებები და სხვა დამატებითი სარგებელი. შემდეგი პრიორიტეტი ტურიზმის სფეროს მაქსიმალურად სწორი რეგულაციებით ამუშავება უნდა იყოს. სასტუმროებისა და რესტორნების კვლავ დაკეტვა კიდევ უფრო დააზარალებს ამ სექტორს. რაც შეეხება დანარჩენ ბიზნესს, მათ მაქსიმალურად უნდა მოუსმინონ თავიანთ დასაქმებულებს, გაითვალისწინონ მათი სურვილები და დაზოგილი დრო მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და ახალი უნარების შეძენაში გამოიყენონ.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის, 2020
   https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf
2. თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა, 2020
   https://www.unicef.org/georgia/media/5811/file/Global%20Report%20GE.pdf
3. საწარმოო საქმიანობის შედეგები, 2021, I კვარტალი
   https://www.geostat.ge/ka/single-news/2258/satsarmota-sakmianobis-shedegebi-2021-tslis-i-kvartali
4. სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა), 2021, I კვარტალი
   https://www.geostat.ge/ka/single-news/2248/samushao-dzalis-machveneblebi-dasakmeba-da-umushevroba-2021-tslis-i-kvartali
5. COVID 19-ის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე რეგიონულ ჭრილში, 2020
   https://eecmd.org/wp-content/uploads/2021/01/Policy-Paper_Covid-19
6. COVID 19-ის გავლენა დასაქმებაზე, 2020
   http://gtuc.ge/wp-content/uploads/2020/08/
7. COVID-19-მა საქართველოში ქალთა მდგომარეობა გააუარესა, გენდერული უთანასწორობა კი - გააღრმავა, 2020

a. https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2020/06/covid-19-exacerbates-womens-vulnerabilities-and-gender-inequalities-in-georgia

8. COVID-19 coronavirus pandemic: the EU's response, https://www.consilium.europa.eu/en/policies/coronavirus/
9. COVID-19: Implications for business, 2021 https://www.mckinsey.com/business-functions/risk/our-insights/covid-19-implications-for-business
10. Eurofund Report: Employment and labour markets, COVID-19: Implications for employment and working life, 2021, https://www.eurofound.europa.eu/sites/default/files/ef_publication/field_ef_document/ef20050en.pdf
11. Gareth H Rees, Felipe Peralta Quispe, Cris Scotter, The implications of COVID-19 for health workforce planning and policy: the case of Peru, 2021 https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/hpm.3127

# საქართველოს განათლების სისტემის ციფრული ტრანსფორმაცია Covid-19-ის პირობებში

**მარიამ მელიქიძე**
*თსუ დოქტორანტი*

*ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებისთვის, აუცილებელია მომავალი თაობის ცნობიერების ისე გარდაქმნა, რომ მზად იყვნენ ახალი გამოწვევებისთვის. განათლების სისტემის განვითარებას შეუძლია ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის განვითარების სტაბილურობას. სიღარიბის დაძლევა და შემოსავლების მაჩვენებლების ზრდაც ხომ განათლებული ადამიანების მოქმედებების შედეგად ხდება. ვფიქრობ, თითოეულმა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს ციფრული გარდაქმნის საშუალებები და შეიძინონ ასეთი ტრანსფორმაციისთვის საჭირო ცნობიერება, უნარები და ინსტრუმენტები. განათლების ციფრულ ტრანსფორმაციაში მნიშვნელოვანია ამ სფეროში წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც უკვე განახორციელეს ასეთი გარდაქმნა. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის დაჩქარებული ტემპით განვითარებაც შესაძლებელია განათლების სისტემის ჯანსაღად ფუნქციონირების გზით. თუმცა, ცალსახაა, რომ ამ სფეროს წარმომადგენლები ახალი გამოწვევების წინაშე არიან მსოფლიო პანდემიის პირობებში. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოში არსებული მდგომარეობა სწრაფი ტემპით იცვლება, შეუძლებელია პანდემიის გავლენის შეფასება და მასშტაბების განსაზღვრა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *განათლების სისტემა, ციფრული ტრანსფორმაცია, ახალი გამოწვევები, მსოფლიო პანდემია - Covid19*

სტატიის ძირითადი მიზანია დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და მიმდინარე პროცესების ანალიზი, შეფასება და მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლით საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას მოუწია რიგი ბარიერების გადალახვა, შემუშავდა საკანონმდებლო ჩარჩო და ახალი რეკომენდაციები, რაც კრიზისული ვითარების დაძლევის მიმართულებით საკმაოდ დიდი გამოწვევა იყო. აღნიშნული საკითხი ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის საინტერესო აღმოჩნდა და პანდემიის პირობებში დღემდე საერთო პრობლემად რჩება. ასევე, პრობლემაა ის ფაქტი, რომ ახალ რეალობაში გადასვლა განხორციელდა დროის მცირე მონაკვეთში და არ გვაქვს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები დიდი რაოდენობით, რაც ართულებს სიტუაციის სიღრმისეულ ანალიზს, მცირე დროის გასვლის გამო კი რთულია მთავრობის მიერ გატარებული საგანმანათლებლო პოლიტის ეფექტიანობის შეფასება ან განხილვა უარყოფით ჭრილში.

მოსწავლისა და სტუდენტის აღჭურვა ციფრული წიგნიერებით ქართული განათლების სისტემის პოლიტიკის ერთდერთი მთავარი პრიორიტეტია და მის სამართლებრივ რეგულაციებშიც პოვებს ასახვას (საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა, საქართველოს უმაღლესი განათლების კანონი), ამიტომ, ელეტრონული სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკად ქცევა და მისი პრაქტიკული განხორციელება საქართველოს უნივერსიტეტებისათვის სანიმუშო საქმეა.

**ელექტრონული განათლების დადებითი მხარეები.** მოხერხებულობა და ხელმისაწვდომობა, მოქნილობა, არჩევანის თავისუფლება, ხარჯების შემცირება, თვითმართვადი გარემოს შექმნა, ზოგიერთი ადამიანის ფსიქოლოგიაზე მორგებულობა, პარალელიურ რეჟიმში მუშაობის შესაძლებლობა, თვითშთაგონება, არჩევანის მოქნილობა, ადაპტაცია და თავისუფლება, ფულისა და დროის დაზოგვა, ვირტუალური მოგზაურობებით შემეცნება, კომუნიკაცია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

**ელექტრონული განათლების უარყოფითი მხარეები.** პროფესორ-მასწავლებელთან, მასწავლებელთან პირისპირ შეხვედრის შეუძლებლობა, სანდოობის დაბალი მაჩვენებელი

დისტანციურ სწავლასთან დაკავშირებით, ახალი უნარებისა და ტექნოლოგიების ფლობის აუცილებლობა, სოციალური ინტერაქციის არქონა, აკადემიური გარემოპირობების არარსებობა, სტუდენტური ცხოვრების არქონა და სხვა.

ზოგადად, დისტანციური სწავლების მოდელებში თვალსაჩინოა „სინქრონული სწავლება“, „ასინქრონული სწავლება“ და „ჰიბრიდული სწავლების მოდელი“. მათ შორის ყველაზე ხშირად გვხვდება „ჰიბრიდული მოდელი“, რომლის დროსაც პარალელურ რეჟიმში გამოიყენება დისტანციური სწავლებისა და დასწრებითი სწავლების კომბინაცია. „ციფრული რესურსები“-ის გამოყენებაც საკმაოდ აქტუალურია. გამოიყენაბა მოსწავლის ასაკისა და განვითარების შესაბამისი რესურსები და ელექტრონული პლათფორმები.

მრავალრიცხოვანი საერთაშორისო კვლევების თანახმად, ყველაზე ეფექტურად შერეული ან ჰიბრიდული ტიპის სწავლება ითვლება. ამ დროს მოსწავლე ცოდნის მიმღებიდან, საგანმანათლებლო პროცესის აქტიურ მონაწილედ იქცევა. კვლევებმა დაადასტურა, რომ შერეული სწავლება ამაღლებს მოსწავლეების ცოდნას, აუმჯობესებს მათ დისციპლინასა და სკოლისადმი დამოკიდებულებას. ასევე ის მომგებიანი ფინანსური თვალსაზრისითაც არის.

მაგალითად, ნიდერლანდებმა, ფინეთმა და დანიამ სასწავლო პროცესი ჯერ კიდევ 2020 წლის აპრილ-მაისში განაახლეს. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა ორჯერ შემცირდა, ზოგი გაკვეთილი კი სუფთა ჰაერზე ტარდებოდა. სასწავლო პროგრამა ახალი რეალობის შესაბამისად შეიცვალა, მოსწავლეებს მეტი თავისუფლება მიეცათ. და მათ სოციალიზაციას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. ფინეთში გაკვეთილებზე დასწრების ნებართვა თავიდან უმცროსი, შემდეგ კი უფროსი კლასისრმოსწავლეებს მისცეს. ამ ქვეყნებში და ასევე ავსტრიაში, ტაივანსა და სინგაპურში სკოლების გახსნის გამოცდილება აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესისრგანახლებასთან ერთად, ინფიცირებულთა რაოდენობა არ გაზრდილა. ასევე აღსანიშნავია, რომ სწავლების ხარისხი, დისტანციურთან შედარებით, მკვეთრად გაუმჯობესდა. ნათელია, რომ ამ ქვეყნებმა წინასწარ მოამზადეს საგანმანათლებლო სისტემები და სანიტარული ნორმების მაქსიმალურად უზრუნველყოფა შეძლეს. (იხ. ინაშვილი თ., „დისტანციური თუ ტრადიციული სწავლება“ 2020)

## დისტანციური სწავლების პროცესის გაუმჯობესების ტენდენციები და სტრატეგიები

დღეს, განათლების გაციფრულება თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი პრიორიტეტია და ცხადია, საქართველოც ამ მიმართულებით ვითარდება. აღსანიშნავია ის რომ, კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ტექნოლოგიების საჭიროება განათლების პროცესში. უეცრად მოვლენილი პანდემიის შედეგად, საქართველოს განათლების სამინისტრო ვალდებული გახდა ახალ რეალობას მორგებოდა და სრულად დისტანციურ სწავლის რეჟიმზე გადასულიყო, რასაც, ცხადია, გამოწვევების გარეშე არ ჩაუვლია. იმასთან დაკავშირებით თუ რატომ არ იყო აქამდე დანერგილი დისტანციური სწავლების პრაქტიკა ქართულ განათლების სისტემაში, რამდენიმე ფუნდამენტური მიზეზი არსებობს: პანდემიამდე დისტანციური განათლება არ იყო აღიარებული ფორმა განათლების მიღების, შესაბამისად არც სკოლის მოსწავლეებიდან და სტუდენტებისგან იყო მოთხოვნა მსგავს სერვისზე. (იხ. https://commersant.ge/ge/post/distanciuri-ganatlebis-gamowvevebi-da-perspeqtiva-2)

აღსანიშნავია ის ინფრასტრუქტურული პრობლემები, რომელიც ქვეყანაში არსებობდა, ვთქვათ სასწავლებლები არ იყო/არის აღჭურვილი დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნოლოგიებით, ასევე წვდომა ინტერნეტსა და კომპიუტერებზე საქართველოში ჯერ კიდევ შეზღუდულია, განსაკუთრებით რეგიონებში. (2019 წლის მონაცემებით ინტერნეტი ხელმისაწვდომი იყო შინამეურნეობების 86%-სთვის ქალაქად და 70%-სთვის სოფლად, ხოლო კომპიუტერებზე იგივე მაჩვენებლები 75% და 45%-ა. (გალტ&თაგარტი 2020)

ასევე, დისტანციური განათლება არანაკლებ მნიშვნელოვანი სიახლე და წარმატებული ნაბიჯი აღმოჩნდა უნარშეზღუდული ადამიანებისთვის, მათთვის ხომ ძალიან მნიშვნელოვანია კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. აღსანიშნავია საქართველოს სკოლა-პანსიონების მიერ შეტანილი დიდი წვლილი უნარშეზღუდული მოსწავლეების საგანმანათლებლო სივრცეში ადაპტაციის კუთხით.

## რაოდენობრივი კვლევის ანალიზი, უახლესი შედეგები

იმისათვის, რომ კონკრეტული სახე მიმეცა ზემოხსენებული საკითხების კვლევისთვის, ჩავატარე ფოკუს ჯგუფები და შემდგომ შევიმუშავე კითხვარი, ჩავატარე რაოდენობრივი კვლევა, იმის დასადგენად თუ რამდენად მნიშვნელოვანია პანდემიის გავლენა განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების საქმიანობაზე. თუ რა ღონისძიებების გატარეებაა საჭირო, იმისათვის რომ აღმოიფხვრას არსებული პრობლემები, როგორია საქართველოში მოსწავლე სტუდენტების დამოკიდებულება განათლების სისტემაში არსებულ თანამედროვე სტრატეგიებზე და ა.შ.

დისტანციური სწავლებისთვის გამოყენებულ ონლაინ პლათფორმებს შორის ყველაზე ხშირად სახელდება Zoom (შენიშვნა: მოცემულ კითხვაზე სტუდენტებსა და მოსწავლეებს რამდენიმე პლატფორმის დასახელება შეეძლოთ), ხოლო მეორე და მესამე ადგილებს იკავებს სოციალური ქსელები და LMS.

გამოკითხულთა 84 % დისტანციური განათლების მიმართ დამოკიდებულებას დადებითად აფასებს, ხოლო 16 % უარყოფითად. ხოლო ეფექტურობის ნაწილში გამოკითხულთა 56 % ამბობს, რომ ძალიან ეფექტურია ამ ფორმით სწავლება საქართველოში (იხ. დიაგრამა #1 და #2)

*დიაგრამა #1*




*დიაგრამა #2*



კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ გამოკითხულთა 56%-ს აქვს და ჰქონდა წვდომა დისტანციურ ელექტრონულ მოწყობილობებსა და ინტერნეტზე. ასევე, კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვაინი ცვლადია ლექციებზე/გაკვეთილებზე დასწრების ცვლადი. როგორია ძალიან უკმაყოფილო სტუდენტების დასწრების მაჩვენებლები? ონლაინ ლექციებზე დასწრების გარეშე ხომ არ აფასებენ საკუთარ კმაყოფილებას? როგორც დიაგრამა #7-ზეა ნაჩვენები, ძალიან უკმაყოფილო სტუდენტების ყველაზე დიდი მაჩვენებელი (50-70%) ლექციას ყველაზე იშვიათად ესწრება.

ონლაინლექციებზე დასწრების დაბალი მაჩვენებელის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ინტერენტზე და ელექტრონულ მოწყობილობებზე დაბალი წვდომა აღმოჩნდა. ასევე, უნივერსიტეტებიდან/სკოლიდან ინფორმაციის მიუღებლობა. საინტერესოა, იყო თუ არა ლექციაზე დაბალი დასწრების მაჩვენებლის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის ელექტრონული პლატფორმების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე. როგორც აღმოჩნდა, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან სტუდენტების უმრავლესობა (88%) აცხადებს, რომ მათ უნივერსიტეტისგან მიიღეს შესაბამისი ინფორმაცია. სტუდენტების ნაწილი მიმდინარე მოვლენების გრძელვადიან დადებით შედეგებსაც უსვამს ხაზს და პანდემიის შემდეგ დისტანციური სწავლების კომპონენტების შენარჩუნების მნიშვნელობაზეც საუბრობს.

*დიაგრამა #3*




ამრიგად, ინტერაქტიული სწავლების განხორციელების თანამედროვე და ინოვაციური ინსტრუმენტია ელექტრონული სწავლება, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი დიდაქტიკური დანიშნულება და ფუნქციები გააჩნია. დისტანციური სწავლება არის სტუდენტების/მოსწავლეების მიერ მიღებული ონლაინ განათლება. ლექციები და სასწავლო მასალები იგზავნება ინტერნეტით. ვფიქრობ, იმისათვის, რომ აღნიშნულმა სფერომ წარმატებით იფუნქციონიროს, უნდა მოხდეს კოგნიტური დატვირთვის შემცირება და ინტერაქტიულობის გაზრდა ონლაინ სწავლების დროს. ამასთან, ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ COVID-19 პანდემიის პარალელურად, უნდა ტარდებოდეს ფსიქომოტორული სწავლება, ვინაიდან გასული პერიოდის განმავლობაში, ადამიანებს შეექმნათ გარკვეული პრობლემები ამ მიმართულებით. ხარისხის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია შევიძინოთ სხვა მრავალი პრემიუმ-პროგრამული უზრუნველყოფა და პროქტორინგის სხვა პროგრამები, პლაგიატის დასადგენად დისტანციური სწავლების დროს ჩატარებული გამოცდებისთვის.

ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და ციფრული რესურსების განვითარების ფონზე ონლაინ სწავლების ელემენტების ინტეგრირება ტრადიციულ სწავლების პროცესში სულ უფრო მიმზიდველი ხდება. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის აუცილებელი იქნება დისტანციურ, ონლაინ, შერეულ სწავლებასთან და ზოგადად ციფრული ტექნოლოგიით გაუმ-

ჯობესებულ/გაძილიერებულ სწავლებასთან დაკავშირებული სხვა ტერმინების განმარტებების შემუშავება განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ. ამ მიზნებისათვის შესაძლებელია ისეთი წყაროების გამოყენება, როგორიცაა. მაგ. EUA, QAA; CoL.

სწავლების ხარისხი იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რომ სტუდენტს შეუძლია ტექნოლოგიები შეუზღუდავად გამოიყენოს, არამედ მასზე, თუ როგორ ოპტიმალურად არის გამოყენებული მეთოდოლოგია სასწავლო პროცესებისთვის, როგორია მისი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. კარგად ორგანიზებული ელექტრონული სწავლება მრავალფეროვანს ხდის სწავლებისა და სწავლის სტილს ისე, რომ არ გამორიცხავს აქტიური კომუნიკაციის როლს. სწავლების ინოვაციური მეთოდოლოგის გამოყენება საგანმანათლებლო პროცესის მსვლელობისას, რომელიც ახალია, საინტერესო, სტუდენტის სააზროვნო უნარებს ააქტიურებს და ფაქტობრივი ცოდნის მიღებასთან ერთად მის ზოგადტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებასაც ემსახურება.

ქვეყანაში არსებული ეპიდვითარებისა და გლობალური სიტუაციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესს შორის თანამშრომლობა, სოლიდარობის გამოვლენა. სამაგალითოა ის სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც „სილქნეტმა“, „მაგთიკომმა“ და „ვიონი საქართველომ“ განათლების სფეროს მიმართ გამოიჩინეს. დისტანციური სწავლების გამოწვევებისა და ტექნიკური საჭიროებების შესაბამისად, ინტერნეტ პროვაიდერები მოსწავლეებსა და მასწავლებლებს 20GB მობილურ ინტერნეტპაკეტს დაბალი ტარიფით სთავაზობენ, რაც 2.5-ჯერ ნაკლებია სტანდარტულ პაკეთთან შედარებით.

ამასთან, შესაცვლელია საზოგადოების წარმოდგენა, რომ ელექტრონული სწავლება თითქოს კონკურენტია სააუდიტორიო/საკლასო განათლების, პირიქით მნიშვნელოვანია, რომ როდესაც პანდემია დასრულდება, სწავლების ჰიბრიდული მოდელი შენარჩუნდეს, განსაკუთრებით ისეთ საგნებში, რომლებიც ნაკლებ პრაქტიკულ დატვირთვას მოითხოვს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ელექტრონული სწავლება სავსებით დინამიური და ინოვაციური სფეროა და საჭიროა დეფინიციების მუდმივი გადახევა იმისათვის რომ ისინი ნათლად ასახავდნენ ახალ რეალობას. დისტანციური სწავლება ხომ დაწესებულებების განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაა.

„21-ე საუკუნეში ადამიანის საქმიანობაში ციფრულ ტექნოლოგიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა მიიღონ ყოვლისმომცველი განათლება და ამავდროულად იყვნენ კონკურენტუნარიანები სწავლის დამთავრებისთანავე, მათ სჭირდებათ ელექტრონულ რესურსებთან წვდომა. ინტერაქტიული ონლაინ მასალები, ონლაინ კურსები, ერთობლივი სასწავლო ჯგუფები, ციფრული ბიბლიოთეკა, თამაშებზე დაფუძნებული გაკვეთილები - ეს ყველაფერი თანამედროვე სასწავლო გამოცდილების უთავრესი კომპონენტებია“ (იხ. მიხეილ ჩხენკელი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).

ამრიგად, COVID-19-მა შექმნა რეალობა, რომლის დროსაც საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ შესაძლებლობა გააძლიერონ თავიანთი ტექნოლოგიური ცოდნა და ინფრასტრუქტურა. პლათფორმები - Zoom, Google meet, Facebook, Youtube, Skype, ტელესკოლა - იძლევა შესაძლებლობას დავიმკვიდროთ სათანადო ადგილი, ამ მხრივ წარმატებულ ქვეყნებს შორის.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გალტ & თაგარტი. (ივლისი 2020) *განათლების სექტორი საქართველოში.*
2. იაკობაძე მ. (2019). *უმაღლესი განათლების დაფინანსების უცხოური გამოცდილება და საქართველოს პრაქტიკა, გვ 9.*
3. ჯანაშია ს. *„დისტანციური განათლების არსი და თეორიული საფუძვლები; „დისტანციური სწავლების მართვა“,* (2021)
4. ბეროშვილი შ. *ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.* http://newspaper.tsu.ge/ge/-news/view/XdXUSlMy

5. დისი ო, სიფრაშვილი თ, საღინაძე ლ. (დეკემბერი 2019) *პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების პოლიტიკა საქართველოში. Refforom Assistance for Georgia. გვ 24. ცხრილი N1.*
6. ჩახაია ლ. (2020). *უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება და და ფინანსური მართვა.*
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო www.mes.gov.ge; http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=10322
8. Sanni. Y, Akaninyene. O, Ronald L. (June 2020). *Globalisation in the time of COVID-19: repositioning Africa to meet the immediate and remote challenges.*
9. Little, A. W. (1996). *Globalization and educational research: Whose context counts? International Journal of Educational Development*, 16(4), 427-438.
10. McGinn, N. F. (1996*). Education, democratization, and globalization: A challenge for comparative education.* Comparative Education Review, 40(4), 341-357.
11. Masahisa Fujita, Nobuaki Hamaguchi (August 2020) *Globalisation and the COVID-19 pandemic: A spatial economics perspective*. Research Institute of Economy, Trade and Industry (RIETI) of Japan.
12. Alexis H. (April 2020). *Global education sector urged to face pandemic challenges together.* Daily global newspaper.
13. Jesús Valverde-Berrocoso 1 , María del Carmen Garrido-Arroyo, Carmen Burgos-Videlaand María Belén Morales-Cevallos "Trends in Educational Research about e-Learning: A Systematic Literature Review (2009–2018)
14. EADTU-ENQA *Peer Learning Activity on QA of blended and online education* - https://eadtu.eu/home/policy-areas/quality-assurance/news/411-eadtu-enqa-peer-learning-activity-on-qa-of-blended-and-onlineeducation.
15. TeSLA - https://tesla-project-eu.azurewebsites.net/
16. SEQUENT PROJECT - https://www.sequent-network.eu/
17. FORBES.GE-https://commersant.ge/ge/post/distanciuri-ganatlebis-gamowvevebi-da-perspeqtiva-2
18. https://mes.gov.ge/content.php?id=10916&lang=geo

# ფიზიკური მოცულობისა და ფასების წვლილის შეფასება მთლიან შიდა პროდუქტში

**ნუცა მჭედლიშვილი**
*თსუ მაგისტრანტი*

*ცხოვრების დონისა და ეკონომიკური ზრდის მასშტაბების შესაფასებლად ძირითადად ანგარიშობენ ეკონომიკური ზრდის განზოგადებულ მაჩვენებლებს, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი. ფასებისა და მოცულობის ცვლილების გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა გააჩნია სწორი ეკონომიკური ანალიზის კუთხით. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის სტატისტიკური შესწავლა, ფიზიკური მოცულობისა და ფასების წვლილის გამიჯვნა და მათი ანალიზი. ნაშრომის ძირითად თეორიულ საფუძველს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ არსებული თანამედროვე ეკონომიკური თეორია და კონცეფციები. რაც შეეხება სტატისტიკურ მეთოდოლოგიას, იგი დაფუძნებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის (SNA 2008) სახელმძღვანელოზე. კვლევის პროცესში ასევე გათვალისწინებულ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების სტატისტიკური პრაქტიკის გამოცდილება, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პუბლიკაციები და სტატისტიკური მონაცემები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *მშპ, ეკონომიკური ზრდა, ცხოვრების დონე, სტატისტიკური შესწავლა, საერთაშორისო შესადარისობა, გაანგარიშების მეთოდოლოგია, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, პარიტეტი, ფასის ინდექსი, „დეფლატირება".*

თანამედროვე ეკონომიკა წარმოადგენს საკმაოდ რთულ სისტემას, სადაც სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის უმთავრესს პრიორიტეტს, რაც შესაბამისად, გულისხმობს საქონლისა და მომსახურების წარმოების გაფართოებას ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად. ყოველივე ეს პირდაპირ აისახება ცხოვრების დონეზე, ხოლო ეკონომიკური ზრდა მიიღწევა არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენების გზითა და ახალი, ინოვაციური მიდგომების დანერგვით.

ცხოვრების დონისა და ეკონომიკური ზრდის მასშტაბების შესაფასებლად ძირითადად ანგარიშობენ ეკონომიკური ზრდის განზოგადებულ მაჩვენებლებს, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი.

საზოგადოდ მიღებული ცნებაა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდისას ქვეყანაში უმჯობესდება ცხოვრების დონე გრძელვადიან ეკონომიკურ პერსპექტივაში. აქედან გამომდინარე, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და შესაბამისი მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებელს, რომელიც ხშირად გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონისა და ცხოვრების არსებული სტანდარტების შესაფასებლად.

ქვეყნების უმრავლესობაში, ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების, მათ შორის მთლიანი შიდა პროდუქტის გასაანგარიშებლად გამოიყენება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული მეთოდოლოგია, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ სხვადასხვა ქვეყნის შესაბამისი მაჩვენებლები იყოს ერთმანეთთან შესადარი.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ის გარემოება, რომ როდესაც საუბარია მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაზე კალენდარული წლისათვის, ამ შემთხვევაში, მაჩვენებელი გაიანგარიშება ფასების დინამიკის გათვალისწინებით, ნომინალურ გამოსახულებაში. ამ მაჩვენებლის გამოყენება ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების ხარისხის შესაფასებლად არ არის რეკომენდირებული. ინფლაციური პროცესების გათვალისწინებისათვის საჭიროა აღნიშნულ მაჩვენებელში კორექტირების შეტანა, რაც ეფუძნება ფასების ინდექსების გამოყენებას და საშუალე-

ბას იძლევა, შეფასდეს შესაბამისი მაჩვენებლის მოცულობის ცვლილება ფასების ცვლილების გავლენის გარეშე. ფასებისა და მოცულობის ცვლილების გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა გააჩნია სწორი ეკონომიკური ანალიზის კუთხით. რაც შეეხება უშუალოდ საზოგადოებრივ კეთილდღეობასა და ცხოვრების დონეს, ამ მხრივ ყველაზე გავრცელებულ საანალიზო მაჩვენებელს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით.

## 1. მთლიანი შიდა პროდუქტის სტატისტიკური შესწავლის მნიშვნელობა და გაანგარიშების მეთოდოლოგია

მთლიანი შიდა პროდუქტი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინდიკატორია ეროვნულ ანგარიშებში, მისი განმარტება კი საერთაშორისო დონეზეა შეთანხმებული. მშპ განმეორებითი აღრიცხვის გარეშე, მხოლოდ ერთი რიცხვით გამოსახავს მთელ შედეგს (ან გამოშვებას), რომელიც წარმოებულია ყველა ფირმის, არასამთავრობო ინსტიტუციის, სამთავრობო ორგანოებისა და შინამეურნეობების მიერ მოცემულ ქვეყანაში მოცემული პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად საქონლისა და მომსახურების სახისა, იმ პირობით, რომ მათი წარმოება მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე ხდება. მისი გამოთვლა უმეტესად კვარტალურად ან წლიურად ხდება, თუმცა თვიურადაც შესაძლებელია. (ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი, 2015)

ეროვნულ ანგარიშიანობაში მიმდინარე ფასებში გამოსახული მთლიანი შიდა პროდუქტის ანალიზი ორი მიმართულებით განიხილება: პირველი გულისხმობს რაოდენობრივი ცვლილების კომპონენტის ანალიზს, ხოლო მეორე უკავშირდება ფასების ცვლილების ინდიკატორს. აღნიშნული ორივე კომპონენტი ახდენს ზეგავლენას მიმდინარე ფასებში გამოსახული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაზე, აქედან გამომდინარე, რაციონალური ანალიზისათვის და საერთაშორისო დონეზე შესადარისობის უზრუნველსაყოფად სასურველია მათი ზემოქმედების გამიჯვნა.

ამ მიზნით კი, მშპ-ის რაოდენობრივი ინდიკატორის, ანუ მისი ფიზიკური მოცულობის მისაღებად შესაძლოა, მოვახდინოთ მიმდინარე ფასებში გამოსახული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის „დეფლატირებაკკ, რაც ნიშნავს მის გაყოფას შესაბამის ფასების ინდიკატორზე.

## 2. მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურისა და დინამიკის ძირითადი კანონზომიერებები

ეროვნული ანგარიშების მთავარი ამოცანაა მონეტარული აგრეგატების ცვლილებაში ცალ-ცალკე გამოყოს ფიზიკური მოცულობისა და ფასის წვლილი. ყველა ქვეყნისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა შესაძლებლობის საზღვრებში მაქსიმალური მატების მიღწევა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მიმდინარე ფასებში გამოსახული სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალოწლიური მატების მაჩვენებლები არ არის ერთმანეთთან პირდაპირ შესადარი.

სტატისტიკური შესადარისობის უზრუნველსაყოფად საჭიროა, არსებული მონაცემების გათვალისწინებით მოვახდინოთ კორექტირება და ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ფიზიკური მოცულობებისა და ფასების მატება, რაც საშუალებას მოგვცემს რეალურად შევაფასოთ ამ ქვეყნებში არსებული ტენდენციები. ამისათვის საჭიროა, განვიხილოთ მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობისა და ფასების დონის საინდექსო ანალიზი შესაბამის პერიოდში.

სტატისტიკოსები ხშირად იყენებენ მთლიანი შიდა პროდუქტის ჩაშლის სტრატეგიას მოცულობისა და ფასის მიხედვით, მაგრამ არც აღნიშნული შედარებაა სრულყოფილი, რადგან არაფერია ნათქვამი სხვადასხვა ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის შესადარისობის

დონეზე. ერთი შეხედვით, აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა მარტივი ჩანს, თუ მოვახდენთ მაჩვენებლების გაანგარიშებას ერთ სულ მოსახლეზე და მას გამოვსახავთ რაიმე ერთიან, შესადარ ვალუტაში, მაგალითად, აშშ დოლარში. მაგრამ არის თუ არა მიღებული ციფრები ნამდვილად შესადარი? (ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი, 2015)

საქონლისა და მომსახურების ფასები სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით ფრიად განსხვავებულია, ამიტომ საჭიროა, მოვახდინოთ ფასების დონის ელიმინირება, რათა შესაძლებელი გახდეს მხოლოდ მოცულობის ცვლილების შეფასება და გამოვრიცხოთ მასზე ფასების ზეგავლენა. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა „მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის“ განხილვა, რასაც ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიებენ როგორც მოცულობა/ფასის სიცრცით ჩაშლას.

„მოცულობების შედარების“ პირობის უზრუნველსაყოფად საჭიროა, მოხდეს ეროვნული ანგარიშების აგრეგატების გამოთვლა ფიზიკურ გამოსახულებაში. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა დეტალური სტატისტიკის მიღება თითოეული პროდუქტის ფიზიკური მოცულობის შესახებ. ამის შემდეგ კი უნდა მოხდეს მათი აგრეგირება ან ჯამის გამოთვლა. რეალობაში ეკონომიკა აერთიანებს მრავალ განსხვავებულ საქონელსა და მომსახურებას, მათ დასაჯამებლად კი საჭიროა, შემოღებულ იქნას რაიმე საერთო საზომი ერთეული, რადგან მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, განსხვავებული საქონლისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობების შეჯამებას არ გააჩნია რაიმე შინაარსობრივი დატვირთვა. (ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი, 2015)

ეკონომისტებისთვის ამ პრობლემის გადაჭრა ეყრდნობა ფასის სტრუქტურას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება არსებული პროდუქტების მონეტარულ ერთეულებში გამოსახვა, მაშინ მათი შეჯამება ლეგიტიმურია.

ინდექსებს შორის ყველაზე ხშირად გამოყენებადია პააშესა და ლასპეირესის ინდექსები. ეროვნულ ანგარიშთა ევროპულ სისტემაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, ლასპეირესის ინდექსით ანგარიშობენ მოცულობის ცვლილებას, ხოლო ფასების ცვლილება გამოისახება პააშეს ინდექსის გამოყენებით. ლასპეირესისა და პააშეს ინდექსებს შორის არსებული უკუდამოკიდებულება წარმოშობს მრავალ სიმეტრიას, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს გამოთვლებსა და ანალიზს. (ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი, 2015)

პრაქტიკაში ეროვნული ანგარიშების შედგენისას ნაკლებად იყენებენ ფასების ინდექსებს, ინფლაციაზე დაკვირვებისთვის უფრო გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს სამომხმარებლო ფასების ინდექსი. სფი-ს უპირატესობა შინამეურნეობების მოხმარების დეფლატორთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ სფი გაიანგარიშება ყოველთვიური სიხშირით, შინამეურნეობების მოხმარების დეფლატორი კი, როგორც წესი, ყოველკვარტალურად.

## 3. მთლიანი შიდა პროდუქტი და საერთაშორისო შედარებები

მთლიანი შიდა პროდუქტის ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მშპ-სა და მისი კომპონენტების საერთაშორისო შედარება. ამისათვის სხვადასხვა ქვეყნის მაჩვენებლები ერთიან ვალუტაში უნდა იყოს გამოსახული, მაგალითად ეთგო-ს პრაქტიკაში, მიღებულია აშშ დოლარის გამოყენება. მაგრამ ამ მიზნისათვის სავალუტო კურსის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს გაანგარიშების შედეგების სიზუსტესა და შესადარისობას, რადგან ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით არ ხდება მშპ-ში შემავალი ყველა სახის ოპერაციის შეფასება. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ სავალუტო კურსების გამოყენება, არ უზრუნველყოფს განსხვავებათა ნიველირებას შესადარი ქვეყნების ფასების დონეებში. ამიტომ თანამედროვე საერთაშორისო სტატისტიკაში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლების შედარება ხორციელდება ვალუტის ე.წ. მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტების მეშვეობით. (მარშავა)

მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი გამოსახავს თანაფარდობას სხვადასხვა ქვეყნების ფასების დონეებს შორის. ეს არის კოეფიციენტი, ტექნიკური ინსტრუმენტი, მთლიანი შიდა პროდუქტის საერთაშორისო დონეზე შესადარისობის უზრუნველსაყოფად. მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი გვიჩვენებს, ადგილობრივი ვალუტის რა რაოდენობა უნდა დაიხარჯოს სხვა ქვეყნის ვალუტის ერთი ერთეულით შესაძენ საქონელსა და მომსახურებაზე. მისი გამოყენებით მშპ-ს საერთაშორისო შედარებისას შესაძლებელი ხდება ერთდროულად ორი ამოცანის გადაჭრა. პირველ რიგში, ეროვნული ვალუტის ერთიან, შესადარ ვალუტაში გადაფასება და ასევე ფასების დონეებს შორის არსებული სხვაობის ელიმინირება. (მარშავა)

გაეროს საერთაშორისო შედარებების პროგრამის ფარგლებში, შედარებები ხორციელდება საქონელ-წარმომადგენლების მეთოდის გამოყენებით.

უშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობების შედარებამდე, პირველ რიგში, განვიხილოთ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი რამდენიმე ქვეყნის ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის შედარება, რომელიც გამოსახულია ერთი ამერიკული დოლარის მიმართ.

***ცხრილი 3.1 ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი ერთ ამერიკულ დოლართან მიმართებაში, 2012 – 2019 წლებში***

| | *2012* | *2013* | *2014* | *2015* | *2016* | *2017* | *2018* | *2019* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ***აშშ*** | 1.00 | 1.00 | 1.00 | 1.00 | 1.00 | 1.00 | 1.00 | 1.00 |
| ***ესტონეთი*** | 0.52 | 0.52 | 0.53 | 0.54 | 0.53 | 0.53 | 0.54 | 0.55 |
| ***ისლანდია*** | 137.0 | 137.0 | 138.5 | 142.0 | 140.0 | 138.3 | 138.3 | 140.6 |
| ***ლუქსემბურგი*** | 0.91 | 0.90 | 0.90 | 0.90 | 0.90 | 0.80 | 0.80 | 0.80 |
| ***ნიდერლანდები*** | 0.82 | 0.80 | 0.81 | 0.81 | 0.80 | 0.78 | 0.78 | 0.79 |
| ***მექსიკა*** | 7.86 | 7.88 | 8.05 | 8.33 | 8.45 | 8.91 | 9.20 | 9.37 |
| ***თურქეთი*** | 1.02 | 1.07 | 1.10 | 1.16 | 1.24 | 1.38 | 1.63 | 1.90 |

*წყარო: National Accounts of OECD Countries, Volume 2021 Issue 1. https://read.oecd-ilibrary.org/economics/national-accounts-of-oecd-countries/volume-2021/issue-1_5120fdac-en#page41*

იმ პირობებში, როდესაც ჩვენთვის უკვე ნაცნობია კონკრეტული ქვეყნების ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის შეფარდება ამერიკულ დოლართან მიმართებაში, შეგვიძლია, უკვე განვიხილოთ მშპ-ის მაჩვენებლები ამ მიღებული შედეგის გათვალისწინებით.

***ცხრილი 3.2 მშპ ფიქსირებული, 2015 წლის ფასების დონისა და შესაბამისი მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით, მიღიარდი ამერიკული დოლარი (2012–2019 წწ.)***

| | *2012* | *2013* | *2014* | *2015* | *2016* | *2017* | *2018* | *2019* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ***აშშ*** | 16946.0 | 17258.2 | 17694.1 | 18238.3 | 18550.4 | 18983.2 | 19552.0 | 19974.5 |
| ***ესტონეთი*** | 36.4 | 36.9 | 38.0 | 38.7 | 39.9 | 42.1 | 43.9 | 46.1 |
| ***ისლანდია*** | 14.7 | 15.3 | 15.6 | 16.3 | 17.3 | 18.0 | 18.8 | 19.2 |
| ***ლუქსემბურგი*** | 52.4 | 54.3 | 56.6 | 59.1 | 61.8 | 62.9 | 64.9 | 66.3 |
| ***ნიდერლანდები*** | 824.9 | 823.8 | 835.5 | 851.9 | 870.6 | 895.9 | 917.0 | 932.4 |
| ***მექსიკა*** | 2071.2 | 2099.3 | 2159.1 | 2230.2 | 2288.9 | 2337.2 | 2388.5 | 2387.2 |
| ***თურქეთი*** | 1674.6 | 1816.7 | 1906.4 | 2022.4 | 2089.6 | 2246.4 | 2312.8 | 2334.0 |

*წყარო: National Accounts of OECD Countries, Volume 2021 Issue 1. https://read.oecd-ilibrary.org/economics/national-accounts-of-oecd-countries/volume-2021/issue-1_5120fdac-en#page15*

აღნიშნული ცხრილი გვიხასიათებს მშპ-ს აბსოლუტურ მაჩვენებლებს, მაგრამ ანალიტიკური კუთხით, შესაძლოა, ეს ციფრები ბევრს არაფერს გვეუბნება. ამიტომ უფრო უკეთესი იქნება, თუ ზემოთ მოცემულ მაჩვენებლებს გამოვსახავთ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ფიქსირებული, 2015 წლის შესაბამისი PPP-ს გამოყენებით.

***ცხრილი 3.3 მშპ ერთ სულ მოსახლეზე ფიქსირებული, 2015 წლის ფასების დონისა და შესამაბისი მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით, დოლარი***

| | *2012* | *2013* | *2014* | *2015* | *2016* | *2017* | *2018* | *2019* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ***აშშ*** | 53932 | 54553 | 55532 | 56832 | 57399 | 58370 | 59801 | 60800 |
| ***ესტონეთი*** | 27443 | 27918 | 28848 | 29436 | 30315 | 31989 | 33294 | 34807 |
| ***ისლანდია*** | 45710 | 47333 | 47602 | 49203 | 51588 | 52480 | 53425 | 53261 |
| ***ლუქსემბურგი*** | 98577 | 99589 | 101449 | 103760 | 105771 | 105359 | 106525 | 106746 |
| ***ნიდერლანდები*** | 49231 | 49023 | 49541 | 50288 | 51119 | 52297 | 53218 | 53758 |
| ***მექსიკა*** | 17720 | 17756 | 18060 | 18455 | 18743 | 18946 | 19172 | 18979 |
| ***თურქეთი*** | 22275 | 23857 | 24700 | 25856 | 26358 | 27970 | 28411 | 28264 |

*წყარო: National Accounts of OECD Countries, Volume 2020 Issue 1. https://read.oecd-ilibrary.org/economics/national-accounts-of-oecd-countries/volume-2021/issue-1_5120fdac-en#page17*

ზემოთ მოცემული ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ერთ სულზე გაანგარიშებული მშპ-ის მაჩვენებლით ლუქსემბურგი ლიდერობს. მას შემდეგ მოჰყვება სამი ქვეყანა, აშშ, ისლანდია და ნიდერლანდები, რომლებსაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაახლოებით თანა-ბარი მაჩვენებელი გააჩნიათ. კიდევ უფრო მარტივად აღქმადი და გასაანალიზებელი რომ გახდეს აღნიშნული ცხრილი, გამოვიანგარიშოთ შეფარდებითი დონეებიც.

***ცხრილი 3.4 მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2019 წელს, ფიქსირებული, 2015 წლის ფასების დონისა და შესამაბისი PPP-ს გათვალისწინებით, დოლარი (აშშ = 100).***

| | ***მშპ ერთ სულზე 2019 წ, აშშ დოლარი*** | *აშშ = 100* |
|---|---|---|
| ***აშშ*** | 60800 | 100 |
| ***ესტონეთი*** | 34807 | 57.2 |
| ***ისლანდია*** | 53261 | 87.6 |
| ***ლუქსემბურგი*** | 106746 | 175.6 |
| ***ნიდერლანდები*** | 53758 | 88.4 |
| ***მექსიკა*** | 18979 | 31.2 |
| ***თურქეთი*** | 28264 | 46.5 |

*დიაგრამა 3.5 ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი*




მოცემული დიაგრამიდან უკვე ნათლად ჩანს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის კუთხით არსებული მდგომარეობა. გარდა ამისა, საინტერესოა ასევე მშპ-ის მოცულობის ზრდის ჩაშლა მოცულობისა და ფასების ინდექსების მიხედვით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მშპ-ის ზრდა, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ზრდასთან, დადებითი მოვლენაა, რადგან იწვევს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო ფასების ინდექსის ზრდა უკავშირდება ინფლაციას, რაც არასახარბიელო მოვლენაა. განვიხილოთ აღნიშნულ პერიოდში, მოცემულ ქვეყნებში, ამ კუთხით არსებული ტენდენცია:

*დიაგრამა 3.6 ფიზიკური მოცულობის საშუალო წლიური მატების ტემპი (%), 2012 – 2019*



*დიაგრამა 3.7 ფასების ინდექსების საშუალო წლიური მატების ტემპი (%), 2012 – 2019*




*წყარო: National Accounts of OECD Countries, Volume 2021 Issue 1. https://read.oecd-ilibrary.org/economics/national-accounts-of-oecd-countries/volume-2021/issue-1_629805bc-en#page1*

ზემოთ მოცემული ნახაზებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მექსიკისა და თურქეთის გარდა, დანარჩენ ქვეყნებში, მოცულობის ინდექსის საშუალოწლიური ზრდის მაჩვენებელი აღემატება ფასის ინდექსის შესაბამის მაჩვენებელს, რაც დადებითი მოვლენაა. ინფლაციის ტემპი ამ ქვეყნებში არის დასაშვებ დონეზე, რაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელია. გარდა ამისა, ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მექსიკამ და თურქეთმა 2012 – 2019 წლების პერიოდში მოახერხეს წინა წლებში არსებული ინფლაციის ძალიან მაღალი დონის ეტაპობრივად დარეგულირება, რაც ასევე პოზიტიური ტენდენციაა.

საინტერესოა საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ანალიზი მიმდინარე და მუდმივი ფასების მიხედვით:

*დიაგრამა 3.8 მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე და მუდმივ, 2015 წლის ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი.*




*წყარო: საქსტატი. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp*

*დიაგრამა 3.9 მშპ ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე და მუდმივ, 2015 წლის ფასებში, აშშ დოლარი*




*წყარო: საქსტატი. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp*

3.9 ნახაზის მიხედვით ჩანს, რომ ბოლო 6 წლის განმავლობაში, მუდმივ, 2015 წლის ფასებში გამოსახული ერთ სულზე გაანგარიშებული მშპ-ის მაჩვენებელი ხასიათდება სტაბილურობით და არ განიცდის მნიშვნელოვან რყევებს. რაც შეეხება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარიანობის გათვალისწინებით, ამ კუთხით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შეინიშნება ზრდის ტენდენცია, შესაბამისი მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდენი ნახაზი:

***დიაგრამა 3.10 მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით, (მიმდინარე PPP), აშშ დოლარი***




*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.*
*https://www.imf.org/external/datamapper/PPPPC@WEO/OEMDC/ADVEC/WEOWORLD*

როგორც ნახაზი 3.10 გვიჩვენებს, მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით გაანგარიშებული მშპ-ის მაჩვენებელი საქართველოში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით გამოსახული შესაბამისი მაჩვენებელი. გაცვლით კურსებთან შედარებით, PPP-ის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ისაა, რომ იზრდება შედარებით ღარიბი ქვეყნების შეფარდებითი მშპ-ის მაჩვენებელი. ეს შედეგი გამომდინარეობს იქიდან, რომ ღარიბ ქვეყნებში ფასების შეფარდებითი დონე გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე შესაბამისი მაჩვენებელი მდიდარ ქვეყნებში და ამ განსხვავების ჩართვა სრულად ვერ ხერხდება გაცვლითი კურსების გამოყენებისას. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ მოსაზრებას, რომ PPP-ის გამოყენება დეფლატორად უფრო უკეთეს შედეგს იძლევა, განსაკუთრებით ღარიბი ქვეყნებისთვის.

## დასკვნა

თანამედროვე ეკონომიკაში ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რაც გულისხმობს საქონლისა და მომსახურების წარმოების გაფართოებას ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად. ყოველივე ეს პირდაპირ აისახება ცხოვრების დონეზე. ქვეყანაში ცხოვრების დონისა და ეკონომიკური ზრდის მასშტაბების შესაფასებლად ძირითადად ანგარიშობენ ეკონომიკური ზრდის განზოგადებულ მაჩვენებლებს, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინდიკატორია მთლიანი შიდა პროდუქტი. მშპ-ის მაჩვენებელი არ შეიძლება, ჩაითვალოს სოციალური კეთილდღეობის ან სიმდიდრის პირდაპირ საზომად. მაგრამ, მეორეს მხრივ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წარმოება კეთილდღეობის მნიშვნელოვანი განზომილებაა.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქვეყნების უმრავლესობაში, ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების, მათ შორის მთლიანი შიდა პროდუქტის გასაანგარიშებლად, გამოიყენება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული მეთო-

დოლოგია. ეს კი უზრუნველყოფს მონაცემთა შესადარისობას საერთაშორისო დონეზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალიზაციის ეპოქაში.

მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლისა და მისი ზრდის ტემპების ანალიზისას მნიშვნელოვანია, რომ სწორად მოხდეს მასში ფიზიკური მოცულობისა და ფასების დონის წვლილის შეფასება. აქედან გამომდინარე, მოცემულ ნაშრომში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია სწორედ მოცულობისა და ფასების ეფექტის გამიჯვნაზე მშპ-ის ანალიზისას საერთაშორისო ქვეყნების სტატისტიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით. ასევე წარმოდგენილია ის მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც შესაძლებელია მშპ-ის მაჩვენებლისა და მისი ზრდის ტემპის შედარება საერთაშორისო დონეზე.

მშპ-ის რაოდენობრივი ინდიკატორის, ანუ მისი ფიზიკური მოცულობის მისაღებად შესაძლოა, მოვახდინოთ მიმდინარე ფასებში გამოსახული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის „დეფლატირებაკკ, რაც ნიშნავს მის გაყოფას ფასების ინდიკატორზე, რის შედეგადაც მიიღება ცვლილება ფიზიკურ მოცულობაში.

მთლიანი შიდა პროდუქტის ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მშპ-ისა და მისი კომპონენტების საერთაშორისო შედარება. ამისათვის სხვადასხვა ქვეყნის მაჩვენებლები ერთიან ვალუტაში უნდა იყოს გამოსახული, მაგრამ სავალუტო კურსის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მათ შესადარისობას. ამისათვის გამოიყენება მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი (PPP), რომელიც გამოსახავს თანაფარდობას სხვადასხვა ქვეყნების ფასების დონეებს შორის. PPP-ის გამოყენებით მშპ-ის საერთაშორისო შედარებისას შესაძლებელი ხდება ერთდროულად ორი ამოცანის გადაჭრა, პირველ რიგში, ეროვნული ვალუტის ერთიან, შესადარ ვალუტაში გადაფასება და ასევე ფასების დონეებს შორის არსებული სხვაობის ელიმინირება.

ნაშრომის მესამე თავში წარმოდგენილია საერთაშორისო შედარებებები მშპ-ისა და ერთ სულზე გაანგარიშებული შესაბამისი მაჩვენებლის მიხედვით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მაგალითზე. ამ თავში ასევე ახსნილია ის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს სტატისტიკურ მონაცემთა შესადარისობას საერთაშორისო დონეზე ქვეყნებს შორის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მხრივ განსხვავებების გათვალისწინებით. ასევე განხილულია მშპ საქართველოში და მისი საერთაშორისო შესადარისობა. აღსანიშნავია, რომ მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით გაანგარიშებული მშპ-ის მაჩვენებელი საქართველოში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით გამოსახული შესაბამისი მაჩვენებელი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ., ეროვნულ ანგარიშთა სისტემა თეორია, პრაქტიკა, ანალიზი. სახელმძღვანელო, თსუ, 2009.
2. მარშავა ქ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა (ლექციების კურსი), თსუ.
3. მინდორაშვილი მ., ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. ლექციების კურსი ბაკალავრებისთვის. სახელმძღვანელო 2018, 266 გვ. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/eas.pdf
4. ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ. მეორე გამოცემა. (ინგლისურიდან თარგმანის ელექტრონული ვერსია) 2015, 606 გვ. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/SNA%20-%2025.11.2015.pdf
5. ხმალაძე მ., სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის. ლექციების კურსი, ნაწილი II, 2013 , 305 გვ.
6. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/stat2.pdf
7. National Accounts of OECD Countries, Volume 2020 Issue 1. https://read.oecd-ilibrary.org/economics/national-accounts-of-oecd-countries/volume-2020/issue-1_629805bc-en#page1
8. Fischer S., Inflation and Growth, NBER Working Paper series #1235, 1983
9. https://core.ac.uk/download/pdf/6716428.pdf

10. SNA 2008. European Commission, International Monetary Fund, Organization for Economic Cooperation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009. https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf
11. https://data.worldbank.org/country/georgia
12. http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=37
13. https://www.geostat.ge/media/27845/SNA-2008-presentation_15.11.pdf
14. https://www.imf.org/external/datamapper/PPPPC@WEO/OEMDC/ADVEC/WEOWORLD

# Covid 19 ის გავლენა უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაზე საქართველოში, კავკასიის უნივერსიტეტისა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მაგალითზე

***გიორგი ნიკუჩაძე***
*თსუ დოქტორანტი*

*კოვიდ პანდემიამ გვაჩვენა თუ ჩაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილების მიმართულებით. რომ არა კარგად განვითარებული ონლაინ სწავლების პლატფორმები, რომლებიც საფუზვლად დაედო ონლაინ სწავლებაზე გადასვლის შესაძლებლობას, შეუძლებელი იქნებოდა დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა.*

*მოცემულ ნაშრომში ავტორი შეისწავლის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დადგა კავკასიის უნივერსიტეტი და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი. მოცემული უნივერსიტეტების შეიჩა იმ პრინციპით რომ ნაშრომის ავტორი თავად იყო ჩართული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაში მოცემულ უნივერსიტეტებში, როგორც კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ეკონომიკის მიმართულებით., რაც თავის მხრივ შესაძლებლობას იძლევა რომ მოხდეს პირადი გამოცდილების გაზიარება. მეორეს მხრივ საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით ჩატარებულ იქნა რაოდენობრივი კვლევა აღნიშნულ უნივერსიტეტების სტუდენტებთან, მათი კმაყოფილების დონის დადგენის მიზნით ონლაინ სწავლებასთან მიმართებაში. ასევე საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით ჩატარებულ იქნა თვისობრივი კვლევა, სიღრმისეული ინტერვიუს სახით კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის დეკანთან ბატონ შოთა ნიჟარაძესთან და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის დეკანთან ქალბატონ ელენე მამუკელაშვილთან, რათა დადგენილიყო თუ უშუალოდ რა გამოწვევების წინაშე დადგა უნივერსიტეტი კოვიდ პანდემიის დადგომისას და რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული კრიზისის მენეჯმენტისათვის; როგორ წარიმართა ონლაინ სწავლების პროცესი სამი სემესტრის განმავლობაში, რა გამოცდილება მიიღო უნივერსიტეტმა და რა საფუძველი ჩაეყარა სამომავლოდ, კოვიდ - 19 ის დამარცხების შემდეგ ჰიბრიდული სწავლის მოდელზე გადასვლას.*

*ნაშრომში გაანალიზებულია არსებითი საკითხები, სტრატეგიული სვლები, რომლებიც ასახულია რეკომენდაციების სახით, რაც შესაძლოა საფუძვლად დაედოს ჰიბრიდული სწავლების მოდელის შემოტანას საუნივერსიტეტო სივრცეში თუ ამის ინიციატორი გახდება განათლების სამინისტრო.*

***საკვანძო სიტყვები:*** *კოვიდ 19, უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა, ონლაინ სწავლება, სწავლების ჰიბრიდული მოდელი, „კოვიდ“ გამოწვევები განათლების სისტემაში.*

მოცემულ ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე:

- უნივერსიტეტებში განხორციელებული ცვლილებები კოვიდ 19 თან მიმართებაში.
- საგნები რომლებიც ადვილად ადაპტირდა ონლაინ სწავლების სისტემასთან
- მთავარი გამოწვევები
- სწორი გადაწყვეტილებები და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში
- ინოვაციური ტექნოლოგიები და საგნების თავისებურებანი
- მომავლის პერსპექტივები

Covid 19 -ის პანდემიური მდგომარეობის გამოცხადების დღიდან დედამიწაზე, ქვეყნები ერთი მეორეს მიყოლებით გლობალური გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად შეიძლება მივიჩნიოთ უმაღლესი განათლების სისტემის ადაპტირება ახალ გარემოებებთან, და ვირუსის გავრცელების რისკების შემცირების ხელშემწყობი ღო-

ნისძიებების გატარება. უნივერსიტეტების ადმინისტრაციას სწრაფი ტემპებით მოუხდა ონლაინ სწავლების სისტემაზე გადასვლა. აქ ორი ძირითადი ამოცანა იყო:

• პირველი — არ შეწყვეტილიყო საგანმანათლებლო პროცესი, რათა სემესტრის დასრულების ვადებთან მაქსიმალურად ახლო მდებარე დროის მონაკვეთში დასრულებულიყო სასწავლო პროცესი;

• მეორე — საგანმანათლებლო პროცესის ისეთივე მაღალი სტანდარტებით ჩატარების უზრუნველყოფა ონლაინ რეჟიმში (დისტანციურად), როგორიც იყო ფიზიკურად საუნივერსიტეო სივრცეში.

პირველი ამოცანის წარმატებით გადაჭრა პირდაპირ იყო დაკავშირებული ინოვაციური, ონლაინ საგანმანათლებლო სისტემის დანერგვასთან. დასაწყისისთვის რამოდენიმე ალტერნატიული სერვის პროვაიდერი არსებობდა რომლებიც უზრუნველყოფდა ონლაინ ლექციების ჩატარების შესაძლებლობას. განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა „ზუმის“, „მაიკროსოფტ თიმსის“ და „გუგლის მითინგის“ პლატფორმებმა. აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემული პლატფორმები თვიდან თვემდე განიცდიდნენ განახლებას და უფრო მეტად მორგებული ხდებოდნენ იმ მოთხოვნასთან მიმართებაში, რაც მიმდინარე პროცესების მიერ იყო გამოწვეული და განპირობებული. მეორეს მხრივ უნივერსიტეტის პროფესურისთვის უმოკლეს ვადებში შეიქმნა გაიდები რომლებშიც დეტალურად იყო აღწერილი აღნიშნული პლატფორმების გამოყენებასთან დაკავშირებული არსებითი საკითხები, რამაც სიახლის დანერგვის პროცესის წარმატებით დასრულება განაპირობა. შედეგად მივიღეთ ის რომ უნივერსიტეტებმა შეძლო დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა დროის უმოკლეს მონაკვეთში და ამავდროულად სასწავლო პროცესის მაღალი სტანდარტების შენარჩეუნება. მეორე ამოცანა მიზნად ისახავდა შეფასების სისტემის მოდიფიკაციას ისე რომ დისტანციის მიუხედავად შენარჩუნებულიყო კონტროლი აკადემიური კეთილსინდისიერების შენარჩუნების მიზნით, გატარებულიყო პლაგიატის პრევენციის შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის სტუდენტების ელექტრონული ნაშრომების ციფრული კვალის გაანალიზების შესაძლებლობების გამოყენებით. აღსანიშნავია რომ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლას თან მოჰყვა სასწავლო პროგრამის ადაპტაცია ციფრულ ტენოლოგიებთან და გამოკითხვის და შეფასების სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების უშუალო დანერგვა. კონკრეულად პირად მაგალითზე შემიძლია განვაცხადო რომ პლაგიატის შემთხვევების პროცენტული მაჩვენებელი არ შეცვლილა, რაც თავის მხრივ დისტანციური სწავლების პროცესში პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმების გამართულად ფუნქციონირებაზე მეტყველებს, რაც შეეხება აკადემიურ კეთილსინდისიერებას, საუნივერსიტეტო სივრცეში პერიოდულად ეწყობოდა სტუდენტების ცნობიერების ამაღლებისათვის განკუთვნილი ღონისიებები, რამაც პანდემიის პირობებში ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა.

ონლაინლექციებზე გადასვლის შემდეგ, სემესტრის განმავლობაში პერიოდულად ეწყობოდა ონალაინ შეხვედრები აკადემიური წრეების წარმომადგენლების მონაწილეობით როგორც ერთი უნივერსიტეტის ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებს შორის სადაც ინტენსიურად ვუზიარებდით ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას და მოსაზრებებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან და თანამედროვე, ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვასთან მიმართებაში, რამაც თავის მხრივ ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლის პროცესი დააჩქარა და საგანმანათლებლო პროცესში მაღალი სტანდარტების შენარჩუნების საშუალება მოგვცა.

ყველაზე მარტივად და სწარაფად ონლაინ სისტემაზე უმტკივნეულოდ ადაპტირდა ის საგნები რომლებიც იფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით იკითხებოდა საუნივერსიტეტო სივრცეში, რასაც თავის მხრივ საფუძვლად ედო ის გარემოება, რომ როგორც სტუდენტებისთვის ასევე პროფესურისთვის კარგად ნაცნობი იყო ონლაინ სწავლების პლატფორმების ფუნქციონალი და შესაძლებლობები, მეორეს მხრივ კი სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობების ძირითადი ნაწილი პრაქტიკული სამუშაოები იყო რაც უშუალოდ კომპი-

უტერთან მუშაობას მოითხოვდა იქნებოდა ეს უნივერსიტეტი — პანდემიამდე, თუ სტუდენტების პირადი სივრცე და კომპიუტერული აღჭურვილობა — პანდემიის და შემდგომ პერიოდში. აქვე აღსანიშნავია, რომ ინფორმაციული ტენოლოგიების სხვადასხვა მიმართულება განსხვავებული სიმძლავრის კომპიუტერულ უზრუნველყოფას საჭიროებს. თითოეული უნივერსიტეტი აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიებით რომლებიც პასუხობს კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამის მოთხოვნებს. მაგალლითად საგანში „ციფრული ხელოვნება“ აუცილებელია კომპიუტერი მინიმუმ ოთხბირთვიანი პროცესორით და 8 გიგაბაიტი ოპერატიული მეხსიერებით, შესაბამისად სტუდენტების მცირე ნაწილს დაახლოებით 5%-ს მოუხდა ოპერატიული მეხსიერების მოცულობის გაზრდა. შესაბამისად შეიძლება ითქვას რომ ტექნიკური უზრუნველყოფის, ინტერნეტ კომუნიკაციის და სხვა კომუნალური (სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის) ხარჯების გადატანა საუნივერსიტეტო სივრციდან ავტომატურად მოხდა პროფესურაზე და სტუდენტობაზე. აქვე აღსანიშნავია რომ უნივერსიტეტებმა დროებით სარგებლობაში გადასცეს ლეპტოპები იმ სტუდენტებს რომელთაც ამის გადაუდებელი საჭიროება გააჩნდათ, რათა ხელი არ შეშლოდა ონლაინ სასწავლო პროცესს ტექნიკური უზრუნველყოფის ნაწილში.

უნივერსიტეტებისთვის მთავარი გამოწვევა იყო და დღემდე რჩება მაღალი სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა სტუდენტებისათვის და მეორეს მხრივ შეფასების ისეთი სისტემის შემუშავება ტექნოლოგიური თვალსაზრისით, რაც გამორიცხავს შუალედურ წერაზე და გამოცდაზე გადაწერის შესაძლებლობას. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია კავკასიის უნივერსიტეტი ამჟამად მუშაობს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამულ უზრუნველყოფაზე რომელიც ავტომატურ რეჟიმში ავლენს გადაწერის მცდელობებს და აღრიცხავს მას. სანამ მოცემული პროგრამული უზრუნველყოფა მზად იქნება პრაქტიკულად საგამოცდო პროცესებში დასანერგად, აღსანიშნავია რომ შუალედური და ფინალური გამოცდები, მთელი ამ დროის განმავლობაში, პანდემიის მიუხედავად, შეძლებისდაგვარად, ყოველთვის ტარდებოდა და ტარდება საუნივერსიტეტო სივრცეში. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, განათლების სამინისტროს რეკომენდაციების მიხედვით, სწავლების ჰიბრიდული მოდელი დაინერგა, კერძოდ საგნებში რომლებიც ინფორმაციული ტექნოლოგიების ჩარევით უკეთეს კონტროლის მექანიზმებს და მაღალი სტანდარტების შენარჩუნების შესაძლებლობას იძლეოდა ონლაინ შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე გადავიდა. აღნიშნული მაგალითების გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თუ უნივერსიტეტი სწორად განსაზღვრავს თავის პრიორიტეტებს საგანმანათლებლო პროცესთან მიმართებაში, პანდემიის პროცესი შესაძლოა იქცეს ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის, დანერგვის და წარმატებით რეალიზების საუკეთესო საშუალებად. მიღებული გამოცდილებით დღეს თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰიბრიდული სწავლების მოდელი და ინფორმაციული სისტემების აქტიური ჩართვა საგანმანათლებლო სფეროში, შესაძლოა აქტიური განხილვის საგნად იქცეს განათლების სამინისტროსთვის მას შემდეგ რაც წარმატებით დავამარცხებთ Covid -19 -ს.

## თვისობრივი კვლევა, სიღრმისეული ინტერვიუ

ზემოთ ხსენებული საკითხების უკეთ შესწავლის მიზნით, მიმდინარე წლის 13 ივლისს ჩემს მიერ ჩატარებბულ იქნა თვისობრივი კვლევა სიღრმისეული ინტერვიუს სახით კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის დეკანთან ბატონ შოთა ნიჟარაძესთან და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის დეკანთან ქალბატონ ელენე მამუკელაშვილთან. კვლევა მიზნად ისახავდა იმ გარემოებების დაზუსტებას რომლის შემდგომი ანალიზიც ნათელ სურათს მოგვცემს იმისას თუ რა გამოწვევების წინაშე დადგა უმაღლესი განათლების სისტემა კოვიდ პანდემიის პერიოდში და რა ღონისძიებების გატარება გახდა საჭირო იმი-

სათვის რომ შენარჩუნებულიყო სასწავლო პროცესის ის მაღალი სტანდარტები რაც კოვიდ პანდემიამდე დამახასიათებელი გახლდათ აღნიშნული უნივერსიტეტებისთვის.

კვლევის შედეგად დადგინდა რომ კოვიდ პანდემიის გამოცხადების შემდეგ უნივერსიტეტებისთვის მთავარი გამოწვევა იყო დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებული მთელი რიგი კომპლექსური საკითხების გაანალიზება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების და აღსრულების პროცედურები. სიღრმისეული ინტერვიუს პირველი შეკითხვა: „რა უმთავრესი გამოწვევის წინაშე  დადგა უნივერსიტეტი როდესაც გამოცხადდა კოვიდ პანდემია საქართველოში?“ დავუსვით ორივე უნივერსიტეტის წარმომადგენელს ინდივიდუალურად. „აკადემიურ განათლებაში სწავლების ძალიან ბევრი სპეციფიური კომპონენტი და მეთოდია, შესაბამისად რთულია დისტანციურად მათი განხორციელება, განსაკუთრებით პრაქტიკული ნაწილთან მიმართებაში. ლაბორატორიულ სწავლებას რაც შეეხება, გარკვეული ტიპის გამოკითხვებს, სემინარებს, საგამოცდო პროცესებს და ა.შ. — რომელიც თავის შინაარსით ძალიან რთული ხასიათის არის, ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიც კი არის ჩაატარო დისტანციურად. მაგრამ აღსანიშნავია გამონაკლისები, არის მთელი რიგი კომპონენტები, რაც რთული არის განახორციელო დისტანციურად. მეორე მხარე არის ის რომ ძალიან მნიშვნელოვანი არის სწავლების დროს ინტერაქცია, კომუნიკაცია, გარკვეული ტიპის სპეციფიური ურთიერთობები ლექტორსა და სტუდენტს შორის, მათ შორის ეს მოიცავს ლექციის ჩატარების პროცედურებს საუნივერსიტეტო სივრცეში და ა.შ; მოიცავს კონსულტაციას გარკვეული ტიპის პროექტებზე მუშაობას, საუბარს სტუდენტებთან, ყალლიბდება უფრო ინტენსიური და მჭიდრო ურთიერთობები... — რაც გარკვეულწილად დააზიანა პანდემიამ. და ამას ემატება ისიც რომ სტუდენტების და ლექტორების მცირე ნაწილი პირველ ეტაპზე მაინც არ იყო მზად ახალი გამოწვევების მიმართ.“ — განმარტავს ბატონი შოთა ნიჟარაძე. კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის ზემოთ ხსენებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვვიძლია ვთქვათ რომ ფაკულტეტმა დეტალურად მოახდინა ყველა იმ გამოწვევის იდენტიფიცირება და შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვა, რაც უმოკლესი დროის განმავლობაში შესაძლებლობას მისცემდა ფაკულტეტს გადასულიყო დისტანციურ სწავლებაზე, სასწავლო პროცესის მაღალი სტანდარტების დაცვის შენარჩუნებით და შესაბამისი ონლაინ სწავლების ინსტრუმენტების დანერგვის გზით.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, გამოწვევის მთავარი ნაწილი ის იყო, რომ „საკმაოდ მოკლე დროში მოუწია უნივერსიტეტს ადაპტირება ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებულ სიახლესთან, და იმ რეალობიდან რომ სრულად არადისტანციურად მიმდინარეობდა სწავლება და არ იყო გათვალისწინებული, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული დისტანციური სწავლების ელემენტების გამოყენება მომხდარიყო. დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში სრული ადაპტაცია მოხდა და განსხვავებული გარემო შეიქმნა იმისთვის რომ ორ კვირაში სწავლა დაწყებულიყო 100 %-ით დისტანციურად. ეს იყო გამოწვევა რომელსაც წარმატებით გაართვა თავი უნივერსიტეტმა. სასწავლო პროცესი უწყვეტად გაგრძელდა დისტანციურ რეჟიმში.“ ქალბატონი ელენე მამუკლაშვილის მიერ დაფიქსირებული განმარტება, ნათელს ფენს იმ გარემოებას რომ ორ კვირაში სავსებით შესაძლებელია დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა და ამავდროულად დაცული იქნეს განათლების სამინისტროს რეკომენდაციები.

მომდევნო შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში: რა დამატებითი ღონისძიებების გატარება დასჭირდა ფაკულტეტს სტუდენტებთან და პროფესურასთან მიმართებაში? რომლითაც გვსურდა მოგვეხდინა იმ გამოწვევების იდენტიფიცირება და შესაბამისი ნაბიჯების გამოვლენა, რომლის შედეგადაც მოხერხდა კრიზისის მართვა და შემდგომი დაძლევა. „პირველ რიგში გამოვიკვლიეთ და გავმიჯნეთ ჩვენ სწავლების ის კომპონენტები, რომლებსაც დააზიანებდა დისტანციური სწავლება (არქიტექტურასაც ეხებოდა, ტენოლოგიებსაც, საინჟინრო კურსებს), და ამის შემდგომ გადავწყვიტეთ რომ ჩაგვეტარებინა ადგილზე, ეს გაკეთდა ორი

გზით, პირველი იქ სადაც ამის შესაძლებლობას რეგულაცია იძლეოდა, შესაბამისი შემოწმების და სტანდარტების დაცვის მერე, რაც თავის მხრივ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად გავაკეთეთ — ადგილზე ჩატარდა. იმ პერიოდშიც კი როდესაც ეს აკრძალული იყო და შეუძლებელი იყო, უბრალოდ გადავავადეთ, გარკვეული ინტენსიური კურსების ფორმით ჩავატარეთ, სემესტრში გარკვეული თვეების განმავლობაში და არა მთელი სემესტრის განმავლობაში. ორივე გამოვიყენეთ ჩვენ და მეორე იყო ის რომ გარკვეული პლატფორმები რაც გავრცელებული არის, „ზუმი“ იქნება, „თიმსი“ თუ სხვები, იმ კატეგორიის ლექტორებს რომლებსაც კარგად არ ჰქონდათ ათვისებული, მათთვის მინი ტრეინინგები გავაკეთეთ, გაიდლაინები, ვიდეო გაკვეთილები შევქმენით, როგორც სტუდენტებისთვის ასევე ლექტორებისთვის, რომ არ გაჭირვებოდათ ამ პლატფორმების სწორად და ხარისხიანად გამოყენება.“ — განმარტავს ბატონი შოთა ნიჟარაძე. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ გარემოებაზე, რომ ჯანდაცვის სამინისტროსთან კოლაბორაციის შედეგად მინიმუმამდე დავიდა კოვიდის გავრცელების რისკები, რამაც თავის მხრივ სასწავლო პროცესის ჩვეული რითმებიდან, ახალ რეგულაციებთან ადაპტირებულ ახალ გარემოში გაგრძელების შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტს. აქვე გამოიკვეთა მინი ტრეინინგების ჩატარების და გაიდლაინების შექმნის აუცილებლობა. შეიძლება საუკეთესო გამოსავლად მივიჩნიოთ გადავადება და შემდგომ ინტენსიური კურსების ჩატარება, აქ კარგად იკვეთება ის მაღალი პასუხისმგებლობა რაც სასწავლო პროცესის მაღალი სტანდარტების შენარჩუნებასთან მიმართებაში ინდივიდუალურად, საჭიროებისამებრ იკვეთება, სასწავლო კურსების თავისებურებების გათვალისწინებით. რაც შეეხება ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს, ქალბატონმა ელენე მამუკელაშვილმა, დასმულ შეკითხვაზე შემდეგი განმარტება გააკეთა: „ეს ორი კვირა რაც ვახსენე რაც მოსამზადებელ პერიოდს დასჭირდა იმისათვის რომ დისტანციურ რეჟიმში გადავსულიყავით, იგივე სასწავლო პროცესი გამოყენებულიყო იმისთვის რომ პირველ რიგში მომხდარიყო დისტანციური სწავლების პლატფორმის შერჩევა, მომხდარიყო დატრეინინგება როგორც სტუდდენტების ასევე ლექტორების, მომზადებულიყო სხვადასხვა საინფორმაციო სახის დოკუმენტები, ინსტრუქციები რათა მაქსიმალურად მოკლე დროში როგორც ლექტორი ასევე სტუდენტი ყოფილიყო მაქსიმალურად ინფორმირებული. გარდა ამისა ბუნებრივია ხარისხის სამსახურთან აქტიური თანამშრომლობით მოხდა სილაბუსების გადახედვა იმ მიზნით რომ მომხდარიყო გარკვეული მოდიფიცირებები სწავლლების მოდელის ნაწილში, რათა სილაბუსით მოცემული დსახული სწავლის შედეგები და მიზნები მიღწეული თითოეული სასწავლო კურსისთვის, რომელიც დისტანციურ რეჟიმში ისწავლებოდა. რამდენად იყო შესაძლებელი რომ იმ ელექტრონული რესურსებით რაც სტუდენტებს გააჩნდათ რამედნად შესაძლებელი იყო ონლაინ ლექციების უზრუნველყოფა.“ აღნიშნულიდან ნათელია რომ მთელი რიგი საკითხები მოთხოვდა სიტუაციის კომპლექსურ ანალიზსს და მართებული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას, შესაბამისად სილაბუსის მოდიფიცირება და სწავლის კომპონენტების ცვლილება ისე რომ სასწავლო კურსი სრულად ადაპტირებულიყო ონლაინ სასწავლო გარემოში — დიდი ძალისხმევის შედეგად რეალიზდა და ორი კვირის შემდეგ უნივერსიტეტი გადავიდა სრულად ონლაინ სწავლებაზე. მეორეს მხრივ აღნიშნული მეტყველებს იმაზე რომ გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებლობა იკვეთება იმისა, რომ უნივერსიტეტებმა გადახედონ საკუთარ სილაბუსებს და მოახდინონ მათი მოდიფიცირება ისე რომ ონლაინ სწავლებაზე გადასვლა შესაძლებელი იყოს ნებისმიერ ვითარებაში, იქნება პანდემია თუ უბრალოდ ტექნოლოგიური პროგრესის ახალი შესაძლებლობების ინტენსიური გამოყენება განათლების სისტემაში დანერგვის გზით, რაც თავის მხრივ ახლო მომავალში უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ევოლუციის განუყოფელი ნაწილია.

მომდევნო შეკითხვა უკავშირდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შეფასებების დადგენას უკავშირდება მათ მიერ გატარებული ღოისძიებების შეფასებასთან მიმართებაში. შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში: რამდენად წარმატებული იყო უნივერსიტეტის მიერ

გატარებული ღონისძიებები დღევანდელი გადმოსახედიდან და რას გააკეთებდით განსხვავებულად? „ვფიქრობ რომ, შესაძლებლობის ფარგლებში წარმატებული იყო, მთლიანად დისტანციურად რომ გადავსულიყავით არ იქნებოდა ისეთი ხარისხი, რასაკვირველია უკეთეს მოველით ჩვენ ყოველთვის მაგრამ, ბოლომდე კმაყოფილი რასაკვირველია არ ვართ, მაგრამ იმედები ასე თუ ისე გამართლდა. ნუ გარკვეული საგამოცდო პროცესები, ჩვენ მთლიანად ადგილზე ჩავატარეთ, რეგულაციებიც იძლეოდა ამის შესაძლებლობას, შუალედური გამოცდა და ფინალური გამოცდები, ნუ ზოგიერთი სპეციფიური, თეორიული გამოცდა რომლის შესაძლებლობა გვაძლევდა რომ ყოფილიყო სხვა ფორმით, და აქა იქ გამოიკვეთა რომ ნორმალური შედეგები დაიდო. რათქმაუნდა გადაწერის პრობლემა იყო მთავარი, საგამოცდო პროცესმა და გარკვეული ტიპის ამ შუალედური გამოცდების და შუალედური შეფასებების გარკვეული კომპონენტების ისე ფიზიკურად ადგილზე გადმოტანამ მინიმუმამდე არა, მაგრამ საგრძნობლად შეამცირა გადაწერის შესაძლებლობა.“ — განმარტავს ბატონი შოთა ნიჟარაძე. აღნიშნულიდან გამომდინარე იკვეთება ტექნოლოგიების ნაკლებობა რომელიც მიზანმიმართულად იმუშავებდა გადაწერასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. მოცემული მდგომარეობით არსებობს მთელი რიგი ტექნოლოგიები, რომლებიც მეტ-ნაკლებად გამორიცხავს გადაწერის შესაძლებლობას ონლაინ ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში, მაგრამ არასაკმარისია იმისათვის რომ სრულად გამოირიცხოს გადაწერის შემთხვევები. რაც შეეხება ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის გამოცდილებას — „სუბიექტური არ ვიქნები ალბათ რომ ვთქვა რომ წარმატებული იყო ყველა ის ღონისძიება რომელიც იმ პერიოდში უნივერსიტეტში გატარდა, განსაკუთრებით იმ მოკლე პერიოდში, ამაზე მეტის გაკეთება ფიზიკურად შეუძლებელი იყო (გაკეთდა მაქსიმუმი), უკვე მესამე სემესტრი მიმდინარეობს დისტანციური სწავლებით და ბუებრივია ამ პერიოდის განმავლობაში რაღაც ტიპის გაუმჯობესებები გვაქვს სემესტრიდან სემესტრში, დაიხვეწა ეს პროცესი, თუმცა ამ მოცემულობაში, სამი სემესტრი აქტიურად დისტანციურად მიმდინარეობს სწავლება ვფიქრობ რომ ყველა ის ღონისძიება რაც დასაწყისში შეიძლება განსხვავებულდ გაკეთებულიყო ამ ეტაპზე უკვე გატარებული და გაკეთებულია.“ — განმარტა ქალბატონმა ელენე მამუკელაშვილმა. აქ იკვეთება რომ სამი სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობდა ონლაინ სწავლების მოდელის განვითარება და დახვეწა რამაც დასაწყისში არსებული მცირედი ხარვეზები აღმოფხვრა და ონლაინ სწავლების მაღალი სტანდარტების შესაბამის სასწავლო პროცესს დაუდო საფუძველი.

მომდევნო შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში: რამდენად კმაყოფილია თქვენი ფაკულტეტის პროფესურა და სტუდენტები ონლაინ სწავლებით? „ვერ გეტყვით რომ ყველა კმაყოფილი არის, ძირითად საგნებში კმაყოფილები არიან. დავუშვით ჩვენ ისეთი საგნები რომლებიც შეიძლებოდა რომ ჩატარებულიყო დისტანციურად, და შესაბამისად რადგან ჩვენ ფაკულტეტმა, ადმინისტრაციამ და ლექტორმა, ძირითადი სიტყვა მაინც ლექტორზე იყო, თუ ის იტყოდა რომ ეს საგანი დისტანციურად შეუძლებელია, ჩვენ არ ვატარებდით დისტანციუად. თითქმის ყვველა შემთხვევაში კმაყოფილი იყო ლექტორი, უნივერსიტეტი. ერთადერთი აღსანიშნავია რომ შედარებით გაიზარდა გადაწერის პრობლემები. სხვა მხრივ კმაყოფილება იყო, ერთად ერთი სტუდენტებში იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც ხელისშეწყობა არ ჰქონდა ან იმის გამო რომ ტექნიკური მხარე ჯერ არ ჰქონდა მომზადებული, კომპიუტერი არ ჰქონდა სათანადო ან ინტერნეტი არ იყო იმ დონის მის სახლში. საჭირო იყო ხელშეწყობა, ყველას ვერა მაგრამ ნაწილს ჩვენ პარტნიორ ორგანიზაციბთან ერთად დავეხმარეთ, კომპიუტერებიც გადავეცით, თუმცა ეს მასიურად არ იყო.“ — განმარტავს ბატონი შოთა ნიჟარაძე. აქ იკვეთება ის გარემოება რომ სწავლის პროცესთან დაკავშირებული ხარჯები გაეზარდა სტუდენტს, კერძოდ თუ არ ჰქონდა ინტერნეტი მოუხდა ინტერნეტის შეძენა, თუ არ ჰქონდა სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა მოუხდა ეკიპირება, თუმც აქ აღსანიშნავია უნივერსიტეტის ჰუმანური პოზიცია და მზაობა ხელი შეეწყო სტუდენტების იმ ნაწილისთვის ვისაც ტექნიკური მზაობა არ გააჩნდა საწყისი ეტაპისთვის, რაც თავის მხრივ უნივერსიტეტისათვს დამატე-

ბითი გაუთვალისწინებელი ხარჯი იყო. შესაბამისად მაღალი სტანდარტების შენარჩუნება გარკვეულ დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული როგორც უნივერსიტეტის ასევე სტუდენტებთან მიმართებაში. ქალბატონი ელენე მამუკელაშვილი განმარტავს

— „განხორციელებული კმაყოფილების კვლევებს თუ დავეყრდნობით, როგორც სტუდენტები ისე აკადემიური პერსონალი და იმ სასწავლო პროცესის განხორციელებაში ჩართული პირები დისტანციურ სწავლებას ძირითადად დადებითად აფასებენ. არის რათქმაუნდა რაღაც კომპონენტები თუნდაც ინტერაქცია ლექტორსა და სტუდენტს შორის აუდიტორიაში რაც ვერ ჩანაცვლდება ვერანაერად დისტანციური სწავლებით და ამის მსგავს ფაქტორებს გამოყოფენ ხოლმე, პარალელურად არის ძალიან ბევრი საკითხი რომელსაც სტუდენტები ასევე ლექტორები განასკუთრებით ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით დისტანციურ სწავლებას აფასებენ უფრო მეტად დადებითად დისტანციური სწავლების პროცესში ვიდრე ეს განხორციელდებოდა ფიზიკურად აუდიტორიაში." აღნიშნულიდან გამომდინარე ირკვევა რომ არსებობს მთელი რიგი გარემოებები რაც დამახასიათებელია აუდიტორიაში ლექციის ჩატარებასთან მიმართებაში, რომელიც უახლოეს მომავალში შეიძლება უზრუნველყოს ე.წ. VR (ვირტუალური რეალობის) და აუგმენტური რეალობის შესაბამისმა ტენოლოგიებმა, შესაბამისად უახლოეს მომავალში ონლაინ (ვირტუალურ გარემოში) ჩატარებულ ლექციასა და აუდიტორიაში ჩატარებულ ლქციას შორის სხვაობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, რაც თავის მხრივ მომავლის უნივერსიტეტის ახლებურ ხედვას იძლევა დღევანდელი გადასახედიდან.

ინტერვიუს ბოლო შეკითხვა უმაღლესი განათლების სისტემის სამომავლო პერსპექტივებისთვის მზაობის დასადგენად დაისვა და ის მდგომარეობდა შემდეგში: რამდენად დაუჭერდით მხარს ჰიბრიდული სწავლების სისტემაზე გადასვლას კოვიდ 19 ის დამარცხების შემდგომ პერიოდში (ნაწილი უნივერსიტეტში ნაწილი ონლაინ) თუ ამის ინიციატორი იქნებოდა განათლების სამინისტრო? „ვინც არ უნდა იყოს ამის ინიციატორი, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და ძალიან სასარგებლოა, ორ რაღაცას ავღნიშნავ, რომ საქართველოს კანონმდებლობა ამას უშვებს. თუცა განათლების სამინისტრო ამბობს არას. კანონმდებლობამ თქვა რომ შეიძლება თუ განათლების სამინისტრო დადებითად უპასუხებს. სამართლებრივად ეს ფანჯარა არის გაღებადი. რაც შეეხება შინაარსობრივად, ხარისხობრივად არის უამრავი თეორიული საგნები, რაღაც დონით პრაქტიკულიც რაც შეიძლება ჩატარდეს დისტანციურად. არის საგნები რომლებიც შეუძლებელია ჩატარდეს დისტანციურად. აქვე აღსანიშნავია რომ ლაბორატორიული ტექნიკური საგნებიც კი ჩაატარო დისტანციურად თუ პლატფორმა შეიქმნება შესაბამისი. დაინერგება ისეთი რამ, რაც პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრაციას მოახდენს ტექნოლოგიებში, ისე რომ გადაწერის შესაძლებლობა გამოირიცხოს. ეს შესაძლებელია. შეიძლება ითქვას დღევანდელი გამოწვევაა. სიტუაცია არის ისეთი, რომ აუცილებელიც კი არის. მნიშვნელოვანია რომ ის რაც ბევრ ქვეყანაში შესაძლებელი არის, პლიუს ის რასაც კანონმდებლობა უშვებს, და განათლების სამინისტრო მას შეხედავს სხვა კუთხით, იმ კუთხით რომ ამისგან კარგი დადებითი მივიღოთ, სასარგებლო იქნება როგორც განათლების სისტემისთვის ასევე განათლებისათვის. სტუდენტი რომელიც დაამთავრებს ახლა სწავლას წელიწადნახევარი გავიდა და თუ ვამბობთ რომ დისტანციური განათლება არის განათლება, მაშინ სახელმწიფომ, უნივერსიტეტმა საზოგადოებამ ხალხმა უნდა მივიღოთ ახალი მოდელი. პანდემიის გარეშე, ეს შესაძლებელიც იყო და საჭიროც." აქ კარგად იკვეთება ტექნოლოგიური პროგრესის სიღრმისეული ხედვა და ინოვაციური ტექნოლოგიების განათლების სისტემაში ინტეგრაციის შესაძლებლობები. თამამად შეიძლება ითქვას რომ უნივერსიტეტები უკვე ხედავენ ტექნოლოგიური ევოლუციის პარალელურად საგანმანათლებლო სისტემის ევოლუციის გარდაუვალობას რაც ინფორმაციული ტექნოლოგიების ჩართვით იქნება შესაძლებელი. ეს ხვალინდელი დღეა და ის გარდაუვალია. ქალბატონი ელენე მამუკელაშვილის განმართებით — „კიბატონო, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები თუ განხორციელდება ბუნებ-

რივია ამ შესაძლებლობას გამოვიყენებთ.“ ნათლად ჩანს რომ ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტიც გამოთქვამს მზაობას რომ ფეხი აუწყოს განათლების სისტემის ევოლუციას რაც გლობალური გამოწვევაა.

## რაოდენობრივი კვლევა

საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, რაც თავის მხრივ სტუდენტების, ონლაინ სწავლების პროცესის მიმართ არსებული დამოკიდებულების შესასწავლად გვჭირდება, აუცილებელია დაზუსტდეს განხორციელებული ღონისძიებების გატარების დადებითი და უარყოფითი შედეგები. კითხვარი გუგლის ფორმების მეშვეობით შემუშავდა და გაეგზავნა კავკასიის უნივერსიტეტის და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტებს. აღსანიშნავია რომ კითხვარზე გადასასვლელად სტუდენტებისათვის სავალდებულო იყო უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის გამოყენება, რათა თავიდან აგვეცილებინა არაავტორიზებული მონაწილეები.

კითხვარის პირველი შეკითხვა თავისი შედეგებით მოცემულია დიაგრამა 1 -ში.

*დიაგრამა 1*




აქ ნათლად იკვეთება რომ გამოკითხულთა (125 სტუდენტი) მხოლოდ 6.4% მიიჩნევს რომ ძალიან უკმაყოფილოა ონლაინ სწავლებით და 15.2% თვლის რომ ძალიან კმაყოფილია. საერთო ჯამში დიაგრამაზე მოცემულ გრადაციას თუ გავაანალიზებთ დავინახავთ რომ ონლაინ სწავლებით კმაყოფილთა რაოდენობა ბევრად მეტია ვიდრე უკმაყოფილონი. შესაბამისად შეგვიძლია თამამად ვთქვათ რომ მთელი რიგი ხარვეზების მიუხედავად, საერთო ჯამში უნივერსიტეტებმა შეძლეს და გადალახეს ყველა ის ხელისშემშლელი ბარიერი რაც ონლაინ სწავლების ხარისხიანად წარმართვას ხელს შეუშლიდა. თუმც აქვე აღსანიშნავია რომ 100%-იანი კმაყოფილების დონის მიღწევა რეალურ გარემოში თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ახლო მომავალში კიდევ ბევრი ცვლილების განხორციელება იქნება საჭირო რათა მომდევნო კვლევებში აღნიშნული შედეგების გაუმჯობესა მივიღოთ.

კითხვარის მომდევნო შეკითხვა და შედეგები მოცემულია დიაგრამა 2-ში. სადაც ნათლად იკვეთება რომ 36.8% თვლის რომ გაუარესდა; 16.8% - შეიცვალა უკეთესობისკენ; 26.4% არ შეცვლილა, ხოლო პასუხის გაცემა გაუჭირდა 20%-ს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის შესახებ რომ გამოკითხული სტუდენტების

20%-ს საერთოდ არ აქვთ გააზრებული თუ რა მიმართულებით შეიცვალა სწავლის პროცესი. 43.2% დადებითად აფასებს ონლაინ სწავლის ხარისხს, მაგრამ საყურადრებოა

36.8%-ის პოზიციაც რომელიც დამატებით კვლევას საჭიროებს ამ კონკრეტულ სამიზნე აუდიტორიასთან, რათა მომავალში აღმოფხვრილ იქნას ყველა ობიექტური პრობლემა, რომელთა არსებობამაც აღნიშნული შეფასება გამოიწვია მიმდინარე კვლევის პროცესში.

***დიაგრამა 2***




განვიხილოთ დიაგრამა 3, რომელშიც იკვეთება, რომ 2021 წლის გაზაფხულის სემესტრი ჩატარდა სრულიად ონლაინ — მხოლოდ 32.8%-ია, აღსანიშნავია რომ ჰიბრიდული სწავლების წილი ყველაზე მეტია — 42.4%, ხოლო სრულად ფიზიკურად უნივერსიტეტში 24.8% ადასტურებს. აღნიშნული მონაცემების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ რომ ჰიბრიდული სწავლების მოდელი შედარებით წარმატებულია სრულად ონლაინ სწავლების მოდელთან მიმართებაში, არსებული ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში რომლებიც გააჩნია სტუდენტებს.

აღსანიშნავია რომ დიაგრამა 4-ში სრულად ჩანს, რომ უნივერსიტეტი კოვიდ პანდემიის დამარცხების შემდეგ თუ გადავა სწავლების ჰიბრიდულ რეჟიმზე 46.4%- თვის სრულიად მისაღებია. მხოლოდ 20.8% -თვის არის მიუღებელი.

აღსანიშნავია რომ ზემოთ მოცემული რაოდენობრივი კვლევა მხოლოდ განზოგადებულ სურათს იძლევა თუ რა მდგომარეობაა ზოგადად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და არა კონკრეტულად ხსენებული უნივერსიტეტებიდან რომელიმეში. შესაბამისად მოცემული საკითხის სამომავლო კვლევისათვის საქართველოში არსებული უნივერსიტეტების კეთილი ნება და სურვილია საჭირო რათა დროულად მოხდეს დარჩენილი პრობლემების იდენტიფიცირება, ამით კი შევძლებთ მომავლის გამოწვევების დადებითად გადაჭრას.

***დიაგრამა 3***



*დიაგრამა 4*




## დასკვნები და რეკომენდაციები

უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის სრულად ონლაინ სივრცეში გადატანა გზას გაუხსნის დედამიწის ნებისმიერ წერტილში მცხოვრებ პოტენციურ სტუდენტს ისწავლოს იმ უნივერსიტეტში რომელიც მას სურს ბევრად მარტივად და ზედმეტი დანახარჯების გარეშე (საცხოვრებელი და კომუნალური ხარჯი უცხო ქვეყანაში). უმაღლესი განათლების სისტემის გლობალიზაცია თავის მხრივ წარმოქმნის მოთხოვნას მაღალი სტანდარტების შესაბამის განათლებაზე, რაც თავის მხრივ კონკურენტულ გარემოში აყენებს ქართულ უნივერსიტეტებს, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მდებარე უნივერსიტეტებთან მიმართებაში. შესაბამისად აუცილებელია მიღებული გამოცდილების გაანალიზება და ახალი გამოწვევების შესაბამისი ონლაინ საგანმანათლებლო სისტემის შემუშავება, რომელშიც აქტიურად იქნება გამოყენებული ტექნოლოგიური ევოლუციის ყველა ის მონაპოვარი რაც საჭიროა დისტანციური სასწავლო გარემოს ფუნქციონირებისათვის. მეორეს მხრივ ვირტუალურ სივრცეში უნივერსიტეტებს შორის მომატებული კონკურენციის გამო გაიზრდება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის ანაზღაურება, რათა მოხდეს საუკეთესო კადრების მოზიდვა და დაინტერესება. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა არსებითად შეცვლის სასწავლო პროცესს, კერძოდ ონლაინ ლექციებში ვიდეოგანმარტებების და ინტერაქტიული თამაშების წილი გაიზრდება რაც გაზრდის ერთი სემესტრის განმავლობაში გადაცემული სასწავლო მასალის ოდენობას ისე რომ მიწოდებული ინფორმაცია დაძლევადი იქნება საშუალო მოსწრების სტუდენტებისათვის. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე უახლოეს მომავალში უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას ევოლუციური ცვლილებები ელის რომლის დასაწყისის მომსწრენი გავხდით კოვიდ 19 ის პერიოდში. შესაბამისად კოვიდის დამარცხების შემდეგ ის უნივერსიტეტები მოიპოვებენ კონკურენტულ უპირატესობას რომლებიც აქტიურად დანერგავს დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებულ ყველა მოწინავე ტექნოლოგიას, რაც თავის მხრივ სასწავლო პროცესის ახალ, მაღალ სტანდარტებზე გადასვლის პირველი ნაბიჯები იქნება, ხოლო ვირტუალური რეალობის და აუგმენტური რეალობის შესაბამისი ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება, აღნიშნულის რეალიზება საფუძველს დაუდებს ახალი, გლობალური საგანმანათლებლო ეკოსისტემის ფორმირებას. პირველი ნაბიჯები გადადგმულია, მთავარია ვინ გააგრძელებს წინ სვლას საკუთარი ნებით და არა პანდემიური რეგუალაციებით მიღებული იძულებითი მეთოდებით. არჩევანი ჩვენზეა. იმედს ვიტოვებთ რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა მოწინავე ადგილს დაიკავებს გლობალურ საგანმანათლებლო სისტემაში, სრულად ონლაინ სწავლებაზე გადასვლის შემდგომ პერიოდშიც, რაც გლობალური ტექნოლოგიური პროგრესის განუყოფელი ნაწილია.

# Covid -19-ის პანდემია: ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოს მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიისთვის

**ზაჰეჯან ოზმანოვი**
*თსუ დოქტორანტი*

*ნაშრომი ეძღვნება მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიაზე Covid -19-ის გავლენას, იმ ეკონომიკურ შედეგებს, რომელიც მან მოიტანა, როგორც გლობალურ, ასევე ლოკალურ ჭრილში. პანდემია შეეხო მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის ფასეულობების ჯაჭვის ყველა ჩგოლს, ინდუსტრიის შენატანი მსოფლიო მშპ-ში შემცირდა, უპრეცედენტოთ დაიკლო ქვეყნის შიდა და საერთაშორისო მოგზაურების დანახარჯებმა, დაიკარგა მილიონობით სამუშაო ადგილი და ჯერ კიდევ ძნელია მომავლის პროგნოზირება, რადგან ვირუსი განიცდის მუტაციას. საკითხის სირთულისა და აქტუალობიდან გამომდინარე ტრანსდისციპლინური მეთოდოლოგიითა და მიდგომით განვიხილავთ არსებულ ვითარებას, რეკომენდაციებს, რომლებიც შემოთავაზებულია ევროკავშირის, მტო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა, თუ სახელმწიფოთა მთავრობების მიერ, რათა ვუპასუხოთ მსოფლიო დონის გამოწვევას და კოორდინირებული მუშაობით დავძლიოთ მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის წინაშე არსებული კრიზისი.*

***საკვანძო სიტყვები:*** *მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია, მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის ფასეულობების ჯაჭვი, Covid -19, მსოფლიო მშპ, სამუშაო ადგილი, პოსტკოვიდი.*

Covid-19 პროვოცირებულია მომაკვდინებელი ინფექციით (SARS-CoV-2). პირველად აღნიშნული ვირუსი ექსპერტების მიერ გამოვლენილ იქნა უჰანში, ჩინეთში 2019 წლის დეკემბრის ბოლოს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ განცხადებულ იქნა Covid-19 -ის აფეთქება მსოფლიო დონის ჯანმრთელობის საფრთხედ 2020 წლის იანვარში,ხოლო ამავე წლის მარტში გლობალურ პანდემიად. 2021 წლის 15 მარტის მონაცემებით აღნიშნული პანდემიის შედეგად დაავადდა 119 მილიონი ადამიანი, რომელთაგან 2,66 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა (Lange, 2021).

ლეტალური შედეგების მომტანი დაავადების Covid-19-ის წარმოშობამ გამოიწვია უზარმაზარი ფინანსური დანაკარგები და გლობალური კრიზისი ჯანდაცვის და ეკონომიკის სფეროში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საფრთხის შემცველი ინფორმაციები სეზონური გრიპების, ეპიდემიებისა, პანდემიებისა და კატასტროფების გაჩენის შესახებ მკვეთრად ამცირებს მოგზაურობას და ტურიზმის ინდუსტრიას, რომელსაც ძირითადი წვლილი შეაქვს მომსახურების სფეროში. პანდემიები ნეგატიურ გავლენას ახდენენ ტურისტთა ქცევაზე და მათ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე. შედეგად ისინი უარს ამბობენ დაგეგმილ მოგზაურობაზე, ხედავენ რა დაინფიცირების საფრთხეს უშუალოდ მოგზაურობის დროს. გარდა ამისა, ტურისტთა მოგზაურობები საფრთხეს უქმნის ავიამოგზაურებს ეფექტური ვაქცინის არარსებობის შემთხვევაში. ტურისტები თამაშობენ დიდ როლს ადგილობრივი მოსახლეობის დაინფიცირებაში - ვირუსების, ეპიდემიებისა და პანდემიების გადატანაში ერთი პუნქტიდან მეორეში.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ ტურიზმის ფასეულობების ჯაჭვის ძირითად რგოლებზე, რომლებზეც ნეგატიური გავლენა იქონია Covid-19-მა, როგორც მსოფლიო, ასევე საქართველოს ფარგლებში. განვიხილავთ რეკომენდაციებსა და პანდემიის დაძლევის გზებს ტურიზმის ინდუსტრიის ასაღორძინებლად.

## 1. რა არის კორონავირუსი

„კორონავირუსები წარმოადგენენ განსხვავებული ვირუსების ოჯახს (Coronaviridae), რომლებსაც შეუძლიათ როგორც ადამიანების, ასევე ცხოველების დაავადება. გარეგნობიდან გამომდინარე მათ „გვირგვინოვან ვირუსებს“ უწოდებენ.

პირველად კორონავირუსები აღმოჩენილ იქნა ადამიანებში 1960 წელს. ეს ის ვირუსებია, რომლებიც იწვევენ ახალ ინფექციებს, რომელიც თავის მხრივ გამოწვეულია ვირუსის ცვლილებითა თუ მუტაციით. არსებობს კორონავირუსის ოთხი ძირითადი ქვეჯგუფი სახელწოდებით: ალფა, ბეტა, გამა და დელტა.

SARS-CoV-2 ან Covid-19 პირველად გამოავლინეს ჩინეთში (უჰანში) 2019 წლის დეკემბერში. იგი გადამდებია სიმპტომების გაჩენისთანავე ან ზოგჯერ უსიმპტომოდაც.“ (Blaize, 2020)

კორონავირუსი განეკუთვნება ARN (რომელთა გენეტიკური მასალა წარმოდგენილია რიბონუკლეინის მჟავებით) ვირუსებს, რომლებიც ცნობილია მუტაციის მრავალფეროვნებით, დღეს უკვე გვხვდება: ბრიტანული, ს. აფრიკული, ინდური შტამები.

2021 წლის 15 ივლისის მონაცემებით მსოფლიოში დაფიქსირებულია კორონა ვირუსით დაინფიცირების 189,185,220 შემთხვევა, აქედან გარდაიცვალა 4,074,704 და გამოჯანმრთელდა 172,811,160 ადამიანი( worldometers, 2021).

## 2. პანდემიის გავლენა ტურიზმის ინდუსტრიაზე და ეკონომიკური შედეგები

WTTC -ის უკანასკნელი ყოველწლიური კვლევები აჩვენებს (World Travel & Tourismn Council 2021):

- მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორი დაზარალდა 4,5 ტრილიონი აშშ დოლარით მიაღწია რა 4,7 ტრილიონ აშშ დოლარს 2020 წელს, ამასთან მშპ-ის შენატანმა დაიკლო 49,1% 2019 წელთან შედარებით, შესაბამისად 2020 წლისთვის გლობალური ეკონომიკის მშპ-ის 3,7% შეადგინა .

*დიაგრამა №1. დარგის დახასიათება*




- 2019 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორმა მსოფლიო მშპში შეიტანა 10,4%-ის წილი, რომელიც 2020 წლისთვის დაეცა მობილობაზე გაწეული შეზღუდვებიდან გამომდინარე და შეადგინა 5,5%.

შიდა მნახველების დანახარჯები შემცირდა 45%-ით მაშინ, როდესაც საერთაშორისო მნახველების დანახარჯებმა უპრეცენდენტო 69,4%-ით დაიკლო, მგზავრობაზე დაწესებულმა

*დიაგრამა №2. მშპ-ის კონტრიბუცია*

განგრძობადმა შეზღუდვებმა გამოიწვია ტურისტების მიერ მოგზაურობასა და ტურიზმზე გაწეული შიდა დანახარჯების ზრდა 2019 წლის საერთო მოცულობის 72%-დან, შესაბამისად 2020 წლის 82%-მდე. პარალელურად დანახარჯები დასვენებაზე შემცირდა 49,4%-ით, რაც ნაკლებია ბიზნეს მოგზაურობაზე გაწეულ დანახარჯებზე, რომელიც თავის მხრივ 61%-ს შეადგენს.

- უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მოგზაურობა და ტურიზმი იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი სამუშაო ადგილების შექმნისთვის და დინამიური მამოძრავებელი დასაქმების შესაძლებლობისთვის. 2019 წელს სექტორი 334 მილ. სამუშაო ადგილს ქმნიდა, რაც მსოფლიო დასაქმების ბაზრის 10,6%-ის ექვივალენტს ექვემდებარებოდა და 2014-2019 წლებში წარმოადგენდა 1-ს მსოფლიოში 4 ახლად შექმნილი სამუშაო ადგილიდან.
- 2020 წელს დაიკარგა 62 მილ. სამუშაო ადგილი, რაც 18,5%-ით კლებას ნიშნავს წინა წელთან შედარებით, შედეგად 2020 წელს მსოფლიო მასშტაბით მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორში დასაქმებული იყო 272 მილიონი ადამიანი, 2019 წელს იმავე სექტორში დასაქმებულ 334 მილიონ ადამიანთან შედარებით. სამსახურის დაკარგვის საფრთხე შენარჩუნებულია, რამდენადაც მრავალი სამუშაო ადგილი დღესდღეობით ექვემდებარება სახელმწიფო შეკავების და სამუშაო დროის შემცირების სქემას, რომელიც მოგზაურობისა და ტურიზმის სრულად არ აღდგენის შემთხვევაში შეიძლება დაიკარგოს.

## 3. მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის გლობალური ფასეულობების ჯაჭვი

ტურიზმი გადაიქცა მომსახურებით ვაჭრობის უმსხვილეს დარგად, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკაში თავისი წვლილი შეაქვს გლობალური ფასეულობის ჯაჭვის (GVC) შექმნის მეშვეობით (Wang 2018; Daly and Gereffi, 2017). კომპანია ინტეგრირდება გფჯ (GVC)-ში, თუ ის აწარმოებს თუნდაც მის ერთ სტადიას. გფჯ (GVC) უზრუნველყოფს საფუძველს იმის გაგებისთვის, თუ როგორ არის მოწყობილი გლობალური კომპანიები, ეს ხორციელდება ძირითადი მონაწილეების დინამიკისა და სტრუქტურის შეფასების გზით. თანამედროვე მსოფლიოში არსებობს კომპანიების რთული ურთიერთკავშირი, რომლებშიც გფჯ (GVC) მეთოდოლოგია გვეხმარება თვალ-ყური ვადევნოთ გლობალური წარმოების ცვალებად მოდელს (Christian et al. 2011). მიმოვიხილოთ მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში გლობალური ფასეულობის ჯაჭვის ძირითად შემადგენლებზე

Covid-19-ის გავლენა:

### 3.1.1 ტრანსპორტი : Covid-19-ის გავლენა გლობალურ საჰაერო ტრანსპორტზე

კვლევები აჩვენებს, რომ პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფრენის ოპერაციებზე შედეგად 2020 წლის 13 მარტს აშშ-ს მთავრობამ შეაჩერა ყველა ფრენა ევროპიდან. აშშ-ში ფრენის შეზღუდვამ დამანგრეველი გლობალური გავლენა იქონია ევროპის ბაზრისთვის. IATA – ამტკიცებს, რომ შეზღუდვებმა აშშ-სა და შენგენის ზონას + დიდი ბრიტანეთსა და ირლანდიას შორის შეეხო 5,5 მილიონ მგზავრს. აქედან მხოლოდ აშშ-სა და შენგენის ზონის მარშრუტებს შორის დღიურად 550 რეისი სრულდებოდა, რაც 125 000 მგზავრის ექვივალენტია დღეში. მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ბაზარის ზომა 47 000 მგზავრია დღეში, მთლიანობაში ამ რეგიონის წლიური შემოსავალი აღნიშნული ბაზრიდან 10,4

მილიარდ აშშ დოლარს ითვლის (IATA, 2020). შესაბამისად აღნიშნული ფრენების შეწყვეტა შემოსავლის დაკარგვის ტოლფასი იყო.

*დიაგრამა №3. დღიური ფრენების გლობალური მიმოხილვა*

*წყარო: Flightradar24*

### 3.1.2.საკრუიზო ინდუსტრიაზე პანდემიის გავლენა და მასთან დაკავშირებული კრიზისი

ციფრებში, რომ გამოვსახოთ Carnival, რომელსაც ეკუთვნოდა 122 გემი, რომელთა ღირებულება აღემატებოდა 55 მილიარდ აშშ დოლარს 2020 წლის 17 იანვრიდან 2020 წლის 1 აპრილამდე მათი აქციათა ფასი დაეცა 51,9$ - დან 8,80$ - მდე (Swift, 2020). ბლუმის (Bloom, 2020) მონაცემებით მრავალმილიარდიანი ინდუსტრია წელიწადში 30 მილიონამდე მგზავრით 2 თვეში სრულად გაჩერდა. Covid 19-ის პანდემია გადაიქცა კატასტროფად ტურიზმის მთელი ინდუსტრიისთვის, მაგრამ საკრუიზო გემების ინდუსტრიისთვის იდეალურ შტორმს დაემსგავსა, 2020 წლის აპრილის მეორე კვირის მონაცემებით დაფიქსირდა ფასების ვარდნა სხვადასხვა უმსხვილესი მსოფლიო დონის საკრუიზო ლაინერების მფლობელ კომპანიათა აქციებზე, მაგალითად Carnival Cruise - დაეცა 63,4%-ით, Royal Caribbean-80,8%, Norwegian Cruise-80% (Forbes, 2020). ეს დანაკარგები აჩვენებს ყველაზე დაბალ მონაცემებს დარგის ისტორიის მანძილზე.

### 3.2.განთავსების ობიექტები: Covid-19-ის გავლენა და შედეგები მსოფლიო სასტუმრო ინდუსტრიაზე

სასტუმროები წარმოადგენს ისეთ დახურულ განთავსების ობიექტს, სადაც დამსვენებლებს მარტივად შეუძლიათ დაინფიცირდნენ. ცხადია სასტუმრო ინდუსტრიისთვის უარყოფითი გავლენა იქონია Covid -19-ის პანდემიამ, განსაკუთრებით სამი კრიტიკული ჩარევა აღნიშნულ ბიზნესში აღმოჩნდა გადამწყვეტი: ქვეყნების ჩაკეტვა, სოციალური დისტანცია და პორტების დახურვა, ხოლო ფრენების გაუქმებას მოჰყვა მოთხოვნის შეწყვეტა განთავსების ობიექტებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით (Expedia, 2020).

გაირკვა, რომ 2020 წლის მარტის შუა რიცხვებიდან აპრილის დასაწყისამდე მოხდა სასტუმროს ნომრების დაჯავშნის მოცულობის მკვეთრი შემცირება 2020 წლის ფარგლებში საშუალოდ 50%-ით. 2020 წლის მაისსა და ივნისში შეინიშნება 95%-ზე მეტად შემოსავლების შემცირება, რაც გამოწვეული იყო დაჯავშნების მკვეთრი შემცირებით. 2020 წლის 30 მარტისა და

5 აპრილის შუალედში დამტკიცებული სასტუმროს ჯავშნები იმედისმომცემად გამიყურებოდა და საბოლოოდ მოგვცა დადებითი სალდო 2020 წლის დეკემბრისთვის, რაც ფილიმონოსა და დე კოტოს (Filimonau and De Coteau, 2020) შეხედულებით პოზიტიურად შეფასდა ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის უკვე 2021 წლისთვის.

*დიაგრამა № 4. Covid-19-ის გავლენა სასტუმრო ინდუსტრიაზე 2019-2020 წლების შედარება*




სასტუმრო ინდუსტრია ყველაზე მეტად აშშ-ში დაზარალდა მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებით (UNWTO, 2020).

### 3.3.კვების ობიექტები: Covid-19-ის გავლენა სარესტორნო ინდუსტრიაზე

OpenTable მონაცემების შესაბამისად Covid-19-ის პანდემიად გამოცხადებას მოჰყვა კვებითი დაწესებულებების: კაფეების, რესტორნებისა თუ პაბების დახურვა, რამაც გამოიწვია შეკვეთების შემცირება მთელი 100%-ით. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელი დაიწყო საკმაოდ წარმატებით რესტორნების უმეტესობაში მსოფლიოს უმსხვილეს ქალაქებში, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მარტის თვეში. 2020 წლის 10 მარტის შემდეგად ლონდონში, ჰამბურგში, ლას-ვეგასსა და ვაშინგტონში რესტორნები შედარებით მტკიცენი აღმოჩნდნენ აღნიშნული კრიზისის წინაშე, თუმცა უკვე იგივე წლის 22 მარტისთვის სარესტორნო ბიზნესის დონე 2-0%-მდე დაეცა (OpenTable, 2020).

### 3.4.1. დასვენება და გართობა: Covid - 19-ის გავლენა სათამაშო, დასვენებისა და გართობის ინდუსტრიაზე

ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს სათამაშო, დასვენებისა და გართობის სეგმენტი, რომელსაც უზარმაზარი შემოსავლები მოაქვს მსოფლიო ეკონომიკისთვის. (Hennig-Thurau and Houston, 2019).

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ წარმოებული კამპანიები: „დარჩი სახლში“ და #traveltommorrow აღმოჩნდა გადამწყვეტი საზოგადოების უმეტესობისთვის შეეკავებინათ თავი მოგზაურობისაგან (UNWTO 2020). კორონავირუსის ადრეულმა ნიშნებმა მიანიშნა მის ნეგატიურ გავლენაზე ფილმების ინდუსტრიის შემოსავალზე (Kim 2020). Covid -19-ის გავლენა ნეგატიურად აისახა აღნიშნულ ინდუსტრიაზე, რადგან 2020 წელს დაახლოებით 54 ფილმი და სერიალი იქნა შეჩერებული და წარმოებიდან ამოღებული, რომელთა გამოშვება 2021 ან 2022 წლისთვის გადაიდო (IndieWire, 2020).მ.შ. HBO, Warner Bros, Universal Pictures, Sony, Lionsgate-ის ფილმები.

### 3.4.2.Covid-19-ის გავლენა მუსიკალურ სფეროზე

Billboard-ის მონაცემებზე დაყრდნობით (an American entertainment media brand owned by the Billboard-Hollywood Reporter Media Group) 2020 წლის 24 იანვრისა და 6 მაისის შუალედში 301 ცოცხალი შოუ იქნა გაუქმებული ან გადატანილი სოციალური დისტანციის უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე (Billboard 2020).

## 4.საქართველო

2021 წლის 15 ივლისის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია კორონავირუსით დაინფიცირების 382 734 შემთხვევა, აქედან გარდაცვლილი 5 503 და გამოჯანმრთელებული 362 491 ადამიანით (worldometers.countries, 2021). კორონავირუსის პანდემიამ და მის თანმდევმა შეზღუდვებმა: სოციალურმა დისტანციამ, კომენდანტის საათმა, საგანგებო მდგომარეობამ, გადაადგილების შეზღუდვამ, საზღვრების ჩაკეტვამ და სხვამ ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ანალოგიურად საქართველოში ნეგატიური დაღი დაასვა ეკონომიკას.

საქართველოში ვიზიტორების რიცხვი მკვეთრად შემცირდა 2020 წლის აპრილიდან, თუ მაგალითად, 2019 წლის აპრილში საქართველოში 550 000 საერთაშორისო ვიზიტორი შემოვიდა, 2020 წლის იმავე პერიოდში - დაახლოებით 35 000 (ხორბალაძე, 2020).

*დიაგრამა № 5. საერთაშორისო ვიზიტორთა შემოსვლა საქართველოში იანვარ-ნოემბერში, 2019-2020 წლები*




ტურისტების შემცირება ასევე აისახება სარესტორნო ბიზნესზე, სავაჭრო ობიექტების ბრუნვაზე და ა.შ.

2020 წლის მეორე კვარტალის ბოლოს სახელმწიფომ პრიორიტეტად „შიდა ტურიზმი“ გამოაცხადა, რაც თავისთავად რეგიონების ტურისტული ინფრასტრუქტურის მხარდაჭერას ისახავდა მიზნად.

ტურიზმის სფერო, ფაქტობრივად, მთლიანად გაჩერდა და რომ არა სახელმწიფოს პოლიტიკა ე.წ. კარანტინის და კოვიდ-სასტუმროების ამუშავების შესახებ, Covid-19-ის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე რეგიონულ ჭრილში უფრო მტკივნეული იქნებოდა. მთავრობის ოფიციალური ინფორმაციით, საკარანტინე, მათ შორის კოვიდ-სასტუმროების მომსახურებაზე საქართველოში 100 მილიონი ლარია დახარჯული. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ეს პროექტები, ძირითადად, მსხვილ და საშუალო სასტუმროებს შე-

ეხო, ხოლო საოჯახო სასტუმროები, საერთაშორისო საიტებზე არსებული უძრავი ქონების გამქირავებლები, ასევე სარესტორნო და ტურიზმთან პირდაპირ და ირიბად დაკავშირებული ბიზნესი ყველაზე მეტად დაზარალდნენ.

ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად გამოიყო ბიუჯეტი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის ეტაპობრივ გახსნაში, შესაბამისად მოხდა : ტურისტული ინდუსტრიისთვის 2020 წლის ქონების გადასახადის გაუქმება - 45 მლნ. ლარით, ტურისტული ინდუსტრიის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება და გადავადება - 90 მლნ. ლარით, სასტუმროების სესხების სუბსიდირება - 60 მლნ. ლარით (3 000 სასტუმრო), ტურისტული კომპანიების და გიდების მხარდაჭერა - 5 მლნ. ლარით (საქართველოს მთავრობა, 2020).

## დასკვნები და რეკომენდაციები

ნაშრომი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ 2020 წელი რთული აღმოჩნდა მსოფლიო ეკონომიკისთვის, თუმცა წნეხი მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიაზე მეტად შთამბეჭდავი და სავალალოა. ამას მოწმობს ციფრებიც, რომ Covid-19-ის პანდემიამ თავისი სირთულით და დანაკარგით გადააჭარბა 2008-2009 წლების ეკონომიკურ კრიზისს. მიუხედავად არსებული მდგომარეობისა ევროკავშირი, მტო და გლობალური ტურიზმის ჯაჭვის წარმომადგენლები ცდილობენ თავისი წვლილი შეიტანონ მდგომარეობის დარეგულირებაში.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის უკანასკნელი მონაცემების საფუძველზე შემუშავებულ კონცეპტუალურ დოკუმენტში „ტურიზმი და Covid - 19“ ტურიზმის განახლების პრიორიტეტებად მიიჩნევს:

1. კონკურენტუნარიანობის სტიმულირებასა და მდგრადობის გაზრდას მ.შ. დივერსიფიკაციის გზით, რეგიონალური და ეროვნული ტურიზმის განვითარების თანამშრომლობით,
2. ტურიზმის სექტორში ინოვაციებისა და ციფრული გარდასახვის მხარდაჭერას მ.შ. ციფრული უნარების გამომუშავების ინვესტირებას განსაკუთრებით უმუშევართა და სამსახურის მაძიებელთათვის,
3. თანამშრომლობას მდგრადობის განვითარებისთვის და გამწვანების გაზრდისთვის, რათა წარმატებით ვაქციოთ ტურიზმის სექტორი კონკურენტუნარიანად,
4. თანამშრომლობას კოორდინაციისა და პარტნიორობისთვის ტურიზმის სექტორის გადატვირთვისა და გარდასახვის მისაღწევად,
5. შერბილებული სოციალურ-ეკონომიკური შედეგები უარყოფითად აისახება ყოფით საშუალებებზე, განსაკუთრებით რაც შეეხება ქალთა დასაქმებასა და ეკონომიკურ უსაფრთხოებას (UNWTO, 2020 ).

ISO-თან(სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) თანამშრომლობით CEN მიიღო ISO/PAS 5643 სტანდარტი, რომელიც ადგენს მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს ტურისტული ორგანიზაციებისთვის კორონავირუსის გავრცელების შესაზღუდად და Covid-19-სგან თანამშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად, ასევე უფრო უსაფრთხო ტურისტული მომსახურებისა და პროდუქტის შესათავაზებლად ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის (CEN, 2021).

აშშ-ს სასტუმროების ასოციაციის მიერ შემოღებულ იქნა Covid -19-ის წინააღმდეგ მიმართული უსაფრთხოების ზომები, რომლის ონლაინ სწავლებასაც უზრუნველყოფს ამერიკის სასტუმროების სწავლების ინსტიტუტი ამერიკის სასტუმროების ასოციაციის მრჩეველთა საბჭოსთან კონსულტაციით (AHLA, 2021).

2021 წლის 26 თებერვლის სტატიაში „პოსტ-კოვიდი: რა მომავალი ელის რესტორნებს“ ფრანსუა ბლუა და პიტერ ბეკმანი François Blouin et Peter Backman წერდნენ, რომ უახლეს ის-

ტორიაში იშვიათობა იყო ისეთი შთმბეჭდავი სანახაობები, როგორიცაა უკაცრიელი საქალაქო ცენტრები, ცარიელი რესტორნები და კაფეები, რომლებიც დაიკეტა ხანგრძლივი დროით. როდესაც ადგილი აქვს ისეთ ეპიზოდებს, რომლებიც არღვევენ ეკონომიკური სექტორის ფუნქციონალურ მთლიანობას ადგილი აქვს მხოლოდ ორ პერსპექტივას: პირველი - დაბრუნება არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისი პირობების დადგომისთანავე და მეორე - მივიღოთ რადიკალური ცვლილებები(Blouin & Backman,2021).

ევროკავშირმა შეიმუშავა გლობალური ტურიზმის ფასეულობების ჯაჭვის დასვენებისა და გართობის ინდუსტრიის მხარდაჭერის პროგრამა Covid-19-ის შედეგების თავიდან არიდების მიზნით, რომელიც მოიცავს:

1.კრეატიული ევროპის მედიის (CreativeEU, 2021) შექმნას. 2021-2027 წლებისთვის მისი ბიუჯეტი განისაზღვრა 2,4 მილიარდი ევროთი, რაც 80%-ით მეტია წინა პერიოდთან (2014-2020 წწ.) შედარებით, საიდანაც 1,4 მილიარდი ევრო წარიმართება მისი ქვეპროგრამის მედია 4-ის დასაფინანსებლად (ec.europa, 2021).

2.აღდგენის მექანიზმის შექმნასა და მდგრადობის გაზრდას(europarliament,2021). ღირებულებით 672 მილიარდი ევრო (მიღებულ იქნა 2021 წლის 10 თებერვალს).

3. დროებით ჩარჩოს - სახელმწიფოების დახმარების სქემას (ec.europa, 2020).

მტო-ის გენერალური მდივანი ბ-ნი ზურაბ პოლოლიკაშვილი აღნიშნავს, რომ მსოფლიო ტურიზმს დაახლოებით ოთხი წელი დასჭირდება 2019 წლის მონაცემებთან დასაახლოებლად (ИЗВЕСТИЯ, 2021), მაგრამ „ქვეყნებს შორის კოორდინაცია და საერთო წესების დაწესება“ გამოიღებს სასურველ შედეგებს (გელანტია, 2021).

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გელანტია,თ. (2021). ციტატა: ზურაბ პოლოლიკაშვილი: ტურიზმის ინდუსტრიაში ძალიან დიდი ქაოსია. Business media Georgia. წყარო https://bit.ly/3y14dYU საქართველოს მთავრობა (2020). ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა. წყარო https://bit.ly/3imjInZ
2. ხორბალაძე,თ. (2020). ციტატა: COVID 19-ის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე რეგიონულ ჭრილში.16-17. წყარო https://bit.ly/2VQjm17
3. AHLA (2021). Citation: ENHANCED INDUSTRY-WIDE HOTEL CLEANING & SAFETY GUIDELINES in response to COVID-19. 3-4. Retrieved from https://bit.ly/3irs51x
4. Billboard. (2020). Citation: CORONAVIRUS Here are all the major music events cancelled due to coronavirus (updating). Billboard. Retrieved 7 May 2020, from https://bit.ly/3rgtpbm
5. Blaize,A. (2020) Citation: C'est quoi un coronavirus : origine, nom, mutation, symptômes. Extrait du https://bit.ly/3xJtl6x Bloom, J. (2020). Citation : Will we ever take cruise holidays again? BBC. Retrieved from www.bbcnews. com.news/amp/business52182509. Accessed 9 Apr 2020.
6. Blouin,F. et Backman,P.(2021). Citation: Post-Covid : quel avenir pour la restauration ?. la tribune. Extrait du https://bit.ly/3wPPrTs cen (2021) Citation: CEN published the new European Tourism Covid-19 Safety Seal. Retrieved from https://bit.ly/3iryREB
7. Christian, M., Fernandez-Stark, K., Ahmed, G., & Gereffi, G. (2011). The tourism global value chain: Economic upgrading and workforce development. London: Centre on Globalization, Governance & Competitiveness, Duke University
8. Creative Europe (2021). Citation: REGULATION OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL establishing the Creative
9. Europe programme (2021 to 2027) and repealing Regulation (EU) No 1295/2013. Retrieved from https://-bit.ly/3imCqM5
10. Daly, J., & Gereffi, G. (2017). Tourism global value chains. In R. S. Newfarmer, J. Page, & F. Tarp (Eds.), Industries without smokestacks: Industrialisation in Africa reconsidered (pp. 68–89). Oxford: Oxford University Press.

11. ec.europa (2020). Citation: State aid: Commission adopts Temporary Framework to enable Member States to further support the economy in the COVID-19 outbreak . Retrieved from https://bit.ly/36NnVvv
12. ec.europa (2021). Citation: Creative Europa:30 years of support to European films and cultural and creative media works. Retrieved from https://bit.ly/2Thf0iE
13. europarliament (2021). Citation: European Parliament legislative resolution of 10 February 2021 on the proposal for a regulation of the European Parliament and of the Council establishing a Recovery and Resilience Facility (COM(2020)0408 – C9-0150/2020 – 2020/0104(COD)). Retrieved from https://bit.ly/-3zbH5HG
14. Expedia. (2020). Expedia, Inc. Citation : Financial results release glossary of business and financial definitions. Retrieved April 11, 2020, from https://bit.ly/3iIJNTV
15. Filimonau, V., & De Coteau, D. (2020). Tourism resilience in the context of integrated destination and disaster management (DM2). International Journal of Tourism Research, 22(2), 202–222.
16. Forbes. (2020). Citation: Norwegian and Royal Caribbean down 80%. Is either now a good value? Retrieved from www.forbes.com/sites/greatspeculations/2020/04/06/norwegian-royal-caribbean-down80-is-either-now-a-good-value-amp/. Accessed 14 Apr 2020
17. Gereffi, G., & Fernandez-Stark, K. (2011). Global value chain analysis: A primer. Durham: Centre on Globalization, Governance & Competitiveness (CGGC).
18. Hennig-Thurau, T., & Houston, M. B. (2019). Creating value, making money: Essential business models for entertainment products. In T. Hennig-Thurau & M. Houston (Eds.), Entertainment science: Data analytics and practical theory for movies, games, books and music (pp. 151–231). New York: Springer
19. IATA. (2020e). Citation : Evolution of COVID-19 travel restrictions 12–23 March 2020. IATA. Retrieved April 5, 2020, from https://bit.ly/3kwyJGs
20. IndieWire. (2020). Citation: Coronavirus cancellations: Every film, TV show, and event affected by the outbreak. IndieWire. Retrieved 4 May 2020, from https://bit.ly/3Bji7rt (2020). 2020 will likely be the worst Box Office year in over 25 years. Observer. Retrieved 4 May 2020, from https://bit.ly/3xQz8XU
21. Kim, I. K. (2020). Citation: The impact of social distancing on box office revenue: Evidence from the COVID-19 pandemic. SSRN. Retrieved from https://doi.org/10.2139/ssrn.3578822.
22. Lange, 2021 K.W. Lange Coronavirus disease 2019 (COVID-19) and global mental health Glob. Health J. (2021)
23. OpenTable. (2020). Citation: The state of the restaurant industry. Retrieved March 29, 2020, from www.opentable.com/state-of-industry
24. Swift, R. (2020). Citation : Global cruise ship fleets lose US$4 billion in value as coronavirus pandemic idles industry, halving the number of vessels as sea. South China Morning Post. Retrieved from www.amp.-scmp.com/business/companies/article/3078347/globalcruise-ship-fleets-lose-us4-billion-in-value-coronavirus. Accessed 10 Apr 2020.
25. UNIC. (2020). Citation : UNIC RESEARCH The impact of the coronavirus outbreak on the European cinema industry. UNIC. Retrieved 5 May 2020, from https://www.unic-cinemas. org/fileadmin/user_upload/Publications/Public_-_UNIC_research_-_Coronavirus_ impact_on_the_cinema_industry_v22.pdfUNWTO. (2020). STAY HOME TODAY, #TRAVELTOMORROW. World Tourism Organization. Retrieved 1 May, 2020, from www.unwto.org/news/stay-home-today-traveltomorrow
26. UNWTO (2020). Citation: EFFETS DE LA COVID-19 SUR LE TOURISME : SANS PRÉCÉDENT ET SANS COMPARAISON. Extrait du https://bit.ly/3irq7hF
27. UNWTO. (2020). Citation: International tourism highlights 2019 edition. Madrid: UNWTO. Retrieved April 12, 2020, from https://bit.ly/2Tiuy5M
28. Wang, Q. (2018). A comparative study of China-U.S. tourism characteristic industry GVC1 embedment degree. American Journal of Industrial and Business Management, 8, 1549–1555.
29. World Travel & Tourism Council (2021). Citation: Global Economic Impact and Trends 2021, Retrieved from https://bit.ly/3xQi7gr worldometers (2021).15/07/2021 Retrieved from https://www.worldometers.info/coronavirus/
30. worldometers.countries (2021). 15/07/2021 Retrieved from https://www.worldometers.info/coronavirus/#-countries
31. ИЗВЕСТИЯ (2021). Цитата: Эксперт спрогнозировал срок восстановления мирового туризма после пандемии. Из https://bit.ly/2UX3ZDv

# საქართველოს ტურისტული პროდუქტის ფასის კონკურენტუნარიანობა COVID-19 პანდემიის პირობებში

**ლაღი ოქროშიძე**
*თსუ დოქტორანტი*

*COVID-19-ის ეპიდემიის საწყის ეტაპზე, ეფექტებმა, ხომლებმაც მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიაზე გავლენა იქონიეს, მსოფლიოში ნაკლებმნიშვნელოვნად შეფასდა (Škare, Soriano, Porada-Rochoń, 2021). ლღესაც კი, პანდემიის მეორე წელს, გადაწყვეტილებების მიღებისას, პოლიტიკოსებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნიათ (Škare, Soriano, Porada-Rochoń, 2021).*

*საქართველოში, პანდემიურ და პოსტპანდემიურ ეტაპებზე, ტურიზმის აღდგენა საკვანძო საკითხია, რაც ბევრადაა დამოკიდებული მის კონკურენტუნარიანობაზე. მოცემულ ეტაპზე კვლევა კონკურენტუნარიანობის პრინციპულ კომპონენტზე - ფასზე ჩავატარეთ.*

*ჩვენი მიზანი, მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს ტურისტული პროდუქტის ფასის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაა.*

*საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის კვლევისთვის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსში მოცემული სვეტის „ფასის კონკურენტუნარიანობისა“ და მისი ოთხი ინდიკატორის მონაცემებს ვიყენებთ. ამ მონაცემების საფუძველზე, საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებს შევისწავლით.*

*„ფასის კონკურენტუნარიანობის“ კვლევის შედეგად დადგინდა გამოწვევები, ხომელთა წინაშეცაა, ამ ეტაპზე, საქართველო და გამოვლინდა ის საყურადღებო ასპექტები, ხომელთაც, თანამედროვე პერიოდში, მზარდი მნიშვნელობა მიენიჭება.*

***საკვანძო სიტყვები:*** *COVID-19, ტურიზმი, კონკურენტუნარიანობა, მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი*

## კონცეპტუალური მიდგომა და კვლევის მეთოდიკა

საქართველოს ეკონომიკისთვის ტურიზმს მზარდი მნიშვნელობა აქვს (მაგ.: Khelashvili, 2021). 2008 წელს საქართველოს მთლიან სამამულო პროდუქტში[1] ტურიზმის წილი 11,5%-ს, 2019 წელს კი - 33,5%-ს შეადგენდა (knoema.com) (იხ. გრაფიკი 1):




წყარო: https://knoema.com/

გრაფიკი 1

[1] მთლიანი სამამულო პროდუქტი (პაპავა, სილაგაძე, 2019ა, 2019ბ)

ქვეყანამ, 2019 წელს, რეკორდული რაოდენობის, 9,3 მილიონი საერთაშორისო ვიზიტორი მიიღო, რაც 2018 წელთან შედარებით, 7%-ით მეტია (ITA). აქედან, 4,8 მილიონი ტურისტია და აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 16%-ით გაიზარდა (ITA).

აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში, ტურიზმი, ინდუსტრიებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერად დაზარალებული აღმოჩნდა (მაგ.: პაპავა, 2020, გვ. 408; Abbas, Mubeen, Iorember, Raza, Mamirkulova, 2021), ამიტომ, ტურიზმის ინდუსტრიის ბოლო ტენდენციების განსაზღვრა, კონკურენტუნარიანობის შესწავლა, მომავალი განვითარებისა და ბაზრის აღდგენისთვის, აქტუალური მიმართულებაა.

საქართველოში, მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის აღდგენა მნიშვნელოვანია, რაც მის კონკურენტუნარიანობაზეა დამოკიდებული.

კონკურენციის რეგიონად საქართველო და მისი მეზობელი ქვეყნები განისაზღვრა, რომელიც ჩვენი კვლევის ობიექტია.

კონკურენტუნარიანობის ანალიზი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის (TTCI) მეთოდოლოგიას ეფუძნება. საზოგადოდ, კონკურენციას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთა შორისაც „ფასი“ ერთ-ერთი ფუნდამენტურია (WEF).

ამ მეთოდოლოგიის თანახმად, კონკურენტული გარემო თოთხმეტი განზოგადებული მაჩვენებლით (pillar) ფასდება, რასაც პირობითად ვთარგმნით, როგორც „სვეტს“.

ჩვენი კვლევის მოცემულ ეტაპზე, ანალიზისთვის, აღნიშნული თოთხმეტი „სვეტიდან“ ერთ-ერთი - „ფასის კონკურენტუნარიანობა“ - შევარჩიეთ.

ბევრი ადამიანისთვის მოგზაურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მთავარ განმსაზღვრელს სწორედ დაბალი, კონკურენტუნარიანი ფასი წარმოადგენს (TTCI 2019). კონკურენტუნარიანი ფასის დასადგენად ავიაბილეთების ფასებს, აეროპორტების მოსაკრებლებს (რაც ბილეთის ფასს აძვირებს), საწვავის ღირებულებას და იმ გადასახადებს ითვალისწინებენ, რომლებიც მოგზაურობის ფასებზე აისახება (TTCI 2019).

ამან განაპირობა, ზემოთ აღნიშნული თოთხმეტი „სვეტიდან“ „ფასის კონკურენტუნარიანობის“ შერჩევის უპირატესობა. შესაბამისად, კონკურენცია განსახილველ რეგიონში წინამდებარე კვლევის საგანია.

„ფასის კონკურენტუნარიანობის“ განმსაზღვრელი ოთხი ინდიკატორია (TTCI):

1. ბილეთისა და აეროპორტის მოსაკრებლები;
2. სასტუმროს ფასების ინდექსი;
3. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი;
4. საწვავის ფასის დონე.

ამავე მეთოდოლოგიის თანახმად, ქვეყნის ფასების კონკურენტუნარიანობა ქულებით ფასდება, რომლებიც 0-დან (დაბალი მაჩვენებელი) 7-მდე (საუკეთესო მაჩვენებელი) იცვლება და ამის შედეგად, ქვეყანას რეიტინგი მიენიჭება (TTCI).

**ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე,** საქართველოსთან მიმართებით კონკურენტი ქვეყნების პოზიციების დასადგენად, გარკვეული რაოდენობრივი დაშვებები მივიღეთ და ამის საფუძველზე კონკურენტული პოზიციების კატეგორიები გამოვყავით. კერძოდ, იმ მაჩვენებლებისთვის, რომლებიც ქულების (0-დან - 7-მდე) მინიჭების გზით გამოიანგარიშება, შემდეგი დაშვება შევუსაბამეთ: თუ უმაღლესი მაჩვენებლის მქონე ქვეყანასა და საქართველოს მაჩვენებელს შორის სხვაობაა 1.0-ზე ნაკლები ან 1.0-ის ტოლი, ვთვლით, რომ კონკურენცია გაჯერებულია; თუ სხვაობა 1.0-ზე მეტია - კონკურენცია არ არის გაჯერებული.

ანალიზისთვის შვიდი წლის მონაცემები გამოვიყენეთ. თავდაპირველად, მონაცემებს ვაჯგუფებთ და გამოვყოფთ შემდეგ სამ პოზიციას: ლიდერულს, შუალედურსა და მიმდევარს[1].

დაშვების გამოყენებით კი დამატებით შევძლებთ გამოვყოთ ის ინდიკატორები, სადაც კონკურენცია გაჯერებული ან არა გაჯერებულია.

კვლევისას შემდეგი ამოცანები დავისახეთ:

1. საქართველოს კონკურენტუნარიანობის გამოკვლევის მეთოდიკის შემუშავება;
2. პანდემიამდე პერიოდში ფასების კონკურენტუნარიანობის შესწავლა;
3. პანდემიის პირობებში, ფასებზე ზეგავლენის მქონე გარემოებების შეფასება.

ვინაიდან, კორონავირუსი პანდემიად 2020 წლის მარტში გამოცხადდა (WHO), პანდემიამდე პერიოდის მონაცემები 2019 წლის ჩათვლითაა მოცემული. 2020 და 2021 წლის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემები, ამ დრომდე, ხელმისაწვდომი არ არის, რის გამოც, ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან ვიძიებთ.

მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის, ფასის კონკურენტუნარიანობის 2019 წლამდე საკვლევი ქვეყნების რეიტინგი ასე გამოიყურება (იხ. გრაფიკი 2):




გრაფიკი 2

საქართველო 2013 წელს კონკურენტ ქვეყნებს შორის ლიდერის პოზიციას იკავებდა, თუმცა დანარჩენ პერიოდში, გაჯერებული კონკურენციის პირობებში, შუალედურ პოზიციაზე გადავიდა. საქართველოს, 2019 წელს, 140 ქვეყანას შორის, (7 ქულიდან 5,7 ქულით) 36-ე ადგილი ეკავა.

საქართველო, განხილულ რეგიონში, აღნიშნული სვეტის კონკურენტული უპირატესობით არ გამოირჩევა. მეტიც, ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიის სტრატეგია მაღალგადახდისუნარიანი სეგმენტების გაფართოვებაზეა მიმართული. შესაბამისად, მომსახურების ხარისხის თავსებადობა, ტურისტული პროდუქტის ფასებთან, გამოწვევად უნდა ჩაითვალოს, ხოლო მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე აღებული გეზი, ფასებს კიდევ გაზრდის.

სვეტის პირველი ინდიკატორის, ბილეთისა და აეროპორტის მოსაკრებლების თვალსაზრისით, საქართველოს მაჩვენებელი 2015 წლიდან გაუმჯობესდა, თუმცა, 2020 წლამდე, შუალედურ პოზიციას ინარჩუნებდა (იხ. გრაფიკი 3):

[1] ტერმინი „მიმდევარი“ პირობითად ვთარგმნეთ უცხოურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინიდან - „follower” (მაგ.: Kotler, 1999; Gilligan, Wilson, 2003; მღებრიშვილი, თოდუა, 2009, გვ. 220).




გრაფიკი 3

ინდიკატორის მონაცემთა გამოთვლა IATA-ს (საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციაცია - International Air Transport Association) რეგულირების მიხედვით ხდება.

აღსანიშნავია, რომ პანდემიით შექმნილი გამოწვევების დასაძლევად და რთული ეკონომიკური მდგომარეობის შესამსუბუქებლად, IATA-მ უმეტესი ქვეყნების მოსაკრებლების გადახდის გადავადება განახორციელა (https://aviationcharges.iata.org/covid19.xhtml). მაგალითად, იმ მოსაკრებელთა გადახდის ვადამ, რომლებიც საქართველოს, სომხეთსა და თურქეთს, 2020 წლის თებერვალში, მარტში, აპრილსა და მაისში ჰქონდათ გადასახდელი, 2021 წლის აგვისტომდე გადაინაცვლა (https://aviationcharges.iata.org/covid19.xhtml).

ამასთან, თურქეთში ადგილობრივი საჰაერო ტრანსპორტირებისთვის დამატებული ღირებულების გადასახადი 18%-დან 8%-მდე შემცირდა 2020 წლის ივლისიდან 2020 წლის ბოლომდე (https://aviationcharges.iata.org/covid19.xhtml).

აღნიშნულმა, პანდემიისა და კრიზისის პირობებში, ბილეთისა და მოსაკრებლების გადასახდელების შემცირებაზე იმოქმედა, რითიც, ინდუსტრიაზე წნეხი შეარბილა. თუმცა შევნიშნავთ, რომ 2020 და 2021 წლებში, ვინაიდან შეღავათები ყველა საკვლევ ქვეყანაზე გავრცელდა, საქართველოს პოზიცია, სავარაუდოდ, პრე-პანდემიურის ანალოგიური დარჩა.

სვეტის მეორე ინდიკატორის, სასტუმროს ფასების ინდექსის თვალსაზრისით, 2020 წლამდე, საქართველოს უმაღლესი მაჩვენებელი ჰქონდა, რამაც, აღნიშნული რეგიონის კონკურენციაში, მისი მიმდევარი პოზიცია განაპირობა, ვინაიდან მაღალი მაჩვენებელი სასტუმროთა საშუალო ფასების მაღალ დონეზე, იგივე, სიძვირეზე, მიუთითებს. ზოგადად, კონკურენცია რეგიონში გაჯერებულია (იხ. გრაფიკი 4):




გრაფიკი 4

მსოფლიოში მოთხოვნა მოგზაურობაზე, 2020 წლის მარტის თვიდან, მკვეთრად შემცირდა, რასაც ტურისტთა რიცხვის შემცირების გარდა, სასტუმროების დატვირთულობის მაჩვენებელიც ადასტურებს (იხ. გრაფიკი 5):




წყარო: https://www.statista.com/statistics/206825/hotel-occupancy-rate-by-region/

გრაფიკი 5

სასტუმროებში ფასების ცვლილება, კონკრეტული ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, საქართველოში, ფასები 2020-2021 წლების I და II კვარტალში, მოთხოვნის, პრაქტიკულად, არარსებობის პირობებში, თითქმის უცვლელი იყო (https://www.pmcg-i.com/), ვინაიდან ფასის ცვლილება მოთხოვნაზე გავლენას ვერ იქონიებდა (იხ. გრაფიკი 6):




გრაფიკი 6

შედარებისთვის, თურქეთში, სადაც განთავსების საშუალო ფასი სასტუმროთა კლასის გაუთვალისწინებლადაა მოცემული, 2020-2021 წლების I და II კვარტალში (ბოლო ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად), ფასები ზრდადი იყო (იხ. გრაფიკი 7):




წყარო: https://ycharts.com/indicators/turkey_consumer_price_index_hotels_and_restaurants

გრაფიკი 7

სომხეთის შემთხვევაში განთავსების საშუალებების საშუალო ფასების შედარება 2017 და 2021 წლებში შეგვიძლია. 2017 წელს სამვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი 51-დან 69 დოლარამდე მერყეობდა (Alikhanyan, Danielyan, Hakobyan, Kirakosyan, Harutyunyan, 2017), მაშინ როცა 2021 წლის ივლისისთვის საშუალო ფასი 44 დოლარია; 2017 წელს, ოთხვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი 84-დან 108 დოლარამდე, (Alikhanyan, Danielyan, Hakobyan, Kirakosyan, Harutyunyan, 2017), ხოლო 2021 წელს - 64 დოლარი იყო; ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების შემთხვევაში, 2017 წელს საშუალო ფასი 131-დან 175 დოლარამდე (Alikhanyan, Danielyan, Hakobyan, Kirakosyan, Harutyunyan, 2017), ხოლო 2021 წლისთვის 122 დოლარი იყო. შესაბამისად, ვხედავთ, რომ სომხეთის შემთხვევაში, ფასების უმნიშვნელო შემცირება შეინიშნება.აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ პანდემიურ პირობებში, სასტუმროებზე ფასები, მოთხოვნის შემცირების მიუხედავად, დიდად არ შეცვლილა. **სავარაუდოა, რომ მოთხოვნის არ არსებობის პირობებში, ფასმა კონკურენტუნარიანობის ძალა დაკარგა და მის ცვლილებას, მოთხოვნაზე, გადამწყვეტი გავლენა ვერ ექნებოდა.**

ამ შემთხვევაშიც, საკვლევი ქვეყნების პოზიციები, მოსალოდნელია, რომ არ შეიცვლება.

სვეტის მესამე ინდიკატორი მსყიდველობითი უნარის პარიტეტია. მსოფლიო ბანკის მიერ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის კოეფიციენტის გამოთვლა შემდეგი გზით ხდება: შიდა ბაზარზე იგივე საქონლისა და მომსახურების შესაძენად საჭირო ქვეყნის ვალუტის და ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმავე საქონლისა და მომსახურების საყიდლად საჭირო ამერიკული დოლარის შედარებით.

2019 წელს, საქართველოს მიმდევარი პოზიცია და სომხეთის, რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის ანალოგიური მაჩვენებელი ჰქონდა. აზერბაიჯანის პოზიცია უკეთესი იყო, თუმცა კონკურენცია რეგიონში მაინც გაჯერებულია (იხ. გრაფიკი 8):




გრაფიკი 8

ამ ეტაპისთვის, უფრო ახალი მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა, ვინაიდან პანდემიამ ეკონომიკური კრიზისი მთელ მსოფლიოში გამოიწვია (WB), სავარაუდოა, რომ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გლობალური ცვლილებები ნაკლებად მოსალოდნელია.

სვეტის მეოთხე ინდიკატორში - საწვავის ფასის დონე - 2019 წლისთვის, საქართველო, გაჯერებული კონკურენციის პირობებში, შუალედურ პოზიციაზე იყო (იხ. გრაფიკი 9):




გრაფიკი 9

აღსანიშნავია, რომ საქართველო თითქმის მთლიანად იმპორტირებულ საწვავზეა დამოკიდებული და ქვეყანაში, ძირითადად, იმპორტირებული ნავთობპროდუქტები გამოიყენება. საქართველოში წარმოებული ნედლი ნავთობის გადამუშავების შედეგად მიღებული ნავთობპროდუქტები შიდა მიწოდების მხოლოდ 2%-ს შეადგენს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო).

სომხეთი ნავთობის იმპორტიორია. მისი მთავარი პარტნიორები საქართველო, ირანი, რუსეთის ფედერაცია და ევროპაა (ITA).

რაც შეეხებათ თურქეთსა და რუსეთის ფედერაციას, ისინი ნავთობის ექსპორტიორები არიან, (https://www.iea.org/reports/azerbaijan-energy-profile).

აღნიშნული ფაქტორები საქართველოში საწვავის შედარებით მაღალი ფასის არსებობის განმაპირობებლები არიან.

ამასთან აღვნიშნავთ, რომ, პანდემიის პირობებში, 2020 წელს ნავთობის ფასის დაცემის შემდეგ, სიტუაცია უმჯობესდება, რაც პოზიტიურ მოლოდინს აჩენს (იხ. გრაფიკი 10):




წყარო: https://www.iata.org/en/publications/economics/fuel-monitor/

გრაფიკი 10

ჩვენი კვლევის დაშვებების გათვალისწინებით საქართველოს 2019 წლამდე მაჩვენებელთა ანალიზის შედეგად, შემდეგი პოზიციები დგინდება:

| „ფასის კონკურენტუნარიანობის“ სვეტის ინდიკატორები (TTCI-ის მიხედვით) | პოზიცია და კონკურენტული გარემო |
|---|---|
| 8.01 ბილეთისა და აეროპორტის მოსაკრებლები;<br>8.04 საწვავის ფასის დონე | შუალედური პოზიცია, გაჯერებული კონკურენციის პირობებში |
| 8.02 სასტუმროს ფასების ინდექსი;<br>8.03 მსყიდველობითი უნარის პარიტეტი | მიმდევარი პოზიცია, გაჯერებული კონკურენციის პირობებში |

## დასკვნა

ცვლილებები, რომლებიც ტურიზმის ინდუსტრიამ გლობალურად განიცადა, ქვეყნების უმრავლესობაში მსგავსია. გაცილებით მნიშვნელოვანია ცვლილებების ფონზე, მსოფლიოში ცხოვრების ჩვეული რიტმის დასაბრუნებლად, ქვეყნების მიხედვით ვაქცინაციის მასშტაბები. მრავალი ქვეყანა, მოგზაურობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის საქართველო, მოგზაურებისგან სხვადასხვა დოკუმენტების წარდგენას ითხოვს იმის დასადასტურებლად, რომ მათი ქვეყანაში მოგზაურობა დასაშვებია (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროპარლამენტი).

იმისთვის, რომ ტურიზმმა აღდგენა რაც შეიძლება სწრაფად შეძლოს, მაგალითად, მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭომ (World Travel and Tourism Council) მრავალი პროტოკოლი და ქცევის წესი შეიმუშავა, რათა მოგზაურობა მაქსიმალურად უსაფრთხო გახდეს.

კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო შემდეგი გამოწვევების წინაშეა:

- „სასტუმროს ფასების ინდექსთან“ მიმართებაში - გაჯერებული კონკურენციის პირობებში, შუალედური პოზიციის მოპოვება;
- „მსყიდველობითი უნარის პარიტეტთან“ მიმართებაში - გაჯერებული კონკურენციის პირობებში, არსებული პოზიციის შენარჩუნება;
- ორ ინდიკატორთან - „ბილეთისა და აეროპორტის მოსაკრებლების“ და „საწვავის ფასის დონესთან“ - მიმართებაში - გაჯერებული კონკურენციის პირობებში, მიმდევარ კონკურენტებს შორის, შუალედური პოზიციის შენარჩუნება.

მიმდევარ პოზიციაზე მყოფი ინდიკატორის - „სასტუმროს ფასების ინდექსის“ - შემთხვევაში, ჩვენი აზრით, მთავარი მიზანი, გრძელვადიან პერიოდში, არა იმდენად ფასების შემცირება, არამედ სასტუმროებში გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება უნდა გახდეს. პანდემიურ პირობებში, მოკლევადიან პერიოდში, ფასების შემცირება რეაგირების, ტაქტიკური საშუალებაა, მაგრამ სტრატეგიულად, ფასის შესაბამისობა ხარისხთან საკვანძო მნიშვნელობას იძენს.

შედეგად, სამომავლოდ, კონკურენტუნარიანობა არა ფასში, არამედ ხარისხში უნდა გამოიხატოს.

მიმდევარ პოზიციაზე მყოფი მეორე ინდიკატორის - „მსყიდველობითი უნარის პარიტეტის“ - შემთხვევაში, საქართველო, მართალია აზერბაიჯანს ჩამორჩება, თუმცა მაჩვენებელი ნაკლებად კრიტიკულად გვეჩვენება, ვინაიდან საკვლევ ქვეყნებში, მსყიდველობითი

უნარის პარიტეტი დაახლოებით ერთნაირია, რაც, მოგზაურობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, გადამწყვეტ მნიშვნელობას კარგავს.

მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსში მოცემული რეიტინგების მიხედვით, რაც უფრო დაბალია მსყიდველობითი უნარის პარიტეტი, მით უფრო მოწინავეა ქვეყნის რეიტინგი, რაც იმით შეგვიძლია ავხსნათ, რომ რაც უფრო იაფია ქვეყანაში ცხოვრება, მით კონკურენტუნარიანია ის. ტურიზმის კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, მსყიდველობითი უნარის პარიტეტით, კონკურენტული უპირატესობა აზერბაიჯანს გააჩნია.

გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოში ცხოვრების დონის სტანდარტების გაზრდა ამ მაჩვენებლით ქვეყნის პოზიციას გააუარესებს, თუმცა, ვინაიდან საქართველოს სამიზნეა მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული სეგმენტები, აღნიშნული მაჩვენებლის ჩამორჩენა უარყოფით მოვლენად არ უნდა განიხილებოდეს.

შესაბამისად მიგვაჩნია, რომ საქართველომ, მისი, პირველ რიგში ეკონომიკური განვითარებისა და, შემდეგ, მაღალგადახდისუნარიანი მოგზაურების მოსაზიდად, ხანგრძლივი გზა უნდა განვლოს.

რაც შეეხება გაჯერებული კონკურენციის პირობებში, შუალედურ პოზიციაზე მყოფ ინდიკატორებს, მათი, უახლოეს მომავალში რადიკალური ცვლილება ნაკლებ სავარაუდოა. ორივე ინდიკატორი (ბილეთისა და აეროპორტის მოსაკრებლები; საწვავის ფასის დონე) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ვინაიდან ბილეთისა და აეროპორტის მოსაკრებლების დიდი ნაწილი სწორედ საწვავზე მოდის. შესაბამისად, ორივე ინდიკატორის შემთხვევაში, შუალედური პოზიციის შენარჩუნება მნიშვნელოვნად გვეჩვენება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი https://www.weforum.org/
2. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია https://www.unwto.org/
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო http://www.economy.ge/uploads/files/2017/energy/security_of_supply_oil_sector/security_of_supply_oil_sector_geo.pdf
4. პაპავა ვ., სილაგაძე ა., 2019ა. ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის - "Gross Domestic Product"-ის ქართული სახელწოდების შესახებ. ეკონომიკა და ბიზნესი, №1.
5. პაპავა ვ., სილაგაძე ა., 2019ბ. როგორ უნდა ითარგმნოს ქართულად ტერმინი "Gross Domestic Product". გლობალიზაცია და ბიზნესი, №7.
6. პაპავა ვ., 2020. არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
7. Abbas J., Mubeen R., Iorember P. T., Raza S., Mamirkulova G., 2021. Exploring the impact of COVID-19 on tourism: transformational potential and implications for a sustainable recovery of the travel and leisure industry. *Current Research in Behavioral Sciences*, Volume 2, November 2021, 100033 https://doi.org/10.1016/j.crbeha.2021.100033
8. Alikhanyan A., Danielyan E., Hakobyan D., Kirakosyan M., Harutyunyan T., 2017. 3-Star Hotel in Yerevan. American University of Armenia
9. Georgia - Contribution of travel and tourism to GDP as a share of GDP https://knoema.com/atlas/Georgia/topics/Tourism/Travel-and-Tourism-Total-Contribution-to-GDP/Contribution-of-travel-and-tourism-to-GDP-percent-of-GDP#:~:text=Georgia%20%2D%20Contribution%20of%20travel%20and,as%20a%20share%20of%20GDP&text=In%202019%2C%20contribution%20of%20travel,)%20for%20Georgia%20was%2033.5%20%25.
10. Gilligan C., Wilson R. M. S., 2003. Strategic Marketing Planning. Butterworth-Heinemann. ISBN 0 7506 2246 6
11. Khelashvili, I., 2021. Post-Pandemic Expectation of Inbound Tourism in Georgia
12. Kotler P., 1999. Kotler on Marketing, Free Press

13. Škare M., Soriano D. R., Porada-Rochoń M.. 2021. Impact of COVID-19 on the Travel and Tourism Industry. *Technological Forecasting and Social Change,* Volume 163, February 2021, 120469 https://doi.org/10.1016/j.techfore.2020.120469
14. International Trade Administration https://www.trade.gov/country-commercial-guides/georgia-tourism#:~:text=2020%2D10%2D08-,Overview,higher%20than%20the%20previous%20year.
15. Statista, German database company https://www.statista.com/statistics/206825/hotel-occupancy-rate-by-region/
16. World Economic Forum https://www.weforum.org/
17. World Travel and Tourism Council https://wttc.org/Initiatives/Security-Travel-Facilitation

# კორონავირუსის პანდემიის გავლენა შინამეურნეობების შემოსავლებზე და ხარჯებზე

**_მარიამ ოქრუაშვილი_**
_თსუ მაგისტრანტი_

_კორონავირუსი 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანესი გლობალური გამოწვევაა და ეს დაემთხვა პერიოდს, როდესაც სახელმწიფოებს შორის ხორციელდება ფართო ეკონომიკური თანამშრომლობა, ასევე მაღალია მოსახლეობის მობილობა, რამაც უფრო მეტად შეუწყო ხელი პანდემიის მასშტაბის გავრცელებას. პანდემიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. განსაკუთრებით ძლიერია მისი ზეგავლენა შინამეურნეობების შემოსავლებზე და, შესაბამისად, ხარჯებზე. ამან გამოიწვია მოსახლეობის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი შემცირება, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უკუსვლა. იმისათვის, რომ მოხდეს კორონომიკის უფრო დეტალურად შესწავლა, ამისათვის მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ მისი ზეგავლენის ჰაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. მოსახლეობის ცხოვრების დონის განმსაზღვრელი სხვადასხვა მახასიათებლის კომპლექსური სტატისტიკური შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ის გარკვეულწილად საფუძველი იქნება, როგორც პანდემიის, ასევე პოსტპანდემიის პერიოდში არსებული კონკრეტული პრობლემების შესაფასებლად. სწორედ ეს არის წარმოდგენილი სტატიის ძირითადი არსი._

**_საკვანძო სიტყვები:_** _კორონომიკა, კორონავირუსი, ცხოვრების დონე, შინამეურნეობების შემოსავლები, შინამეურნეობების ხარჯები._

კორონავირუსმა უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და მან მნიშვნელოვნად შეცვალა მოსახლეობის ყოველდღიური ყოფა და მათი ეკონომიკური მდგომარეობა. ყველაზე დიდი პრობლემა კი ის არის, რომ კრიზისის აღმოფხვრა ეკონომისტების ძალებს აღემატება, რადგამ ამ შემთხვევაში ეკონომიკა „მედიცინის მძევალია“. შესაბამისად, ადრეული გამოცდილება და კრიზისთან ბრძოლის არსებული მექანიზმი ამ შემთხვევაში ნაკლებად რელევანტურია.

იმის გამო, რომ არცერთ ქვეყანას არა აქვს არსებულ მდგომარეობასთან ბრძოლის აპრობირებული სტრატეგია, მნიშვნელოვანია COVID-19-ის გავლენის შეფასება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და, შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე, განსაკუთრებით კი ისეთი მცირე ზომის ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. შესაბამისად, საჭიროა პანდემიის გავლენის შეფასება და მისი სისტემური და კომპლექსური სტატისტიკური ანალიზი, რაც ამ სტატიის უმთავრესი მიზანია.

პანდემიამ მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყანათა უმრავლესობის ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარების არსებული შესაძლებლობები განსხვავებული მიმართულებით წარმართა. მნიშვნელოვნად შეამცირა შინამეურნეობების (ოჯახების) კეთილდღეობა მატერიალურად, ასევე საზოგადოების დიდი ნაწილისთვის არსებული შეზღუდვები და ამდენი სტრესული ინფორმაცია ძლიერი ფსიქოლოგიური წნეხი აღმოჩნდა, რამაც ისინი მორალურად ძლიერ დააზარალა. გაუარესდა ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობაც: 2020 წელს საქართველოში გარდაცვლილთა 5.1% კორონავირუსით გარდაიცვალა [3]. ასევე, აღსანიშნავია ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და ძლიერი რყევები. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურაში, წინა წელთან შედარებით, მნიშნელოვნად გაზრდილია სუბსიდიებზე (77.2%-ით), გრანტებსა (11.8%-ით) და სოციალურ უზრუნველყოფაზე (35.4%-ით) გაწეული ხარჯები, რაც ხელს უწყობს ქვეყნის საგარეო ვალის კოლოსალურ ზრდას [8]. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად შემცირებულია საგარეო ვაჭრობის ბრუნვა (2020 წელს, წინა წლის

იმავე მაჩვენებელთან შედარებით, შემცირებულია 14.4%-ით) [7], რაც გაცვლითი კურსის მერყეობას კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის იმპორტდამოკიდებულებას. ეს ფაქტი ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს. სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია ქვეყნის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება და, შესაბამისად, ისეთი დარგების განვითარება, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას რეალურად გააუმჯობესებს და კონკურენტულს გახდის მსოფლიოს ბაზარზე. თავის მხრივ, ეს ხელს შეუწყობს ადამიანისეული კაპიტალის რაციონალურად გამოყენებას, რაც მაქსიმალურად შეამცირებს ქვეყანაში უმუშევრობას, ასევე ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევას და, შესაბამისად, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

ცხოვრების დონის შესაფასებლად არსებობს მაჩვენებელთა მთელი სისტემა და თითოეული მათგანი უმნიშვნელოვანესია, თუმცა, ცხოვრების დონის შეფასების ძირითადი მაჩვენებელი მაინც შინამეურნეობების შემოსავლებია, რადგან სწორედ ის უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს [1].

***დიაგრამა N1: შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე***




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

როგორც გრაფიკიდან ჩანს, შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლები, ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებული, 2010-2019 წლებში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო 2020 წელს წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 6.4%-ით [9]. გარდა ამისა, მზარდია ინფლაციაც, რაც რეალურ შემოსავლებს აღნიშნულთან შედარებით კიდევ უფრო მეტად ამცირებს. მაღალი ინფლაციის შემთხვევაში მოსახლეობის ცხოვრების დონე, სხვა თანაბარ პირობებში, აუცილებლად ქვეითდება. ეს კი განსაკუთრებით დიდ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ყველაზე მეტად შეჭირვებულ კატეგორიაზე. ეროვნული ვალუტის დევალვაცია უშუალოდ აძვირებს იმპორტირებულ სამომხმარებლო პროდუქციას, რაც მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე ასევე უარყოფითად აისახება, მით უმეტეს, როდესაც ქვეყანა ძირითადად იმპორტზეა დამოკიდებული [2]. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს შემოსავლები შემცირებულია თითქმის ყველა წყაროს მიხედვით, გარდა პენსიების, სტიპენდიებისა და ფულადი გზავნილების, რომელიც წინა წლის იგივე მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 18.4%-ით, რაც ძირითადად გამოწვეულია მთავრობის მიერ COVID-19-ის შედეგების შესამსუბუქებლად განხორციელებული დახმარებებით. ოჯახებისა და ბავშვების კეთლდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევის პირველი ტალღის შედეგების თანახმად, გამოკითხული შინამეურნეობების 80.6%-მა მიიღო ოჯახებისთვის ელექტროენერგიის

გადასახადის სუბსიდირება სულ მცირე ერთი თვით, 72.7%-მა - ოჯახებისთვის ბუნებრივი აირის გადასახადის სუბსიდირება სულ მცირე ერთი თვით, 40.4%-მა - 18 წლამდე ბავშვთა 200-ლარიანი ერთჯერადი სოციალური დახმარება, 32.3%-მა - კომერციული ბანკების/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხების გადავადება, ხოლო 23.6%-მა მიიღო სხვადასხვა სახის დახმარებიდან ერთ-ერთი მაინც: მაგალითად, 200-ლარიანი სახელმწიფო დახმარება, 6 თვის განმავლობაში, მათთვის, ვინც ოფიციალურად იყო დასაქმებული და დაკარგა შემოსავალი/-სამსახური; ერთჯერადი, 300-ლარიანი დახმარება თვითდასაქმებული პირებისთვის; სოციალურად დაუცველი 65,000-დან 100,001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე შინამეურნეობების 100-ლარიანი დახმარება 6 თვის განმავლობაში; სოციალურად დაუცველი 100,001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე შინამეურნეობებისთვის, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვი, 100-ლარიანი დახმარება 6 თვის განმავლობაში ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების 100-ლარიანი დახმარება 6 თვის განმავლობაში [6].

გარდა ამისა, მოსახლეობის კეთილდღეობისათვის უმნიშვნელოვანესია გამართული ჯანდაცვის სისტემის არსებობა, რაც პანდემიამ ნათლად დაგვანახა, თუმცა ამ შემთხვევაში მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო და ჯერ კიდევ არის, რომ მსგავს სირთულეებს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიც კი ვერ გაუმკლავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელთან შედარებით მთლიან სამამულო პროდუქტში ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქმიანობების წილი გაიზარდა 4.2-დან 4.6 პროცენტამდე [5], ეს მაინც მცირეა არსებული პრობლემის მინიმიზაციისათვის. სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება და მასში მეტის ინვესტირება, რადგან სრულყოფილი და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას უწყობს ხელს.

შინამეურნეობის შემოსავლები ძლიერ კორელაციურ კავშირშია შინამურნეობების მიერ გაწეულ ხარჯებთან. შემოსავლების კლებამ, ბუნებრივია, გამოიწვია შინამეურნეობების მიერ გაწეული ხარჯების შემცირება.

***დიაგრამა N2: საქართველოს შინამეურნეობების საშუალო თვიური ხარჯების განაწილება გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე***




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

2020 წელს 2019 წელთან შედარებით, შინამეურნეობების საშუალო თვიური ხარჯები, გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე, შემცირებულია 9.4 %-ით. ყველაზე მეტად შინამეურნეობის საშუალო თვიური ხარჯები შემცირებულია ქონების შეძენაზე 36.8 %-ით და განათლებაზე 31.7 % - ით [10], რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება მომავალი თაობის ცოდნაზე და შესაბამისად შეაფერხებს ქვეყნის გადაყვანას ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის რელსებზე.

კორონავირუსმა ძლიერ გააუარესა შრომის ბაზრის ფუნქციონირება. 2020 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა უმუშევრობის დონე, შემცირდა დასაქმების დონე, ასევე გაიზარდა გენდერული დისბალანსი ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობაში: 2020 წელს ეკონომიკურად არააქტიურ ქალთა რაოდენობა 1.8-ჯერ აღემატება ეკონომიკურად არააქტიურ მამაკაცთა რაოდენობას [4], რაც ძირითადად გამოწვეულია კულტურული და ტრადიციული შეხედულებებით ქალთა მაღალი ჩართულობით საოჯახო საქმეებსა და ოჯახის წევრებზე ზრუნვით.

## დასკვნები და რეკომენდაციები

კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვნად შეანელა უმეტესი ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, ზეგავლენა იქონია საზოგადოებივი ცხოვრების ყველა სფეროზე და მნიშვნელოვნად გააუარესა მოსახლეობის ცხოვრების დონე და მათი კეთილდღეობა. საზოგადოებამ განიცადა არა მარტო მატერიალური, არამედ ძლიერი ფსიქოლოგიური და მორალური ზარალი. კორონავირუსთან ბრძოლის და კრიზისის დაძლევის აპრობირებული მექანიზმი არ არსებობს, რადგან ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკა ეგზოგენური ფაქტორების წნეხის ქვეშაა მოქცეული და, შესაბამისად, მსოფლიოში აქამდე ცნობილი კრიზისთან ბრძოლის გამოცდილება ნაკლებად რელევანტურია. ამიტომ, მნიშვნელოვანია მოსახლეობის ნდობის ამაღლება კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მიმართ და ვაქცინაციის პროცესის აჩქარება, რადგან სხვა შემთხვევაში პანდემიის აღმოფხვრა შეუძლებელია. ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების მოლოდინები მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. იმისათვის, რომ სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის სტაბილურობა შევინარჩუნოთ, რაც ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის აუცილებელია, მნიშნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება, რომელიც მაქსიმალურად შეამსუბუქებს პანდემიის შედეგად გამოწვეულ ეკონომიკურ დანაკარგებსა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

- სოფლის მეურნეობის განვითარება და ქვეყანაში არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება;
- კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;
- ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება და ადამიანისეული კაპიტალის რაციონალურად გამოყენება;
- მეცნიერებისა და განათლების ხელშეწყობა;
- ქვეყანაში ისეთი დარგების განვითარება, რომლებიც რელურად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას, რადგან მთლიანი ქვეყნის ეკონომიკის მომსახურების სფეროზე დამოკიდებულებამ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. აბესაძე რ., მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სიღარიბის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.researchgate.net/publication/316647145_mosakhleobis_tskhovrebis_donisa_da_sigharibis_zogierti_sotsialur-eonomikuri_aspekti
2. პაპავა ვ., არატრადიციული ეკონომიკსი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.researchgate.net/publication/320548098_aratraditsiuli_ekonomiksi
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გარდაცვლილთა რიცხოვნობა გარდაცვალების მიზეზების მიხედვით, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/single-news/2281/gardatsvlilta-ritskhovnoba-gardatsvalebis-mizezebis-mikhedvit-2020-tseli

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეროვნული ანგარიშები, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევის პირველი ტალღის შედეგები, ხელმისაწვ-დომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/692/ojakhebisa-da-bavshvebis-ketildg-heobaze-covid-19-is-gavlenis-shefaseba
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საგარეო ვაჭრობა, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სახელმწიფო ბიუჯეტი,
9. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/91/sakhelmtsifo-finansebis-statistika
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შინამეურნეობების შემოსავლების მაჩვე-ნებლები, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shiname-urneobebis-shemosavlebi
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შინამეურნეობების ხარჯების მაჩვენებლები, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/51/shinameurneobebis-kharjebi

# ტვინების გადინება და ემიგრაციიდან დაბრუნებულთა დასაქმება საქართველოში

**ბესარიონ სიოხდია**
*თსუ დოქტორანტი*

*„ტვინების გადინება“, სიტუაცია, როდესაც დიდი რაოდენობით განათლებული და კვალიფიციური ადამიანი ტოვებს საკუთარ ქვეყანას იმისათვის, რომ იმუშაოს სხვა ქვეყანაში, სადაც ანაზღაურება და პირობები უკეთესია, როგორც ფენომენი პირველად ჩამოყალიბდა 1960-იან წლებში, როდესაც მაღალკვალიფიციური ადამიანების დიდი რიცხვი (მკვლევარები, მეცნიერებიღ), რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს თავიანთი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე, ემიგრაციაში წავიდა მსოფლიოს სხვა რეგიონებში. ერთ-ერთი იმ დებულებებიდან, რომლის შესახებაც რეგიონალურ კვლევებში ზოგადი შეთანხმებაა მიღწეული, არის ის, რომ ადამიანური კაპიტალი მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის. ეკონომისტები, გეოგრაფები და პოლიტიკოსები მხარს უჭერენ მოსაზრებას, რომ იგი არის შემოსავლის ზრდის უმთავრესი ფაქტორი საქალაქო, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე. ადამიანური კაპიტალი უჩვეული წარმოების ფაქტორია, რადგან მისი გადაცემა თავად ხალხის გადაცემის გარეშე შეუძლებელია. იგი ჩაშენებულია ადამიანების შესაძლებლობებში.*

*გლობალიზაციის შედეგად ტვინების გადინების აქტუალურობა იზრდება; უფრო და უფრო მეტი ადამიანი ტოვებს საკუთარ ქვეყანას და სხვა ქვეყნებში მიგრირდებიან. ეს მოვლენა მწვავედ არის გამოვლენილი საქართველოშიც. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რის გამოც ხალხი ტოვებს საკუთარ სამშობლოს, არის საკმარისი და შესაბამისი სამუშაო ადგილების არქონა. აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს შესაბამისი ლიტერატურისა და სტატისტიკური მონაცემების გაანალიზების საფუძველზე ტვინების გადინებისა და დასაქმების საკითხების შესწავლა. ასევე, იმ მიზეზების გამოკვლევა, რომლებიც ამ მოვლენებს უდევს საფუძვლად.*

***საკვანძო სიტყვები:*** *მიგრაცია, ტვინების გადინება, საქართველო, დასაქმება*

## გამომწვევი ფაქტორები და შედეგები

„ტვინების გადინების“ პრობლემა გავლენას ახდენს არა მხოლოდ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, არამედ ეს სერიოზული პრობლემაა ყველა განვითარებული ქვეყნისთვისაც; მათ შორის ისეთი ქვეყნებისთვისაც როგორებიც არიან დიდი ბრიტანეთი, კანადა და გერმანია, რომელთა წარჩინებული მეცნიერები ემიგრაციაში მიდიან ამერიკის შეერთებულ შტატებში (Cervantes, M. 2002 & Blau, J. 2004). „ტვინების გადინების“ შედეგად ქვეყნები, ინდუსტრიები და ორგანიზაციები კარგავენ თავიანთ მნიშვნელოვან ადამიანებს. როდესაც ეს ხალხი მიდის, მათი ქვეყნები ორი ძირითადი გზით ზიანდება. პირველ რიგში, იკარგება გამოცდილება, რაც ამცირებს ამ პროფესიის მიწოდებას. მეორეს მხრივ, ზიანდება ქვეყნის ეკონომიკა. ქვეყანა განიცდის საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, პოტენციური მომავალი მეწარმეების დაკარგვას და ასევე ინოვაციური იდეების პოტენციურ კარგვას. პროფესიონალები ხშირად დიდ ანაზღაურებას იღებენ, ამიტომ მათი წასვლა ამცირებს სამომხმარებლო ხარჯებს ამ რეგიონში ან მთლიან ქვეყანაში. როგორც აღვნიშნე, „ტვინების გადინება“ ეხება იმ სიტუაციას, როდესაც ხალხი მიგრირებს იმ ადგილებში, სადაც მათ აქვთ უკეთესი პირობები და შესაძლებლობები.

ტვინების გადინებასთან დაკავშირებით გამოყოფენ ორ, ბიძგის (push) და მიზიდვის (pull) ფაქტორებს. ბიძგის ფაქტორები მიესადაგება ემიგრაციის ქვეყნებს, ხოლო მიზიდვის ფაქტორები - იმიგრაციის ქვეყნებს. ამ ორი ტიპის ფაქტორების შედარების შედეგად ადამიანი იღებს მიგრაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას. ბიძგის ფაქტორები, არის მახასი-

ათებლები იმ ქვეყნებისა, რომლებიდანაც ხალხი გადის, ხოლო მიზიდვის ფაქტორები - იმ ქვეყნების, რომლებშიაც ხალხი მიდის. ცხრილ 1-ში წარმოდგენილია ამ ფაქტორების მაგალითები.

*ცხრილი 1: ტვინების გაღინების ბიძგის და მიზიდვის ფაქტორები*

| ბიძგის ფაქტორები | მიზიდვის ფაქტორები |
|---|---|
| 1) უმუშევრობა | 1) უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივები |
| 2) ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე | 2) ცხოვრების უფრო მაღალი დონე |
| 3) დაბალი ანაზღაურება | 3) უკეთესი კვლევითი ორგანიზაციები |
| 4) პოლიტიკური არასტაბილურობა | 4) თანამედროვე განათლების სისტემა და უკეთესი შესაძლებლობები მაღალი კვლალიფიკაციისთვის |
| 5) კვლევითი ორგანიზაციების სიმწირე | 5) ინტელექტუალური თავისუფლება |
| 6) შეზღუდული თავისუფლება | 6) უკეთესი სამუშაო პირობები |
| 7) დისკრიმინაცია დანიშვნისა და დაწინაურების დროს | 7) პოლიტიკური სტაბილურობა |
| 8) მეცნიერული კულტურის ნაკლებობა | 8) მაღალი მეცნიერული კულტურის არსებობა |
| 9) უკეთესი ურბანული ცხოვრების სურვილი | 9) ტექნოლოგიური სხვაობა |
| 10) უფრო მაღალი კვალიფიკაციისა და უკეთესი კარიერის ქონის სურვილი | 10) საკუთარი კვლევებისთვის წყაროების მოძიების შესაძლებლობები |

არსებობს მრავალი თეორია და ფაქტი, რომლებიც იმაზე მეტყველებენ, რომ ადამიანური კაპიტალით დაჯილდოებული ადამიანები უფრო მეტად იცვლიან სამუშაო ადგილს, რადგანაც ისინი მარტივად ადაპტირდებიან სხვადასხვა პროფესიაზე და უკეთესად იყენებენ სხვა რეგიონში შეთავაზებულ შესაძლებლობებს (Mauro, P. & Spilimbergo, A. 1999); ეს კი ხდება იმისდა მიუხედავად, რომ კვალიფიციური მუშები უფრო მეტად დაცულები არიან სამუშაოს დაკარგვისგან, რადგან მათი შეცვლა ადვილი არ არის. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ტალანტის მოსაზიდად კონკურენცია სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ტრადიციული კაპიტალისა და ინვესტიციების მოზიდვასთან შედარებით.

## მიგრაცია საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლამ მნიშვნელოვნად შეცვალა მიგრაციული ნაკადების ხასიათი მთელ რეგიონში. ადრე, ერთ დიდ ქვეყანაში შიდა მიგრაციამ მოულოდნელად საერთაშორისო მიგრაციის სახე მიიღო. ამ რეგიონში მიგრაცია მნიშვნელოვან მოვლენად იქცა არა მხოლოდ ტრანსფორმაციის დროს, არამედ მისი დასრულების შემდეგაც. პოსტსაბჭოთა მიგრაციის ძირითადი ვექტორი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან რუსეთისკენ იყო მიმართული. 1990 წლიდან 1996 წლამდე არაოფიციალური ინფორმაციით დაახლოებით მილიონი ადამიანი წავიდა ემგრაციაში საქართველოდან რუსეთში (Tukhashvili, M. 1996). აფხაზეთის რეგიონში არსებულმა დიდმა ეთნიკურმა კონფლიქტმა ძლიერი გავლენა მოახდინა მშვიდობიან მოსახლეობაზე. საქართველოს ბევრმა მოქალაქემ, ძირითადად 1992-1997 წლებში, დატოვა ქვეყანა და უკეთესი ცხოვრების ძიება საზღვარგარეთ დაიწყეს (William B., 1994). როგორც დიაგრამა 1-ზეა ნაჩვენები, საქართველოს სახელწმიფო სტატისტიკის სამსახურის მონაცემების მიხედ-

ვით, საქართველოდან მიგრაციის ტალღა დაიწყო სსრკ-ს დაშლისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. ამის წინაპირობა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იყო ომი და ომისშემდგომი ეკონომიკური კრიზისი. 1997 წლიდან 2004 წლამდე ქეყანაში ვითარება დასტაბილურდა და მალევე, 2005 წელს („ვარდების რევოლუციიდან" რამდენიმე წლის შემდეგ) მიგრაციული სალდო პოზიტიურად განვითარდა. მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა სტაბილურობამ და ეკონომიკურმა ზრდამ ამაზე დიდი ზეგავლენა იქონია. 2006 წელს მთავრობის ანტიკორუფციულმა რეფორმებმა გამოიწვია მიგრაციული სალდოს[1] ნეგატიური განვითარება. ბევრმა მოქალაქემ დაკარგა სამსახური მხოლოდ იმიტომ, რომ 45 წელზე მეტი ასაკის იყვნენ და მუშაობდნენ ედუარდ შევარდნაძის კორუმპირებული მთავრობის სისტემაში. 2009-2010 წლებში მიგრაციის ბალანსის პოზიტიური განვითარება იყო გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგი; ამ პერიოდში ქართველმა ემიგრანტებმა საზღვარგარეთ დაკარგეს თავიანთი სამსახურები და იძულებული გახდნენ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. 2020 წელსაც მსგავსი დინამიკა შეინიშნება, რაც პანდემიასთან არის კავშირში.

***დიაგრამა 1. მიგრაციული სალდო***




*წყარო: Geostat.ge. მიგრაციული სალდო. https://www.geostat.ge/en/modules/categories/322/migration*

საქართველოს „პოსტრევოლუციური" სწრაფი ეკონომიკური განვითარების მიუხედავად, უმუშევრობის დონე კვლავ მაღალია, რაც ქვეყანას დემოგრაფიულ და ეკონომიკურ პრობლემებს უქმნის. ასევე, საქართველოს მონაწილეობით ხორციელდებოდა საინტერესო პროგრამა, სახელწოდებით „კვალიფიციური მოქალაქეების დროებით დაბრუნება" - "TRQN I და TRQN II." 2008-2009 წლებში პროექტი დააფინანსა ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ამ პროექტის ფარგლებში რამდენიმე ქართველი გამოცდილი მუშაკი სხვადსხვა ქვეყნიდან დროებით ბრუნდებოდა საქართველოში, რათა მათ გაეზიარებინათ პროფესიული უნარები მოსახლეობისათვის. 2009 წლიდან ევროკომისიამ და გაერომ დააფინანსა მიგრაციისა და განვითარების ოთხი პროექტი JMDI-სთან (Joint Migration and Development Initiative). პროექტის მიზანს წარმოადგენდა ქართველი ემიგრანტების სრული პოტენციალის გამოყენება საქართველოს ეკონომიკური განვითარების გასაუმჯობესებლად (Welton, G., Winship, E. 2010).

[1] მიგრაციული სალდო - სხვაობა იმიგრანტებისა (ქვეყანაში შემოსული ადამიანები) და ემიგრანტების (ქვეყნიდან წასული ადამიანების) რიცხვებს შორის, წლის განმავლობაში.

სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული კატეგორია უფრო მეტად არის მიდრეკილი მიგრაციისკენ. როგორც დიაგრამა 2-ზე ვხედავთ, მიგრაცია მაღალი განათლების მქონე ქართველებს შორის უფრო სავარაუდოა. ეს უარყოფით გავლენას ახდენს განათლების სექტორზე, რადგანაც ქვეყანა კარგავს გამოცდილ ადამიანებს.

***დიაგრამა 2: მაღალი განათლების მქონე პირები - სავარაუდოდ, აპირებენ ემიგრაციას; მოზარდების წილი (20 წლის და ზემოთ), რომლებიც გეგმავენ მიგრაციას, სქესისა და განათლების დონის მიხედვით (%)[1]***




*წყარო:* [https://read.oecd-ilibrary.org/development/interrelations-between-public-policies-migration-and-development-in-georgia/well-educated-individuals-are-more-likely-to-plan-to-emigrate_9789264272217-graph3-en#page1](https://read.oecd-ilibrary.org/development/interrelations-between-public-policies-migration-and-development-in-georgia/well-educated-individuals-are-more-likely-to-plan-to-emigrate_9789264272217-graph3-en#page1)

საჯარო პოლიტიკას ძალიან დიდი ზეგავლენა აქვს წასვლის გადაწყვეტილებაზე. მაგალითად, ადამიანები ხშირად მიგრირებენ იმიტომ, რომ ვერ პოულობენ (კარგ) სამსახურს; სამსახურს, რომელიც მათ სთავაზობს სოციალურ, ფიზიკურ და ფინანსურ უსაფრთხოებას. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ასეთი სამსახურებების არსებობა, მაინც არ არსებობს გარანტია, რომ დამსაქმებლები და პოტენციური თანამშრომლები ერთმანეთს აღმოაჩენენ. ეს არის შრომის ბაზრის არაეფექტურობის შედეგი. გამოსავალი, რომელიც არსებობს ამ სიტუაციაში, არის შრომის ბაზრის გააქტიურება, განსაკუთრებით ისეთი პოლიტიკის გატარებით, რომლის მიზანიცაა დასაქმების სახელმწიფო სააგენტოების საშუალებით დამსაქმებლებისა და უმუშევრების ერთმანეთთან დაკავშირება. ეს უზრუნველჰყოფს იმას, რომ ხალხი შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ უფრო მეტ ინფორმაცია/ს მიიღებს. IPPMD[2] მონაცემები, რომელიც არის გამოყენებული CRRC (2015)-ის მიერ, აჩვენებს, რომ უმუშევარი ადამიანები სავარაუდოდ, გეგმავენ ემიგრაციას. ამრიგად, უმუშევრობის შემამცირებელი მექანიზმები და კარგი სამუშაო გარემო ემიგრაციის შემცირებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

---

[1] *შენიშვნა:* Lower secondary education (დაბალი საშუალო განათლება) მოიცავს ძირითად განათლებას, ხოლო upper secondary education (მაღალი საშუალო განათლება) მოიცავს 10-12 კლასებს საქართველოს განათლების სისტემაში.

[2] IPPMD - Interrelations between Public Policies, Migration and Development

*დიაგრამა 3: უმუშევრობისა და ემიგრაციის განზრახვები, განათლების დონის მიხედვით (%)*[1]




*წყარო:* https://read.oecd-ilibrary.org/development/interrelations-between-public-policies-migration-and-development-in-georgia/highly-educated-unemployed-adults-are-more-likely-to-plan-to-emigrate_9789264272217-graph4-en#page1

IPPMD მონაცემები, ასევე, ასახავს, რომ დაბრუნებული მიგრანტები არამიგრანტებზე უფრო მეტად არიან დაკავებული თვითდასაქმებით (დიაგრამა 4). შესაძლოა, ეს განპირობებული იყოს იმ ფაქტორით, რომ ისინი უცხოეთში დაგროვილ დანაზოგს იყენებენ ბიზნესის შესაქმნელად. მეორე მხრივ, დაბრუნებული მიგრანტები უფრო მეტად არიან უმუშევრები, მაგრამ უფრო ნაკლებად არიან ეკონომიკურად არააქტიურები.

*დიაგრამა 4: დაბრუნებული მიგრანტები არამიგრანტებზე უფრო მეტად არიან დაკავებული თვითდასაქმებით*




*წყარო:* https://read.oecd-ilibrary.org/development/interrelations-between-public-policies-migration-and-development-in-georgia/return-migrants-are-more-likely-to-be-self-employed-than-non-migrants_9789264272217-graph11-en#page1

[1] *შენიშვნა:* მოიცავს 20 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებს.

სახელმწიფო და კერძო სექტორში მომუშავე მოზარდთა დაახლოებით 80%-ის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში სამსახურის პოვნა ყველაზე ხშირად ხდება მეგობრებისა და ოჯახის საშუალებით (დიაგრამა 5). დასაქმებულ რესპონდენტთა მხოლოდ 5%-მა იპოვა სამსახური დასაქმების სახელწმიფო სააგენტოს მეშვეობით. მცირე განსხვავებაა რურალურ და ურბანულ უბნებს შორის. რურალურ არეაში მცხოვრები ხალხი უშუალოდ დამსაქმებლებს უკავშირდება, ხოლო დასაქმების სახელმწიფო სააგენტოებს ძირითადად ურბანულ არეალებში იყენებენ.

***დიაგრამა 5: სამსახურის პოვნის მეთოდები როგორც საჯარო ისე კერძო სექტორებში***




*წყარო:* [https://read.oecd-ilibrary.org/development/interrelations-between-public-policies-migration-and-development-in-georgia/government-agencies-play-a-minor-role-in-job-seeking_9789264272217-graph30-en#page1](https://read.oecd-ilibrary.org/development/interrelations-between-public-policies-migration-and-development-in-georgia/government-agencies-play-a-minor-role-in-job-seeking_9789264272217-graph30-en#page1)

ძირითადი პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა ამ პრობლემების შესამსუბუქებლად იყენებს, არის „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020.“ ამ პოლიტიკამ გამოიწვია სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმების დეპარტამენტის შექმნა, სადაც, ასევე, იგეგმება დასაქმების მხარდამჭერი ცენტრების შექმნაც. სოციალური მომსახურების სააგენტო სხვა მრავალ საკითხთან ერთად, პასუხისმგებელია საქართველოში დასაქმების მომსახურებაზე. იგი შეიქმნა 2007 წელს სოციალური მომსახურებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოსა და სოციალური დაზღვევის გაერთიანებული სახელმწიფო ფონდის ერთიანობით. საქართველოში მას 70-მდე ოფისი აქვს. სააგენტომ, ასევე, წამოიწყო ონლაინ მომსახურება, სადაც სამსახურის მაძიებლებს და დამსაქმებლებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ და ერთმანეთს დაუკავშირდნენ. ის, ასევე, სამუშაო ფორუმებსაც უწევს ორგანიზებას. საქართველოს მთავრობა როგორც დამოუკიდებლად, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ცდილობს გააკონტროლოს, მოაწესრიგოს და მართოს მიგრაციის პროცესი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც, თუმცა პრობლემის მნიშვნელოვნად აღმოსაფხვრელად ეს საკმარისი არ არის.

## დასკვნა და რეკომენდაციები

ეს სტატია ხაზს უსმევს ტვინების გადინების მასშტაბებს, ინტენსივობასა და სხვა განმსაზღვრელ ფაქტორებს. ის გვიჩვენებს, რომ მაღალკვალიფიკაციური პროფესიონალების მიგრაცია ხდება საერთაშორისო მიგრაციის დომინანტური მოდელი და გლობალიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტი. საერთაშორისო მიგრაცია განვითარებადიდან განვითარებულ ქვეყნეში იზრდება, ეს კი ისეთი ქვეყნებისთვის როგორიც საქართველოა, დიდი პრობლემაა.

როგორც ვხედავთ, ტვინების გადინების გამო, გლობალიზაცია ამცირებს ადამიანურ კაპიტალს განვითარებად ქვეყნებში, რაც ხელს უწყობს ქვეყნებს შორის უთანასწორობის ზრდას, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებს შორისაც. პირობები, რომელთა შედეგადაც ამ სისტემაში წარმოიქმნებიან გამარჯვებულები და დამარცხებულები შემთხვევითი არ არის. იგი მჭიდრო კავშირშია ქვეყნის მიერ გატარებულ პოლიტიკასთან, მის უნართან შექმნას უმაღლესი განათლების, გამოცდილების მქონე დიასპორა. ამიტომ სხვადასხვა რეფორმებისა და პოლიტიკის გატარებასთან მეტი სიფრთხილეა საჭირო.

წყარო ქვეყნების თვალსაზრისიდან გამომდინარე აშკარაა, რომ კვალიფიციური მშრომელებისთვის ბარიერების შემოღებამ, მაგალითად, მტკიცებამ, რომ ადამიანური კაპიტალი ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, შეიძლება გამოიწვიოს საპირისპირო შედეგები, კონკრეტულად კი გრძელვადიან პერიოდში - ადამიანური კაპიტალის დონის შემცირება. პოლიტიკურ დონეზე, თვითმმართველობის შერჩევის მოდელებში კრიტიკული საკითხია ადამიანური კაპიტალის, საგადასახადო და სუბსიდირებული პოლიტიკის სათანადო შეფასება, რომელიც შეინარჩუნებს შიდა ზრდისთვის საჭირო ადამიანურ კაპიტალს. დანიშნულების ქვეყნების თვალსაზრისიდან გამომდინარე, შესაძლებელია შერჩევითი საიმიგრაციო პოლიტიკის გადახედვა მიგრანტების წარმოშობის ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე ასახვის მიზნით.

ტვინების გადინების პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდება სხვა დემოგრაფიული პრობლემებისგან დამოუკიდებლად. ეს არის მთელი რიგი ამოცანების ერთობლიობა, რომელიც მოითხოვს სისტემური განახლებისა და დაფინანსების პროგრამებსა და პროექტებს, რომლებიც ამსუბუქებენ მიგრაციის პრობლემას. ტვინების გადინება მრავალი ფაქტორის შედეგია; მათ უმრავლესობაზე პირდაპირი ზეგავლენის მოხდენა არ ხერხდება (მაგალითად, ისტორიული კავშირები). ყურადღების გამახვილება ისეთ სფეროებზე, რომლებზეც საზოგადოებრივმა პოლიტიკამ შეიძლება იქონიოს ზეგავლენა, მაგალითად, წყარო ქვეყანაში განათლების ხელშეწყობა და პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესება, მნიშვნელოვანად აღმოფხვრის ამ პრობლემას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Blau, J. (2004). Trans-Atlantic Brain Drain Worries Europe's Policy Makers. *II Research- Technology Management,47 (2), p. 2-3.*
2. Cervantes, M. (2002). The Brain Drain: Old Myths, New Realities. *OECD, Directorate for Science, Technology and Industry.*
3. CRRC. (2015). Caucasus Barometer, online database, *Caucasus Research Resource Center*. Retrieved from http://www.caucasusbarometer.org/en/cb2015ge/INCSOUAB/.
   Mauro, P. & Spilimbergo, A. (1999). How Do the Skilled and the Unskilled Respond to Regional Shocks: The Case of Spain. *IMF Staff Papers No. 46. International Monetary Fund (IMF), Washington, DC.*
4. Tukhashvili, M. (1996). Georgian population migration. *Lampari. 59pp.*
5. Welton, G., Winship, E. (2010). Matching Vocational Education in Georgia with Labour Market Needs. *Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH, Tbilisi, 2010.*
6. William, B. W. (1994). Forced Migration: Local Conflicts and International Dilemmas *Annals of the Association of American Geographers, Vol. 84, No. 4, pp. 607-634.*

# COVID - 19-ის გავლენა და დისტანციური მუშაობის სამომავლო პერსპექტივები სახელმწიფო უწყებებში

**სესილი ტაბატაძე**
*თსუ დოქტორანტი*

*დისტანციური მუშაობა თუკი აქამდე შესაძლებლობას და ორგანიზაციის არჩევანს წარმოადგენდა, პანდემიის განმავლობაში ის სავალდებულო გახდა. შესაბამისად, არსებულმა სიტუაციამ გვაჩვენა ის დადებითი და უარყოფითი გავლენები, რასაც მსგავსი მუშაობა აძლევს ორგანიზაციებს. სახელმწიფო უწყებებისთვის კიდევ უფრო ნაკლებად გამოცდილი იყო ეს მექანიზმი, რომლის ნაწილობრივი გამოყენებითაც კი მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრების დაზოგვაა შესაძლებელი კომუნალური ხარჯებისა და საოფისე ფართის დაქირავების ნაწილში. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა საჯარო მოხელეების მიერ დისტანციური მუშაობის გავლენა, როგორც პირადულად ასევე ორგანიზაციისთის. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია დიტანციური მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებზე, შეფასებულია თუ რამდენად გაამართლებს მსგავსი ტიპის მუშაობის დანერგვა მომავალში და რაც მთავარია ამის მზადყოფნა აქვს თუ არა თავად დასაქმებულ ადამიანებს.*

***საკვანძო სიტყვები:*** *COVID-19-ის შედეგები, დისტანციური მუშაობა, სახელმწიფო სექტორი*

ახალმა ვირუსმა მთელს მსოფლიოში (COVID-19) ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყანაც. ამ პერიოდში სამსახურების უმეტესობა გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნები ამ ტიპის მუშაობას უფრო მეტად მიმართავენ და ამის პრაქტიკა არსებობს საჯარო სამსახურებშიც, აღნიშნული სიახლეს წარმოადგენდა საქართველოსთვის, რასაც კვლევაც ადასტურებს.

დისტანციური მუშაობა ბევრი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო, რადგან მათ გამოცდილება არ ქონდათ. ამ მიმართულებით საინტერესოა ერთის მხრივ სახელმწიფო სექტორისთვის რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა და მეორეს მხრივ, თანამშრომლების მიერ ოჯახისა და სამუშაოს სწორი შეთავსება.

კატასტროფების რისკის მართვა, მათ შორისაა პანდემიაც, მოიცავს შემდეგ ფაზებს:რპრევენცია, *მზადყოფნა, ჰეაგირება აღდგენა.რმათგან,* პირველი ორი ფაზა ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მათი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში არის შესაძლებელი მინიმუმამდე იქნას შემცირებული დამდგარი ბუნებრივი კატასტროფით გამოწვეული ზარალის მოცულობა (ს.ტაბატაძე, 2020). თუმცა, პანდემიის პრევენციის და მზადყოფნის ღონისძიებები ქვეყანაში საკმარისად არ იყო განხორციელებული და უმეტესად საქართველოს მთავრობამ დაიწყო რეაგირების ღონისძიებები.

კვლევის მთავარი მიზანია დისტანციური მუშაობის პრაქტიკის აქტუალობის შენარჩუნება საჯარო სექტორში, არსებული გამოცდილების შეფასება და იმის დადგენა, რამდენად არის პერსპექტიული მსგავსი სამუშაო რეჟიმი დაინერგოს საქართველოს სახელმწიფო უწყებაში.

დისტანციური მუშაობის გამოცდის შესაძლებლობა მოგვეცა ახალი კორონავირუსის გავრცელების დროს. მსოფლიოში განვითარებული მოვლენები

2019 წლის დეკემბრიდან ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული დაავადება (COVID-19) სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში და 2020 წლის 11 მარტს ის პანდემიად შეფასდა[1].

[1] Public Health Emergency International Concern

ახალ კორონავირუსთან ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის მიზნით, 28 იანვარს შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (შემდეგში - საბჭო). საბჭოს პირველივე სხდომის შემდეგ, მთავრობამ საზოგადოებას COVID-19-თან ბრძოლის პროცესში 4 პრიორიტეტული მიმართულება და თითოეულ მიმართულებაზე პასუხისმგებელი პირი წარუდგინა[1]:

1. ჯანდაცვა - მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა;

2.ეკონომიკა - გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოს ეკონომიკის მართვა და აღდგენა;

3. უსაფრთხოება - მოქალაქეთა დაცვა;

4. მარაგები და ლოჯისტიკა - მოსახლეობის სურსათით უწყვეტი უზრუნველყოფის მართვა (საქართველოს მთავრობის ანგარიში, 2020).

აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უწყებების ეფექტიანი მუშაობა, რათა დაეცვათ მოსახლეობის სიცოცხლე და ჯამრთელობა და შეენარჩუნებინათ ეკონომიკური მდგომარეობა. ხოლო ამ ყველაფრის პარალელურად უნდა დაეცვათ საჯარო მოხელის ჯამრთელობა, რადგან არ შეეწყვიტა მუშაობა სამინისტროებს, რომლებსად მნიშვნელოვნად დიდი წვლილი უნდა შეეტანა ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად.

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის დაფიქსირებისთანავე დაიწყო სხვადასხვა შეზღუდვები: საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეწყდა სწავლა, ზოგიერთ ქვეყნებში აიკრძალა ფრენები, კორონავირუსთან დაკავშირებული სიახლეებისთვის შეიქმნა ვებგვერდი - www.StopCov.ge, დაიწყო სადეზინფექციო სამუშაობი და სხვა, კერძო და საჯარო დაწესებულებები გადავიდნენ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მეტად საინტერესოა რა შედეგები გამოიწვია დისტანციურად მუშაობამ, როგორი შედეგებით დასრულდა 2020 წელი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში და ხომ არ ყოფილა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ამ პერიოდში. ასევე, საინტერესოა აქვს თუ არა დისტანციურ მუშაობას მომავალი პერსპექტივები.

პანდემიის გამო ოფისში მომუშავე ადამიანებს მოუწიათ თავიანთი სამუშაო გარემო შეეცვალათ და სახლიდან შეესრულებინათ მათზე დაკისრებული მოვალეობა. კომპანიაში მუშაობის კულტურა სწრაფად უნდა ჩაენაცვლებინა სახლიდან მუშაობას. ასეთ ვითარებაში კი მნიშვნელოვანია როგორ გაართვა თავი სახელმწიფო სექტორმა, მაშინ როდესაც მთავრობას საგანგებო სიტუაცია უნდა ემართა.

სახელმწიფო სერვისების უწყვეტი მიწოდებისთვის განხორციელდა სხვადასხვა ქმედითი ღონისძიებები, რომლის შესრულებისთვის მნიშვნელოვანი იყო დასაქმებული პირების ჯამრთელობის მდგომარეობის მართვა და რაც შეიძლება ნაკლები კონტაქტი ერთმანეთთან. ასეთ ვითარებაში კოლეგებთან პირდაპირ საუბრის ნაცვლად მიმდინარეობდა სატელეფონო, ვიდეოზარი და სხვადასხვა პორტალის გამოყენება. ეს რათქმაუნდა ზრდის საქმის შესრულების დროს და ეჭვქვეშ აყენებს საქმის ეფექტიანად შესრულებას.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფო უწყებების საქმიანობაზე დისტანციური მუშაობის რეჟიმში და შეფასებულია საჯარო მოხელის მიერ რამდენად ეფექტიანად განხორციელდა დაგეგმილი ღონისძიებები, რის შედეგადაც გამოტანილ იქნა დასკვნა აქვს თუ არა დისტანციურად მუშაობას სამომავლო პერსპექტივა.

კვლევის მიზანი იყო ძირითადი გამოწვევების, ხელისშემწყობი ფაქტორებისა და ნაკლოვანებების შესწავლა, რომელიც გამოვლინდა დისტანციურად მუშაობისას სახელმწიფო უწყებებში, პანდემიის განმავლობაში.

განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

❖ გამოიკვეთოს მთავარი და მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები და უპირატესობები, რაც უკავშირდება დისტანციურ მუშაობას საჯარო უწყებაში;

[1] COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში

❖ გამოიკვეთოს ის სახელმწიფო უწყებები, რომელსაც შეექმნა მეტი დაბრკოლება დისტანციური მუშაობის პროცესში, ასევე ის მიმართულება, რომლისთვისაც მუშაობის ამგვარი მეთოდი არის გამართლებული.

კვლევისათვის განისაზღვრა შემდეგი ჰიპოთეზები:

1. დისტანციური მუშაობა არ არის ეფექტიანი საჯარო სამსახურში
2. დისტანციური მუშაობისას ინდივიდის შედეგები არ შეცვლილა, თუმცა სამსახურის საქმიაონის გეგმაში ჩამორჩენა აქვს
3. დისტანციური მუშაობა ნაწილობრივ გამართლებულია სახელმწიფო სექტორისათვის.

იმისათვის, რომ დისტანციურად მუშაობა ეფექტიანი იყოს, საჭიროა, რომ ორგანიზაციას ქონდეს შესაბამისი პოლიტიკა განსაზღვრული, რაც მოიცავს იმ პოზიციებს, რომლისთვისაც შესაძლებელია დისტანციური მუშაობა, დისტანციურად მუშაობის წესების განსაზღვრა, ტექნიკური აღჭურვილობისა და სხვადასხვა საკითხების დადგენა. პანდემიის გამო, პოლიტიკის განსაზღვრის გარეშე სახელწიფო უწყებებს მოუწიათ სრულად ან ნაწილობრივ გადასულიყვნენ დისტანციურ სამუშაოზე.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა საჯარო სამსახურში დასაქმებული ადამიანები, რომელთა შედეგადაც გამოვლინდა, რომ პანდემიამდე დისტანციურად მუშაობის გამოცდილება 90%-ს არ ქონდა. შესაბამისად, ასეთი რესპოდენტების მიერ შეფასებული მდგომარეობა უფრო საინტერესო იყო კვლევის მიზნებიდან გამოდინარე.

დისტანციური მუშაობის პროცესში დასაქმებულებისთვის წარმოიშობოდა როგორც დადებითი ისე უარყოფითი გარემოებები. კერძოდ, გამოკითხულთა უმეტესობა დადებით ფაქტორად ასახელებს ხარჯების ეკონომიას (95%) და დროის ეკონომიას (75%).

დისტანციურად მუშაობის გაგრძელებას სურვილი გამოკითხულთა მხოლოდ 35%-მა დაასახელა. აღნიშნული გარემოება ცხადყოფს, რომ მათთვის არ იყო კომფორტული თავიანთი საცხოვრებელი სახლიდან მუშაობა. შესაბამისად, დასახელდა სხვადასხვა უარყოფითი ფაქტორები, რაც წარმოიქმნა მუშაობის პროცესში:

***დიაგრამა 1. დისტანციურად მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემები***




როგორც დიაგრამიდან ჩანს ყველაზე მეტად საჯარო მოხელეებს გაუჭირდათ თანამშრომლებთან კომუნიკაცია. კოლეგებთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია. როდესაც ადამიანი კარგავს კავშირს გუნდთან, ის მისი მოტივაციის ძალასაც კარგავს: კოლექტიურ წახალისებას და საერთო წარმატებით მიღებულ აღფრთოვანებას. (საჯ.სამსახურის ბიურო)

საჯარო მოხელეების მიერ შეფასდა სხვადასხვა საკითხები, და გამოვლინდა, რომ:

- დისტანციურად მუშაობამ თანამშრომელთა პირად შედეგებზე დადებითათ ვერ იმოქმედა;
- ორგანიზაციის სამუშაო შედეგები შემცირდა;

- სამუშაოს დროის კონტროლი რთული იყო მოხელეებისთვის;
- დისტანციურად მუშაობის მზადყოფნა არ ქონდა 86%-ს;
- დისტანციურად მუშაობისთვის მზად არ იყო სახელმწიფო უწყებები;
- თანამშრომელთა უმეტესობა აღნიშნავდა, რომ უჭირდათ ჯგუფური დავალებების შესრულება (გამოკითხულდა 87%)

საინტერესოა, რომ მიუხედავად რიგი ნაკლოვანებებისა დისტანციურად მუშაობას სახელმწიფო უწყებებში ეფექტიანად ასახელებს გამოკითხული საჯარო მოხელეების 50% (იხ. დიაგრამა 2). შესაბამისად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ მეთოდის გამოყენებაზე სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში, რაც შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს დაზოგოს მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ხარჯები.

***დიაგრამა 2. არის თუ არა დისტანციური მუშაობა ეფექტიანი სახელმწიფო უწყებაში***




დისტანციურად მუშაობას სამომავლო პერსპექტივა უფრო და უფრო მეტად გააჩნია თანამედროვე ეპოქაში, თანამედროვე საჯარო სამსახურებში. თუმცა, გასათვალისწინებელია სხვადასხვა საკითხები:

- განისაზღვროს ის სფეროები სადაც შესაძლებელია დისტანციურად მუშაობის დანერგვა
- განისაზღვროს ორგანიზაციის პოლიტიკა ამ მიმართულებით
- საჭიროა სამართლებრივი რეგულირება
- დისტანციური მუშაობისთვის განსაზღვრული სამუშაო საათების დადგენა
- ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა
- თანამშრომელთა მოტივაციის მეთოდების დახვეწა და გაუმჯობესება და სხვა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში
2. დისტანციური მუშაობის სახელმძღვანელო, ევროკავშირი საქართველოსთვის, 2020
3. კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასების ანგარიში, საქართველო, 2014;
4. ს. ტაბატაძე, ბუნებრივი კატასტროფის მართვის პროექტების ეფექტიანობა საქართველოში, 2020
5. საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია, 2017
6. Global Platform for disaster risk reduction, Official Statements from the Fourth Session of the Global Platform for Disaster Risk Reduction, Country statements, 2019;
7. The Sendai Framework for Disaster Risk Reduction 2015-2030 (Sendai Framework);
8. https://es.gov.ge/
9. https://sao.ge/ka/
10. https://www.undrr.org/
11. http://www.csb.gov.ge/

# დემოგრაფიული პროცესების ანალიზი საქართველოს რეგიონების მიხედვით

**ნესტან ფანცულაია**
*თსუ მაგისტრანტი*

*მოსახლეობის დემოგრაფიული პროცესების განვითარების დინამიკის შესასწავლად მნიშვნელოვანია არსებობდეს სანდო სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის რიცხვნობისა და დემოგრაფიული პროცესების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ დემოგრაფიული პროცესების შესახებ ძირითად, ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები, ხოლო მოსახლეობის აღწერები დიდი პერიოდულობით ხასიათდება, მეცნიერული ანალიზისა და დემოგრაფიული სურათის შესაფასებლად მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნულ პროცესებზე დაკვირვება და მათი გაანალიზება აღწერათაშორის პერიოდში.*

*საინტერესოა აღნიშნული მონაცემების ანალიზი რეგიონულ ჭრილში, ვინაიდან ეს საკითხი მეტად დრამატულად გამოიყურება, ბუნებრივი მატებისა და მიგრაციული პროცესების გათვალისწინებით.*

*2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 728.6 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 0.3 პროცენტით მეტია. თუმცაღა, საერთო ჯამში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა კლებადი ტენდენციით ხასიათდება, რასაც ადასტურებს უარყოფითი ბუნებრივი მატება.*

***საკვანძო სიტყვები:*** *დემოგრაფიული პროცესი, შობადობის კოეფიციენტი, მოკვდაობის კოეფიციენტი, ბუნებრივი მატება.*

უკანასკნელი 100 წლის მანძილზე მსოფლიოს მრავალი ქვეყანა უდიდესი დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დგას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დინამიკაში იკლებს რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ავლენს შობადობის მაჩვენებელზე. კლებადი დინამიკის ამსახველი დაბადების მაჩვენებლის, ბუნებრივი მატებისა და მიგრაციული პროცესების გათვალისწინებით, რიგი ქვეყნების მოსახლეობა დრამატულად მცირდება.

*მოსახლეობის სტრუქტურას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობები. ამავე დროს დემოგრაფიული პროცესებისა და სტრუქტურის ცვლილება პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან. ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის სტრუქტურას შორის კავშირი ორთული და მრავალფეროვანია.* [1]

*მოსახლეობის განვითარების ტენდენციების გათვალისწინება ხდება როგორც მთლიანად ქვეყნის ასევე მისი ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვის მნიშვნელოვანი ელემენტი... ეს უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმასთან, რომ მოსახლეობა წარმოადგენს შრომითი რესურსების ფორმირების საფუძველს.*[2]

ნაშრომი მოიცავს საქართველოს რეგიონების მიხედვით დემოგრაფიული პროცესების ემპირიულ ანალიზს. მასში განხილულია დემოგრაფიული ვითარება როგორც მთლიანად საქართველოს მიხედვით, ასევე რეგიონულ ჭრილშიც. ამისათვის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის და დემოგრაფიული სტატისტიკის სხვა, აღწერათაშორისი მონაცემების საფუძველზე, გაანალიზებულია საქართველოს მოსახლეობის დინამიკა რეგიონულ ჭრილში. ამასთან, მოხდა შემდეგი დემოგრაფიული მაჩვენებლების შეფასება: მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის

---

[1] ქ. ჭანიძე, დემოგრაფიული პროცესების ეკონომიკური მოდელირება მზარდი ეკონომიკის პირობებში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე), ბათუმი, 2018.

[2] ა. ი. კვაშა, რა არის დემოგრაფია?, მოსკოვი, 1985.

კოეფიციენტები, როგორიც არის ბუნებრივი მატება, სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტი და მოკვდაობის კერძო კოეფიციენტები (ჩვილ ბავშვთა მოკვდაობისა და მკვდრადშობადობის კოეფიციენტები).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული კვლევა მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია, ვინაიდან საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსახლეობის რიცხოვნობა და დემოგრაფიული პროცესები როგორც მთლიანად საქართველოს მასშტაბით, ისე რეგიონულ ჭრილში.

მეცნიერული საჭიროებებისთვისა და დემოგრაფიული მდგომარეობის სრული სურათის დასანახად, აუცილებელია მოსახლეობაზე დაკვირვება აღწერათაშორის პერიოდში, რასაც ხელს უწყობს მიმდინარე აღრიცხვები. მიმდინარე აღრიცხვები საშუალებას იძლევა ყოველწლიურად დადგინდეს როგორც მთლიანი ქვეყნის, აგრეთე მისი ცალკეული ტერიტორიების მოსახლეობის რიცხოვნობა, შემადგენლობა და დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობა. დემოგრაფიული პროცესები განპირობებულია საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარებით. დემოგრაფიული კვლევისსფეროში შედის დემოგრაფიული ვითარების აღწერილობა, ქვეყანაში, მის ცალკეული რეგიონებში ან მოსახლეობის ჯგუფებში დემოგრაფიული ტენდენციებისა და ფაქტორების ანალიზი.

დემოგრაფიულ პროცესებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია რიგი მაჩვენებლებისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა. ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელია მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა. მართალია, შობადობას და მოკვდაობას, როგორც პროცესს, აქვთ ბიოლოგიური საწყისი, მაგრამ ისინი განპირობებულნი არიან სოციალური ფაქტორებით. ამრიგად, დემოგრაფიული პროცესები ბიოლოგიურზე მეტად არის სოციალური ხასიათის, ხოლო დემოგრაფიული პროცესებიდან ყველაზე მეტად მოკვდაობა განიცდის ბიოლოგიურ გავლენას. თუ გარდაცვლილების რიცხვი აღემატება დაბადებულთა რიცხვს სახეზე უარყოფითი ბუნებრივი მატება და ადგილი აქვს მოსახლეობის რიცხოვნობის კლებას.ბუნებრივი მატების დასახასიათებლად, აგრეთვე გამოიყენება ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$K_{\text{ბ.მ.}} = \frac{N - M}{\bar{S}} * 100$$

სადაც $K_{\text{ბ.მ.}}$ არის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი,
N - წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვი,
M - წლის განმავლობაში გარდაცვლილთა რიცხვი,
$\bar{S}$ — მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობა.

აგრეთვე, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობას ახასიათებს ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორიცაა სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტი, რომელსაც პოკროვსკის ინდექსსაც უწოდებენ. დემოგრაფიულ პროცესებზე და მათ გამომწვევ სოციალური თუ ბიოლოგიური ხასიათის საწყისებზე საუბრისას, ყურადღება უნდა მივაპყროთ ასევე ჩვილთა მოკვდაობას, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

## საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობა

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართელოს მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 3 728.6 ათას კაცს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით. გასაგები მიზეზების გამო, ანალიზში ვერ მოხვდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის შესახებ სტატისტიკა, ვინაიდან ოფიციალური მონაცემები ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი.

საქართველოს დედაქალაქში, თბილისში მცხოვრები მოსახლეობის წილი მზარდია და ბოლო 10 წელიწადში, 3,2 პროცენტული პუნქტით არის მომატებული. თუ 2011 წელს მოსახლეობის 29,1% ცხოვრობდა თბილისში, 2021 წელს ამ მაჩვენებელმა 32,3%-ს მიაღწია. მოსახლეობის რიცხოვნობის მზარდი ტენდენცია აგრეთვე შეინიშნება ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, მხოლოდ 51% წარმოადგენს ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას. საქართველოს დანარჩენ რეგიონებში კი, მოსახლეობის რიცხოვნობა წლიდან წლამდე იკლებს, ისევე როგორც მათი წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს მოსახლეობის დინამიკა რეგიონების მიხედვით 2010-2021 წლებში. შეიძლება ითქვას, რომ საერთო ჯამში, მოსახლეობის რიცხოვნობა მსგავსი დინამიკით ხასიათდება საქართველოს ყველა რეგიონისთვის, გარდა ქვემო ქართლისა და საქართველოს დედაქალაქისა.

***ცხრილი 1. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა რეგიონულ ჭრილში 2010-2021 წლებში (ათასი კაცი)***

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ქ. თბილისი** | 1,100.0 | 1,097.7 | 1,091.2 | 1,092.0 | 1,101.2 | 1,115.7 | 1,132.0 | 1,145.5 | 1,158.7 | 1,171.1 | 1,184.8 | 1,202.7 |
| **აჭარის არ** | 332.5 | 332.2 | 331.9 | 332.5 | 333.2 | 336.6 | 340.2 | 343.0 | 346.3 | 349.0 | 351.9 | 354.9 |
| **გურია** | 117.2 | 116.8 | 115.8 | 114.9 | 114.1 | 113.3 | 112.4 | 111.5 | 110.5 | 109.4 | 108.1 | 107.1 |
| **იმერეთი** | 568.6 | 559.4 | 550.6 | 542.8 | 538.3 | 531.0 | 523.7 | 514.4 | 507.0 | 497.4 | 487.0 | 481.5 |
| **კახეთი** | 329.2 | 326.3 | 323.4 | 321.3 | 320.1 | 318.8 | 317.8 | 315.9 | 314.7 | 312.5 | 310.1 | 309.6 |
| **მცხეთა-მთიანეთი** | 92.5 | 93.1 | 93.4 | 93.5 | 94.1 | 94.1 | 94.1 | 93.9 | 93.9 | 93.6 | 93.3 | 93.4 |
| **რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი** | 36.3 | 35.4 | 34.4 | 33.5 | 32.7 | 32.2 | 31.5 | 30.8 | 30.2 | 29.7 | 29.1 | 28.5 |
| **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | 364.9 | 356.7 | 347.2 | 339.8 | 335.1 | 331.8 | 328.4 | 324.2 | 320.8 | 316.2 | 311.1 | 308.4 |
| **სამცხე-ჯავახეთი** | 169.7 | 167.3 | 165.0 | 163.1 | 161.7 | 160.3 | 158.7 | 157.2 | 155.9 | 154.1 | 152.1 | 151.1 |
| **ქვემო ქართლი** | 422.8 | 422.8 | 421.5 | 421.0 | 422.5 | 425.2 | 428.0 | 429.7 | 432.3 | 433.2 | 434.2 | 437.3 |
| **შიდა ქართლი** | 266.0 | 266.0 | 265.0 | 264.1 | 263.8 | 262.9 | 261.9 | 260.4 | 259.3 | 257.3 | 255.1 | 254.1 |

*წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.*

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე მცირე მოსახლეობით გამოირჩევა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ასევე მცხეთა-მთიანეთი, თუმცა, თუ 2010-2021 წლებში მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის რიცხოვნობა უმნიშვნელოდ (დაახლოებით 1%-ით) შემცირდა, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობამ მნიშვნელოვანი კლება განიცადა (21,5%-ით).

## მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტები

განვიხილოთ ბუნებრივი მატება საქართველოს რეგიონების მიხედვით. 2014-2019 წლებში, საქართველოს მასშტაბით ფიქსირდებოდა დადებითი ბუნებრივი მატება, თუმცაღა მაჩვენებელი უფრო და უფრო მცირდებოდა და 2020 წელს ბუნებრივი მატება უარყოფითი გახდა, რაც ნამდვილად საგანგაშოა საქართველოს მასშტაბის მქონე ქვეყნისთვის. თუ დავაკვირდებით აღნიშნულ მაჩვენებელს რეგიონულ ჭრილში, ადვილად შესამჩნევია, რომ წლების გან-

მავლობაში დადებით ბუნებრივი მატებას უზრუნველყოფდა ქ.თბილისი, აჭარის ა. რ. და ქვემო ქართლის რეგიონი, ხოლო დანარჩენ რეგიონებში გარდაცვალება აღემატება დაბადების მაჩვენებელს, შედეგად კი სახეზე გვაქვს უარყოფითი ბუნებრივი მატება, რომელიც წლიდან წლამდე უფრო და უფრო დრამატულ სურათს ხატავს. განსაკუთრებით ტრაგიკული სიტუაცია კი მოსახლეობის რიცხოვნობით მეორე ადგილზე მყოფ იმერეთის რეგიონში იკვეთება.

***ცხრილი 2. ბუნებრივი მატება საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2014-2015 წლებში***

| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ საქართველო** | 11,548 | 10,128 | 5,798 | 5,471 | 4,614 | 1,637 | -4,017 |
| **ქ. თბილისი** | 5,645 | 5,132 | 4,064 | 2,930 | 4,039 | 3,473 | 1,393 |
| **აჭარის ა. რ.** | 2,919 | 2,824 | 2,355 | 2,628 | 2,362 | 2,333 | 1,346 |
| **გურია** | -243 | -227 | -297 | -390 | -419 | -575 | -699 |
| **იმერეთი** | -229 | -210 | -1,318 | -1,159 | -1,248 | -1,968 | -2,716 |
| **კახეთი** | 187 | 255 | -229 | -84 | -370 | -648 | -716 |
| **მცხეთა-მთიანეთი** | -49 | -184 | -236 | -165 | -262 | -365 | -483 |
| **რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი** | -399 | -473 | -496 | -395 | -328 | -402 | -505 |
| **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | -169 | -399 | -735 | -683 | -932 | -1,401 | -1,660 |
| **სამცხე-ჯავახეთი** | 248 | 182 | 296 | 237 | 180 | -41 | -143 |
| **ქვემო ქართლი** | 2,977 | 2,659 | 2,037 | 2,342 | 1,654 | 1,473 | 638 |
| **შიდა ქართლი** | 661 | 569 | 357 | 210 | -62 | -242 | -472 |

*წყარო: ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები გაანგარიშებულია ჩვენს მიერ.*

მოსახლეობის ბუნებრივი მატების დასახასიათებლად, აგრეთვე გამოიყენება სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტი, ვინაიდან ერთი და იმავე სიდიდის ბუნებრივი მატების მიღება შესაძლებელია შობადობის და მოკვდაობის როგორც დაბალი, ისე მაღალი დონეების პირობებში.

სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველოში ბუნებრივი მატება საგანგაშო მდგომარეობაშია და ეს მაჩვენებელი უდრის 0.9-ს.

საინტერესოა სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტის განხილვა რეგიონულ ჭრილშიც. 11 რეგიონიდან მხოლოდ სამ რეგიონშია აღნიშნული კოეფიციენტი 1-ზე მეტი, რაც გულისხმობს, რომ დაბადებულთა რიცხოვნობა მეტია გარდაცვლილთა რიცხვონობაზე. ეს რეგიონებია ქვემო ქართლი, აჭარის ა. რ. და ქ. თბილისი.

***ცხრილი 3. სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტი საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2014-2020 წლებში (პრომილე)***

| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ, საქართველო** | **1.2** | **1.2** | **1.1** | **1.1** | **1.1** | **1.0** | **0.9** |
| **ქ. თბილისი** | 1.5 | 1.4 | 1.3 | 1.2 | 1.3 | 1.3 | 1.1 |
| **აჭარის ა. რ.** | 1.9 | 1.8 | 1.7 | 1.8 | 1.7 | 1.7 | 1.3 |
| **გურია** | 0.9 | 0.9 | 0.8 | 0.8 | 0.8 | 0.7 | 0.6 |
| **იმერეთი** | 1.0 | 1.0 | 0.9 | 0.9 | 0.8 | 0.8 | 0.7 |
| **კახეთი** | 1.0 | 1.1 | 1.0 | 1.0 | 0.9 | 0.9 | 0.8 |
| **მცხეთა-მთიანეთი** | 1.0 | 0.9 | 0.8 | 0.9 | 0.8 | 0.7 | 0.7 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი** | 0.5 | 0.4 | 0.4 | 0.5 | 0.5 | 0.4 | 0.3 |
| **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | 1.0 | 0.9 | 0.9 | 0.9 | 0.8 | 0.7 | 0.7 |
| **სამცხე-ჯავახეთი** | 1.1 | 1.1 | 1.1 | 1.1 | 1.1 | 1.0 | 0.9 |
| **ქვემო ქართლი** | 1.7 | 1.6 | 1.4 | 1.5 | 1.4 | 1.3 | 1.1 |
| **შიდა ქართლი** | 1.2 | 1.2 | 1.1 | 1.1 | 1.0 | 0.9 | 0.9 |

*წყარო: ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები გაანგარიშებულია ჩვენ მიერ.*

მაშასადამე, 2020 წლისათვის საქართველოს რეგიონებში სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტი ყველაზე დაბალია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (0.3), რაც სამჯერ ნაკლებია მთლიანად საქართველოს მიხედვით გამოთვლილ კოეფიციენტზე, რაც 0.9-ს შეადგენს.

## ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტის გამოთვლა რეგიონულ ჭრილში

დემოგრაფიულ პროცესებზე საუბრისას, აგრეთვე აუცილებელია განხილულ იქნეს მოკვდაობის კერძო კოეფიციენტები. ნაშრომში განხილულია ჩვილ ბავშვთა მოკვდაობისა და მკვდრადშობადობის კოეფიციენტები საქართველოს რეგიონებისთვის.

ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტის გამოსათველად გამოიყენება იოჰანეს რატსის ფორმულა:

$$m_0 = \frac{M_o}{\frac{2}{3}N + \frac{2}{3}N_0} * 1000$$

სადაც $m_0$ არის ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი;
$M_0$ - მოცემულ წელს გარდაცვლილ ერთ წლამდე ბავშვთა რიცხვი;
N - ამავე წელს დაბადებულთა რიცხვი;
$N_0$ - წინა წელს დაბადებულთა რიცხვი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, მოყვანილია ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი რეგიონულ ჭრილში 2014-2020 წლებისთვის.

***ცხრილი 4. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი საქართველოს რეგიონების მიხედვით (პრომილე)***

| | **2015** | **2016** | **2017** | **2018** | **2019** | **2020** |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | 8.6 | 9.0 | 9.6 | 8.1 | 7.9 | 7.9 |
| **ქ. თბილისი** | 7.9 | 7.1 | 8.7 | 6.6 | 6.1 | 7.7 |
| **აფხაზეთის ა. რ.** | - | - | - | - | - | - |
| **აჭარის ა. რ.** | 9.2 | 8.2 | 8.3 | 11.4 | 7.5 | 8.2 |
| **გურია** | 5.1 | 11.1 | 8.8 | 7.1 | 7.7 | 6.5 |
| **იმერეთი** | 8.0 | 9.2 | 11.6 | 6.1 | 8.4 | 8.0 |
| **კახეთი** | 9.8 | 12.9 | 11.4 | 8.7 | 10.6 | 8.6 |
| **მცხეთა-მთიანეთი** | 12.5 | 10.2 | 11.6 | 7.5 | 8.5 | 9.7 |
| **რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი** | 5.4 | 6.1 | 5.9 | 12.2 | 0.0 | 7.7 |
| **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | 10.4 | 9.0 | 9.7 | 8.1 | 11.8 | 7.6 |
| **სამცხე-ჯავახეთი** | 6.6 | 7.2 | 10.6 | 9.5 | 5.3 | 7.3 |
| **ქვემო ქართლი** | 9.4 | 11.2 | 9.4 | 9.1 | 10.4 | 9.2 |
| **შიდა ქართლი** | 7.5 | 8.8 | 8.7 | 11.1 | 6.3 | 5.4 |

*წყარო: ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები გაანგარიშებულია ჩვენ მიერ.*

როგორც ჩანს, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტს როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე უმეტესი რეგიონების მიხედვით, ახასიათებს კლებადი ტენდენცია. 2020 წელს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება შიდა ქართლისა და გურიის რეგიონებში, ხოლო ყველაზე მაღალი - მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

## მკვდრადშობადობის კოეფიციენტის შეფასება რეგიონების მიხედვით

მოკვდაობის დეტალური ანალიზისთვის გამოიყენება მკვდრადშობადობის კოეფიციენტს, რომლიც მოკვდაობის კერძო კოეფიციენტს წარმოდგენს. მკვდრადდაბადებულთა რიცხვს ყოველ 1000 დაბადებულზე.

მკვდრადშობადობის კოეფიციენტი სარკესავით ირეკლავს ქვეყანაში ცხოვრების პირობებსა და ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობას. 1990-2006 წლებში მკვდრადშობადობის კოეფიციენტი 9,3-დან 16,8 პრომილემდე გაიზარდა, ხოლო შემდგომ წლებში უკვე კლებადი ტენდენციით ხასიათდება და 2020 წელს საქართველოში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 8.8‰-ს მიაღწია.

***ცხრილი 5. მკვდრადშობადობის კოეფიციენტი საქართველოს რეგიონების მიხედვით (პრომილე)***

| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | 10.6 | 9.9 | 9.9 | 9.5 | 8.6 | 9.5 | 8.8 |
| **ქ. თბილისი** | 8.1 | 8.5 | 9.7 | 7.7 | 7.5 | 7.9 | 7.7 |
| **აფხაზეთის ა. რ.** | - | - | - | - | - | - | - |
| **აჭარის ა. რ.** | 8.1 | 11.1 | 7.7 | 9.3 | 6.2 | 9.5 | 7.1 |
| **გურია** | 12.7 | 14.8 | 10.4 | 14.3 | 16.5 | 15.3 | 8.4 |
| **იმერეთი** | 12.9 | 9.4 | 10.8 | 10.4 | 7.1 | 8.1 | 9.2 |
| **კახეთი** | 11.4 | 10.9 | 9.7 | 10.6 | 10.8 | 11.1 | 11.5 |
| **მცხეთა-მთიანეთი** | 9.0 | 11.7 | 3.4 | 14.1 | 5.6 | 13.7 | 4.3 |
| **რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი** | 21.1 | 8.2 | 18.3 | 14.7 | 3.0 | 10.6 | 15.4 |
| **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | 13.7 | 8.4 | 8.1 | 7.0 | 10.8 | 10.4 | 11.3 |
| **სამცხე-ჯავახეთი** | 10.4 | 9.7 | 9.4 | 11.0 | 10.4 | 8.9 | 12.6 |
| **ქვემო ქართლი** | 12.0 | 10.8 | 12.5 | 10.6 | 11.2 | 11.1 | 8.0 |
| **შიდა ქართლი** | 11.2 | 12.6 | 11.0 | 9.8 | 7.8 | 10.9 | 11.1 |

*წყარო: ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები გაანგარიშებულია ჩვენ მიერ.*

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონი, სადაც მკვდრადშობადობის მაჩვენებელი რეგიონებს შორის 2020 წელს ყველაზე მაღალია და 15.4‰-ს აღწევს. თუმცა, ეს კოეფიციენტი 2014 წელთან შედარებით შემცირდა (იყო 21.1‰), მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო სამ წელიწადში ზრდის ტენდენცია აქვს.

## დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს რიგი ქვეყნები, უდიდესი დემოგრაფიული გამოწვევის წინაშე დგას. გარდა კლებადი დინამიკის მქონე დაბადების მაჩვენებლისა და ბუნებრივი მატებისა, მოსახლეობის რიცხვნობის ცვლილებაში ასევე დიდ როლს თამაშობს მზარდი მიგრაციული პროცესები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დინამიკაში იკლებს რეგის-

ტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, დიდ უარყოფით გავლენას ახდენს შობადობის მაჩვენებელზე.

2020 წელს ქვეყანაში ბუნებრივი მატება იყო უარყოფითი, რაც ნამდვილად საგანგაშოა საქართველოს მასშტაბის მქონე ქვეყნისთვის. თუ ავაგებთ საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდას, დავინახავთ, რომ იგი სულ უფრო მეტად იღებს ზარის ფორმას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ახალგაზრდა მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში სულ უფრო მცირდება და მოსახლეობა განიცდის დემოგრაფიულ დაბერებას. ამრიგად, ქართველები დგანან ეროვნული კატასტროფის წინაშე, რასაც მოწმობს ნაშრომში განხილული მაჩვენებლები. უკანასკნელი 26 წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობა 21%-ით შემცირდა, ამასთან, აღსანიშნავია მოსახლეობის კლებადი დინამიკა რეგიონულ ჭრილშიც.

მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების პროცესის შეჩერება არ წარმოადგენს მარტივ ამოცანას, თუმცაღა შესაძლებელია მისი გადაჭრა სხვადასხვა წამახალისებელი ღონისძიებების დასახვით, რაც ხელს შეუწყობს შობადობის ამაღლებასა და მიგრაციული პროცესების შეჩერებას. ეს კი აუცილებლად გამოიწვევს ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის ხვედრიწილის გაზრდას. ასეთი ზომები შეიძლება იყოს როგორც ახალდაქორწინებულთა თუ ყოველ შემდგომ ბავშვზე წახალისებები, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესება, რაც დიდად ხელს შეუწყობს რეპროდუქციული ასაკის ქალებს და აამაღლებს მათ მოტივაციას ბევრი შვილის ყოლისათვის. ყურადსაღებია ასევე ის ფაქტიც, რომ ეთნიკური ქართველებით დასახლებულ რეგიონებში ძირითადად შეინიშნება უარყოფითი ბუნებრივი მატება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ა. ი. კვაშა, რა არის დემოგრაფია?, მოსკოვი, 1985.https://tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/-ra-aris-demografia.pdf;
2. გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, 2006.
3. გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. სულაბერიძე. დემოგრაფიულია,თბილისი, 2009.
4. მ. ხმალაძე, ქ. ჩიტალაძე, დემოგრაფიული სტატისტიკა, თბილისი, 2020.
5. ქ. ჭანიძე, დემოგრაფიული პროცესების ეკონომიკური მოდელირება მზარდი ეკონომიკის პირობებში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე), ბათუმი, 2018. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9996_1.pdf.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, http://census.ge/ge/results/census1.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობა და დემოგრაფია - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia.
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რეგიონული სტატისტიკა - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika.
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დემოგრაფიული სტატისტიკის პორტალი http://database.geostat.ge/pyramid/index.php?lang=ka

# COVID-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა

**ქეთევან ფხაღაძე**
*თსუ მაგისტრანტი*

*მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) და მისი რეალური ზრდის ტემპი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორია. სწორედ რეალური ზრდის ტემპი განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა დროის მცირე პერიოდში განვითარების მაღალი საფეხურების მიღწევას. ის ქვეყნები, რომლებიც მშპ-ს მაღალი რეალური ზრდის ტემპით ხასიათდებიან განვითარებადი ქვეყნების სიიდან, განვითარებული ქვეყნების სიაში გადადიან. ამის კლასიკური მაგალითია იაპონია, სადაც რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 1890 წლიდან 2003 წლამდე პერიოდში $1 280-დან $28 620-მდე გაიზარდა.*

*1994 წლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკას ყველაზე დიდი შემცირება აქვს, ხოლო 2009 წლის აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, 2020 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი პირველად შემცირდა.2020 წელს ჩვენთან რეალური მშპ, წინასწარი მონაცემებით, 6.2 პროცენტით შემცირდა, ხოლო 2019 წელს კი, 5 პროცენტიანი ზრდა იყო.*

*ეკონომიკური ვარდნა ყველაზე მეტად მომსახურების სფეროს შეეხო, რომლის წვლილი, არსებული შეფასებით, -5.8 პროცენტული პუნქტი იყო. შედარებით ნაკლებად შემცირდა ინდუსტრიული დარგები (-0.6 პპ), ხოლო სოფლის მეურნეობა მცირედით გაიზარდა და დადებითმა წვლილმა 0.2 პპ შეადგინდა.*

*მოცემული კვლევა ეხება სწორეს მთლიანი შიდა პროდუქტს, კერძოდ COVID-19 ის შედეგად შემცირებულ მშპ-ს და გავიხილავთ რამ განაპირობა მისი შემცირება და რა პროგნოზებია ჩატარებული ამ კუთხით.*

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) და მისი რეალური ზრდის ტემპი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორია. სწორედ რეალური ზრდის ტემპი განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა დროის მცირე პერიოდში განვითარების მაღალი საფეხურების მიღწევას. ის ქვეყნები, რომლებიც მშპ-ს მაღალი რეალური ზრდის ტემპით ხასიათდებიან განვითარებადი ქვეყნების სიიდან, განვითარებული ქვეყნების სიაში გადადიან. ამის კლასიკური მაგალითია იაპონია, სადაც რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 1890 წლიდან 2003 წლამდე პერიოდში $1 280-დან $28 620-მდე გაიზარდა.

1994 წლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკას ყველაზე დიდი შემცირება აქვს, ხოლო 2009 წლის აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, 2020 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი პირველად შემცირდა.2020 წელს ჩვენთან რეალური მშპ, წინასწარი მონაცემებით, 6.2 პროცენტით შემცირდა, ხოლო 2019 წელს კი, 5 პროცენტიანი ზრდა იყო.

ეკონომიკური ვარდნა ყველაზე მეტად მომსახურების სფეროს შეეხო, რომლის წვლილი, არსებული შეფასებით, -5.8 პროცენტული პუნქტი იყო. შედარებით ნაკლებად შემცირდა ინდუსტრიული დარგები (-0.6 პპ), ხოლო სოფლის მეურნეობა მცირედით გაიზარდა და დადებითმა წვლილმა 0.2 პპ შეადგინდა.

მოცემული კვლევა ეხება სწორეს მთლიანი შიდა პროდუქტს, კერძოდ COVID-19 ის შედეგად შემცირებულ მშპ-ს და გავიხილავთ რამ განაპირობა მისი შემცირება და რა პროგნოზებია ჩატარებული ამ კუთხით.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების მიზანია იმ მაკროეკონომიკური პროცესებისა და მათი შედეგების რაოდენობრივი დახასიათება, რომლებიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან, შემოსავლების წარმოქმნასთან, მოხმარებასთან, საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ეკონომიკა იზომება საქმიანობის სახეების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის არსებულ სტანდარტულ წყაროებში სხვადასხვა მიზეზით მოუცველი საქმიანობის, პროდუქციის, შემოსავლების, მოხმარების ან სხვა ეკონომიკური ოპერაციების მოცულობით. მისი შეფასებისათვის  გამოიყენება როგორც პირდაპირი კვლევის შედეგები, ასევე არაპირდაპირი შეფასებები.

საერთაშორისო მეთოდოლოგიის რეკომენდაციების გათვალისწინებით ეკონომიკური - ოპერაციები აღირიცხებად არიცხვის მეთოდით მათი განხორციელების მომენტისათვის არსებულ მიმდინარე საბაზრო ფასებში. SNA 2008 მეთოდოლოგიის მიხედვით რეკომენდებულია მშპ-ის რეალური ზრდის ინდექსის კვარტალური პერიოდულობით გაანგარიშება.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებელს მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში გამოხატული მთლიანი ღირებულებაა. მშპ-ის გაანგარიშება მიმდინარე ფასებში ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული სამი მეთოდით:

1. წარმოების მეთოდი,
2. გამოყენების (დანახარჯების) მეთოდი,
3. შემოსავლების მეთოდი,

## საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება

2020 წლის IV კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მიმდინარე ფასებში 13 907.0 მლნ. ლარს გაუტოლდა, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის კლებამ 6.8 პროცენტი შეადგინა. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი გაიზარდა 7.4 პროცენტით.

*ცხრილი 1. მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოების მეთოდით*

| | IV კვ. 2019 | IV კვ. 2020* |
|---|---|---|
| მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი) | 13 894.6 | 13 907.0 |
| მშპ ერთ სულზე (ლარი) | 3 734.9 | 3 741.6 |
| მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი) | 4 716.7 | 4 252.3 |
| მშპ ერთ სულზე (აშშ. დოლარი) | 1 267.9 | 1 144.1 |
| მშპ-ის რეალური ზრდა (%) | 4.6 | -6.8 |
| მშპ-ის დეფლატორის პროცენტული ცვლილება (%) | 8.4 | 7.4 |

*წინასწარი მონაცემები.

იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ კონკრეტულად რომელ სექტორებშია გასატარებელი სტრუქტურული რეფორმები, ეთგო-ს ეკონომისტები წევრი-ქვეყნების მასშტაბით უამრავ დარგში ადარებენ ერთმანეთს მწარმოებლურობის მონაცემებს. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ისეთი დარგების ზრდას, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, საავიაციო და ელექტროენერგეტიკული კომპანიები. შემდეგ ახდენენ ყველაზე მაღალი მატების მქონე ქვეყნებში ინსტიტუციური სტრუქტურების იდენტიფიკაციას. ის, რაც ცხადად მუშაობს ასეთ

ქვეყნებში, სხვაგანაც უნდა იქნეს მოსინჯული. ყველა ეს ანალიზი ეროვნული ანგარიშებიდან მიღებულ მონაცემებს ეფუძნება, როგორიცაა გამოშვება ან დამატებული ღირებულების ფიზიკური მოცულობა.

მთლიანი გამოშვება არის წელიწადის ან კვარტალის განმავლობაში ეროვნული ეკონომიკის მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი მოცულობა საბაზროფასებში.

მთლიანი გამოშვების შეფასება მოცემულია საქონლისა და მომსახურების მწარმოებლის საბაზრო ფასებში, რითაც ფაქტიურად ხორციელდება წარმოებული საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, პროდუქციაზე დარიცხული გადასახადების ჩაუთვლელად.

***დიაგრამა 1.***

მთლიანი გამოშვების სტრუქტურა 2020* წელი, %




მთლიანი გამოშვების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით იმ მომენტისათვის, როცა ეკონომიკური ოპერაციების მონაწილეთა შორის ორივე მხარის შეთანხმებით წარმოიქმნა აქტივის მიწოდებისა და შესაბამისი კომპენსაციის ურთიერთვალდებულებები, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ამ მომენტში ამ ოპერაციით განსაზღვრული ვალდებულებები პრაქტიკულად განხორციელებული. ტერმინი „მთლიანი“ ნიშნავს, რომ მაჩვენებელი მოიცავს წარმოების პროცესში მონაწილე ძირითადი კაპიტალის მოხმარებას.

2020 წლის მეოთხე კვარტალში მთლიანი გამოშვების მოცულობა 12.4 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 7.3 პროცენტით ნაკლებია.

2020 წლის მეოთხე კვარტალში ბიზნესსექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (23.7 პროცენტი) და მშენებლობა (21.6 პროცენტი), შემდეგ მოდის ვაჭრობა (17.7 პროცენტი), ტრანსპორტი და დასაწყობება – 8.4-პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 28.5-პროცენტიანი წილი უჭირავს.

2020 წლის მეოთხე კვარტალში მთლიანი ბრუნვის 60.9 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 17.1 პროცენტი – საშუალოზე, ხოლო 22.0 პროცენტი – მცირე ბიზნესზე ნაწილდება. მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 40.6 პროცენტი, საშუალოზე – 27.8 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე – 31.7 პროცენტი.

საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა შეძენამ 2020 წლის მეოთხე კვარტალში 18.0 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან

შედარებით, 6.6 პროცენტით ნაკლები), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების შეძენამ – 11.0 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 6 პროცენტით ნაკლები).

რეგიონების მიხედვით, მთლიან ბრუნვაში ლიდერობს თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით: თბილისი – 79.5 პროცენტი, ქვემო ქართლი – 4.8 პროცენტი, აჭარის ა/რ – 4.2 პროცენტი, იმერეთი – 3.0 პროცენტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.7 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით, პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები, შემდეგი თანმიმდევრობით: ქ. თბილისი – 63.8 პროცენტი, ქვემო ქართლი –8.9 პროცენტი, აჭარის ა/რ – 7.1 პროცენტი, იმერეთი – 5.0 პროცენტი, სამეგრელო--ზემო სვანეთი – 4.9 პროცენტი.

## მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი გამოყენება ძირითადი კატეგორიების მიხედვით

მოკლევადიან პერიოდში რეალური მშპ-ის მატებას განაპირობებს ცვლილებები მშპ-ის საბოლოო გამოყენებაში. ინფლაციისა და უმუშევრობის სასურველი დონის შესანარჩუნებლად მთავრობები ცდილობენ გავლენა მოახდინონ სამ ცვლადზე:

1. მოთხოვნა შინამეურნეობების მხრიდან (ან ეროვნული ანგარიშების ტერმინოლოგიით „დანახარჯები შინამეურნეობების მოხმარებაზე“);

2. საზოგადოებრივი მოხმარება (ან „დანახარჯები სახელმწიფო მართვის ორგანოების მოხმარებაზე“*)

3. ინვესტიციები (ან „ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება“). ამ ცვლადებზე გავლენის მოსახდენად მთავრობები ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს იყენებენ.

*დიაგრამა 2.*




საერთაშორისო მოგზაურობის შეზღუდვამ და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური აქტივობის შენელებამ საქართველოს საექსპორტო შემოსავლებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. შემცირებული საგარეო და შიდა მოთხოვნის ფონზე, საქონლის იმპორტიც შემცირდა. მთლიანობაში, საქონლის იმპორტთან შედარებით, საქონლის ექსპორტის ნაკლები ტემპებით კლების ფონზე, საქონლით ვაჭრობის დეფიციტი გაუმჯობესდა.

საქონლით ვაჭრობა მიმდინარე ანგარიშის კვლავ ყველაზე დეფიციტური კომპონენტია. თუმცა 2020 წელს საქონლით ვაჭრობის დეფიციტი, წინა წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის 1.6 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა და მშპ-ს 19.8 პროცენტი შეადგინა, რაც

იმპორტის ექსპორტზე მეტად კლებას უკავშირდება. როგორც აღვნიშნეთ, 2020 წლის განმავლობაში საქონლის ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. წლის პირველ ნახევარში, საქონლის ექსპორტის კლება, როგორც რეგიონის ქვეყნებში, ასევე გლობალურად, COVID-19 პანდემიის შეკავების მიზნით საწარმოო პროცესების შენელებამ და ეკონომიკური აქტივობების მიმართ დაწესებულმა შეზღუდვებმა განაპირობა. წლის მეორე ნახევარში ექსპორტი ნაკლებად მცირდებოდა, რაც შეზღუდვების შემსუბუქებასა და ეკონომიკური აქტივობის შედარებით გამოცოცხლებას უკავშირდებოდა. მთლიანობაში, საქონლის ექსპორტი წლიურად 12.0 პროცენტით შემცირდა. რაც შეეხება იმპორტს, შიდა მოთხოვნის კლების გამო, 2020 წლის მეორე კვარტალიდან არსებითად დაეცა. მთლიანობაში, საქონლის იმპორტმა წლიურად 13.7 პროცენტით დაიკლო. შედეგად, სავაჭრო დეფიციტმა დაიკლო და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტში, წინა წელთან შედარებით, ნაკლები უარყოფითი წვლილი შეიტანა.

## შემოსავლების ფორმირების ანგარიში

მშპ ასევე მთლიანი შემოსავლის ტოლია. ეროვნულ ანგარიშებში იყენებენ ტერმინს „დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება“ და არა ხელფასს, რადგან სამუშაო ძალის ღირებულება მოიცავს ასევე დამქირავებლის მიერ გადახდილ სოციალურ ანარიცხებსაც, ამასთან, მოგება ცნობილია როგორც საოპერაციო მოგება ან ზოგ შემთხვევაში როგორც შერეული შემოსავალი. საოპერაციო მოგება არის „მთლიანი“, თუ მისგან არ გამოირიცხება კაპიტალის ცვეთა, რომელიც ეროვნულ ანგარიშებში ცნობილია როგორც „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“. რეალურად, უმჯობესია ამ მოგების „წმინდა“ საფუძველზე გაანგარიშება, ანუ ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამორიცხვით.

შემოსავლების ფორმირების ანგარიშის შემუშავება საქმიანობის სახეების მიხედვით, საშუალებას იძლევა საქმიანობის სახეების მიხედვით მივიღოთ შემდეგი აგრეგატები: გამოშვება, შუალედური მოხმარება, დამატებული ღირებულება, მომუშავეთა შრომის ანაზღაურება და მთლიანი საოპერაციო მოგება. ამ კლასიფიკაციას იყენებს ასევე რესურსებისა და გამოყენების ცხრილები, საიდანაც ვიგებთ, როგორ ხდება პროდუქტებს წარმოება და გამოყენება სხვადასხვა დარგში.

დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება 2020 წლის მონაცემებით შეადგენს 15 586 მლნ, რაც შემცირებულია წინა წელთა შედარებით 669 მლნ ლარით, შრომის ანაზღაურების შემცირება გარკვეულწილად ჩვენი რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობების შენელებითა და პანდემიის სხვა უარყოფითი შედეგებით არის განპირობებული.

იმის გამო, რომ შეუძლებელია კაპიტალიდან მიღებული შემოსავლისა და შრომიდან მიღებული შემოსავლის განსხვავება, შემოიღეს შერეული შემოსავლის ცნება, რომელიც შემოსავლების ფორმირების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია. შერეული შემოსავლის შემთხვევაში მაკროეკონომისტები ზოგჯერ ცდილობენ განასხვაონ ერთმანეთისგან წარმოების პროცესში გამოყენებული ხარჯები კაპიტალზე და სამუშაო ძალაზე. ამისთვის სულ მცირე, ორი მეთოდი არსებობს.

წმინდა გადახდები (გადასახადები-სუდბსიდიები) შემცირებულია წინა წესლთან შედარებით, 2020 წელს წმინდა გადახდებმა შეადგინა 6 454,4 მლნ ლარი, ხოლო 2019 წლეს 6 587,6 მლნ ლარი.

მთლიანი შერეული შემოსავალი+ საოპერაციო მოგება გაზრდილია წინა წლეთან შედარებით და შეადგინა 27 366,9, რაც ძირითადად გამოწვეულიაა საოპერაციო მოგებით. საოპერაციო მოგებამ წინა წელს შეადგინა 19 218მლნ ლარი, ხოლო 2020 წელს 19 942 მლნ ლარი.

## რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი

დეტალური სტატისტიკა ეროვნულ ანგარიშებში სამი სახისაა: ა) რაოდენობებში გამოსახული სტატისტიკა, როგორიცაა წარმოებული ფოლადი ტონებში; ბ) მიმდინარე ფასებში გამოსახული სტატისტიკა („ღირებულებით გამოსახულებაში“ ან „ნომინალური“), როგორიცაა კომპანიის ანგარიშებიდან მიღებული მონაცემები და გ) ფასების ინდექსები, როგორიცაა შინამეურნეობების სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) შემადგენელი კომპონენტები. ა) ტიპის სტატისტიკა ეროვნული მოანგარიშეების მიერ უშუალოდ ფიზიკური მოცულობის ცვლილების გასაზომად გამოიყენება დეტალური კლასიფიკაციების ფარგლებში. რაიმე კონკრეტული სახის ფოლადის გამოშვების მოცულობის ცვლილება შემდეგ ამ ფოლადისგან დამზადებული პროდუქციის მოცულობის ცვლილებაში იჩენს თავს. თუ რაოდენობების შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია, მაშინ ეროვნულ ანგარიშიანობაში ხდება ბ) და გ) ტიპის სტატისტიკების კომბინაცია. როგორც პირველ ძირითად იგივეობაში ვნახეთ, თუ მიმდინარე ფასებში ასახულ ღირებულებას შესაბამისი პროდუქტების ფასების ცვლილებაზე გავყოფთ, მივიღებთ ცვლილებას ფიზიკურ მოცულობაში. აღნიშნულს ეროვნულ ანგარიშიანობაში „დეფლატირება“ ეწოდება.

*ცხრილი 2.*

| | 2017 | 2018 | 2019 | I 20* | II 20* | III 20* | IV 20* | 2020* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი | 40.8 | 44.6 | 49.3 | 11.1 | 11.1 | 13.3 | 13.9 | 49.4 |
| მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში, მილიარდი ლარი | 36.6 | 38.4 | 40.3 | 9.1 | 8.8 | 9.8 | 10.2 | 37.8 |
| მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტი | 4.8 | 4.8 | 5.0 | 2.3 | -13.2 | -5.6 | -6.8 | -6.2 |
| მშპ დეფლატორის ცვლილება, პროცენტი | 8.5 | 4.4 | 5.2 | 7.1 | 7.2 | 5.9 | 7.4 | 6.9 |
| მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი | 10 933.9 | 11 968.0 | 13 239.4 | 2 974.3 | 2 990.2 | 3 586.7 | 3 741.6 | 13 292.7 |
| მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი | 4 358.5 | 4 722.0 | 4 696.2 | 1 016.3 | 952.9 | 1 156.2 | 1 144.1 | 4 274.6 |
| მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი | 16.2 | 17.6 | 17.5 | 3.8 | 3.5 | 4.3 | 4.3 | 15.9 |

როგორც ნახაზიდან და გამოთვლებიდან ჩანს ინფლაცია საკმაოდ მაღალი იყო 2020 წელს, რამაც გაზარდა მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში, თუმცა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა უარყოფითი აღმოჩნდა და შეადგინდა -6,2%.

## დასკვნა

2020 წელი გლობალური ეკონომიკისთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. COVID-19 პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების ფონზე, ეკონომიკური და ბიზნეს საქმიანობა შეფერხდა; საგანგებო მდგომარეობის და კარანტინის გამოცხადების შემდეგ, ერთობლივი მოთხოვნა გაუარესდა; მიწოდების ჯაჭვები და წარმოების პროცესი დაირღვა, რამაც ღრმა რეცესიამდე მიიყვანა როგორც განვითარებული, ასევე მზარდი და განვითარებადი ქვეყნები, საქართველოც არ აღმოჩნდა გამონაკლისი.

2020 წლის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მკვეთრი შემცირებით აისახა. ამასთანავე, სავაჭრო პარტნიო-

რი ქვეყნების ეკონომიკური აქტივობის შენელებამ საქონლის ექსპორტზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა. შემცირებული საგარეო და შიდა მოთხოვნის ფონზე, საქონლის იმპორტიც შემცირდა და საქონლით ვაჭრობის დეფიციტი გაუმჯობესდა. თუმცა 2020 წელს საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებული შემოსავლების დანაკლისმა საქონლით ვაჭრობის დეფიციტის გაუმჯობესება სრულად გადაფარა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მნიშვნელოვანი გაუარესება განაპირობა.

მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკაში არსებული მთელი რიგი გამოწვევებისა, სხვადასხვა პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნა აჩვენებს, რომ ბევრი სახელმწიფო ეტაპობრივად ცდილობს, გადალახოს ის ბარიერები, რაც გლობალურმა პანდემიამ წარმოქმნა. ამასვე მოწმობს სტატისტიკური მონაცემები 2021 წლის დასაწყისში, რომელთა მიხედვითაც, გასული წლის მონაცემებთან შედარებით.

საქსტატის წინასწარი შეფასებით, 2021 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 44.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2021 წლის პირველი ოთხი თვის საშუალო მაჩვენებელი 8.1 პროცენტია.

2021 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ დარგებში: დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, სასტუმროები და რესტორნები, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა. კლების ტენდენცია დაფიქსირდა სამთომოპოვებითი მრეწველობის დარგში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. არჩილ იმნაიშვილი-საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის პოტენციური დონის შეფასება,https://www.nbg.gov.ge/uploads/workingpaper/2010/estimation_of_potential_gdp.geo.pdf
2. მაკროეკონომიკა http://5.44.128.32/ge/economic-sectors/makroekonomika
3. მარინე მინდორაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. ლექციების კურსი ბაკალავრებისთვის. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა, 2018, 266 გვ. https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/eas.pdf
4. (ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2020) https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/-finstability/2020/finstability_2020_geo.pdf
5. საქართველოს ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში 2020https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2021/annual_report_2020_nbg.pdf
6. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მიმოხილვაhttps://forbes.ge/blogs/e1-83-a1-e1-83-90-e1-83-a5-e1-83-90-e1-83-a0-e1-83-97-e1-83-95-e1-83-94-e1-83-9a-e1-83-9d-e1-83-a1-e1-83-9b-e1-83-97-e1-83-9a-e1-83-98-e1-83-90-e1-83-9c-e1-83-98-e1-83-a8-e1-83-98-e1-83-93-e1-83-90/
7. შემცირებული ეკონომიკური ზრდის ტემპი და ბიზნესსექტორიhttps://forbes.ge/blogs/e1-83-a8-e1-83-94-e1-83-9b-e1-83-aa-e1-83-98-e1-83-a0-e1-83-94-e1-83-91-e1-83-a3-e1-83-9a-e1-83-98-e1-83-94-e1-83-99-e1-83-9d-e1-83-9c-e1-83-9d-e1-83-9b-e1-83-98-e1-83-99-e1-83-a3-e1-83-a0-e1-83-98/
8. ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ.მეორე გამოცემა (ინგლისურიდან თარგმანი), ელექტრონული ვერსია, 2015, 606 გვ. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/SNA%20-%2025.11.2015.pdf;
9. https://www.geostat.ge/ka

# ეროვნული ანგარიშები გლობალიზებულ სამყაროში

**ლელუცი ქუხილავა,**
*თსუ მაგისტრანტი*

*გლობალიზაცია ეროვნულ ეკონომიკებს შორის გაფართოებულ ურთიერთობებში გამოიხატება.გლობალიზაციამ ახალი და კონკურენტუნარიანი შესაძლებლობები შექმნა მწარმოებლებისთვის. კორპორაციები აორგანიზებენ წარმოების პროცესს და მენეჯმენტს გლობალურ დონეზე. კაპიტალის გამოყენება ერთდროულად შეიძლება მთელს მსოფლიოში მრავალეროვნულ საწარმოებში. ამ მოვლენებმა დადებითად იმოქმედა მსოფლიო შემოსავალებსა და პროდუქტიულობაზე. თუმცა,როდესაც გლობალიზაციას სტატისტიკური თვალსაზრისით ვუყურებთ,მსოფლიოს წინაშე დგას მთელი რიგი გამოწვევები. გლობალიზაცია პრობლემებს უჩენს სტატისტიკის წარმოებას. ეკონომიკური ოპერაციების სულ უფრო გაზრდილი გლობალური ხასიათი ართულებს შიგა ეკონომიკის გასაზომად ეროვნული ანგარიშების, მონაცემების შეგროვებისა და კომპილაციის არსებული სისტემების გამოყენებას.*

გლობალიზაცია საუკუნეებს ითვლის და ეროვნულ ეკონომიკებს შორის გაფართოებულ ურთიერთობებში გამოიხატება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ფენომენმა ახალი იმპულსი შეიძინა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროგრესის წყალობით. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყვებს შორის ეკონომიკური და ტრადიციული ურთიერთობები; ამავე დროს გავლენა მოახდინა საწარმოო პროცესებზეც. მზარდი წარმოების პროცესები გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამ მოვლენებმა დადებითად იმოქმედა მსოფლიო შემოსავალებსა და პროდუქტიულობაზე. ამასთან, ფინანსური კრიზისი, რომელიც აშშ -ში დაიწყო 2007 წელს და სწრაფად გავრცელდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გამოავლინა ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მჭიდრო ურთიერთკავშირთან ეროვნული ეკონომიკების.

როდესაც გლობალიზაციას  სტატისტიკური თვალსაზრისით ვუყურებთ,მსოფლიოს წინაშე დგას მთელი რიგი გამოწვევები, რომელიც შეიძლება დაჯგუფდეს ოთხ კატეგორიად:

- თვით ამ ფენომენის გაზომვა. როგორ უნდა გავზომოთ გლობალიზაციის განვითარება მომავალში? რომელი ინდიკატორებით უნდა მოვახერხოთ ეროვნული ეკონომიკების გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულების შეფასება?
- ტრანსნაციონალური საწარმოების, როგორც გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალის ქცევის აღწერა. როგორ და რატომ საქმიანობენ ასე ეს საწარმოები? რა მიზეზები უდევს საფუძვლად საქმიანობების ასეთ დაყოფას და შემდგომ განაწილებას ქვეყნების მიხედვით?
- გლობალიზაციის გავლენა ტრადიციულ ინდიკატორებზე. გლობალიზაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საზოგადოების განვითარების ყველა ასპექტზე, ეკონომიკაზე, სოციალურ ცხოვრებასა და გარემოზე. სამომავლო ანალიზისთვის საჭიროა უფრო დეტალური ინფორმაცია უმნიშვნელოვანესი გავლენის სფეროების შესახებ.
- გლობალიზაციის გავლენა ტრადიციული ინდიკატორების კომპილაციაზე. სულ უფრო იზრდება საწარმოები, რომელთა ბიზნესს საერთაშორისო ხასიათი აქვს, სულ უფრო მეტი ხალხი კვეთს საზღვარს ბიზნესის საწარმოებლად, ასევეა ფინანსური კაპიტალისა და საქონლისა და მომსახურების შემთხვევაში, რაც სპეციფიკურ პრობლემებს უჩენს ეროვნული სტატისტიკის წარმოებას და კერძოდ, ეროვნულ ანგარიშებს.

2007 წლის აპრილში, UNECE-ს სტატისტიკოსთა კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიყო საბჭო (GGNA). ჯგუფი იყო ორგანიზებული OECD– სა და Eurostat–ის მიერ. GGNA-ს მიზანი იყო ძირითადად განეხილა გლობალიზაციით გამოწვეული სირთულეები

ეროვნული ანგარიშების შედგენის პროცესში, ამ ხარვეზების გამოსწორების გზების შემუშავება და ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება.

## მზარდი გლობალიზაციის მტკიცებულება

ხშირად, გლობალიზაცია აღიქმება როგორც საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის გაზრდილი ხვედრითი წილი მშპ-ში. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ეროვნული ეკონომიკების ურთიერთკავშირის მხოლოდ ერთადერთი გზა, მისი საშუალებით სწრაფად არის შესაძლებელი ამ ფენომენის გაგება. ნახაზ 1-ზე ნაჩვენებია 2012-2019 წლების პერიოდი, ეთგო-ს ქვეყნების ექსპორტის ხვედრითი წილი მშპ-ში.

*დიაგრამა 1: ეთგო-ს ქვეყნების ექსპორტის საშუალო ხვედრითი წილი მშპ-ში(%).*




მცირე და ღია ეკონომიკის ქვეყანა ლუქსემბურგში ექსპორტის ხვედრითი წილი მშპის 100%-ს აჭარბებს; 2019 წლის მონაცემებით 172.76 % ია. ასევე ექსპორტის მაღალი ხვედრითი წილი სხვა ქვეყნებშიც აღინიშნა: ბელგია, ესტონეთი, უნგრეთი, ირლანდია, ნიდერლანდებ-ს,სადაც 2019 წლის მონაცემით მისი ხვედრითი წილი 73% იყო. თუ დინამიკაში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ გრძელვადიანი განვითარების გზიდან მთავარი ამოვარდნა ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია, თუმცა ტრენდის გასწორება მალევე მოხდა კრიზისამდელ-ზე უფრო მაღალი ექსპორტის წილებით.

მეორე ინდიკატორი, რომელიც ეროვნულ ეკონომიკებს შორის მზარდი ურთიერთკავში-რების ტენდენციას გვიჩვენებს, არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ხვედრითი წილი მშპ-ში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად დაკავშირებულია ტრანსანა-ციონალური საწარმოების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებთან მის საზღვარგარეთულ ფილიალებში. ნახაზ 2-ზე ნაჩვენებია ეთგო-ს ქვეყნების მიერ განხორციელებული (FDI) საზღ-ვარგარეთ 2012-2020 წლებში. 2020 წლის მონაცემებით,პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ხვედრითი წილი მშპ-ში 57.69 %. უკანასკნელ წლებში ლუქსემბურგიდან და ირლანდია-დან გატანილმა ინვესტიციებმა 200%-ს გადააჭარბა და მას ფეხდაფეხ მიყვებოდა ბელგი-ა(114.8%) და შვეიცარია (182.6%).

*დიაგრამა 2: ეთგო-ს ქვეყნების მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალო ხვედრითი წილი მშპ-ში (%)*




## ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და გლობალიზაციის შედეგები

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა არის ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მაკროეკონომიკური პროცესების აღწერისა და ანალიზის მიზნით. ეას წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტულ სტატისტიკურ მეთოდოლოგიას, შესაბამისად, მისი გამოყენებით მიიღწევა ქვეყნების ოფიციალურ სტატისტიკაში ინფორმაციის მოპოვების ხერხებისა და ეკონომიკური საქმიანობისა და მისი შედეგების აღრიცხვის მეთოდების ერთიანობა, რაც განაპირობებს ყველა ქვეყნის მაჩვენებელთა შესადარისობას და მნიშვნელოვნად ამარტივებს საერთაშორისო შედარებების მექანიზმსა და საიმედოობას მსოფლიოს მასშტაბით. ეას-ის მონაცემების ანალიზის ძირითადი მიმართულებებია: ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და ეკონომიკურ კონიუნქტურაში მიმდინარე რხევების განსაზღვრა; ეკონომიკის სტრუქტურისა და მისი დროში ცვლილებების შესწავლა, მაკროეკონომიკური ცვლადების, როგორიცაა მშპ, მთლიანი დაგროვება, საბოლოო მოხმარება, წმინდა ექსპორტი და ა.შ. დინამიკის განსაზღვრა.

ეროვნულ ანგარიშთა ბოლო მეთოდოლოგია, რიგით მეოთხეა (SNA 2008). წინარმეთოდოლოგიები მიღებული იქნა, შესაბამისად, 1953, 1968 და 1993 წლებში და ისინი პასუხობდნენ იმ რეალობებს, გამოწვევებს, რომლებიც განვითარების იმ ეტაპზერწარმოიქმნებოდნენრეკონომიკაში.ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) ახალ სტანდარტებზე (SNA 2008) გადასვლა გულისხმობს მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და მთელი რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას, ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად. დღეის მდგომარეობით აღნიშნული სისტემა (SNA 2008) მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაშია დანერგილი. ეას-ის ახალ მეთოდოლოგიაზე (SNA 2008) გადასვლამ ეროვნულ ანგარიშებში ცვლილებები განაპირობა, რაც ერთის მხრივ უკავშირდება ახალი სტანდარტის შესაბამისად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშებას, ხოლო მეორე მხრივ მონაცემთა წყაროს არსებით გაუმჯობესებას,

დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების შეფასებისა და ადმინისტრაციულ მონაცემთა დამუშავების თვალსაზრისით.

ეროვნული ანგარიშების მიხედვით, გლობალიზაცია არის ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის და წარმოების განვითარების პროცესი. გლობალიზაცია ბიზნესისთვის აფართოებს შესაძლებლობებს. სულ უფრო მზარდი გლობალური ხასიათი ეკონომიკური ოპერაციების წარმოადგენს ეროვნული ანგარიშების გამოწვევას. გლობალიზაციის თავისებურებები რომლებიც პირდაპირ აისახება ეროვნული ანგარიშებზე მოიცავს შემდეგს:

- საწარმოო პროცესის ინტერნაციონალიზაცია წარმოების ეფექტურობის მაქსიმალურად გაზრდისთვის და მათი გლობალური საგადასახადო ტვირთის შემცირებისთვის
- გაცილებით მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია
- მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა, მათ შორის საქონლის საზღვარგარეთ გაგზავნის პრაქტიკა, საკუთრების შეცვლის გარეშე.
- საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა,შრომითი მობილობის ზრდა
- ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტების გამოყენება (IPP) მთელ მსოფლიოში.
- საყოფაცხოვრებო მოგზაურობის ზრდა და ინვესტიცია საზღვარგარეთ (მათ შორის საცხოვრებელში)
- საერთაშორისო ვაჭრობა ინტერნეტით კორპორაციების და შინამეურნეობების მიერ.

ცხრილი 1.1 გვიჩვენებს გლობალიზაციის გამომწვევ მთავარ ფაქტორებს და ეროვნული ანგარიშების ძირითად მუხლებს (მათ შორის ფინანსური ანგარიშებს, საგადასახდელო ბალანსს და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას) რომლებზეც ყველაზე მეტად მოქმედებს.

***ცხრილი 1.1 გლობალიზაციის გამომწვევი მთავარი ფაქტორები და ეროვნული ანგარიშების ძირითადი მუხლები***

| ***Global phenomenon*** | ***National accounts items most affected*** |
|---|---|
| Arrangements within MNEs, including transfer pricing | Allocation of Gross value added (GVA)/GDP across countries; international trade in goods and services; investment income and financial flows |
| FDI relationships | Investment income and financial flows; i.i.p. |
| Special purpose entities (SPEs) | GDP in relation to GNI, International trade in services; investment income and financial flows; i.i.p. |
| Goods sent abroad for processing | GVA/GDP; international trade in goods and services |
| Merchanting | International trade in goods (and possibly services) |
| IPPs | GVA/GDP; capital formation; international trade in assets and related services |
| Quasi-transit trade | GVA/GDP; international trade in goods |
| International labour movement and remittances | GDP; GNI; gross national disposable income; international transfers |
| Ownership of property abroad | International trade in services; investment income and financial flows; i.i.p. |
| Internet trading | International trade in goods and services; household consumption |

ეას-ის უკანასკნელ სტანდარტში, ეას 2008-იც გათვალისწინებულია გლობალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები,კერძოდ, უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მერჩენდაიზინგს და საქონლის დამუშავებას, რაც გლობალური წარმოების ტიპიური საქმიანობებია. ეას 1993-თან შედარებით, შეიცვალა და უფრო მკაფიოდ განისაზღვრა ორივე საქმიანობის ჩაწერა.-მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერებაც, რომ ყველა პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტა შეუძლებელია. მაგალითად, დამატებული ღირებულებისა და მოგების განაწილება ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ მათი საგადასახადო მიზნების გათვალისწინებით პრობლემას

წარმოადგენს, რაც ლოგიკურად აისახება ეკონომიკაზეც. თუმცა, მეორე მხრივ, მილიონობით წვრილი ფირმა არსებობს, რომელთაც არ გააჩნიათ ასეთი შესაძლებლობები და რადგან ასეთმა პრობლემებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მათზე, გარკვეულ დონემდე, მშპ-ის შეფასებამ შეიძლება შეამციროს ეკონომიკური ზრდის ტემპი. ასევე დიდი დაკვირვებაა საჭირო მრავალფაქტორიანი მწარმოებლურობის ანალიზსა და ყველა სახის რესურსისა და გამოშვების ცვლილების შედარებების ანალიზში, მათ შორის არამატერიალური აქტივების დანახარჯებთანაც, განსაკუთრებით თუ მაღალია უცხოეთის მიერ კონტროლირებადი საწარმოების წილი. იგივე შეიძლება ითქვას უცხოეთის მიერ კონტროლირებადი საწარმოების დამატებული ღირებულებისა და მოგების ანალიზის შესახებ.

ვაჭრობა დამატებული ღირებულებით (სტატისტიკური ინსტრუმენტი გლობალიზაციის გავლენის გასაზომად).

გლობალიზებული სამყაროს მთავარი მოთამაშეები ტრანსნაციონალური საწარმოები არიან. სულ უფრო მეტი საწარმო ერთვება გლობალურ საწარმოო საქმიანობაში, რაც ხშირად მთელ მსოფლიოს მოიცავს. საწამოო პროცესები დანაწილებულია და იმ ქვეყნებშია განთავსებული, სადაც ეს ყველაზე ეფექტურია,რაც გავლენას ახდენს დამატებული ღირებულებისა და დასაქმების ფორმირებასზე ამ ქვეყნებში, აგრეთვე საზღვრის მკვეთი სავაჭრო ნაკადების ინტენსივობასა და იმ კონკურენტულ უპირატესობებზე.მსოფლიო სულ უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებული გახდა და ამიტომ ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირების გაგება მხოლოდ ტრადიციული მიდგომებით და ეროვნული სტატისტიკით შეუძლებელია. სულ უფრო მეტად ხდება საჭირო ეკონომიკის მთლიანობაში დანახვა.

გლობალიზაციის, როგორც ფენომენის შესასწავლად მრავალი ინიციატივა გაჩნდა. მათ შორისაა მონაცემებისა და ანალიზის გაუმჯობესება ახალი ხერხის გამოყენებით, რომელსაც ეწოდება ვაჭრობა დამატებული ღირებულებით (TiVA),

- ვაჭრობის დამატებული ღირებულების (TiVA) სტატისტიკური მეთოდი ითვალისწინებს თითოეული ქვეყნის მიერ დამატებულ ღირებულებას საქონლისა და მომსახურების წარმოებაში, რომლებიც მოხმარებულია მსოფლიოში.
- TiVA მეთოდი აგარიდებთ ორმაგი ან მრავალჯერადი დათვლის პრობლემას, რომელიც გავრცელებულია სავაჭრო ტრადიციულ სტატისტიკურ მონაცემებში.
- OECD აანალიზებს სავაჭრო პოლიტიკას, საინვესტიციო პოლიტიკას და სხვა უამრავ პოლიტიკურ ზომას, რაც ქვეყნებს ეხმარება მიწოდების ჯაჭვის ღირებულების გლობალური სისტემების აღრიცხვაში.

ტრადიციული სავაჭრო სტატისტიკა აღწერს საქონლისა და მომსახურების მთლიანი ნაკადს საზღვრის გადაკვეთის ყოველ ჯერზე. ეს ქმნის ორმაგ დათვლის ან მრავალჯერადი დათვლის პრობლემას. მაგალითად, ვაჭრობით შუალედური საქონელი, რომელიც გამოიყენება ექსპორტის სახით, შეიძლება რამდენჯერმე ჩაითვალოს სავაჭრო ციფრებში.TiVA მიდგომა თავიდან აცილებს ორმაგ დათვლას ქვეყნებს შორის წმინდა სავაჭრო ნაკადის აღრიცხვით. მაგალითად, ჩინეთში საექსპორტოდ წარმოებულ მობილურს შეიძლება დასჭირდეს რამდენიმე კომპონენტი, როგორიცაა მეხსიერების ჩიპები, სენსორული ეკრანი და კამერა საზღვარგარეთის კომპანიებისგან, რომლებიც მდებარეობს კორეაში, ტაივანსა და აშშ-ში.თავის მხრივ, საზღვარგარეთის კომპანიებს სჭირდებათ შუალედური საშუალებები, როგორიცაა ელექტრონული კომპონენტები და ინტეგრირებული სქემები, რომლებიც იმპორტირებულია სხვა ქვეყნებიდან, მობილური ტელეფონის კომპონენტების წარმოებისთვის, რომლებიც ექსპორტირდება ჩინურ მწარმოებელში. TiVA მეთოდით გამოყოფილია თითოეული კომპანიის მიერ დამატებული ღირებულება, რომელიც მონაწილეობს მობილური ტელეფონის საბოლოო ექსპორტის წარმოებაში.

სავაჭრო ნაკადების გამოცალკევებისა და დამატებული ღირებულებით ვაჭრობის შესაფასებლად ვდღ იყენებს გლობალური დანახარჯები-გამოშვების ცხრილს, რომელიც ერთად

უყრის თავს ეროვნული ეკონომიკების დანახარჯები-გამოშვების ცხრილებს და საქონლისა და მომსახურების ორმხრივი ვაჭრობის მონაცემებს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ ვდღ-ს გამოყენება არ ნიშნავს ეროვნული ანგარიშების ძირითადი ცვლადების, როგორიცაა მშპ ან დამატებული ღირებულება, კორექტირებას, რომლებიც თავისუფალია ნებისმიერი ორმაგი აღრიცხვისა ან გადახრისგან. საპირისპიროდ, ვდღ-ს შეფასებები ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემას. ვდღ გვაძლევს მთლიანი ვაჭრობის ნაკადების დამატებითი ინტერპრეტირების საშუალებას.

TiVA მეთოდოლოგიის გასაუმჯობესებლად და განვითარებაზე დაყრდნობით, OECD აანალიზებს სავაჭრო პოლიტიკას, ინვესტიციურ პოლიტიკას, განვითარების პოლიტიკას და სხვა შიდა პოლიტიკას პოლიტიკის შემქმნელების დასახმარებლად, რათა დაადგინონ, თუ როგორ მიიღებენ სარგებელს ეკონომიკები გლობალური ღირებულების ჯაჭვებში ჩართვით.

***დიაგრამა 3***




დიაგრამა 3-ზე ასახულია ექსპორტის შიდა წილი პროცენტულად. ჩვეულებრივ, რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით უფრო მაღალია ექსპორტში შიდა წილი. მაგრამ მცირე ეკონომიკების შემთხვევაშიც, როგორიცაა ავსტრალია, ჩილე და ნორვეგია, შედარებით მაღალია შიდა წილი ექსპორტში. ამ ქვეყნებიდან გადის რკინის მადანი, ნავთობი და სპილენძი, ამიტომ დაბალია საგარეო ხვედრითი წილი. გეოგრაფიაც თავის როლს თამაშობს, რაც გვეხმარება ახალი ზელანდიის შედარებით მაღალი დონის ახსნაში. ეს ასევე ხსნის მის მაღალ დამოკიდებულებას სასოფლო-სამეურნეო ექსპორტზე, რაშიც შედარებით დაბალია საგარეო წილი. საშუალო ეკონომიკებისთვის, კერძოდ აღმოსავლეთ ევროპაში, ნორმად იქცა შიდა წარმოების წარმოდგენა ექსპორტში ორი მესამედით. უფრო ზოგადად, მონაცემებმა გამოავლინა ევროპული, აზიური და ჩრდილო-ამერიკული პროდუქციის გამოყენება და მრავალი ქვეყნის მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ამ ქვეყნებიდან მიღებულ იმპორტზე თავიანთი ექსპორტის ფორმირების მიზნით.ზემოთ მოტანილი ციფრები იმაზე მეტყველებს, რომ საექსპორტო ფირმებს სჭირდებათ ეფექტურ იმპორტზე მისაწვდომობა კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად.

## დასკვნა

გლობალიზაცია ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის და წარმოების განვითარების პროცესს გულისხმობს. გლობალიზაციამ ახალი და კონკურენტუნარიანი შესაძლებლობები შექმნა მწარმოებლებისთვის. კორპორაციები აორგანიზებენ წარმოების პროცესს და მენეჯ-

მენტს გლობალურ დონეზე. კაპიტალის გამოყენება ერთდროულად შეიძლება მთელს მსოფლიოში მრავალეროვნულ საწარმოებში. თუმცა, სულ უფრო მზარდი გლობალური ხასიათი ეკონომიკური ოპერაციების წარმოადგენს ეროვნული ანგარიშების გამოწვევას.უნდა ავღნიშნოთ,გლობალიზაცია პრობლემებს უჩენს სტატისტიკის წარმოებას. ეკონომიკური ოპერაციების სულ უფრო გაზრდილი გლობალური ხასიათი ართულებს შიგა ეკონომიკის გასაზომად ეროვნული ანგარიშების, მონაცემების შეგროვებისა და კომპილაციის არსებული სისტემების გამოყენებას. მაგრამ, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ გლობალიზაციის წყალობით მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყვებს შრორის ეკონომიკური და ტრადიციული ურთიერთობები; ამავე დროს გავლენა მოახდინა საწარმოო პროცესებზეც. მზარდი წარმოების პროცესები გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამ მოვლენებმა დადებითად იმოქმედა მსოფლიო შემოსავალებსა და პროდუქტიულობაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. „ვაჭრობა დამატებული ღირებულებით“ - https://ka.thelittlecollection.com/trade-value-added-tiva-2293
2. ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი - „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ“
3. Foreign Direct Investment(FDI stocks) - https://data.oecd.org/fdi/fdi-stocks.htm?fbclid=IwAR3UeB1GlZ3YfqDqX3yaeL73I5_scQ6VEDdOc2C9FkYhFKfP7kYe1WhAXHw#indicator-chart
4. GLOBALISATION IN MACROECONOMIC STATISTICS. https://ec.europa.eu/eurostat/web/economic-globalisation/globalisation-macroeconomic-statistics?fbclid=IwAR072_4daOw3TsxCKmjNLnAQRScHO1IcwioaG0304Bwly1ReyVGuuFnptRM
5. Nadim Ahmad, Brent Moulton, J. David Richardson & Peter van de Ven-“The Challenges of Globalization in the Measurement of National Accounts”
6. THE IMPACT OF GLOBALIZATION ON NATIONAL ACCOUNTS-UNITED NATIONS NEW YORK AND GENEVA, 2011
7. Trade in goods and services - https://data.oecd.org/trade/trade-in-goods-and-services.htm?fbclid=IwAR072_4daOw3TsxCKmjNLnAQRScHO1IcwioaG0304Bwly1ReyVGuuFnptRM

# უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი საქართველოში

**ირაკლი ჩხარტიშვილი**
*თსუ დოქტორანტი*

*სამეცნიერო ნაშრომში „უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა საქართველოში“ წარმოდგენილი მაქვს თუ როგორ ახორციელებს სახელმწიფო უძრავი ქონების მართვის და გასხვისების პოლიტიკას და რამდენად ეფექტურად იყენებს მის საკუთრებაში არსებულ რესურსებს. ნაშრომში განხილულია კერძოდ სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვივების, პრივატიზების და შესყიდვის უკვე არსებული პირობები და რა ხელობაში ხორციელდება ყოველივე ზემოთაღნიშნული. მოგეხსენებათ, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას ნებისმიერ ქვეყანაში დიდი როლი უჭირავს პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის დარგის განსავითარებლად და ასევე ინვესტიციების მოსაზიდად. უძრავი ქონების მიმართ საქართველოში ინტერესი ყოველწლიურად იზრდება, რადგან საქართველოში უძრავი ქონება ერთ-ერთი ყველაზე მიმიზდველი და შემოსავლიანი სფეროა, რომელიც კარგი ინვესტირების შესაძლებლობას იძლევა.*

*სამეცნიერო ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია და წარმოდგენილია უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა, უახლესი ტენდენციები, ფასები და თუ რა მდგომარეობაა ბაზარზე, საცხოვრებელი, უძრავი ქონების მიმართულებით. ნაშრომში წარმოდგენილია თუ როგორი გავლენა იქონია „Covid-19”-მა უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნის ცვლილებაზე, როგორ იმოქმედა საფასო პოლიტიკაზე და რომელ უძრავ ქონებაზე გაიზარდა მოთხოვნა და ფასი. ნაშრომში წარმოდგენილია უძრავი ქონების ზოგადი და დეტალური სტატისტიკა თუ რომელ უბანში არის 1 კვ.მ ფასი ყველაზე ძვირი და სად არის მშენებლობა გაზრდილი ყველაზე მეტად.*

*ნაშრომის დასასრულს წარმოდგენილია გამოვლენილი პრობლემების დაძლევის რეკომენდაციები და შეფასებები, თუ როგორ უნდა გააუმჯობესოს სახელმწიფომ ქონების მართვის და პრივატიზების პოლიტიკა. განხილულია აგრეთვე ევროკავშირის გამოცდილება, ასევე უძრავი ქონების ფასები შედარებულია აღმოსავლეთ ევროპის ქვყენებში არსებულ ფასებს.*

საქართველოში უძრავი ქონების შესყიდვაზე მოთხოვნა სულ უფრო და უფრო იზრდება, ეს ლოგიკურიც არის რადგან საინვესტიციო დაბანდებისთვის ერთ-ერთი წარმატებული და მაღალშემოსავლიანი დარგია. როდესაც ქვეყანაში არ არსებობს საფონდო ბირჟა და ასევე კაპიტალის ბაზარი საერთოდ არ არის განვითარებული, უძრავ ქონებაში ინვესიტრების სურვილი კიდევ უფრო მეტ ადამიანს უჩნდება, ასევე ამას ემატება ჩენს ქვეყნაში არსებული მზრდადი მოთხოვნა სამშენებლო სფეროში. თემის აქტუალობა კიდევ განაპირობა იმან, რომ სახელმწიფო რომელსაც უფრო მეტი უძრავი ქონების აქტივი აქვს თავის საკუთრებაში ვიდრე კერძო სექტორს, რამდენად ეფექტიანია მის მიერ განხორციელებული პოლიტიკა ამ დარგში და რას აკეთებეს მის გასავითარებლად აღწერილია ნაშრომში.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები არის ის, რომ დაგანახოთ, ერთის მხრივ სახელმწიფო ეკონომიკური პოლტიკა როგორ ახორციელებს სახელმწიფო ქონების გასხვისების, პრივატიზების, იჯარით გადაცემის და ა.შ ამ პროცესებს და როგორ მართავს მას, რა უნდა გააკეთოს კიდევ უფრო რომ გახდეს ეფექტური ამ დარგში. ასევე სასემინარო ნაშრომის მიზანია წინა პლანზე წამოწიოს და იდენტიფიცირება მოახდინოს დარგში არსებული პრობლემების და შემაფერხებელი ფაქტორების, ამ საკითხების გაუმჯობესების გზების ძიება როგორ უნდა მოხდეს ამ პრობლემების გადაჭრა და წაროდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები და დასკვნები, ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა და უახლესი ტენდენციები.

პრობლემის ფორმულირება წარმოდგენილია დღეს არსებული მართვის და პოლიტიკის სიტუაციიდან გამომდინარე, რა პრობლემებია დღესდღეობით წარმოდგენილი მიწის კონსო-

ლიდაციის დროს, შეიძლება იყოს თუ არა სახელმწიფო და მისი მიდგომა კიდევ უფრო ეფექტური, რა უნდა გაკეთდეს, რომ გაუმჯობესდეს დარგში სიტუაცია და ა.შ

საკვლევი თემის საკითხთა შესწავლისთვის გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- ინტერვიუ
- კონტენტ-ანალიზი
- შედარების მეთოდი
- სტატისტიკის მეთოდი
- ლოგიკური ანალიზი მეთოდი

ნაშრომის ძირითად წყაროებად გამოყენებულია: საქართველოს ახალგაზრდა ასოციაციის „საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის ზოგადი ანალიზი“, სახელწმიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის ანგარიში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ „სასოფლო-სამეურნეო აღწერა“ 2014 წ, Europe for Georgia -ს მიერ მომზადებული სტატია სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსლიდაციის სახელმწიფო სტრატეგიის აუცილებლობის შესახებ. Colliers Internation Georgia-ს და „გალთ ენდ თაგართის: მიერ მომზადებული უძრავი ქონების ბაზრის კველევები და პუბლიკაციები.

## თავი I. მიწის შესყიდვის პოლიტიკა საქართველოში

ნებისმიერ ქვეყანაში მიწა როგორ უძრავი ქონების ერთ-ერთი სახეობა მნიშვნელოვან აქტივად განიხილება. ის ერთადერთი რესურსია რომელსაც ცვეთა არ ერიცხება და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო პრივატიზების თუ გასხვისების დროს. სახელმწიფო დიდი ხანია ცდილობს და პრიორიტეტულ დარგად განიხილავს საქართველოში სოფლის მეურნეობას და ტურიზმს სადაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს, სასოფლო-სამეურნეო თუ არა-სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვას, იჯარით გაცემას თუ პრივატიზებას, მაგრამ სახელმწიფოს მცდელობას მიაღწიოს პროგრეს დარგში ხვდება სხვადასხვა რიგი პრობლემები. იაფ სესხებს, ინფრასტრუქტურული პროექტების თუ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პარალელურად დარგის პრობლემად კვლავ რჩება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გასხვისებასთან დაკავშირებული საკითხები. დღესდღეობით საქართველოში სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის შეძენა შეუძლია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. აღსაღნიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წლის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნო დანიშნულების მიწების გასხვისება აიკრძალებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, უცხოელების მფლობელობაში მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ირიცხებოდა, ხოლო პარალელურად დანარჩენი მიწების ნახევარზე მეტი აუთვისებელი და გამოუყენებლია. შესაბამისად ანუ გამოუყენებელ მიწებს არანაირი წვლილი არ შეაქვს ქვეყნის ეკონომიკაში და სამწუხაროდ გამოუყენებლ თუ არაეფექტიანად გამოყენებულ საკითხს სათანადო ყურადღება არ ეთმობა. სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებული პრობელემები მხოლოდ საქართველოში არ არის, თითქმის ყველა სახელმწიფო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოჩნდა მსგავსი გამოწვევების წინაშე, სადაც მიწები ათწლეულებზე მეტი სახელმწიფოს მფლობელობაში იყო და ზოგიერთმა მათგანმა მოახერხა და გადაჭრა ეს პრობლემა ხოლო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება ვფიქრობ აუცილებელია ვიდრე რომელიმე ქვეყანაში არსებული მოდელის გადმოტანა ან კოპირება.

საქართველოს კანონი: „მიწის მიზნობირივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო მდგრადი მართვის შესახებ“-ში (წყარო N1: http://extwprlegs1.fao.org/docs/-pdf/geo190207.pdf) ვხდებით შემდეგ ტერმინთა განმარტებებს:

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა - საძოვრის, სათიბის, სახნავის (მათ შორის მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული) იმ საკარმიდამოს კატეგორიის მიწაა, რომელიც გამოიყენება ან გამოყენება შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე.

- საძოვარი - ბალახოვანი მცენარით ან/და ბუჩქოვანი მცენარით (ბუნებრივი ან გაკულტურებული) დაფარული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. რომელიც გამოიყენება ცხოველის გამოსაკვებად, შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე.
- სათიბი - ბალახოვანი მცენარით ან/და ბუჩქოვანი მცენარით (ბუნებრივი ან გაკულტურებული) დაფარული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება: თივის. სენაჟის, სილოსის, ბალახეული ფქვილის ან ცხოველის სხვა დამატებითი საკვების დასამზადებლად, მასზე არსებული სამეურნეო ნაგებობით ან/და დამხმარე ნაგებობით ან/და მის გარეშე. ან მიწის ნაკვეთი, რომელიც მისი ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით შეიძლება ამ მიზნით იქნას გამოყენებული.
- სახნავი (მათ შორის მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული) - სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად, მასზე არსებული სამეურნეო ნაგებობით ან/და დამხმარე ნაგებობით ან/და მის გარეშე, ან მიწის ნაკვეთი, რომელიც მისი ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და ბუნებრივ გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით შეიძლება ამ მიზნით იქნას გამოყენებული.
- საკარმიდამო - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება საკარმიდამოს ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად, მასზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით ( აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) სამეურნეო ნაგებობით ან/და დამხმარე ნაგებობით ან/და მის გარეშე.
- საოჯახო მეურნეობა - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო ნაგებობის გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტების ან/და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა - მიწა რომელიც არ არის სასოფლო--სამეურნეო დანიშნულების მიწა.
- მიწის ნაკვეთი - ტერიტორია. რომელსაც აქვს გეომეტრიული ერთიანობა და რომელიც მოქცეულია ერთიანი საზღვრის კონტურსა და ერთიან უფლებრივ სივრცეში.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილელების საკომპენსაციო თანხა - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვური საკომპენსაციო თანხა, რომელიც იანგარიშება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის, ფართობისა და კატეგორიის გათვალისწინებით.
- მომსახურების საფასური - საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მიწის მდგარადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის, მის ანგარიშზე გადასახდელი, საქართველოს მთავრობით დადგენილებით გადაასახდელი თანხა.

ასევე არსებობს საქართველოში მიწის ფონდი, რომელიც მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო-სამერნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, მათ შორის ტყით და წყლით დაკავებულ მიწებს.

გამოდინარე დღევანდელი პირობებიდან სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა ეკონომიკის სამინისტროდან ან/და ქონების ეროვნული სააგენტოდან შესაძლებელია შემდეგი მეთოდებით:

- სასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნულების შესყიდვა აუცქიონის გზით. კონკრეტული მიწის ნაკვეთის შეთავაზებით სახელმწიფო განიხილავს მიწის გასხვისების საკითხს, თანხმობის შემთხვევაში დაადგენს ბაზარზე ფასების მოკლვევის შემდეგ მინიმალურ საწყის გასაყიდ ფასს. არის შემთხვევები როცა უარს აცხადებს სახელმწიფო მიწის გაყიდვაზე: შეიძლება მან თვითონ გამოიყენოს ან.და მომავალში დასჭირდეს ეს კონკრეტული სასოფლო-სამერნეო მიწი ნაკვეთი, ან/და ვერ ახდენს დაზუსტებას 100% მას ეკუთვნის თუ არა მიუხედა-

ვად იმისა, რომ მის მფლობელობაშია. (მოქალაქეს მიღება-ჩაბარების აქტის და აზომვითი ნახაზის, საფუძველზე აქვს მოთხოვნის უფლება დაურეგისტრიროს სახელმწიფომ მფლობელობაში მისი ნაკვეთი, როცა მას არ აქვს დარგისტრირებული საჯარო რეესტრში)

- თუ მოქალაქეს 2007 წლამდე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურენო მიწის ნაკვეთს ფლობდა ფაქტიურ მფლობელობაში და ნაკვეთში განთავსებული ჰქონდა მცირე ზომის შენობა-ნაგებობა, სახელმწიფოს მას გადასცემს იურიდიულად აღნიშნულ მიწის ნაკვეთს მფლობელობაში. ამ მეთოდს ეწოდება მიწის ლეგალიზებით შეძენა, ხოლო ამ ყველაფერს კი მიწის ლეგალიზების კომისია განიხილავს და აცხადებს თანხმობს თუ უარს.
- ასევე აპრობირებული მეთოდი გახდა ბიზნესისთვის სასოფლო/არასასოფლო-დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემა 1 ლარად წინასწარ გაწერილი ვალდებულებით, რომელიც მოიცავს კონკრეულ ვადას თუ რამდენ ხანში უნდა დასრულდეს ეს პროექტი და კონკრეტული მოცულობის ინვესტიციას, რომელიც უნდა განახორციელოს ბიზნესმა. ამის ყველაზე კარგი და ნათელი მაგალითია ეკონომიკის და მდგარი განვითარების სამინისტროს შემოთავაზება „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნეს".
- უახლესი კანომდებლობის ცვლილებით სახელმწიფომ შეცვალა მიდგომა თავისი გავემული იჯარის სარგებლობის შესახებ, კერძოდ როდესაც მოქალაქე იყენებს ამა თუ იმ სახელმწიფო მიწას იჯარის უფლებას მას შეუძლია რამდენიმე წლიანი გამოყენების შემდეგ სურვილის შემთხვევაში შეიძინოს ეს მიწა სახელმწიფოსგან შეღავათიან ფასში, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება მიღებულია დაახლოებით 1 თვის წინ და ვნახავთ თუ რამდენად ეფექტურად იმუშავებს ცვლილება და იქნება შედეგიანი. წყარო N2: http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=79281

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისების პრობლემები წარმოდგენლია დარგში არსებული პრობლემების ქვეთავში ხოლო მისი გადაჭრის გზები კი რეკომენდაციებში.

### 1.1. საქართველოში მიწის შესყიდვის დარგში არსებული პრობლემები

სახელმწიფოდან სასოფლო-სამეურნეო მიწის მიწის შესყიდვის დროს, გარდა ქ. თბილისისა, შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სტატუსის მიწის ნაკვეთის შეძენა, ხოლო თბილისში კი ყველა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას უნდა შეეცვალოს სტატუსი და აუქციონზე გასაყიდად გამოტანა ხდება როგორც არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. (შესაბამისად სტატუსის ცვლილება გავლენას ახდენს სარეალიზაციოდ გამოტანილი მიწის ფასის განსაზღვრისას, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ყოველთვის მაღალია ვიდრე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა).

აქედან გამომდინრე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დარგში არსებული მთავარ პრობლემას წამოდგენს ის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნკავეთების დიდ წილს ფლობს სახელმწიფო და ზოგიერთ შემთხვევაში შინამეურნეობები საერთოდ არ ფლობენ მიწის ნაკვეთს ან/და ნაკვეთებს. ასევე უნდა ავღნიშნოთ, ის რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში არაერთი ფაქტორი უშლის ხელს, ხოლო მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები კი ერთ-ერთ მთავარი ფაქტორია, რომელიც შინამეურნეობების განვითარებას და ზრდას უშლის ხელს. 2014 წლის „საქსტატის" მონაცემებით საქართველოში 642 009 მეურნეობაა რომელთაგან 68 132 (10.6 %) სართოდ არ ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწას, ხოლო დანარჩენი 574 077 შინამეურნეობიდან 442 540 (77.1%) ფლობს 1 ჰა ფართობზე ნაკლებს მიწას. (წყარო N3: სტატისტიკის ეროვნული სამსახური „ სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014").

არსებულ პრობლემებს დარგში დაემატა ისიც, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს აღარ შეუძლიათ შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები დასამუშავებლად, იმ შემთხვევაში თუ მიწის შემსყიდველი იურიდიული პირია და 50%+ მეტი წილის მფლობელი კი საქართველოს მოქალაქე ფლობს მაშინ მიწის შეძენა შესაძლებელია. შესაბა-

მისად შემცირდა მოთხოვნა და თითქმის აღარ არის უცხო ქვეყნის მოქალაქის სურვილი შეიძინოს მიწა და ჩამოვიდეს ქვეყანაში და ჩადოს ინვესტიცია. საინვესტიციო შეთავაზების დროს სახელმწიფო მკაცრად განსაზღრულ დიდ ინევსტიციაზე აქვს გათვლილი შეთავაზება. აქედან გამომდინარე უცხო ქვეყნის მოქალაქეს აღარ უნდა სასოფლო-სამეურნეი მიწის ნაკვეთი გააფორმოს საქართველოს მოქალაქეზე რადგან სახელმწიფო მას არ თვლის ეკონომიკურ სუბიექტად, რომ ის ინვესტიციას ახორციელებს.

მეურნეობების ზუსტი განაწილება სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების მიხედვით იხილეთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

***ცხრილი 1.1 შინამეურნეობების განაწილება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებით***

| ფართობი | მეურნეობების რაოდენობა | წილი |
|---|---|---|
| <0.1 ჰა | 86,988 | 15.2% |
| 0.1-0.19 ჰა | 61,332 | 10.7% |
| 0.2-0.49 ჰა | 139,914 | 24.4% |
| 0.5-0.99 ჰა | 154,306 | 26.9% |
| 1-1.99 ჰა | 95,399 | 16.6% |
| 2-2.99 ჰა | 17,915 | 3.1% |
| 3-3.99 ჰა | 6,349 | 1.1% |
| 4-4.99 ჰა | 3,297 | 0.57% |
| 5-9.99 ჰა | 4,505 | 0.78% |
| 10-19.99 ჰა | 1,630 | 0.28% |
| 20-49.99 ჰა | 965 | 0.17% |
| 50-99.99 ჰა | 538 | 0.09% |
| 100-199.99 ჰა | 428 | 0.07% |
| 200-499.99 ჰა | 387 | 0.07% |
| 500 ჰა< | 124 | 0.02% |
| **სულ** | 574,077 | 100% |

როგორც ცხრილში წარმოდგენილია <0.1 ჰა ფართობზე აქვს 86 988 შინა მეურნეობას რომელიც მთლიანი წილის 15.2 % შეადგენს, ხოლო 0.5- 0.99 ჰა ფართობს ფლობს 154 306 შინამეურნეობა 26.9% წილით, ყველაზე დიდ ფართობს 500 ჰა ფართობზე მეტს კი მხოლოდ 124 შინამეურნეობას გააჩნია. (წყაროN4: http://eugeorgia.info/ka/article/632)

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამა #1.2-ში წამორდგენილია საქართველოს მასშტაბით შინამეურნეობების მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურენეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების განაწილება ფართობების მიხედვით:

***დიაგრამა 1.2 - შინამეურნეოების სარგებლობაში არსებული მიწების განაწილება რეგიონების მიხედვით.***




*წყარო N3: სტატისტიკის ეროვნული სამსახური „ სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014“*

როგორც დიაგრამაზე ვხედავთ ყველაზე დიდი ფართობის სარგელბობაში კახეთის რეგიონი გამოირჩევა საშუალო 3.6 ჰა ფართობი, შემდეგ მოყვება სამცხე-ჯავახეთი 2.2ჰა ფართობით, სტატისტიკით მე-3 ადგილზე კი ქვემო ქართლია 1.8 ჰა ფართობით, ხოლო ყველაზე ბოლო ადგილას კი არის თბილის 0.2 ჰა ფართობით. აღსაღნიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოს პრგორამით მიწების სპორადული რეგისტრაციის შესახებ, მოხდა დაურეგისტრირებელი ნაკვეთების აღრიცხვა და დარეგისტრირება მოსახლეობის სასარგებლოდ (საუბარია როდესაც მოქალაქეს აქვს მიწა საკუთრებაში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და არ არის აღრიცხული საჯარო რეესტრის მიერ ელექტრონულად)

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების განაწილება რეგიონების მიხედვით კი შემდეგნაირად გამოიყურება:

***დიაგრამა 1.3 - სასოფლო-სამეურნეო მიწის განაწილება რეგიონების მიხედვით, 2014***




როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების განაწილებით რეგიონების მიხედვით, პირველ ადგილზე არის კახეთი მთლიანი ფართობების 40.1 %-ით, შემდეგ, მოდის ქვემო ქართლი 15.5%-ით, მე-3 ადგილზე განაწლებით არის სამცხე-ჯავახეთი 9.7%-ით, სამეგრელო ზემო სვანეთი 8.5 %-ით, იმერეთი, 8.3%-ით და სხვა რეგიონები ჯამში 18%-ით. (წყაროN4: http://eugeorgia.info/ka/article/632)

აღნიშნული მონაცემები ერთის მხრივ რეგიონში მოთხოვნაზე არის დამოკიდებული თუ რამდენად დიდია ამა თუ იმ რეგიონში მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე და იყენებს ამავდროულად რეგიონის მოსახლეობა, დამატებით რეკომენდაციები და დასკვნები წარმოდგენილია ნაშრომის ბოლო ნაწილში.

ასევე პრობელმას წარმოადგენს ისც, რომ ხშირად შესაძენი და შინამეურნეობების სარგებლობაში მყოფი მიწები ერთმანეთისგან დაშორებულია და ადგილმდებარეობა კი ხელსაყრელი არ არის გასაფართოვებლად, სახელმწიფო მიწების განკერძოების პროცესში ნაკვეთების მოსახლეობისთვის გადაცემის პროცესში სათანადო ყურადღება არ მიექცა, რის გამოც ფერმერების ნაწილს მიწის დამუშავების მაღალი ხარჯი აქვთ.

ამ ფონზე კი რაც არ უნდა გასაკვირი იყოს მაღალია დაუმუშავებელი მიწების ჯამური მაჩვენებელი, თუ კი „FAO”-ს 2012 წლის კვლევას დავეყრდნობით ჯამურად დაახლოებით, 800 ათასი ჰა სახნავ-სათესი სავარგულების მხოლოდ მესამედი მუშავდება ყოველწლიურად, ხოლო დანარჩენი ნახევარი მილიონი ჰა ფართობი დაუმუშავებელი რჩება. (წყაროN4: http://eugeorgia.info/ka/article/632)

*ცხრილი: 1.4 საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობები*

| საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობები (ათასი ჰა) წყარო: საქსტატი | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წელი | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
| ფართობი | 330.2 | 297.2 | 329.3 | 289.7 | 256.7 | 262.4 | 259.6 | 310.7 | 316.6 | 308.4 | 239.2 |

*წყარო N4: http://eugeorgia.info/ka/article/632*

ცხრილი 1.4-ზე წარმოდგენილია 2006 წლიდან - 2016 წლის ჩათვლით საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობები ათასი ჰა ფართობების მიხედვით, როგორც ვხდავთ, 2006 წლიდან 2013 წლამდე შეინიშნება ნათესი ფართობების კლების ტენდენცია, ხოლო 2014 წელს გაზრდილია წინა წელთან შედარებით და 2015 წლიდან ისევ კლება შეინიშნება. ჯერ ისევ დიდი სახელმწიფო მიწების წილი სასოფლო-სამეურნეო მიწების მთლიან რაოდენობაში, ზუსტი ინფორმაცია ჯერ კიდევ არ არსებობს რადგან მიწების ინვენტარიაზაცია ჯერ კიდევ პროცესშია, ასევე 1 წლის განახგრძლივდა სახელმწიფოს მხირდან მიწების რეგისტრაციის სპორადული პროგრამა. (დაურეგისტრირებელ მიწებს ისევ სახელმწიფო საკუთრებაში გადავა).

თუმცა „FAO'-ს ( გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) ჩატარებული კვლევის მიხედვით, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების 25 % არის პრივატიზებული, შესაბამისად 801.8 ათასი გა სახნავ-სათესი მიწების 55% პრივატიზირებულია და 363.3 ჰა კვლავ სახელმწიფოს საკუთრებაა, სახელმწიფო მიწების იდნტიფიკაციის სირთულე, რა თქმა უნდა ხელს უშლის მათი შეძენით დაინტერესებულ პირებს და შესაბამისად ამ მიწების გამსხვილების. (წყარო N4: http://eugeorgia.info/ka/article/632)

სახელმწიფოს არ გააჩნდა აქამდე მოქნილი მექანიზმი, რომელიც ადამიანებს საშუალებს მისცემდა წლების მანძილზე აღებული სასოფლო-სამეურენო დანიშნულების მიწები გამოესყიდა შეღავათიან ფასში და კერძო საკუთრებაში გადასვლა კიდევ უფრო აძლიერებს ეკონომიკას და მეტი ეკონომიკური დოვლათი იწარმოება. აგრეთვე უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოხდა მნიშვნელოვანი დაფინასებების შეწყვეტა სასოფლო-სამეურნეო მიწის დამუშების პროცესში ( საუბარია აგარარულ ვაუჩერებზე, რომლითაც მათ შეეძლოთ უფასოდ დახვნა - დათესვა, სხვავდასხვა შხამქიმიკატების თუ ინვენატრის შეძენა გამოყოფილი ბიუჯეტით), რომელმაც გამოწივია სასოფლო-სამეურნეო მიწებზე შესყიდვის მოთხოვნის შემცირება, რაც 1.4 ცხრილში გვაქვს წარმოდგენილი, შესაბამისად სახელმწიფოც ვეღარ ყიდის თავის მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურენეო მიწის ნაკვთებს და კიდევ უფრო მეტი და მეტი გამოუყენებელი და აუთვისებელი მიწა რჩება მფლობელობაში.

## 1.2. საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზება და მისი შედგები

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგნეტოს საქმიანობა მოიცავს 5 მიმართულებას:

- სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა
- სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემა
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების განხორციელება
- მკაცრი აღრიცხვის ფორმების შეთანხმების, რეგისტრაციის დამზადების, შენახვის გამოყენების ექსპერტიზა-უტილიზაციის საკითხთა მართვა
- დაინტერსებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობა, მათ შორის ელექტრონული აუქციონის ვებგვერდის „eauction.ge"-ს საშუალებით.

2016 – 2020 წლების პრივატიზების სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

***დიაგრამა 1.5 სახელმწიფო ქონების პრივატიზება 2016-2020 წ.***




*წყარო N5: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო - 2020 წლის ანგარიში*

2015 წელი საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებული აღმოჩნდა სააგენტოსთვის რადგან პრივატიზებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 185 მლნ ლარის ქონება და წლიური გეგმა შესრულებულია 102 %.

როგორც დიაგრამზე ჩანს 2016 წელს გეგმა აქვთ 100%-ით შესრულებული ხოლო 2020 წელს კი გეგმა გადაჭარბებული აქვთ 5.5 მლნ ლარით. წინა წლეებში სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საპრივატიზაციო ქონებების მწირი სია ჰქონდა და არც ეკონომიკური პოლიტიკა უწყობდა ხელს.

ქონების ერვონული სააგენტოს საქმიანობაში 2020 წელი გარდამტეხი და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი წელი იყო, კერძოდ საგენტომ, სახელმწიფო უწყებებზე/ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე გასცა 67 ერთეული ქონება. მუნიციპალიტეტებს ჯამში გადასცა 1306 ობიექტი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშNულების მიწის ნაკვეთების მუნიციპალიტეტების საკუთრებად რეგისტრაციაზე გასცა 279 თანხმობა და სააგენტომ 1773 ერთეული ქონება გადასცა იძლებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს. წყაროN5: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო - 2020 წლის ანგარიში.

ქვემოთ წარმომდგენილია ცხრილი 1.6 2015 წლის პრივატიზების მოცულობა და ბიუჯეტში შესული თანხები კვარტლების მიხედვით:

*ცხრილი 1.6. 2015 წლის პრივატიზების მოცულობა და ბიუჯეტში შესული თანხები კვარტლების მიხედვით*

**2015 წლის განმავლობაში პრივატიზებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული თანხები:**

| პერიოდი | გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტში | ფაქტობრივი შემოსავალი ბიუჯეტში | % |
|---|---|---|---|
| I კვარტალი | 63 209 000 | 63 210 000 | 100 |
| II კვარტალი | 73 362 000 | 73 363 000 | 100 |
| III კვარტალი | 75 378 000 | 76 020 000 | 101 |
| IV კვარტალი | 68 051 000 | 72 718 000 | 107 |
| წლიური | 280 000 000 | 285 311 000 | 102 |

*წყარო N6: ქონების ეროვნული სააგენტო - 2015 წლის ანგარიში*

2015 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ბიუჯეტში შეტანილია/გადარიცხულია 280 000 000 მლნ ლარი ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, ხოლო პრივატიზებული ქონების ჯამურმა თანხას შეადგინა 185 მლნ ლარი, 2016 წლიდან კი საპრივატიზებო ქონებების ნუსხა საკმაოდ შემცირებული იყო. სახელმწიფო ქონების კანონით განსაზღვრულ ფორმებს განეკუთვნება შემდეგი ფორმები:

- კონკურსის წესით ქონების შეძენა
- აუქციონი
- იჯარა-გამოსყიდვის ფორმა
- პირდაპირი მიყიდვა

## თავი II. მიწის გასხივების პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილება

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ასევე პრობელმას წარმოადგენს მცირე ზომის მიწის ნაკვეთების საკითხი, რამოდნიმე ქვეყანამ უკვე დაიწყო მიწების კონსოლიდაციის პროგრამა, მაგრამ საქართველოს ჯერ ამ მიმართულების ნაბიჯი არ გადაუდგამს. გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის სააგენტოს რეკომენდაციით მიწების გამსხვილება- გაერთიანება ძალიან ხელს შეუწყობს შინამეურნეობების და ფერმერების მწარმოებლურობას და კონკურენტუნარიანობის ამაღელბას საერთაშორისო დონეზე, საინტერესოა ის, რომ გარდამავალი ეკონომიკს მქონე ქვეყნებმა მიმართეს ამ ხერხს და პრაქტიკამ აჩვენა, რომ მიწის გამსხვილება-გაერთიანების კონლოსიდაციის პროგრამები და მიწის ბანკინგი ეფექტიანია სწორად განხორციელების შემთხვევაში.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიწის კონსოლიდაციის მოდელები ეფუძნება დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას, ხოლო დასავლეთ ევროპა კი იყენებს სამი ქვეყნის მოდელს: გერმაიის, დანიის და ჰოლანდიის. თითოეული ქვეყნის გამოცდილება დამყარებულია საერთო პრინციპზე და შემდეგ მცირედი სახესხვაობებით, მორგებულია ამა თუ იმ ქვეყნის კანომდებლბასა და გარემო პირობებზე. არსებობს მიწის კონსოლიდაციის სავალდებულო და ნებაყოფლობითი მიდგომები.

ნებაყოფლობითი მიდგომის დროს მიწის ყველა შესაძლო მფლობელებს შორის ატარებენ გამოკითხვას და აქედან გამოდინარე ადგენენ თუ ვის რა ინტერესი აქვს და უნდა თუ არა პროექტში ჩართვა და შემდეგ შემუშავდება მიწების გადანაწილების გეგმა, ნებაყოფლობითი კონსოლიდაციის დროს, მიწის გაცვლა ნებაყოფლობითია. დანიაში გერმანიაში და ჰოლანდიაში ორივე მეთოდს შეხვდებით.

სავალდებულო კონსოლიდაციის დროს კი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისფულების შესაბამისი ჯგუფები ადგენენ მიწის გადანაწილების პროექტს, მაგალითად თუ ერთი

ფერმერი ფლობს რამოდენიმე ნაკვეთს სხვადასხვა ადგილას იგი თავის ნაკვეთს გაუცვლის მეზობელ ფერმერს რომელსაც ასევე აწყობს ეს გაცვლა, რადგან მისი ნაკვეთებიც გაფანტულია. ამგვარად ჯამში ყველა ფლობეს ერთნაირი ღირებულების მიწის ნაკვეთებს, მაგრამ ერთად კონსოლიდირებულს, ხოლო კონსოლიდაციის გეგმა მტკიდება საერთო კონსესუსი საფუძველზე.

მიწის ბანკინგი - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებით, იმ ქვეყნებში, სადაც ჩართული იყო სახელმწიფო მიწები, გამსხვილების კუთხით კიდევ უფრო კარგი შედეგი დაფიქსირდა, შესაბამისად ევროპის ქვყნებში არსებობს რეკომენდაცია, რომ გამოიყენონ მიწის ბანკინგის პრაქტიკა. მიწის ბანკინგი არის უფლებამოსილი ინსტიტუტი რომელიც შეისყიდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს კერძო მესაკუთრეებისგან და ფლობს მას დროებით, სანამ არ მოხდება მისი უფრო ეფექტიანად გამოყენება, მიწის კონსოლიდაციის მიზნების მისაღწევად, შესაბმისად მიწის ბანკინგი განიხილება, როგორც მიწის მობილობისა და კონსოლიდირების ზრდის საშუალება. ასვე დიდ როლს თამშობს კომერიული ბანკების როლი სხვადასხვა აგრო თუ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო პროექტების დაფინანსებაში, რადგან კომერიული ბანკების მხრიდან თანხმობა და ასეთი პროექტების დაფინანსება ხელს უწყობს და ზრდის სასოფლო-სამეურენო დანიშნულების მიწებზე მოთხოვნის ზრდას, სხვადასხვა რეგიონებში. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, ის რომ სახელმწიფოს აქვს სხვადასხვა კულტურების გაშენება სპეციალური პირობები და თანადაფინანსების ფორმები.

რაც შეეხება ევროკავშირში არსებულ სიტუაციას საშუალოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების განაწილებას და შინამეურნეოებზე არსებულ წილს, ევროკავშირში საშუალოდ შინამეურნეობებზე მოდის 16 ჰა ფართობი.

*დიაგრამა 1.6 აგრარული მიწების საშუალო ფართობი ერთ მეურნეობაზე (ჰა)*




*წყაროN4: http://eugeorgia.info/ka/article/632*

როგორც ვხედავთ პრიველ ადგილას ბრიტანეთია და მას მოსდევს სლოვაკეთი 81 ჰა ფართობით, ხოლო ბოლო ადგილებას ხორვატია და რუმინეთი იკავებს 7 და 4 ჰა ფართობებით.

## 2.1 საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა საქართველოში

საქართველოში უძრავი ქონების შეძენის მიმართ ინტერესი დღითიდღე მატულობს, მიუხედავად პანდემიური გავლენის ქვეყანაში მოთხოვნა კვლავ აქტუალური და მზარდი რჩება, როგორ ზემოთ ავღნიშნეთ კაპიტალის ბაზრების არ ქონდა და საფონდო ბირჟის სრულიად ეკონომიკური განუვითარებლობა კიდევ უფრო მეტად ზრდის უძრავი ქონების შეძენის მსურველებს. საუბარი გვექნება რა სიტუაცია და რა ტენდენციები შეინიშნებოდა პანდემიამდე, პანდემიის დროს საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე გაყიდვების და ტრანზაქციების მხრივ. 2020 პანდემიური წელი ასევე გამოწვევებით იყო განპირობებული ამ დარგისთვისაც. თბილისში საშუალოდ 1. კვ.მ ბინის ფასი ახალაშენებული ბინების შემთხვევაში 750 დოლარს შეადგენს ხოლო ძველი აშენებული ბინების შემთხვევაში 1 კვ.მ კი 650 დოლარს.

საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე კი მოთხოვნა გაიზარდა 2020 წლის იანვარ-თებერვლის თვეში, ეს განპირობებული იყო, როგოც წინა წლის დაბალი ბაზით, ისე უცხოურ ვალუტაში გაცემული იპოთეკური სესხებზე რეკორდულად დაბალი საპროცენტო განაკვეთებით. თუმცა მარტში მოთხოვნა საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრზე მკვეთრად შემცირდა "Covid19'-ის გამო, აღსანისნავია, რომ ბინების გაყიდვების კვლავ იზრდებოდა 2020 წლის მარტის პირველ ნახევარში, სანამ საგანგებო მდგომარეობის შემოღება მოხდებოდა. გაზრდილი ფასები, ინფლაციური წეზოლა და მომხარებლების გაუარესებული მოლოდინები შეიძლება შევადაროთ, 2008-9 წლის კრიზის სადაც უძრავი ქონების ფასები და სამშენებლო აქტივობა მკვეთრად შემცირდა და ბაზრის გამოცოცხლებას დასჭირდა 3 წელი, აქვე შეგვიძლია ძირითადი მიგენებები ვთქვათ რაც 2020 წელს ხდებოდა საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე.

- 2020 წლის იანვარ-თებერვალში უცხოურ ვალუტაში რეკორდულად დაბალი საპროცენტო განაკვეთების წყალობით მკვეთრად გაიზარდა იპოთეკური სესხების გაცემა, უცხოურ ვალუტაში გაცემულმა საშუალო შეწონილმა განაკვეთმა 1კვ.მ 2020 წელში შედაგინა 4.2% ხოლო იგივე 1 კვ.მ კი 2019 წელში შეადგინა 6.7%
- თუმცა მას შედმეგ რაც "Covid19"-მა მოლოდინები გააუარესა, 2020 წლის მარტში იპოთეკური სესხების გაცემა ლარში მკვეთრად შემცირდა 134 მლნ ლარამდე (-45%)
- უძრავი ქონების ბინების გაყიდვა გაიზრდა 2020 წლის იანვარში +0.9% და თებერვალში +7.7%-ით ხოლო მარტში შემცირდა -7.7%-ით, უნდა ვთქვათ ის ფატი, რომ მარტის პირველ ნახევარში ბინების გაყიდვების იზრდებოდა.
- დეველოპერები და ინვესტორები არ ჩქარობდნენ და არც რამე ძალისხმევა გამოუყენებიათ ფასების შემცირებასთან დაკავშირებით, ისინი 2020 წლის განმავლობაში ცდილობდნენ ახალ რეალობასთან ადაპტირებას.
- 2020 წლის მარტში ფასები თებერვალთან შედარებით, გაიზარდა მოლოდინების საწინააღმდეგოდ, რაც ეკონომიკური პარამეტრების იგნორირებაა, ახალი ბინების ფასი აშშ დოლარში გაიხარდა 1%-ით, ხოლო ლარში 3.8 %-ით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი 2020 წელს მთლიანი სამამულო პროდუქტის 4%-იან კლებას ვარაუდობდა ხოლო 2021 წელს კი +3%იან ზრდას მიუხედავად უარყოფითი მოლოდინების და უცხოური ვალუტის შემოდინების შემცირების შედეგად. წინა წელს ლარი აშშ დოლართან მიმართებში 17.7%-ით გაუფასურდა. წლიური ინფლაცია 2020 წელს იყო 6.1 % დასახელებული პროგნოზით ის უნდა მიახლოებულიყო 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს, 2021 წლის დასაწყისში შემცირებული მოთხოვნის გამო, შედეგად ეროვნულმა ბანკმა აპრილში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 50 საბაზისო პუნქტით შეამცირა და 8.5 %-მდე. ეს ფაქტორი შეამსუბუქებს სესხის გაცემის წნეხს და პოზიტიურად მოქმედებს მოთხოვნისთვის. წყარო N7: https://galtandtaggart.com/upload/reports/11707.pdf

თუ შევადარებთ 2019, 2020 და 2021 წლის აპრილის მონაცემებს ტრანაქციების და გაყიდვების კუთხით სიტუაცია გვაქვს შემდეგი:

*დიაგრამა 2.1*




*წყაროN8: https://recov.ge/ka/sectors/residential/tbilisi/*

2019 წელს ბაზრის ზომა იყო 121 მლნ ლარი და 2638 ტრანზაქცია იყო შესრულებუ;ლი, პანდემიის გავლენის შედეგად 2020 წლის აპრილში ბაზარზე გაყიდვები ჩამოვიდა 10 მლნ ლარამდე და შესრულდა 204 ერთეული ტრანაქცია, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს 2021 წლის აპრილში ბაზრის მოცულობა გაყიდვების 140 მლნ ლარამდე გაიზარდა და შესრულდა 3 103 ტრანზაქცია ბაზარზე. ძველ აშენებულ ბინების გაყიდვებში ტრანზაქციები გაზრდილია 12%-ით 2019 წელთან შედარებით. უნდა ვთქვათ ის ფაქტი, რომ ძველი და ახალაშენებული ბინების გაყიდვების შეფარდების მოთხოვნა არის 30% ძველი აშენებული ბინა ხოლო 70% ახალაშენებული ბინების მოთხოვნაზე მოდის. 2020 წლის მარტში გარეუბნებში გაყიდვები კვლავ ჭარბობდა და შეადგენდა მთლიანი გაყიდვების თითქმის ნახევარს. გაყიდვების მიხედვით ტოპ 5 უბნიდან 4 გარეუბნის ( გლდანი, სამგორი, ისანი, დიდი დიღომი) წილის ჯამური გაყიდვების 49.9%-ს შეადგენდა. მოლოდინების განსაზღვრით იპოთეკური სესხების რეგულაციები და მოსახლეობის შემცირებული მსყიდველობითიუნარიანობა კიდევ უფრო გაზრდის გარეუბნებში გაყიდვებს.

*დიაგრამა 2.2*




*წყაროN7: https://galtandtaggart.com/upload/reports/11707.pdf*

დიაგრამა 2.2 წარმოადგენს თუ რა მდგომარეობა იყო 2018, 2019 და 2020 წლის მარტის თვეში გაყიდვების მიმართულებით საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე. დიაგრამაზე

ვხედავთ, რომ საბურთალო, გლდანი, დიდი დიღომი, სამგორი და ისანი შედაგენს მთლიანი გაყიდვების თითქმის 50%-ს. საბურთალო, გლდანი და ვაკის გადა ყველა უბანში შეინიშნება კლება, მხოლოდ 3 უბანი იყო მზარდი გაყიდვების ფაზაში. 2020 წლის მარტში დოლარში ფასები გაიზარდა 1.9 %-ით 1 კვ.მ-ზე ხოლო ლარში კი 6%-ით. ფასების ცვალებადობა უფრო მაღალი იყო ცცენტრალურ უბნებში ვიდრე გარეუბნებში საშუალო შეწონილი ფასი გაიზარდა შემდეგ უბენბში:

- ვაკე 1102 დოლარი (+14%)
- მთაწმინდა 1040 აშშ დოლარი (+9%)
- დიდუბე 793 დოლარი (+8%)
- გლდანი 537 დოლარი(+ 7%)
- დიდი დიღომი 530 დოლარი (+5%)

სხვა დარჩენილ უბნებში ზრდა არ დაფიქსირებულა და გარეუბენბში, როგორც პროგნოზშია ნათქვამი დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა გაზრდის გაყიდვებს გრეუბენბში, შედარებით ნაკლები ფასიან ბინებზე.

*დიაhგამა 2.3*




*წყაhოN7:* [https://galtandtaggart.com/upload/reports/11707.pdf](https://galtandtaggart.com/upload/reports/11707.pdf)

დიარგამა 2.3-ზე წარმოდგენილია და ახალი და ძველი ბინების გაყიდვების ზომის მიხედვით, როგორც ვხედავთ, ძველ და ახალაშენებულ ბინების გაყიდვებში პრიველი ადგილი უჭირავს 18-50 კვ.მდე მცირე ზომის საცხოვრბელ ბინებს. შემდეგ მოთხოვნით მოდის საშუალო ზომის ბინები 51-80 კვ.მ და ყველაზე ნაკლები მოთხოვნა შეინიშნება, 151-250 კვ.მ ზომის ბინებზე.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დეველოპერები და ინვესტორები არ ჩქარობენს ფასის დრამატუალდ შეცვლას და ცდილობენ ახალ რელაობას მოერგონ, შესაბამისად, მკვეთრი განსხვავება 2019 -წელთან შედარებით 2021 წელს მოთხოვნის შემცირების კუთხით არ შეინიშნება, მაგალითად. 2020 წლის მარტშიდ ადებული უძრავი ქონების განცხადებების ფასებზე მხოლოდ ჯამური განცხადებების 1%-სზე დაფიქსოირდა ფასის ცვლილება. საფასო პოლიტიკა მხოლოდ ბინის გამქირავებლება შეცვალეს, ხოლო ბინის გამყიდველების მხირდან მკვეთრი ცვლილება არ შეინიშნებოდა. ზოგმა დეველოპერმა ფასები გაზარდა ხოლო გარკვეულმა რაოდენობამ შემაცირა და ამით მოხდა მთლიანი საშუალო ფასები თითქმის უცვლელი დარჩა.

*დიაგრამა 2.4*




*წყაროN7: https://galtandtaggart.com/upload/reports/11707.pdf*

2018, 2019 და 2020 წლის შედარება რომ მოვახდინოთ საფასო პოლიტიკის მიხედვით, პირველ ადგილზე სადაც 1.კვ.მ არის 300-600 დოლარის ფარგლებში 2020 წელს 4026 ერთეული ბინა გაიყიდა რაც მცირედით ჩამორჩება 2019 და 2018 წლის მონაცემებს, ფაქტიურად 2020 წლის პირველი კვარტალი პანდემიური „covid19'-ის გარეშე დასრულდა. ყველაზე მეტი მცირე ზომის ბინა 18-50 კვ.მ-ის ზომის მიხედვით გაიყიდა სამგორში და დიდ დიღომში, რაც განპირობებულია აღნიშნულ უბნებში ფასის ხელმისაწვდომობით.

2008-9 წლის სამშენებლო კრისზის ხელი შეუწყო რუსეთთან აგვისტოს ომმა, მაგრამ ექსპერტები მაინ საუბრობდნენ იმ დროს ე.წ უძრავი ქონების მაღალი ფასების გამო „ბუშტის" არსებობაზე, რადგან იმ დროს ბევრია ახალი მშენებლობა იყო დაწყებული და ფასების არ შეესაბამებოდა იმ დროინდელ რეალობას. დღეს გვაქვს შემდეგი ეკონომიკური სიტუაცია, სადაც დეველოპერებს გაძვირებული აქვთ სამშენებლო მასლები რომელიც იმპორტით არის შემოტანილი ეროვნული ვალუტის გაუფასურების ხარჯზე და შებსამისად მკვეთრი მოლოდინი, რომ ბინების ფასი შემცირდება ამაოა.

მთლიანი შიდა პროდუქტი 1 სულ მოსახლეზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში:




*წყაროN9:https://static.tbccapital.ge/uploads/files/files_2fca8d42_28March2019ResidentialRealEstateSectorAnalysis-Prese.pdf*

დიაგრამა 2.5-ზე წარმოდგენილია უძრავი ქონების საშალო ფასი ქალაქის ცენტრში, მთლიან სამამულო პროდუქტთან, აღმოსავლეთ ევროპის ქვყენების მაგალითზე. თბილისის შემთხვევაში მშპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს დაახლოებით 5000 დოლარამდე და 1 კვ.მ ბინის საშუალოო ფასი ქალაქის ცენტრში არის 1400 $. რაც მცირედით მეტია სომხეთის მაჩვენებელზე და ჩამორჩება ბაქოს საშუალო ფასს. ყველაზე მაღალ ფასს კი ინარჩუნებს ვარშავა და ბუდაპეშტი სადაც მთლიანი ეროვნული პროდუქტი არის დაახლოებით 14 000 დოლარამდე.

2020 წელს დეველოპერებისთვის სუბსიდირების პროგრამა კიდევ დაეხმარა დარგს, რომ არ ყოფილიყო კიდევ უფრო სავალალო შედეგები, კერძოდ თუ მოქალაქე ახალაშენებულ ბინას შეიძენდა დეველოპერიდან, სახელმწიდო მას 5 წლის ვადით წლიური საპროცენტი განაკვეთის სუბსიდირებას ახდენდა 4%, (თუ რეფინანსირების განაკვეთი 5%-ს ჩამოცდებოდა სახლემწიფო წყვეტდა სუბსიდირების პროგრამას) რამაც წაახალისა და გაზარდა ბინების გაყიდვების, კერძოდ კი ყველაზე მოთხოვნადი სეგმენტის 18-50 კვ.მ ბინები 1 საძინებლით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტიპის იპოთეკური სესხების გაცემა ხდებოდა და ხდება ეროვნულ ვალუტაში.

## დასკვნები და რეკომენდაციები

სახელმწიფოს ეკონომიკური თუ ქონების მართვის პოლიტიკა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დარგში ეფექტიანობის ასამაღლებალდ გადაგმული აქვს შესაბამისი ნაბიჯები, რომელიც მეტ-ნაკლებად ეფექტურად მუშაობს. პრივატიზების გამარტივებული თუ სახელმწიფოს მხრიდან სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის პროცესი კიდე უფრო დარგს ხდის პერსპექტიულს, რაც შეეხება სახლემწიფოს მხირდან აგრო სესხების დაფიანსების პროგრამამ დადებითად იმოქმედა სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის მოთხოვნის კუთხით. აქედან გამომდინარე და შესწავლილი საკითხების დამუშავების შედეგად, შეგვიძლია გამოვყოთ რამოდენიმე რეკომენდაცია სახელმწიფოსთვის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგულირების თუ მართვის კუთხით.

- სახელმწიფოს არ აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისთვის კოსოლიდაციის( გამსხვილების) გეგმა და პროგრამა, როცა ეს აპრობირებული მეთოდია დასავლეთ ევროპაში და აღმოსავლეთ ევროპის 7 ქვეყანამ უნდა დაიწყო მათი განხორციელება. რაც გაძლიერებს და უფრო კონკურენტუნარიანს გახდის შინამეურენოებებს და ადგილობრივ მეწარმეებს.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასოფლო-სამურენო მიწის შესყდვის აკრძლავამ დადებითად არ იმოქმედა, სასოფლო-სამეურნეო მიწების შესყიდვის კუთხით, შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ ინდივიდუალურად განიხილოს სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვიებსა უხოელებზე, როდესაც საუბარი არის მინიმუმ 1 000 000 მლნ ლარის და ემტის ივენსტიციაზე ან/და მოახდინოს ისეთი რეგიონების ათვისება სადაც ეკონომიკური მდგომარება არის ძალიან დაბალი და რეგიონს სჭირდება ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობის მაღალი პრობლემა არის ასევე.
- ახლახან მიღებული იქნა კანონი თუ შინამეურნეობა თუ ადგილობრივი მცხოვრები 1 წელზე მეტს ამუშავებს სასოფლო-სამეურენო დანიშნულების მიწას, იჯარით, რომელი სახელმწიფო საკუთრებაა, სახლემწიფო მას შეღავათიან ფასში მიყიდის აღნიშNულ მიწას, ეს ვლილება დაეხამრება შინამეურნეობებს მეტი მიწა ჰქონდეთ მფლობელბაში და ეკონომიკური დოვლათი მათი მხრიდან უფრო მეტი იქნება ვიდრე სახლემწიფოს საკუთრებაში იყო.
- აგრესიული პრივატიზება - როგორ ვნახეთ, 2015 წელს ბიუჯეტში შევიდა 180 მლნ ლარის თანხა ქონების პრივატიზების შედეგად და 2016 წლიდან 2020 წლამდე სახლემწიფო არ გამოირჩეოდა პრივატიზების წახალისების თუ მისი კდიევ უფრო განვითარებისთვის მეტი

გასაყიდი სახელმწიფო ობიექტი გამოეტანა საპრივატიიზაციო ნუსხაში, აგრესიული პრივატიზება შემდეგ ახდენს ლარის გაუფასურებას და დადებით ეფექტს არ იძლევა ეკონომიკაში, რაც შეეხება 2020 წელს გარდამტეხი წელი იყო ქონების ეროვნული სააგენტოს ისტორიაში.

რაც შეეხება საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის მიმოხივლის შემდეგ დასკვნებს და რეკომენდაციებს გვაქვს შემდეგი მიგნებები:

- უძრავი ქონებზე მოთხოვნა პანდმიეურ პირობებში არის გაზრდილი და 2020 წლის მარტის პირველ ნახევარში ზრდაც იყო, შესაბამისად, უძრავი ქონების ბაზარზე საცხოვრებელი ბინების სუბსიდირების გაგრძლება დადებითად იმოქმედებდა, როგრც ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე ასევე დეველოპერებისთვის, ისინი უფრო მეტ ბინას გაყიდნენ და მოქალაქეები ისარგებლებდნენ შეღავათანი იპოთეკური სესხებით.
- სამშენებლო უძრავი ქონების თუ სარემონტო მასალები იმპორტიდან გამომდინარე გაძვირებულია თითქმის ორჯერ, რაც იწვევს ბინის ფასის შემცირებას ან იგვე დონზე დარჩენას? არამედ მის გაძვირებას, რისი გადახდაც უწევს მომხარებელს, სახელმწიფოს მხირდან შესაძლებლია მოხდეს იგივე სუბსიდირების გაგრძლება ან გადასახდაების შემცირება დეველოპერებისთვის პანდემიის პირობებში.
- ასევე ქონების საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების დრო არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკა, თუ რა ტიპის ინვესტორებისთვის ახორციელებს საინვესტიო შეთავაზებებს და ვინ გვინდა იყოს ჩვენი ქვეყნის ინვესტორი, რომელი ჩვენს ქვეყანაში იქნება წლების განმავლობაში. ეკონომიკსა და მდგარდი განვითარების სამინისტროს პროგრამა „100 საინვესტიცოო შეთავაზება ბიზნესს“ ამის ნათელი მაგალითია.
- ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწების თუ სხავდასხა საწარმოების პროცენტული რაოდენობა კერძო სექტროთან შედარებით, ასევე სახლწმიფოს დიდი რაოდენობით მის საკუთრებაში არსებული ქონებები არ აქვს ინდეტიფიცირებული და აღწერილი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს კანონი, მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ. წყარო: „faolex.fao.org. (http://extwprlegs1.fao.org/docs/pdf/geo190207.pdf)
2. „ფერმერები რომელსაც შედარებით მცირე ნაკვეთები აქვთ იჯარით აღებული, მათ შეძენას 25-იანი ფასადლებით შეძლებენ“.წყარო: საქართველოს მთავრობა. (http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=79281)
3. „სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014“. წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (http://census.ge/files/results/agriculture/AG%20Census%20Release.pdf)
4. „სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსოლიდაციის სახელმწიფო სტრატეგიის აუცილებლობის შესახებ“. FAO -გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სააგენტო. (http://eugeorgia.info/ka/article/632/sasoflo-sameurneo-miwebis-konsolidaciis--saxelmwifo-strategiis-aucileblobis-shesaxeb/)
5. 2020 წლის ანგარიში. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. (https://drive.google.com/file/d/1INyho6vJLRGgtiE3PUeNwdTkL3ZV1SAd/view)
6. 2015 წლის ანგარიში. საელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. (http://nasp.gov.ge/res/docs/2016022215483052707.pdf)
7. თბილისის უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა. „GALT END TAGGART”. (https://galtandtaggart.com/upload/reports/11707.pdf)
8. საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის შეჯამება 2020. Colliers Internation Georgia. (https://recov.ge/ka/year-2020/residential/tbilisi/)
9. საცხორვებელი უძრავი ქონების ბაზრის სექტორული ანალიზი. TBC CAPITA. (https://static.tbccapital.ge/uploads/files/files_2fca8d42_28March2019ResidentialRealEstateSectorAnalysis-Prese.pdf).

# შობადობის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში

**ქრისტინე ჭელიშვილი**
*თსუ მაგისტრანტი*

*თანამედროვე ეპოქაში მსოფლიოს განვითარებული და ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანაც მწვავე დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დგას. ერთშვილიანი და ორშვილიანი ოჯახების ინტენსიურმა გავრცელებამ პრობლემა შეუქმნა თაობათა ცვლის პროცესს. დედამიწის მრავალ რეგიონში იმდენად მცირეა შობადობის დონე, რომ ის ვერ უზრუნველყოფს შვილთა თაობით მშობლების ჩანაცვლებასაც კი.*

*ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს მოსახლეობის შობადობის დინამიკის ანალიზი, ისტორიული ევოლუციისა და თანამედროვე ტენდენციების დადგენა.*

*მოცემული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:*

- *პოსტსაბჭოთა საქართველოში მოსახლეობის შობადობის სტატისტიკური ანალიზი;*
- *შობადობის თანამედროვე ტენდენციების განსაზღვრა.*

*კვლევა ემყარება როგორც შობადობასთან დაკავშირებულ მეცნიერულ ნაშრომებს, ასევე ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციასა და ინტერნეტ რესურსებს. სტატისტიკური ანალიზის განხორციელებით, გამოვლენილია ზოგადი და სპეციფიკური ტენდენციები და ჩამოყალიბებულია შესაბამისი დასკვნები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *შობადობის დონე, შობადობის კერძო კოეფიციენტი, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, თაობათა ცვლის პროცესი, მოსახლეობის აღწარმოება.*

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურმა, სოციალურმა თუ ჯანდაცვის პროგრესმა განაპირობა შობადობის რაოდენობრივი კლება. გარკვეული თვალსაზრისით, ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მაღალ შობადობას განაპირობებდა ჩვილთა მაღალი მოკვდაობა. სამედიცინო განვითარებამ კი მოგვცა ვაქცინა, გამოაჯანმრთელა დედამიწა სხვადასხვა მავნე ეპიდემიისაგან. შესაბამისად, გაიზარდა ალბათობა დაბადებული ბავშვებისთვის მიეღწიათ მათ ზრდასრულ ასაკს. თუ კაპიტალიზმამდე პერიოდში ოჯახებს უწევდათ სასურველზე ორჯერ მეტი შვილის გაჩენა (მათი გარდაცვალების შიშით), მისი გავრცელების შემდეგ ფაქტოვრივად აღმოიფხვრა ეს ფენომენი.

პრობლემის მთავარი კატალიზატორი მაინც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებია. თანამედროვე სამყაროში აქტიურად დგას საკითხი ქალისა და კაცის როლების გათანაბრების შესახებ. ორივე სქესის წარმომადგენლებს აქვთ სურვილი და შესაძლებლობა მიიღონ განათლება, განვითარდნენ კარიერულად, მიაღწიონ მეტ წარმატებას. ყოველივე ეს მოითხოვს დროსა და ენერგიას, შესაბამისად, აღნიშნული სურვილების პრიორიტეტულობა უკან სწევს დაქორწინებისა და ბავშვის ყოლის ასაკს. თუ გასული საუკუნისათვის დედათა საშუალო ასაკი მიახლოებული იყო 20 წელთან, დღეს ეს მაჩვენებელი 28 წლამდეა გაზრდილი.

ცხადია, მისასალმებელია საზოგადოებაში ქალის როლის ზრდა, თუმცა, შობადობის თვალსაზრისით გარვეულ პრობლემას იწვევს. დაქორწინების და შვილის გაჩენის ასაკის ზრდა ამცირებს შვილთა დიდი რაოდენობის ყოლის ალბათობას.

დღევანდელობაში გავრცელებული ერთშვილიანი და ორშვილიანი ოჯახების ტენდენცია ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც კი.

## 1.შობადობის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში

### 1.1 შობადობა საქართველოში

პოსტსაბჭოთა პერიოდი საქართველოში იწყება გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ახალი ფურცელია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ტრანსფორმაციის ეტაპი საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა კრიზისმა, ცხადია, გავლენა იქონია დემოგრაფიაზე. აღნიშნული ზემოქმედება კი პირდაპირ აისახა შობადობის მაჩვენებლებზე.

შობადობის რაოდენობის ზოგადი ანალიზისთვის გამოიყენება შობადობის ზოგადი კოეფიციენტი. მისი დინამიკა 1994-2020 წლებში მოცემულია დიაგრამა 1.1.1-ზე.

***დიაგრამა 1.1.1. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, 1994-2020 წწ.***




*წყარო: საქათველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).*

1990-1994 წლებში ადგილი ჰქონდა შობადობის ზოგადი კოეფიციენტის მკვეთრ ვარდნას. თუ 1990 წელს ის 17.1‰იყო 1994 წელს ისტორიულად ყველაზე დაბალ ნიშნულზე ჩამოვიდა - 11.8‰. კოეფიციენტი უმნიშვნელო უმნიშვნელო რხევით ხასიათდება გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში, 2000 წლიდან კი აქვს მზარდი დინამიკით 2009 წლამდე (14.8‰). საინტერესოა 2014 წელი, სწორედ ამ პერიოდში აღწევს შობადობის ზოგადი მაჩვენებელი ყველაზე მაღალ ნიშნულს უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში (16.3‰).

საქართველოში შობადობის დონის დაბალი მაჩვენებელი კარგად ჩანს დიაგრამა 1.1.2-ზე. 1994-2013 წლებსა და 2017-2020 წლებში არსებული შობადობის დონე ვერ უზრუნველყოფს თაობათა სრულად განახლებას, 2014-2016 წლებში კი ის მცირედით აღემატება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო მინიმალურ მნიშვნელობას, ანუ 2.15-ს.

შობადობის დონის კლების ტენდენცია შეიძლება აიხსნას როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებით.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულისათვის დამახასიათებელი იყო ახალგაზრდა დედების მაღალი წილი, 2000-იანი წლებიდან კი შემცირება დაიწყო მათმა რიცხვმა და გადაინაცვლა შედარებით უფროსი კატეგორიისაკენ (ცხრილი 1.1.1).

*დიაგრამა 1.1.2. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, 1994-2020 წწ.*




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).*

*ცხრილი 1.1.1. დედის ასაკი ცოცხლადშობილი ბავშვის დაბადებისას (%)*

| . | -20 | 20-24 | 25-29 | 30-34 | 35-39 | 40-44 | 45+ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1994 | 22,0 | 36,9 | 22,4 | 13,0 | 4,6 | 1,1 | 0,1 |
| 2000 | 14,6 | 37,7 | 24,8 | 14,1 | 6,8 | 1,8 | 0,3 |
| 2005 | 15,0 | 35,9 | 26,1 | 14,9 | 6,3 | 1,6 | 0,2 |
| 2010 | 12,4 | 34,9 | 28,0 | 16,0 | 6,9 | 1,6 | 0,2 |
| 2015 | 8,6 | 30,2 | 29,9 | 19,8 | 8,9 | 2,2 | 0,3 |
| 2020 | 5,6 | 22,7 | 31,1 | 23,7 | 12,4 | 3,5 | 0,9 |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).*

ეს ფაქტი გარკვეულწილად მიუთითებს საზოგადოებაში მომხდარ სოციალურ ცვლილებებზე. უკანასკნელ პერიოდში ამაღლდა ქალის როლი როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. დღეს ის მეტად არის დაინტერესებული განათლებით, კარიერით, თვითრეალიზაციით და ა. შ. გარკვეული მიზნების მიღწევა დროს მოითხოვს, შესაბამისად, იზრდება ქორწინებისა და შვილის გაჩენის ასაკიც. თუ ადრე ადამიანი ქორწინდებოდა უმეტესად 20 წლამდე, ახლა ეს მაჩვენებელი 25-30 წლამდეა გაზრდილი. ამის პირდაპირი მიზეზი კი უმაღლესი განათლების მიღებისა და სამსახურეობრივი წარმატებისკენ სწრაფვაა.

თუ 1994 წელს 20 წელზე პატარა დედების წილი 22% იყო, 2020 წლისათვის 5.6%-მდე შემცირდა, 25-45+ ასაკის დედების წილი კი შედარებით გაიზარდა ყველა ასაკობრივ კატეგორიაში. აღნიშნული მიუთითებს დედათა საშუალო ასაკის ზრდაზე ბავშვის დაბადებისას (დიაგრამა 1.1.3).

1994 წელს დედის საშუალო ასაკი 24 წელი იყო, 2020 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 28.5 წლამდეა გაზრდილი.

*დიაგრამა 1.1.3. დედის საშუალო ასაკი ბავშვთა დაბადებისას*




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).*

საზოგადოებასა და ოჯახში ქალისა და მამაკაცის უფლებების გათანაბრებას თან სდევს განქორწინების რაოდენობის ზრდა. საქართველოში 2000-იანი წლებიდან იზრდება განქორ-წინინების რიცხვი, რაც, ცხადია, ეს ფაქტიც უარყოფითად მოქმედებს შობადობის დონეზე.

საქართველოში დღეს გავრცელებულია ძირითადად ერთშვილიანი და ორშვილიანი ოჯახები და მათთან შედარებით ბევრად მცირეა მრავალშვილიანი ოჯაების რიცხვი.

ზოგადად, მსოფლიოში თანდათან უფრო მცირდება მოთხოვნილება მესამე და შემ-დგომ ბავშვზე. ცხადია, აღნიშნული ტენდენცია გავლენას ახდენს ზოგადად შობადობის მდგომარეობაზე და მისი კლებადი დინამიკის ერთ-ერთი მიზეზიცაა.

*დიაგრამა 1.1.4. ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დაბადების რიგითობის მიხედვით*




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)*

90-იანი წლებიდან 2007 წლამდე მესამე და შემდგომი ბავშვის დაბადება კლებადი ტენდენციით ხასიათდება. გარკვეულლწილად ეს მოსალოდნელიც იყო ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე. 2007 წლიდან მესამე და შემდგობი ბავშვის დაბადების ზრდა შეინიშნება. აღნიშნული მატების ახსნა შეგვიძლია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ს ინიციატივით - მონათლოს საქართველოს მართლმადიდებელ ოჯახებში დაბადებული მესამე და შემდგომი ბავშვი. აღნიშნული ინიციატივის გავლენა თვალსაჩინოდ ჩანს დიაგრამა 1.1.4-ზე - თანდათან იზრდება მესამე და მეოთხე შვილების რიცხვი.

შობადობის შემცირების მიზეზთა შორის აუცილებელია გამოვყო ურბანიზაცია და მიგრაცია.

როგორც ცნობილია, სასოფლო ტიპის დასახლებაში შობადობის მაჩვენებელი უფრო მაღალია ქალაქთან შედარებით. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა, ანუ 59 % კი ქალაქად ცხოვრობს.

შობადობის დინამიკის ანალიზისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ მიგრაციის როლიც. როგორც ვიცით, პოსტსაბჭოტა პერიოდში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო უამრავი ფერტილურ ასაკში მყოფი ქალი გახდა იძულებული დაეტოვებინა სამშობლო და წასულიყო სხვა ქვეყანაში სამუშაოდ. ცხადია, პოტენციურ დედათა რაოდენობის კლებამ საკუთარი როლი ითამაშა შობადობის დონის შემცირებაში.

ემიგრანტების დიდი ნაწილი დაბრუნდა საქართველოში გასულ წელს, თუმცა, ამ პერიოდში შობადობის დამატებითი შემცირება და მათი სახლში დაბრუნებაც საერთო მიზეზმა - კორონა ვირუსმა განაპირობა.

## 1.2. შობადობის დინამიკა საქართველოს რეგიონებში

საქართველო 11 რეგიონისგან შედგება (ქ. თბილისის ჩათვლით) და თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც გეოგრაფიულიდა ეკონომიკური, ისე დემოგრაფიული შემადგენლობითაც. რა თქმა უნდა, მეტად საინტერესოა, თუ რა მდგომარეობაა რეგიონებში შობადობის მხრივ.

***დიაგრამა 1.2.1. ცოცხლად დაბადებულთა აბსოლუტური რიცხვი რეგიონების მიხედვით***




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

შობადობის აბსოლუტური მაჩვენებლის მაქსიმალური რაოდენობა ქ. თბილისზე მოდის (12%), მინიმალური კი - რაჭა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე (1%). ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან დედაქალაქში ცხოვრობს ყველაზე მეტი - 1 184,8 (ათასი), ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ყველაზე ნაკლები - 29,1 (ათასი) ადამიანი.

შობადობის დინამიკის განსაზღვრისათვის უკეთესია ვნახოთ, თუ როგორია ზოგადი კოეფიციენტი თითოეული რეგიონისათვის. მონაცემები მოცემულია ცხრილში 1.2.1.

***ცხრილი 1.2.1. შობადობის ზოგადი კოეფიციენი რეგიონების მიხედვით***

| . | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქ. თბილისი | 16,4 | 15,7 | 14,9 | 13,0 | 14,0 | 13,7 | 12,9 |
| აჭარის ა. რ. | 19,0 | 18,8 | 17,6 | 17,9 | 16,8 | 16,4 | 16,0 |
| გურია | 14,0 | 14,0 | 13,9 | 13,4 | 11,8 | 11,0 | 10,1 |
| იმერეთი | 16,3 | 16,3 | 15,2 | 15,0 | 13,6 | 12,4 | 12,2 |
| კახეთი | 16,7 | 16,6 | 15,5 | 15,1 | 13,4 | 12,6 | 12,5 |
| მცხეთა-მთიანეთი | 14,3 | 13,8 | 12,6 | 13,0 | 11,4 | 10,3 | 10,0 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 11,9 | 11,6 | 10,7 | 11,3 | 11,0 | 9,8 | 9,1 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 15,8 | 15,3 | 14,8 | 13,9 | 12,6 | 11,2 | 10,7 |
| სამცხე-ჯავახეთი | 14,5 | 14,4 | 15,0 | 14,1 | 13,7 | 12,5 | 12,8 |
| ქვემო ქართლი | 17,6 | 16,8 | 16,3 | 15,7 | 14,4 | 13,6 | 12,8 |
| შიდა ქართლი | 16,4 | 16,0 | 15,8 | 14,2 | 13,0 | 12,0 | 11,8 |

2014-2020 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის მაქსიმალური მნიშვნელობა ფიქსირდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მინიმალური კი - რაჭა ლეჩხუმსა და ქვემო სხვანეთში. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა რეგიონში შობადობა ხასიათდება კლებადი ტენდენციით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შობადობის ყველაზე მაღალი დონე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშია. პირველ რიგში, ეს გამოწვეულია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურით. მოსახლეობის 69.37%-ს 15-64 წლის ადამიანები შეადგენს. ამასთან, აჭარის ქალი მოსახლეობის ყველაზე მაღალი წილი 15-49 წლის ასაკის ინდივიდებზე მოდის. აღსანიშნავია რელიგიური მრწამსიც. აჭარის მოსახლეობის 39.8% მუსლიმია. როგორც ცნობილია, ისლამი განსაკუთრებთ ასტიმულირებს ბავშვთაშობას.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში შობადობის მინიმალური დონის მიზეზი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაა. აქ მცხოვრები ქალების უმეტესი ნაწილი 50+ წლისაა.

მნიშვნელოვანია გამოვყოთ თბილისში არსებული მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ყველაზე ახალგაზრდა ნაწილი სწორედ აქ ცხოვრობს, შობადობა მაინც მცირეა. მიზეზი კი ცხოვრების წესსა და მისწრაფებებში უნდა ვეძებოთ. მოგეხსენებათ, ქალაქში ბევრი სტუდენტი ცხოვრობს, მათი პრიორიტეტი კი განათლება და კარიერაა.

## დასკვნა

თანამედროვე საქართველო ხასიათდება შობადობის კლებადი ტენდენციით. შობადობის არსებული სურათის გამომწვევი მიზეზი საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამედიცინო ფაქტორებთან ერთად.

ქალის როლის ცვლილებამ, განათლებისა და კარიერის მიმართ გაზრდილმა ინტერესმა, პრიორიტეტების გადაფასებამ, დატვირთულმა ცხოვრების წესმა შედეგად მოგვცა დაბალი შობადობა.

1990-იანი წლებიდან მძიმდება შობადობის რაოდენობა, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 1,7-მდეც კი დაეცა და ეს კი მარტივი აღწარმოების ზღვარზე(2,1) ბევრად დაბალი მაჩვენებელია.

უკანასკნელ წლებში ნაწილობრივ აღმოიფხვრა აღნიშნული პრობლემა. მართალია დაბალია შობადობა, თუმცა ის საკმაოდ ახლოსაა მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო მინიმალურ ზღვართან.

ბოლო პერიოდის საქართველოში სახეზე გვაქვს დედათა გაზრდილი ასაკი, განქორწინებათა მზარდი რიცხვი, ურბანიზაციის მაღალი დონე. ყველა ეს ფაქტორი მოქმედებს შობადობაზე და ხელს უწყობს მის კლებას.

შობადობის ზრდის თვალსაზრისით, დამაიმედებელია მესამე და შემდგომი შვილის ზრდის ტენდენცია, რომელიც 2007 წლიდან შეინიშნება და გამოწვეულია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ინიციატივით - მონათლოს მართლმადიდებლურ ოჯახში დაბადებული ყველი მესამე და შემდგომი ბავშვი.

ამრიგად, შობადობა უზრუნველყოფს დედამიწაზე სიცოცხლის გავრცელებას, შესაბამისად, აუცილბელია მასზე მოქმედი ფაქტორების კარგად შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში, მისი შემზღუდველი ან მასტიმულირებელი პოლიტიკის გატარება.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ შობადობის მდგომარეობას და მის კლებად ტენდენციას, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია შობადობის მასტიმულირებელი პოლიტიკის შემუშავება. ცხადია, საზოგადოებას სჭირდება დამატებით მოტივები ბავშვთაშობასთან დაკავშირებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. წულაძე გ., საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2014, თბილისი, 2015;
2. https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Demographic%20Yearbook-2014_3.pdf
3. წულაძე გ., სულაბერიძე ა., მაღლაფერიძე ნ., მამარდაშვილი გ., საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ, თბილისი, 2008;
4. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/saq%20demografia1.pdf
5. https://www.geostat.ge/ka

# კოვიდ-19 პანდემიის დადებითი ეფექტი შემომყვანი ტუროპერატორების საქმიანობაზე საქართველოს მაგალითზე

**_გიორგი ხიდეშელი,_**
_თსუ დოქტორანტი_

_კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში ტურიზმის მოთხოვნა-მიწოდების საერთაშორისო ჯაჭვი სრულიად ჩამოიშალა და ტურისტული ბიზნესის დიდი ნაწილი გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. განსაკუთრებით დიდი ზარალი კი შემომყვან ტუროპერატორებს მიადგათ. მათი მომხმარებლების აბსოლუტური უმრავლესობა უცხო ქვეყნის მოქალაქეა, შეზღუდულმა საერთაშორისო მიმოსვლამ კი კომპანიის შემოსავლები კრიტიკულ მინიმუმამდე შეამცირა. დღეისათვის არსებული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ტურიზმის ინდუსტრია განსაკუთრებით მძიმე მდომარეობაშია, თუმცა მოვლენების არატრადიციული გაანალიზებით საპირისპირო სურათი იხატება. კვლევის მიზანია დაადგინოს თუ რა სახის დადებითი ეფექტი აქვს მიმდინარე პანდემიას როგორც ქართული, ისე უცხოური ტუროპერატორების საქმიანობაზე. ნაშრომში გამოყენებულია შემთხვევის შესწავლის (Case Study) მეთოდი. მეორადი წყაროებისა და ნაშრომის ავტორის სამსახურეობრივი გამოცდილების გაანალიზებით გამოიკვეთა ის ძირითადი შვიდი მიმართულება, რომელთა გაუმჯობესებაც ზემოთ ხსენებული ტურისტული ბიზნესის მთავარ პრიორიტეტად იქცა. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოში მოქმედი ტუროპერატორების ნაწილმა ფეხი აუბა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს და იზრუნა როგორც კომპანიის ფუნქციონირების, ისე ტურისტული პროდუქტის გაუმჯობესებაზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ზემოთ მოყვანილი პოზიტიური შეფასება არ ეხება წვრილი ტუროპერატორების საქმიანობას, აღნიშნული კვლევა მათთვის სარეკომენდაციო პაკეტი იქნება. ეს გარემოება კი ნაშრომს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების კუთხით სამეცნიერო და პრაქტიკულ ღირებულებას სძენს._

**_საკვანძო სიტყვები:_** _პანდემია, კრიზისი, შემომყვანი ტუროპერატორი, გაუმჯობესება, განვითარება_

კოვიდ 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ ტურიზმის ინდუსტრიას განსაკუთრებული ზიანი მიაყენა. ვირუსის გეოგრაფიული გავრცელების შეჩერების მიზნით მთავრობები იძულებულნი გახდნენ ისეთი რეგულაციები დაეწესებინათ როგორებიცაა: საყოველთაო კარანტინი, საერთაშორისო და ადგილობრივი მიმოსვლის აკრძალვა, სხვადასხვა ტიპის ბიზნეს საქმიანობის დროებით შეზღუდვა და სხვა. ბიოლოგიური კრიზისის დაძლევის გზებმა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისამდე მიიყვანა. მაგალითად, ზემოთ ხსენებულმა პოლიტიკამ ტურისტული ბიზნესის მომხმარებელთა რიცხვი კრიტიკულ მინიმუმამდე შეამცირა და მრავალი კომპანია გაკოტრების წინაშე აღმოჩნდა.

ტურიზმის ინდუსტრიის გამოწვევების ტრადიციულ ჭრილში გაანალიზების მიზნით აუცილებელია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) ყოველწლიური ანგარიშის მიმოხილვა. 2020 წლის მონაცემების მიხედვით ტურისტული მოგზაურობების რიცხვმა 74%-ით დაიკლო, ფინანსურმა ზარალმა 1.3 ტრილიონი დოლარი შეადგინა, დაახლოებით 120 მილიონი სამუშაო ადგილი რისკის ქვეშ აღმოჩნდა და გლობალური მთლიანი შიგა პროდუქტი 2 ტრილიონი დოლარით შემცირდა (UNWTO, 2020).

დღეისათვის არსებული ყველა სტატისტიკური მონაცემი ცხადყოფს, რომ ტურიზმის ინდუსტრია მნიშნელოვანი გამოწვევების წინაშეა და კრიზისის დაძლევისთვის მინიმუმ რამდენიმე წელია საჭირო. თუმცა მიმდინარე პროცესების არატრადიციულ ჭრილში განვიხილავთ, მთელი რიგი პოზიტიური ტენდენციების გამოვლენაა შესაძლებელი.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კოვიდ 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ ტურისტულ ბიზნესს შესაძლებლობათა ფანჯარა გაუხსნა თანამედროვე ბიზნეს მოდელების შექმნის, მდგრადი განვითარების სტრატეგიების შემუშავებისა თუ ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით (Vărzaru, Bocean, & Cazacu, 2021, 3). გარდა ამისა, რამდენიმე წლიანმა კრიზისმა ცხადყო, რომ ბიზნესის უწყვეტი და შეუფერხებელი ფუნქციონირების საჭიროა რისკების მართვის ერთიანი სისტემა, მედეგობის ეტაპობრივი ზრდის გეგმა და უწყებათა შორის კომუნიკაციის ეფექტიანი არხები. ცალკე ყურადღება ეთმობა გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების საკითხს (Mulder, 2020, 35-37). შესაბამისად მოსალოდნელია, რომ ტურიზმის ინდუსტრიის ჯაჭვში ჩართულმა კომპანიებმა მათი დროისა და ენერგიის ნაწილი ბიზნესის განვითარებას მოახმარეს.

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომელსაც ბოლო რამდენიმე წელიწადში განსაკუთრებული ზარალი მიადგა. მაგალითად, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2020 წელს 0,5 მლრდ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი 2019 წელს 3,3 მლრდ დოლარი იყო (GNTA, 2020). ფაქტია, რომ ტურიზმის აღორძინება საქართველოს ეროვნული ინტერესია, თუმცა საინტერესოა, რა მდგომარეობაშია აღნიშნული ინდუსტრია დღეს.

საკონფერენციო ნაშრომის მიზანია დაადგინოს, პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში შეინიშნება, თუ არა ტურისტული ბიზნესის განვითარების რაიმე ტენდენცია. წინაადმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული ინდუსტრია სრულ სტაგნაციაშია, რაც უარყოფითად აისახება როგორც ეკონომიკური კრიზისის მძიმე მემკვიდრეობის დაძლევის პოტენციალზე, ისე საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს კონკურენტუნარიანობაზე.

ტურისტული ბიზნესის ჯაჭვი სხვადასხვა პროფილით მომუშავე მრავალ კომპანიას მოიცავს, თუმცა ნაშრომში ყურადღება შემომყვან ტუროპერატორებზეა გამახვილებული. აუცილებელია გაანალიზდეს მათმა ნაწილმა ბიზნესის ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და თანამედროვე სტანდარტების დანერგვის მიზნით რა ქმედებები განახორციელა. 2019 წლიდან დღემდე ტუროპერატორების მიერ გადადგმული ნაბიჯების სიღრმისეული შესწავლა მეტად მნიშვნელოვანი პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა.

კვლევის არეალში მხოლოდ საქართველოში მოქმედი ტუროპერატორები მოხვდნენ, რაც ნაშრომის ავტორის სამსახურეობრივი[11] საქმიანობითაა განპირობებული. მომდევნო თავები ძირითადად ქართული და უცხოური პრაქტიკის შედარებით ანალიზს დაეთმობა. კვლევის გამოწვევა კი საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის არაერთგვაროვნებაა. დღეს ბაზარზე მრავალი წვრილი შემომყვანი ტუროპერატორია, რომლებიც ზოგადი ფონის დახასიათებისას მეტ-ნაკლებად ჩრდილავენ საშუალო და მსხვილი ზომის კონკურენტებს. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს ფირმის განვითარების განსხვავებული ხედვა აქვს და ამ კუთხით დადებით შეფასებას მხოლოდ მსხვილი და საშუალო ბიზნესი იმსახურებს.

## პანდემიის დადებითი ეფექტი

კოვიდ 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ უკლებლივ ყველა ტუროპერატორს ფინანსური პრობლემები შეუქმნა. თუმცა კრიზისმა გამოათავისუფლა დრო, რომელიც კომპანიებმა მათ წინაშე არსებული გამოწვევების გამოვლენა-გადაჭრისთვის გამოიყენეს. შესაბამისად, არ-

[11] „ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯიას“ სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი და მდგრადი განვითარების მენეჯერი.

სებული ბიზნეს მოდელები უფრო ეფექტიანი გახდა. ცვლილებები შვიდი ძირითადი მიმართულებით განხორციელდა:

- კომპანიის მედეგობის გაზრდა;
- ახალი ტურისტული სერვისის შექმნა;
- სერვისის უსაფრთხოების სტანდარტის დანერგვა;
- მდგრადი განვითარების მიზნების დასახვა;
- ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- კომპანიის სტრუქტურული განახლება;

შემდეგი ქვეთავები თითოეული მიმართულების განხილვასა და ქართულ-უცხოური პრაქტიკის ურთიერთშედარებას დაეთმობა. გამოიკვეთება ძირითადი ტენდენციები და შეიქმნება ერთგვარი მატრიცა, რომელიც ქვეყანაში არსებულ პროგრესსა თუ რეგრესს უფრო თვალსაჩინოს გახდის.

## მედეგობა

ტურიზმის ინდუსტრიის მედეგობის გაზრდის მეთოდებისა და გზების განხილვამდე, აუცილებელია ამ ფენომენის სიღრმისეული გააზრება. მედეგობა არის შესაძლებლობათა ერთობლიობა, რომელიც არამარტო კრიზისის ან კატასტროფის შედეგების დაძლევის, არამედ სამომავლო განვითარების შესაძლებლობებსაც ქმნის (Ntounis, Parker, Skinner, Steadman, & Warnaby, 2021, 3).

მიმდინარე პანდემიამ ტურისტულ ბიზნესს მედეგობის გაძლიერებისკენ უბიძგა. ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯები კი კრიზისის ძირითადმა მახასიათებლებმა განსაზღვრა. მაგალითად, შემომყვანი ტუროპერატორების მომხმარებელთა რიცხვი ნულს გაუტოლდა, კრიტიკულ მინიმუმამდე შემცირდა შემოსავლები, ფინანსურმა რეზერვებმა ვერ გაუძლო ადმინისტრაციულ ხარჯებს და სხვა. მედეგობის კონცეფციიდან გამომდინარე, ბიზნესს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ მიმდინარე გამოწვევების დაძლევა, არამედ განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე ზრუნვაც. დღეისათვის ტუროპერატორების მედეგობა ოთხ ძირითად მიმართულებას ემყარება:

- ონლაინ რეჟიმში მუშაობით კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების შენარჩუნება;
- მომხმარებელთა მოთხოვნის შესწავლა და ახალი ბაზრების ათვისება;
- თანამედროვე და ინოვაციური სერვისის შექმნა;
- მჭიდრო თანამშრომლობა პარტნიორებთან (Oberoi, n.d.);

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების შესრულებით ტურისტული კომპანიების მიმდინარე პრობლემების გადაჭრა სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან მათი ფინანსური რესურსების ერთადერთი წყარო უცხოელი პარტნიორები და დამოუკიდებელი მოგზაურები არიან. ამ კუთხით საქართველოში დამაიმედებელი სიტუაციაა. ტუროპერატორები ინოვაციური ტურისტული სერვისისა და ახალი ბაზრების ათვისების მიზნით საკმაოდ დიდ დროსა და ენერგიას ხარჯავენ. გლობალური მასშტაბის მარკეტინგი და ამავე დროს პარტნიორი კომპანიების დივერსიფიკაცია რომელიმე ქვეყანაში ეპიდ ვითარების გაუარესებისადმი საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მოწყვლადობას მნიშვნელოვნად ამცირებს.

## ახალი ტურისტული სერვისი

თანამედროვე სტანდარტის ტურისტული პროდუქტის შექმნის კუთხით ქართული და უცხოური ტუროპერატორები მჭიდროდ თანამშრომლობენ. მათი მთავარი მიზანი ახალი სამოგზაურო პროგრამების გაწერა და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაა.

შექმნილი ეპიდ ვითარებიდან გამომდინარე ტუროპერატორები მხოლოდ სალაშქრო ტურებზე ორიენტირდნენ, ვინაიდან ღია სივრცეში მოგზაურობა ვირუსით ინფიცირების შანსებს მნიშვნელოვნად ამცირებს. აღნიშნულმა გარემოებამ, კი ხელი შეუწყო ამ დრომდე უცნობი სამთო მარშრუტების ათვისებას. გარდა ამისა, პანდემიამ მომხმარებელთა ქცევა რადიალურად შეცვალა. 2019 წლამდე ტურისტულ ჯგუფთან ერთად მოგზაურობა დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა ამჟამად ძირითადად ინდივიდუალური ტურები ჭარბობს. თანამედროვე ტექნოლოგიების, კერძოდ GPS-ის გამოყენებით კი ახალი ყაიდის თვითადმინისტრირებად ტურებს ჩაეყარა საფუძველი, რაც მომსახურე პერსონალთან და სხვა ინდივიდებთან კომუნიკაციის საჭიროებას მაქსიმალურად ამცირებს.

აღსანიშნავია, რომ ტუროპერატორებმა თვისებრივად განსხვავებული ტურისტული პროგრამების შექმნასაც დაუთმეს დრო. ქართული ტრადიციები, კულინარია, მეღვინეობა, ფოლკლორი და სხვა სანახაობები ერთიან სერვისად გარდაიქმნა. შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე პერიოდში ტურისტული პროდუქტი მნიშვნელოვნად გამრავალფეროვნდა და ამ მხრივ საქართველო მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს არ ჩამორჩა.

## უსაფრთხოების სტანდარტები

2019 წლიდან კლიენტის ჯანმრთელობასა და მის ზოგად უსაფრთხოებაზე ზრუნვა ევროპული ტურისტული კომპანიების ამოსავალი წერტილი გახდა. რისკების წინასწარი შეფასება და მათი შემცირებისკენ მიმართული ინსტრუქციების შემოღება ფატალური შემთხვევების, სასამართლო დავების, კომპანიის რეპუტაციის შელახვისა და სხვა ზიანის მომტანი მოვლენების თავიდან არიდების საშუალებას იძლევა. საქართველოში რისკების მართვის მოდელი მხოლოდ ერთ ტურისტულ კომპანიაში ფუნქციონირებს, რაც საკმაოდ მძიმე ზოგად ფონზე მიანიშნებს.

## მდგრადი განვითარების კონცეფცია

დასავლური ყაიდის ტუროპერატორებმა პანდემიის პერიოდში მათი საქმიანობა სხვა რაკურსით გაიაზრეს და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმა დაიწყეს. აღნიშნული კონცეფციის მთავარი მიზანი ისეთი გარემოს შექმნაა, რომელშიც ტურიზმის ინდუსტრიის თითოეული მონაწილე ზრუნავს ეკოლოგიაზე, ბუნებრივი რესურსების ოპტიმალურ ათვისებაზე, უწყვეტ ეკონომიკურ განვითარებაზე, სოციალური კეთილდღეობის ხელმისაწვდომობასა და ადგილობრივი საზოგადოებების კულტურისა თუ ტრადიციების შენარჩუნებაზე (Greentourism, n.d.).

დღეისათვის საქართველოში სულ რამდენიმე ტუროპერატორი იზიარებს ტურიზმის მდგრადი განვითარების მიზნებს, რაც უცხოურ პარტნიორ კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობის ნაყოფია. მათი ქმედებები შემოიფარგლება ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობით, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებით, თანამშრომლებისთვის ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნით, ეკოლოგიაზე ზრუნვით, ნარჩენების მართვითა და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით ქვეყანაში არც ერთიანი გეგმა არსებობს და არც კერძო სექტორია შეთანხმებული ქცევის საერთო ნორმებზე.

## ციფრული ტექნოლოგიები

დღეს ციფრული ტექნოლოგიების და ტურიზმის ინდუსტრიის გადაკვეთის წერტილი ელექტრონული მარკეტინგია, რომელიც კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების, ახალი ბაზ-

რების ათვისებისა და მომხმარებელთა კეთილგანწყობის მოპოვების მეტად ეფექტიანი მექანიზმია. პოსტ-კრიზისულ პერიოდში შემომყვანი ტუროპერატორის ბიზნეს წარმატება მის ონლაინ რეპუტაციაზეა დამოკიდებული. ეს უკანასკნელი კი კომპლექსური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. პირველ რიგში აუცილებელია გამართულად ფუნქციონირებადი და თანამედროვე ვებ-გვერდის შექმნა, რომელიც მოხმარებელს კომპანიისა და მის მიერ შეთავაზებული პროდუქტის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის. გარდა ამისა, აუცილებელია მისი პოზიციონირება საძიებო სისტემებში (Search Engine Optimization), რათა პოტენციურ კლიენტს ძებნის დაწყებისთანავე შეექმნას წარმოდგენა ტუროპერატორის საქმიანობაზე. ცალკე ყურადღების ღირსია სოციალური ქსელები. მათ ძირითადად კომპანიის, როგორც მოწინავე ბრენდის წარმოსაჩენად და მომხმარებელთა ლოიალურობის მოსაპოვებლად იყენებენ. სოციალური მედია მიზნობრივ აუდიტორიაზე გათვლილი რეკლამისთვისაც გამოიყენება. ციფრული ტექნოლოგიების ერთ-ერთი ბოლო ასპექტი მომხმარებელთან ურთიერთობის გამარტივებაა, რისთვისაც აპლიკაციებსა და ვებ-გვერდში ინტეგრირებულ ანგარიშებს იყენებენ (Toubes, Vila, & Brea, 2021, 1337-1338). შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მსხვილი და საშუალო ზომის ტუროპერატორებმა მალევე გაითავისეს ელექტრონული მარკეტინგის აუცილებლობა. შესაბამისად, დაიწყეს ვებ-გვერდების განახლება და სოციალური ქსელების გააქტიურება. თუმცა, მიზნობრივ აუდიტორიაზე კონცენტრირება, ბრენდის პოპულარიზაცია და ვებ-გვერდის საძიებო სისტემებში პოზიციონირება ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ქართული და უცხოური პრაქტიკა ნაწილობრივ არის თანხვედრაში, თუმცა პოზიტიური ტენდენციები უდავოდ შეინიშნება.

## დასაქმებულთა გადამზადება

კოვიდ 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ ტუროპერატორების საქმიანობის ფორმატი ძირეულად შეცვალა. კომპანიები დისტანციურ რეჟიმში განაგრძობენ ფუნქციონირებას და მუდმივად ახალ გამოწვევებთან უწევთ გამკლავება. შესაბამისად, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლების გარეშე ტურისტული ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და მედეგობა ეტაპობრივად შემცირდება. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ციფრული ტექნოლოგიების სიღრმისეული ცოდნაა. ნებისმიერი სახის სამსახურეობრივი ოპერაციის ელექტრონულ ფორმატში განხორციელება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ცალკე ყურადღების ღირსია კრიზისის მართვისა და პრობლემის გადაჭრის უნარები, რომლებიც ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილი გახდა. პანდემიის პირობებში მრავალმა ტუროპერატორმა მდგრადი განვითარების კონცეფციის დანერგვა დაიწყო და გარემოზე ზრუნვის საკითხი პრიორიტეტული გახდა. დღეს კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირება და მაღალი რეპუტაცია დამოკიდებულია იმაზე თუ იგი რამდენად ეკოლოგიურად სუფთა ტურისტულ პროდუქტს ქმნის (NTGA, 2020, 2-3). აღსანიშნავია, რომ კადრების მომზადება ქართულმა ტუროპერატორებმაც აქტიურად დაიწყეს და ხსენებულ სამივე მიმართულებას თანაბარ ყურადღებას უთმობენ. საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული ინდივიდები პროფესიული ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით უცხოელ კოლეგებს არ ჩამოუვარდებიან, რაც ორმხრივ თანამშრომლობას უფრო მარტივს და მობილურს ხდის.

## ორგანიზაციული ცვლილებები

წინა ქვეთავებმა ცხადყო, რომ პანდემიის პირობებში ტუროპერატორებმა მთელი რიგი რეფორმები განახორციელეს. მათმა უმეტესობამ სერვისის გაუმჯობესების მიზნით ისეთ საკითხებზე დაიწყო ზრუნვა, როგორებიცაა ციფრული ტექნოლოგიები, რისკების მართვა, მდგრადი განვითარება, თანამშრომელთა გადამზადება და სხვა. კომპანიის საქმიანობის გა-

უმჯობესებისთვის მმართველი რგოლის ნება საკმარისი არ არის. აქედან გამომდინარე, ქართულმა და უცხოურმა ტუროპერატორებმა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები (დეპარტამენტი, განყოფილება და სხვა) შექმნეს და ამით კონკრეტული მიმართულებების გაძლიერებას შეუწყვეს ხელი.

## დასკვნა

2019 წლიდან ტუროპერატორების ფუნქციონირება მნიშვნელოვნად შეფერხდა, თუმცა კოვიდ 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ მათი ბიზნეს შესაძლებლობების განვითარებაზე უდავოდ დადებითად იმოქმედა. მსხვილი და საშუალო ზომის ტურისტული კომპანიები აქცენტს ახალი პროდუქტის შექმნაზე, ფირმის ეფექტიანობის გაზრდაზე, თანამედროვე სამომხმარებლო სტანდარტების დანერგვასა თუ მდგრადი განვითარების სხვა ასპექტებზე აკეთებენ.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა საქართველოზეც ჰპოვა ასახვა. ადგილობრივმა ტუროპერატორებმა ბიზნესის განვითარების კუთხით გარკვეული სახის წარმატებებს მიაღწიეს, თუმცა ნაშრომში განხილული 7 მთავარი მიმართულებიდან რამდენიმე ჯერ-ჯერობით კვლავ უყურადღებოდ რჩება (იხ. ცხრილი N1). აღსანიშნავია, რომ ტურისტული პროდუქტის განახლებისა და ორგანიზაციის ფუნქციონირების გაუმჯობესების კუთხით უცხოური პარტნიორების პოზიტიური „ზეწოლა“ საკმაოდ დიდ როლს თამაშობს.

***ცხრილი N1. ქართული და უცხოური ტუროპერატორების ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის შედარება***

| ბიზნესის განვითარების მიმართულება | საქართველო | მსოფლიო |
|---|---|---|
| კომპანიის მედეგობის გაზრდა | + | + |
| ახალი ტურისტული სერვისის შექმნა | + | + |
| სერვისის უსაფრთხოების სტანდარტის დანერგვა | - | + |
| მდგრადი განვითარების მიზნების დასახვა | - | + |
| ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება | + | + |
| თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება | + | + |
| კომპანიის სტრუქტურული განახლება | + | + |

აუცილებლად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოში წვრილი ტურისტული სააგენტოები ბიზნესის განვითარების კუთხით ძირითადად უმოქმედოდ არიან. კრიზისმა მათ ისეთი ფინანსური დარტყმა მიაყენა, ერთადერთი გამოსავალი საქმიანობის დროებით შეწყვეტა იყო. აქედან გამომდინარე, პანდემიის პერიოდში გამოთავისუფლებული დრო ჯეროვნად მხოლოდ მსხვილი და საშუალო ზომის ბიზნესმა გამოიყენა. ამ გარემოების გათვალისწინებით ქვეყანაში შექმნილი საერთო ფონი არც თუ ისე სახარბიელოა.

პოსტ-პანდემიურ პერიოდში ტურიზმის ინდუსტრიის თითოეულ მოქმედ რგოლს თვისებრივად განახლებულ ბიზნეს გარემოში მოუწევს ფუნქციონირება. შესაბამისად, ეს დრო ტუროპერატორების საქმიანობის გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს. ასევე ფაქტია, რომ კერძო სექტორი დამოუკიდებლად ვერ ახერხებს ნაშრომში მოყვანილი განვითარების შვიდი ძირითადი მიმართულების პრაქტიკაში განხორციელებას. ამიტომ, აუცილებელია სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორიც აქტიურად ჩაერთოს აღნიშნულ პროცესში. აღნიშნული კვლევა კი თავის მხრივ ერთგვარი სარეკომენდაციო პაკეტი და სამოქმედო გეგმაა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. GNTA. (2020). *ეკონომიკური მაჩვენებლები.* თბილისი: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. მოპოვებული 2021 წლის 12 ივლისი, https://gnta.ge/ge/სტატისტიკა/-დან
2. Greentourism. (თ. გ.). *Sustainable tourism*. მოპოვებული 2021 წლის 14 July, Green Ideas for Tourism: http://www.greentourism.eu/en/Post/Name/SustainableTourism-დან
3. Mulder, N. (2020). *The impact of the COVID-19 pandemic on the tourism sector in Latin America and the Caribbean, and options for a sustainable and resilient recovery.* Santiago : United Nations publication.
4. NTGA. (2020). *The impact of COVID-19 on skills development and employability in the tourism sector.* Next Tourism Generation Alliance. მოპოვებული https://nexttourismgeneration.eu/wp-content/uploads/-2020/05/Impact-of-Covid-19-on-skills-development-and-employability-in-the-tourism-sector.pdf-დან
5. Ntounis, N., Parker, C., Skinner, H., Steadman, C., & Warnaby, G. (2021). Tourism and Hospitality industry resilience during the Covid-19 pandemic: Evidence from England. *Current Issues in Tourism*, 1-14.
6. Oberoi, G. (თ. გ.). *How can travel industry build business resilience post COVID-19?* მოპოვებული 2021 წლის 13 July, IGT Solutions: https://www.igtsolutions.com/blog/how-can-travel-industry-build-business-resilience-post-covid-19/-დან
7. Toubes, R. D., Vila, A. N., & Brea, A. J. (2021). Changes in consumption patterns and tourist promotion after the COVID-19 pandemic. *Journal of Theoretical and Applied Electronic Commerce Research, 16*(5), 1332-1352.
8. UNWTO. (2020). *Covid-19 and Tourism, 2020: A Year in Review.* World Tourism Organization.
9. Vărzaru, A. A., Bocean, G. C., & Cazacu, M. (2021). Rethinking Tourism Industry in Pandemic COVID-19 Period. *Sustainability, 13*(12), 1-19.

გამოცემაზე მუშაობდნენ

ნინო ებრალიძე და ეკა თეთრაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა

2021

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house